მოდერნის სტილში შესრულებულ ნაკეთობებს განსაკუთრებით ხშირად პასტელის ტონებით ხატავდნენ (ნათელი-მარგალიტისფერი, ცისფერი, ფერფლისფერი, ვერცხლისფერ-ნაცრისფერი, მწვანე-ცისფერი, მოშავო-მონაცრისფრო, ოქროსფერი-ყვისფერი). არც თუ იშვიათად ნაკეთობები მთლიანად ოქროს საღებავით იფარებოდა. ოქროს საღებავით დაფერილი უჩვეულო, ორიგინალური ფორმები ნაკეთობებს მდიდრულ და ეფექტურ შესახედაობას ანიჭებს.

მოდერნის სტილი ყველაზე ნათლად ჩაის სერვიზის ფორმებზე, ცალკეულ ფინჯნებსა და ლამბაქებზე აისახა (სურ. 1.4) (ე.წ. ეგოისტი) ნაკეთობებში შევიდა „მოულოდნელი მოძრაობები“. ფაიფურის სწორი ზედაპირი რელიეფმა ჩაანაცვლა, ზედაპირის ფაქტურა და საგნის ფორმებიც კი შეიცვლა.

მათგან თვალსაჩინოა უჩვეულო მოყვანილობის ფინჯანი ლამბაქით (სურ. 1.5). „ახალ სტილში“ შესრულებული ნაკეთობის ფორმა მის ფუნქციურ დანიშნულებას ცდება და დეკორატიულს უახლოვდება. ფინჯნის მკვეთრად წინ გაწეული პირი ტალღისებურ მოძრაობას მოგვაგონებს, რომლის მოხაზულობას ლამბაქის ერთი მხარეც იმეორებს. პირის ნაპირები ტალღოვანია, ზედაპირი კი ნიუარის ფაქტურის მსგავსი. ნიმუში მოვარდისფრო საღებავით არის დაფერილი, რომელიც თანხაოთან თეთრ ფერში გადადის. ვარდისფერ ფონზე მარწყვის ყვავილები ერთმანეთში დეკორატიულად გადახლართული დეროებითაა წარმოდგენილი.

მოდერნის სტილის თვალსაზრისით ყურადსაღებია და თვალს იტაცებს დეკორატიული თეფში, რომელიც მაღალი ხარისხის თეთრი, თხელი და გამჭვირვალე ფაიფურისგანაა დამზადებული (სურ. 1.2). ნაკეთობის ნაპირები ტალღოვანია, ოქროს საღებავით მოვარაყებული. ზედაპირი რელიეფური ორნამენტით დამუშავებულია და სამი ფერით მოხატული (ლურჯი, ვარდისფერი და ოქროს საღებავებით). თეფშის კალთის ერთი მხარე ლურჯი ფერისაა, მეორე – ვარდისფერი, გულზე კი სამივე ფერის საღებავით ნაზი მინდვრის ყვავილის თაიგულია გამოსახული.

ამ პერიოდის ფაიფურის დეკორატიული გაფორმებისთვის უმეტესად მოდერნისათვის სახასიათო მცენარეული სტილიზებული ორნამენტი, ფრინველისა და მწერების გამოსახულებებია გამოყენებული. ნიმუშად საინტერესოა ტიპიური დეკორატიული თეფში (სურ. 1.3). ნაკეთობა თეთრი ფერისაა, მოჭიქული, ტალღოვანი ნაპირებით შესრულებული. მასზე მოვარდისფრო, მოცისფრო, მოყავისფრო და მომწვანო-მონაცრისფრო საღებავის ფერებით ყვავილების თაიგული და ჩიტია გამოსახული. მცენარე სტილიზებული და დეკორატიულია. ყვავილის ტოტები თავისუფლად არის გაშლილი თეფშის ზედაპირზე და ნაკეთობას გულიდან კალთის ნაპირებამდე მიყვება. დეკორატიული თეფშის ფორმა, ფერადოვანი გამა და მხატვრულობა ერთ მთლიან პარმონიას ქმნის.



სურ. 1. ქუთხეცოვების ფირმის ფაიფურის ნაწარმი (XIX-XX ს.ს.)

XXს-ის დასაწყისში დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებაში ნაკეთობათა ფორმების გამარტივების ტენდენცია იზრდება და დეკორის ტალღოვანი ხაზები გეომეტრიული ფორმების ორხამნებით იცვლება.

მოდერნის სტილში შესრულებული ლარნაკებიდან ულამაზესია საქართველოს ეროვნული მუზეუმის რუსული ფაიფურის ფონდში დაცული საყვავილე ლარნაკი (სურ. 1.1).

ნივთი ორი სეგმენტისაგან შედგება: მრგვალი ფორმის ქვესადგომისა და მილის ფორმის ყვავილების ჩასადები ნაწილისგან. ლარნაკი სადა ფორმისაა, სწორსაზოვანი პირის პროფილით. ზედაპირი მუქი მწვანე საღებავით არის დაფერილი. ზედაპირი ღია ფერის ყვავილებით და ოქროს ფერი ფოთლებითაა მოხატული. ლანგრის ორივე მხარეს, მთელ სიგრძესა და ქვესადგამის კალთას გეომეტრიული ორხამნების ზოლი დაუყვება.

ლარნაკის მრგვალი, სადა ფორმა და შედარებით მკაცრი სწორსაზოვანი ორხამნებული მოტივი საოცარ შეხამებას ქმნის და სრულყოფილ ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს.

„მოდერნის“ სტილმა ხელოვნების ყველა სფეროში ჰქოვა ასახვა და განსკუთრებული საინტერესო ფორმით კერამიკულ ხელოვნებაში გამოვლინდა. „ახალმა“ სტილმა ხელოვნების ახალი ტენდენციების განვითარებას და ხელალ აღორძინებას მისცა ბიძგი, ნიმუშების ფორმებში, მათ ფერადოვან გამასა და ესთეტიკურ ხედვაში შეიტანა ცვლილებები.

მსოფლიო მხატვრული კერამიკის საწარმოებს შორის ახალი მიმდინარეობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი კუზნეცოვების საგვარეულო კერამიკულმა ფირმებმა შეიტანეს. ქარხნების მესვეურებმა ფაიფურის წარმოებაში ახალი მიმართულება შექმნეს და ამავდროულად აღნიშნული ხელოვნების დარგის ეროვნული ტრადიციების პირველსახოვნება შეინარჩუნეს.

საუკუნის მიჯნის (XIX–XX) რუსულ ხელოვნებას თავისი მაღალმხატვრული დირექტულებებით ეპოქის ევროპულ სახვით და დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებაში სათანადო, გამორჩეული ადგილი უკავია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Борисова Е., Русский Модерн, М., 1989.
2. Гусарова А, «Мир искусства», Л., 1972.
3. Музей. 8. Художественные собрания СССР, М., 1987.

Стиль Модерн в русском художественном керамическом искусстве на стыке двух веков (XIX-XX в.в.)

Во второй половине XIX века и в начале XX века в русском изобразительном, декоративном и прикладном искусстве были созданы совершенно новые, высокохудожественные произведения, что предвещало начало нового этапа в истории русского искусства.

Стиль «Модерн» нашел свое отражение во всех сферах русского искусства на стыке XIX и XX веков и проявился в особо интересной форме в керамическом искусстве. «Новый» стиль дал толчок развитию новых тенденций искусства и возрождению, внёс изменения в формы образцов, в их цветовую гамму и в эстетическое видение.

Среди предприятий мировой художественной керамики в формирование нового направления значительный вклад внесли керамические фирмы семьи Кузнецовых.

Руководители заводов создали новое направление в производстве фарфора и в то же время сохранили первоначальные национальные традиции упомянутого вида искусства.

На стыке веков (XIX-XX) русское искусство со своими высокохудожественными ценностями занимает особое место в европейском изобразительном и декоративно-прикладном искусстве.

Modern Style at the Boundary of Two Centuries (XIX-XX) In Russian Art Ceramics

At the end of XIX century and in the beginning of XX century in Russian fine, decorative or applied art was created new, highly artistic works, which showed the beginning of a new stage in Russian Art History.

At the boundary of XIX – XX centuries Modern Style has found its' reflects in all sphere of Russian Art and the most interesting form was revealed in the Art of Ceramics. The “New” style gave an impact to develop arts new tendencies and renascence, in pattern forms was taken changes in their colorful scale and esthetic views.

Between the Worlds Art Ceramic Enterprises in forming new course, important place has taken Kuznetsov's Ceramic Firms. Factory leaders have created new style in porcelain (production) manufacture and herewith, above mentioned art sphere vindicated its national traditions prototype.

At the boundary of XIX – XX century in the Epoch of European fine and applied-decorative art, Russian Art has taken significant place with its highly artistic values.

საბუნებისმეტყველი დისციპლინები - Естествоведческие дисциплины – Science

ურბანული სისტემა და ზოგადსისტემური კანონზომიერებანი

**მერაბ ახობაძე, ოთარ ზუმბურიძე, დავით ყიფშიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

სამყარო - ერთი მთლიანი დაუყოფელი დინამიური ერთიანობაა, რომელიც მოიცავს ასევე დამკვირვებელს.

ამერიკელმა მეცნიერებმა ჯონ სტიუარტ ბელმა და დევიდ ბომბა დაამტკიცეს, რომ ყოველივე ერთია და ყოველი ნაწილი არის სრულყოფილი მთელი. ყველაფერი ურთიერთკავშირშია. არ არსებობს ერთეულოვანი, ერთჯერადი მიზეზ-შედეგობრივი კავშირები. მიზეზების იზოლირება შეუძლებელია. ბუნება განუყოფელი მთელია. სამყაროში ყოველი ნაწილი თავის თავში ატარებს სამყაროს ერთობლიობას („ყოველი ნაწილი, რომელიც არ ეთანხმება მთელს, მანინჯია“! ნეტარი ავგუსტინე). მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ყველაფერი იქმნება ერთი და იგივე პულსირებადი „ქვანტური ღრუბლიდან“, სამყაროს წარმოშობის ყველაზე აღიარებული მოდელის - დიდი აფეთქების თეორიის თანახმად, სამყარო წარმოიშვა ვაკუუმიდან. ჩვეულებრივ, ვაკუუმის ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ აბსოლუტურად ცარიელ, უხილავ სივრცეს. უახლესი მეცნიერული თვალსაზრისით კი, ვაკუუმი მატერიის განსაკუთრებული ფორმაა, რომელიც ფლობს ენერგიას.

ბრიტანეთის ენციკლოპედიის მიხედვით სიტყვა „ქაოსი“ წარმოქმნილია ბერძნულიდან და თავდაპირველად აღნიშნავდა უსასრულო ცარიელ სივრცეს. ქაოსში ყველაფერია, იგი ყველა შესაძლებლობათა ერთობლიობაა. ქაოსი უნდა გავიგოთ არა როგორც უიმედო, უსაშველო უწესრიგობა, არამედ, როგორც ჯერ კიდევ ბოლომდე

არაფორმირებული ყოფა. ქაოსი არის ახალი ინფორმაცია.

მეოცე საუკუნის ბოლოს როდესაც გამოჩნდა სწრაფი კომპიუტერები, იტერაციული (რეკურსული, ევოლუციური) ალგორითმების საშუალებით შესაძლებელი გახდა „სამყაროს მოდელირება“ - პლანეტარულ, ურბანული სისტემების, შენობების, ბაქტერიებისა და ატომების მასშტაბებში. საინტერესო ისაა, რომ აბსოლუტურად ყველა დონეზე (ყველა მასშტაბში) ჩნდებოდა მსგავსი სახეები და ამავე დროს თითოეული მასშტაბი თავის დაღს ასვამდა ქმნილებას. ყოველივე ამ ერთიანობას (სხვადასხვა სისტემების, აბსოლუტურად თვისობრივად და ფუნქციონალურად განსხვავებულ მოდელებში) ქმნიდა მხოლოდ ერთი სახის უმარტივესი იტერაციული ალგორითმი-რეალიზებული კომპიუტერის ერთსტროფიან მოდელში. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ბუნება ორგანიზებას უკეთებს თავის თავს ძალიან მარტივი ფიზიკური კანონების საშუალებით, ეს კანონები ყველგან ერთნაირია და მეორდებიან უსასრულო მოთმინებით [1].

მეოცე საუკუნის ბოლოს შეიქმნა ე.წ. უნივერსალურობის თეორია, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: ბუნებრივ სისტემებსა და პროცესებს, მიუხედავად იმისა თუ რა ბუნებისანი არიან ისინი, აქვთ ერთნაირი თვისობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლები. აღმოჩნდა, რომ სისტემის მახასიათებელი პარამეტრების ცვლილებისას სისტემის მოწესრიგებული, რეგულარული, დეტერმინირებული ქცევა გადადის ჯერ არარეგულარულ, შემდეგ კი ქაოტურ ქცევამი. შემდეგ ქაოსის შიგნით კვლავ ჩნდება იმავე თანმიმდევრობით “კუნძულების” სახით, დეტერმინირებული, რეგულარული, არარეგულარული და ქაოტური სისტემები, ოღონდ შემცირებულ სივრცით-დროით მასშტაბში და ასე დაუსრულებლად! [1].

აღმოჩნდა, რომ უმარტივეს დეტერმინირებულ არაწრფივ სისტემებში არსებობს როგორც მდგრადი მოწესრიგებულობა, ასევე მდგრადი ქაოსი. საწყისი მონაცემების მცირე ცვლილებებზე მარტივი დეტერმინირებული სისტემების რეაქცია არის ნახტომისებრი.

ურბანული სისტემაც წარმოადგენს გლობალური, ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური, სივრცით-დროითი ევოლუციური პროცესის უმნიშვნელოვანეს ნაწილს. აქედან გამომდინარე მასში მიმდინარე პროცესებიც აბსოლუტურად იდენტურია ზემოთ მოყვანილ ზოგადსისტემური კანონზომიერების. დადგენილია, რომ ქალაქმშენებლობითი, “მდორედ” მიმდინარე პროცესები ხშირად განმსაზღვრელია არარეგულარული, ქაოსური მოვლენების.

განვიხილოთ რეგიონი, რომელიც დაყოფილია L რაიონად და ცხოვრობს მოსახლეობის ერთგვაროვანი ჯგუფი Q (ერთი ჯგუფის ადამიანებს აქვთ ერთნაირი ინტერესები)

ცნობილია რეგიონის განაშენიანების გეგმა, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულია დროის $(0, T]$ შუალედში F სიმრავლის ობიექტების აშენება (დანგრევა, რეკონსტუქცია). ამ პროექტის განხორციელების ყოველი ვარიანტი შგვიძლია განვიხილოთ როგორც ასახვა $p: F \rightarrow (0, T] \times \{1, L\}$. სადაც $p(f) = (t_f, l_f)$, თუ p გეგმის მიხედვით t_f ობიექტის აშენება (დანგრევა რეკონსტრუქცია) იწყება t_f რაიონში დროის t_f მომენტში. (ქვემოთ ყველგან განმარტებისათვის, L=2 ანუ რეგიონი შედგება ორი რაიონისაგან).

ყოველ p გეგმას შევუსაბამოთ რიცხვთა ისეთი ზრდადი $\theta = (\theta_m)_{0 \leq m \leq n}$ მიმდევრობა, რომ $\theta_0 = 0$ და $\{\theta_m | 1 \leq m \leq n\} = \{t_f | f \in F\} \cup \{t_f + \tau_f | f \in F\}$, სადაც t_f არის ის დრო, რომელიც საჭიროა f ობიექტის აშენებისათვის (დანგრევისათვის). სხვანაირად რომ ვთქვათ, θ არის მიმდევრობა დროის იმ მომენტებისა, როდესაც p გეგმის მიხედვით უნდა დაიწყოს ან დამთავრდეს რაიმე ობიექტის აშენება ან დანგრევა (დამატებული ნულოვანი მომენტი), დალაგებული ზრდადობის მიხედვით.. ცხადია, რაიონებში ახალი ობიექტების აშენებით ან დანგრევით იცვლება პირველი და მეორე რაიონის მიერ მოსახლეობის ინტერესების დაკმაყოფილების λ_1 და λ_2 პარამეტრები, რომლებსაც განვსაზღვრავთ შემდეგნაირად: ვთქვათ, J არის იმ ინტერესების სიმრავლე, რომლებიც შეიძლება ჰქონდეს მოსახლეობას. ყოველი $i \in J$ ინტერესისათვის და J -ური რაიონისათვის $\xi(i, j)$ და $\eta(j)$ სიმბოლოებით აღვნიშნოთ შესაბამისად i - ურ რაიონში j ინტერესის დაკმაყოფილების პარამეტრი და მოსახლეობისათვის j ინტერესის დაკმაყოფილების აუცილებლობის წონა $\lambda_j = \sum_{i \in J} \xi(i, j) \eta(i), j = 1, 2$.

ჩვენ მივიღებთ შეთანხმებას იმის შესახებ, რომ $\eta(i)$ წონები მუდმივია $(0, T]$ დროის შუალედში, ხოლო $\xi(t, j)$ და, მაშასადამე, λ_j პარამეტრებზე გავლენას ახდენს მხოლოდ p გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები. ამიტომ, ცხადია, დროის $(0, T]$ შუალედში λ_1 და λ_2 პარამეტრები შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ დროის θ_m ($1 \leq m \leq n$) მომენტებში. ამრიგად, ყოველ p გეგმას შეესაბამება (λ_1, λ_2) სიბრტყის წერტილების გარკვეული მიმდევრობა L_0, L_1, \dots, L_n .


როგორც ნაჩვენებია [2] ნაშრომში, მოსახლეობის რაოდენობა რაიონებში $x_1(t)$ და $x_2(t)$ აკმაყოფილებს შემდეგ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემას:

$$x'_i = (\alpha_i - h_i)x_i + \frac{\lambda_1 x_i (V_i - x_i)(h_1 x_1 + h_2 x_2)}{V^2 + \lambda_1 x_1 (V_1 - x_1) + \lambda_2 x_2 (V_2 - x_2)}, \quad i = 1; 2, \quad x_i(0) = x_i^{(0)} \quad (1)$$


სადაც α_1 და α_2 არის რაიონებში მოსახლეობის კვლავწარმოების კოეფიციენტებია; h_1 და h_2 - მობილურობის კოეფიციენტები, V_1 და V_2 - რაიონების ტევადობები, V - გარე არის ტევადობა (ვგულისხმობთ, რომ რეგიონი ღიაა მიგრაციის მიმართ და $h_i > \alpha_i$).

შევთანხმდეთ, რომ ყოველი m -სთვის $[\theta_m, \theta_{m+1})$ შუალედი საკმაოდ დიდია იმისათვის, რომ განტოლება (1)-ის ამონახსნებმა მოასწროს მუდმივი ამონახსნებისაკენ საკმარისად მიახლოება.

ამიტომ დროის ყოველი $[\theta_m, \theta_{m+1})$ შუალედში შეიძლება შემოვიფარგლოთ (1)-ის მხოლოდ მუდმივი არაუარყოფითი კოორდინატებიანი ამონახსნების განხილვით, რომელთა Σ_i გაერთიანება $(\lambda_1, \lambda_2, x_i)$ სივრცის ზედა ნახევარ სივრცეში, წარმოადგენს ე.წ. კატასტროფების ზედაპირს. ე.ი. ისეთს, რომ $\lambda_1, \lambda_2, x_i \in \Sigma_i$ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა პარამეტრების (λ_1, λ_2) , x_i მნიშვნელობისათვის შეიძლება იყოს სისტემის წონასწორობის მდგომარეობის t - ური კოორდინატი. p გეგმის განხორციელების დროს Σ_i ზედაპირზე ($i = 1, 2$) ჩნდება L_m წერტილების შესაბამისი M_m^i წერტილები (იხ. ნახ. 2)



ნახ. 2



ნახ. 3

L და M სიმრავლეები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ორიენტირებული წირები. L -ურ რაიონში კატასტროფას (დემოგრაფიულ აფეთქებას, ქაოსის გამომწვევს) ადგილი აქვს მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა m წირი განიცდის წყვეტას. ((1) განტოლების ამონახსნი იცვლება ნახტომისებურად λ პარამეტრების უმნიშვნელო ცვლილებების დროს. m

წერტილი გადახტება m_i -ში). როგორც წესი, ძნელია თვალი ვადევნოთ m^i წირების ქცევას Σ_i ზედაპირზე. უფრო მარტივია და პრაქტიკული L წირის მიხედვით, სივრცულ სურათთან მიმართვის გარეშე განვსაზღვროთ როდის ექნება ადგილი დემოგრაფიულ აფეთქებას რეგიონში.

ამისათვის (λ_1, λ_2) სიბრტყის პირველ მეოთხედში გამოვყოთ შესაბამისი არები K, L, H, \dots (იხ.ნახ.3), სადაც (1) განტოლების ამონახსნები $\hat{x}_i (i = 1, 2)$ - ფუმქციები განსაზღვრულია და არაუარყოფითი [3].

ახლა უკვე შეგვიძლია თვალი ვადევნოთ მოსახლეობის რაოდენობის დინამიკის თვისობრივ მხარეს (L_0, L_1, \dots) -წირის ქცევის მიხედვით და ვუპასუხოთ კითხვას: რ გეგმის განხორციელების დროს მოხდება თუ არა რეგიონში დემოგრაფიული კატასტროფა.

განვიხილოთ $L(p_1)$ წირი ნახ.3. როგორც ვხედავთ p_1 გეგმის დროს L წირის მიმდინარე წერტილები მოთავსებულია I არის შიგნით, ამ დროს რეგიონში კატასტროფას არ ექნება ადგილი. კატასტროფა შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ როდესაც $L(p)$ წირი გადაკვეთს არების გამყოფ საზღვარს. როგორც ვხედავთ $L(p_2)$ წირი კვეთს I და M არების გამყოფ ზედაპირს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ p_2 გეგმის განხორციელების შემთხვევაში რეგიონში მოხდება დემოგრაფიული აფეთქება.

ყოველი $L(L_0, L_1, \dots, L_m)$ -წირისათვის შესაძლებელია გათვლილი იქნას ალბათობები იმისა, რომ გარკვეული ქალაქებულებით გეგმის განხორციელების დროს რა ალბათობით მოხდება დემოგრაფიული აფეთქება [4]. ეს საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ იმ ინვესტიციების განხორციელების რისკი, რომელიც იდება აღნიშნულ რეგიონში.

ამისათვის განვიხილოთ რეგიონი როგორც ეკონომიკური სისტემა. დავუშვათ იგი შედგება მ-ურთიერთდაკავშირებული ქვესისტემებისაგან.

თითოეული ქვესისტემა დავახასიათოთ იმ შემოსავლებით $y_i(t, p)$ რომელიც მას აქვს და იმ ინვესტიციებით $I_i(t, p)$, რომელსაც ის ანხორციელებს. ცხადია ეს სიდიდეები დამოკიდებულია განაშენიანების კონკრეტულ p გეგმაზე.

$$I_i(t, p) = N_i(t, p) + \mu(p)(W_i(t, p) - E_i(t, p)), \quad i = 1, 2, \dots, n \quad (2)$$

$$y_i(t, p) \geq 0, I_i(t, p) \geq 0.$$

აქ: $N_i(t, p)$ - ინვესტიციის სიდიდეა ჩადებული იმავე ქვესისტემაში განხორციელებული საკუთარი შემოსავლებიდან

$E_i(t, p)$ - i -ქვესისტემიდან სხვა ქვესისტემებში ჩადებული ინვესტიციის სიდიდეა.

$W_i(t, p)$ - i -ურ ქვესისტემაში სხვა ქვესისტემებიდან ჩადებული ინვესტიციებია.

$\mu(p) (0 \leq \mu(p) \leq 1)$ - ინციდენტურობის კოეფიციენტია.

თუ $\mu(p) = 0$, მაშინ p გეგმის განხორციელების დროს ქვესისტემებს შორის არ არსებობს კავშირი. როცა $\mu(p) = 1$, მაშინ ყველა ქვესისტემა ურთიერთკავშირშია.

თუ $x_{ij}(t, p)$ აღნიშნავთ ინვესტიციის ნაკადს I ქვესისტემიდან j ქვესისტემაში, გვექნება შემდეგი ბალანსური თანაფარდობები:

$$E_i(t, p) = \sum_{j=1, j \neq i}^n x_{ji}(t) \quad (3)$$

$$W_i(t, p) = \sum_{j=1, j \neq i}^n x_{ji}(t)$$

თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ ყოველი კონკრეტული p გეგმის რეალიზაციისას ქვესისტემებს შორის ინვესტიციის პორციების განაწილების ალბათობები $a_{ij}(p)$ დამოუკიდებელი შემთხვევითი სიდიდეებია და ამასთანავე ინვესტიციების მოხმარება ხდება მთლიანად მაშინ $\sum_{j=1}^n a_{ji}(p) = 1 \quad i = 1, 2, \dots, n$ (4)

ამ დროს ინვესტიციების პორციების დინამიკა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც ლოკალურ-სტაციონალურ მდგომარეობათა მიმდევრობა დროის ყოველი t - მოძრავისათვის, რომლის ენტროპია განისაზღვრება გამოსახულებით

$$H(X(t, p)) = - \sum_{i,j=1}^n x_{ij}(t) \ln \frac{x_{ij}(t)}{e a_{ij}} \rightarrow \max \quad (5)$$

შესაბამისი შეზრუდვების (3) და (4) დროს.

თითოეული ქვესისტემისათვის ინვესტიციის პორციის სიდიდედ უნდა ავიღოთ $x^*_{ij}(t, p)$, რომლის დროსაც სისტემის ენტროპია $H(X(t, p))$ არის მაქსიმალური. ამ დროს ინვესტირების რისკი მინიმალურია.

ლიტერატურა

1. М. Шредер. Фракталы, хаос, степенные законы. 2007.
2. Ахобадзе М. Н., Курцхалия Е. Ж. Модель динамики деморесурсов с учетом интересов различных групп населения // ВНИИСИ Сборник трудов. Вып. 13 М., 1990.
3. მერაბ ახობაძე. მაკროსისტემების მათემატიკური მოდელირებისა და მართვის საკითხები (ურბანისტული სისტემების მაგალითები). მონოგრაფია. 2006. თბილისი.
4. Akhobadze M., Zangurashvili D. Prevention on the population explosions in the process of the control of cities and regions. International conference “parallel computations and control problems”, Moscow, 2005.

Urban Systems and General Systemic Regularities

Various different scientific disciplines and knowledge are integrated are observed to be integrated in modern science for study of a range of events as one system.

Often we deal with such situations, when the system as a whole one, reveals different nature and properties than its parts have. In urban system the population, transportation and etc. maybe considered as random processes, and the result - service centers, transport communications, demographic picture and etc maybe represented by determined, regular parameters.

Urban system is given as mathematical model of a macro system based on the theories of chaos, catastrophes and fractals.

It is shown the disasters provoked by the insignificant changes of urban development plan even in the case of only the planned objects implementation sequence is changed.

Urban system is considered as a geometric structure, with the features defined by the combination of separate systems connectivity. Given method allows us to predict the characteristics of urban system and reveals the sequences during of which the catastrophes will be avoided.

Урбанистические системы и общие системные закономерности

В докладе урбанистическая система рассматривается как макросистема. Главная особенность макросистем в отличии “индивидуальных” свойств ее элементов “коллективных” свойств системы в целом.

Это неоднородность порождает образование квазистойчивых структур из большого количества элементарных хаотических движений. Поэтому многие проблемы, являющиеся предметом изучения макросистем, примыкают к проблемам самоорганизации и детерминированного хаоса.

В работе показана как незначительные изменения в плане градостроительной стратегии может стать источником больших катастрофических последствий.

კომპიუტერული ქსელის სადიაგნოსტიკო-საკონტროლო საშუალებების კლასიფიკაცია

**ბექა გაბეხაძე, ლევან ინჯია, მარინა ქურდაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
თბილისი, კოსტავას ქ.77**

ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში თანამედროვე კომპიუტერული ქსელების გამოყენების როლი და მნიშვნელობა ბოლო პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა. ინტერნეტის ქსელის ასეთმა სწრაფმა განვითარებამ თავის მხრივ წარმოქმნა პრობლემები მომხმარებელთა მომსახურებაში საინფორმაციო უსაფრთხოებისა და მათი საიმედო მუშაობის უზრუნველყოფის კუთხით. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასეთი ქსელებისათვის სადიაგნოსტიკო-საკონტროლო საშუალებების შერჩევას, მათ ეფექტურ გამოყენებას სხვადასხვა სახის უწესივრობების აღმოჩენისა და მათი დროული აღმოფხვრის მიზნით. ამჟამად კომპიუტერული ქსელური სისტემებისათვის არსებობს სადიაგნოსტიკო-საკონტროლო საშუალებების მეტად ფართო სპექტრი. ქსელური პრობლემების წარმოქმნისას ხშირ შემთხვევებში ქსელის აღმინისტრატორი აწყდება გარკვეულ სიძნელეებს მათი სიმრავლიდან ამ საშუალებების დროულ შერჩევასა და გამოყენებაში. აქედან გამომდინარე წარმოდგენილ სტატიაში მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამჟამად არსებული სადიაგნოსტიკო-საკონტროლო საშუალებების კლასიფიკაციებად დაყოფა მათი გამოყენების სახეების მიხედვით, რათა ქსელის აღმინისტრატორმა ოპერატიულად შეძლოს მათი ფუნქციების განსაზღვრა ქსელის სხვადასხვა მტკუნებების დროულად აღმოფხვრის მიზნით.

სადიაგნოსტიკო-საკონტროლო საშუალებების კომპიუტერულ ქსელში გამოყენების სახეების მიხედვით ეფექტურ მიღომად მიგვაჩნია მათი დაყოფა შემდეგ ფუნქციურ ჯგუფებად:

1. სადიაგნოსტიკო საშუალებები, რომლებიც საჭიროა პოსტის სადგურების ან მარშრუტიზატორის ინტერფეისულ რუქებში უწესივრობების აღმოსაჩენად

ასეთი სახის დარღვევების აღმოსაჩენად სადიაგნოსტიკო მოწყობილობები ატყობინებენ ქსელის აღმინისტრატორს, რომ მის ქსელში რომელიმე ინტერფეისში უწესივრობა. ასეთ დროს ქსელის აღმინისტრატორი სპეციალური საკონტროლო ანალიზატორით დაკვირდება და გაანალიზებს ქსელის ტრაფიკს. აღმოჩენება რა, რომ უწესივრობა შეიმჩნევა ინტერფეისულ რუქაში, მან უნდა შეცვალოს იგი ახლით მიუხედავად იმისა მთლიანადა ეს უკანასკნელი გამოსული მწყობრიდან, თუ ნაწილობრივ. ამგვარად, ასეთ შემთხვევებში სადიაგნოსტიკო საშუალება აღმოსაჩენს, რომ დაზიანებული ინტერფეისი ინტენსიურად აგზავნის კადრებს, რომლებშიც შეიმჩნევა შეცდომების მომატება (მათ საკონტროლო ჯამებში).

2. ტრაფიკის საკონტროლო საშუალებები

აღნიშნული კლასიფიკაციის საკონტროლო საშუალებები ეხმარება ქსელის აღმინისტრატორს აწარმოოს ტრაფიკის დონის კონტროლი, სწორად გაანაწილოს (ან გადაანაწილოს) ქსელის რესურსები, დატვირთვის ინტენსიონები სხვადასხვა, შედარებით ნაკლებად დატვირთულ სეგმენტებს შორის. ამისათვის სადიაგნოსტიკო საშუალება, რომელიც წარმოადგენს სპეციალურ

ანალიზატორს, გვაძლევს ქსელური ტრაფიკის სურათს. მის მიხედვით შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ტრაფიკის დატვი-როვის დონე, რომელიც გადაკვეთს ლოკალური ქსელების სიმრავლეს, შეიძლება შესამჩნევად შემცირდეს, თუ გარევეული სერვერები შეერთდება პირდაპირ, ანუ ნაკლები ტრანზიტების გარეშე. თუ კი რესურსების ამგვარი გადახაწილებით მოხერხდება ქსელის წარმადობის შენარჩუნება (ან, რაც უფრო უკეთესია, მისი გაზრდა), ამას უპირველეს ყოვლისა მიესალმება კორპორაციის ხელმძღვანელობა, ვინაიდან მათ არ მოუწევთ გაიღონ ზედმეტი კაპიტალდაბანდებები დამატებითი რესურსების შესაძენად.

იყენებს რა სპეციალურ სადიაგნოსტიკო ანალიზატორს, ქსელის აღმინისტრატორს ეძლევა საშუალება გააკონტროლოს საკომუტაციო ხაზების გამოყენების კოეფიციენტი. მას შეუძლია დაადგინოს ლოკალურ სეგმენტში (სეგმენტებში) ჭარბი დატვირთვის წარმოქმნის შემთხვევა (ქსელის გადატვირთვის რეჟიმში მოხვედრა). თუ ასეთი შემთხვევები იღებს რეგულარულ ხასიათს, მაშინ მან უნდა მიმართოს კაშირგაბმულობის პროვაიდერებს, რათა დაავენონ ისეთი ხაზი, რომელსაც ექნება გამტარუნარიანობის უფრო მაღალი მაჩვენებელი (ეს უკანასკნელი კი, როგორც წესი, დაკავშირებულია დამატებით ხარჯებთან).

მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ქსელის აღმინისტრატორს ჰქონდეს ისეთი სადიაგნოსტიკო ანალიზატორი, რომელიც ავტომატურად აცნობებს მას ხაზების დატვირთვის დასაშვები დონის (პიკის) გადამეტებას. ამგვარი სადიაგნოსტიკო ანალიზატორი საშუალებას მისცემს მას გადატვირთვების თავიდან აცილების მიზნით მოახდინოს ქსელის რეკონფიგურაცია (როგორც აღვნიშნეთ, დატვირთვების სხვა სეგმენტებზე გადახაწილება).

3. სადიაგნოსტიკო-საკონტროლო საშუალებები, რომლებიც აღმოაჩენენ მარშრუტიზაციის ცხრილებში სწრაფ ცვლილებებს

მათი დახმარებით ქსელის აღმინისტრატორი დაასკვნის, რომ მის ქსელში ზოგიერთი მიმართულებით მარშრუტები არასტაბილურია ან თვით მარშრუტიზატორი არასწორადა გაწყობილი (ინსტალირებული). რა თქმა უნდა ასეთი სადიაგნოსტიკო საშუალებები დიდ სამსახურს გაუწივს ქსელის აღმინისტრატორს, რომელსაც ყოველთვის ურჩევნია უწესივრობის წინასწარი პროგნოზირება, ე.ი. აღმოაჩინოს შეცდომა მანამ, სანამ ქსელი აღმოჩნდება არამუშაუნარიანი.

4. საკონტროლო საშუალებები, რომლებიც განსაზღვრავენ მომსახურების ხარისხს (QoS – Qualit of Service)

QoS – კონტროლის ამოცანა სხვა სადიაგნოსტიკო – საკონტროლო ამოცანებთან შედარებით რთული გადასაწყვეტია, ვინაიდან პერიოდულად უნდა გადაიხედოს შეთანხმებების ხელშეკრულებები (განსაკუთრებით ქსელურ სისტემებში, რომლებიც აგებული არიან გამოყოფილი ხაზების SDH ტექნოლოგიებით) ქსელის აღმინისტრატორსა დ აიმ პროვაიდერებთან, რომლებსაც თავის თავზე აქვთ აღებული მონაცემთა გადამცემი არხის მომსახურების დონე SLA (Service Level Agreement). ამ ხელშეკრულებებში ასახულია ქსელის წარმადობის პარამეტრები და თუ კი აღმოჩნდება ნაადრევი გადახვევები ქსელის მუშაობის მისაღებ მაჩვენებლებში, ეს შეიძლება გახდეს დაგის საგანი. ხშირ შემთხვევებში ფორმდება ახალი ხელშეკრულება, სადაც აღნიშნული იქნება ახალი პირობები პროვაიდერის დაქვემდებარებაში მყოფი გამოყოფილი არხის გამტარუნარიანობის გაზრდის უზრუნველსაყოფად [1, 2]. ასეთი ხელშეკრულებები შეიცავენ შესაბამისი სამსახურის ხელმისაწვდომ პარამეტრებს,

შეყვენებების დასაშვებ მნიშვნელობებს, ხაზების გამტარუნარიანობებს, ასევე მოთხოვნებს სისტემის შეფერხების შესახებ შეტყობინებების ვადებს. ცხადია, თუ ქსელის წარმადობის კრიტერიუმები შედის არხის პროცესიდერსა და ქსელის აღმინისტრატორს შორის ამგვარ შეთანხმებაში მომსახურების შესახებ, მაშინ ამ უკანასკნელს (აღმინისტრატორს) უნდა გააჩნდეს ქსელის წარმადობის საბაზო მაჩვენებლისაგან გადახვევის სადიაგნოსტიკო და გასაანალიზებლი საშუალებები. ასე, რომ ქსელის წარმადობის კონტროლი უპირველესი ამოცანაა ნებისმიერი დანიშნულების ქსელის აღმინისტრატორისათვის.

5. ქსელში არასანქცირებული შეღწევის აღმოჩენისა და აღკვეთის სადიაგნოსტიკო-საკონტროლო საშუალებები

იმ შემთხვევებში, როცა ჩნდება ეჭვი, რომ ქსელში “შეიჭრა” არასანქცირებული მომხმარებელი (ე.წ. “ჰაკერი”) ქსელის აღმინისტრატორის საიმედოობის სამსახურს უნდა გააჩნდეს შესაბამისი სადიაგნოსტიკო საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც დაადგენს რომელი პოსტიდან, ან უფრო კონკრეტულად, პორტის რომელი ნომრიდან ხდება მისი შეღწევა ქსელის საინფორმაციო რესურსებზე. ასეთ შემთხვევაში უნდა მოხდეს ტრაფიკის გაფილტვრა და დადგინდეს ტრაფიკის განსაკუთრებული სახეობები, ე.ი. გამოვლინდეს ის SYN ჰაკეტები, რომელთა სიმრავლეც საეჭვოდ მუდმივად მიემართება ერთი და იმავე პორტისაკენ (სადაც სავარაუდოდ “ზის ჰაკერი”) და ამის შემდეგ მიიღება სათანადო ზომები ასეთი შემთხვევების აღსაკვეთად.

ზემოთმოყვანილი კლასიფიკაციის სადიაგნოსტიკო-საკონტროლო საშუალებების დახმარებით ქსელის აღმინისტრატორები ანხორციელებენ მათზე დაკისრებულ ფუნქციებს, რომლებიც სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO – International Organization for Standardization) მიერ გაწერილია ქსელური აღმინისტრირების სტანდარტული მოდელის სახით. ეს ძირითადი ფუნქციებია:

1. ქსელის წარმადობის კონტროლი

წარმადობის კონტროლის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ შესაბამისი სადიაგნოსტიკო-საკონტროლო საშუალებების დახმარებით გაიზომოს ქსელის წარმადობა, გაანალიზოს მიღებული მონაცემები (ქსელის ანალიზატორების დახმარებით) და ჩაატაროს შესაბამისი ღონისძიებები წარმადობის გარკვეული დონის მხარდასაჭერად (მისი საბაზო მაჩვენებლების შესანარჩუნებლად). მასში იგულისხმება, მაგალითად, ქსელის გამოყენების კოეფიციენტი ან გამტარუნარიანობა, სხვადასხვა ქსელურ კომპონენტებში (მაგალითად, კავშირის არხებში, მარშრუტიზატორებში, პორტის მოწყობილობებში (ძირითად მუშა სადგურებში და ა.შ)) მათი მნიშვნელობა.

ცენტრალურ როლს წარმადობის მართვაში (მაგალითად, ინტერნეტისათვის) თამაშობს მიღებული სტანდარტები (იხ. RFC 2570), რომლებსაც მხარს უჭერს SNMP პროტოკოლი (SNMP – Simple Network Management Protocol – ქსელური აღმინისტრირების მარტივი პროტოკოლი).

2. ქსელის უწესივრობების კონტროლი

უწესივრობების კონტროლის ძირითადი მიზანი, შესაბამისი სადიაგნოსტიკო საშუალებებით, მდგომარეობს მათ აღმოჩენაში, რეგისტრაციაში და შესაბამისი საპასუხო ღონისძიებების მიღებაში.

უწესივრობების კონტროლის სადიაგნოსტიკო საშუალებები (როგორც არა ერთხელ აღვნიშნეთ, მათ ხშირად მოხსენიებენ როგორც ქსელის სადიაგნოსტიკო-საკონტროლო ანალიზატორებს) იყოფიან აპარატურულ (ხშირად მასში გულისხმობენ ტესტერებს, თსცილოგრაფებს, რევლექტომე-

რებს და ა.შ) და პროგრამულ საშუალებებად (ეწ. პროტოკოლების ანალიზატორებად). ორივე შემთხვევაში ხშირად უწესივრობების კონტროლსა და წარმადობის კონტროლს შორის კავშირი მკვეთრად არაა გამოხატული, თუმცა ისინი ორგანულად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული (ცხადია, მაგალითად თუ კაბელი გაწყდა, ან მარშრუტიზატორებში წარმოქმნა გარკვეული უწესივრობები, ისინი მოქმედებენ ქსელის მუშაუნარიანობაზე, რომელიც უშუალო გავლენას ახდენს ქსელის წარმადობაზეც).

3. ქსელის კონფიგურაციის მართვის კონტროლი

ქსელის აღმინისტრატორმა იმისათვის, რომ მან განახორციელოს ქსელის კონფიგურაციის შეცვლა, საჭიროა მას პქონდეს შესაბამისი სადიაგნოსტიკო ანალიზატორებისაგან მიღებული მონაცემები მთლიან ქსელში (ან მის გარკვეულ სეგმენტებზე) ტრაფიკის დატვირთვის მომატების შესახებ. ამ მონაცემების საფუძველზე იგი იღებს გადაწყვეტილებებს მოახდინოს თუ არა ქსელის კონფიგურაციის შეცვლა. ქსელის რეკონფიგურაციის ხარისხი დამოკიდებულია ტრაფიკში გამავალი ჭარბი პაკეტების რაოდენობაზე, რომლის აღრიცხვას და ანალიზსაც აწარმოებს ტრაფიკის დატვირთვის ანალიზატორები.

4. სადიაგნოსტიკო ხარვეზებისა და ქსელის პრობლემების სადრიცხვო ჩანაწერების მართვის კონტროლი

სადრიცხვო ურნალში დაფიქსირებული ჩანაწერები საშუალებას აძლევს ქსელის აღმინისტრატორს განსაზღვროს თუ რა ხარისხითა და წესებით მოახდინოს მან ქსელის რესურსებში შეღწევა, ლოკალიზება მოახდინოს ქსელში წარმოქმნილი ყოველგვარი უწესივრობების, თავისი ქსელის მომხმარებლებისათვის ასევე საჭიროებისამებრ დააწესოს ამ რესურსების მოხმარების ახალი წესები, ვადები და ა.შ. ყოველივე ამისათვის მას (ქსელის აღმინისტრატორს), ცხადია, უნდა გააჩნდეს სათანადო საკონტროლო-სადიაგნოსტიკო საშუალებებიც.

ამგვარად, ზემოთმოყვანილი ჯგუფებიდან ჩანს, რომ სადიაგნოსტიკო საშუალებების ქსელში გამოყენების სახეები მეტად მრავალფეროვანია და ამგვარი კლასიფიკაცია მნიშვნელოვნად გაუადვილებს ქსელის აღმინისტრატორს მათ სწორ შერჩევას მის დაქვემდებარებაში მყოფი ქსელის უწესივრობების აღმოსაფხვრელად.

ლიტერატურა

1. Мониторинг и анализ локальных сетей / в кн. В.Г., Олифер Н.А. Компьютерные сети, СПБ: Изд. "Питер", Л. 2000;
2. М. Спортак, Френк Паппас и др. Сетевые технологии, Изд. Diasoft, Москва, Санкт-Петербург, Киев, 2002.

Классификация контрольно - диагностических средств компьютерных сетей

Б. Габехадзе, Л. Инджия, М. Курдадзе

Грузинский технический университет

Грузия, Тбилиси, Костава, 77

Рассматриваются подходы классификации функционального разделения контрольно-диагностических средств для их эффективного использования администраторами компьютерных сетей.

Classification control - diagnostic means of computer networks**B.Gabekhadze, L.Injia, M.Kurdadze**

Georgian technical university

Georgia, Tbilisi, Kostava, 77

Approaches of classification of functional division of control-diagnostic means for their effective utilization are considered by managers of computer networks.

ნიკელით ლეგირების გავლენა მ-ბორის ელექტროფიზიკურ და მექანიკურ მახასიათებლებზე

მ. დარჩიაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (სტუ), იმს ფაკულტეტი,
0175, მ. კოსტავას ქ. 77, თბილისი, საქართველო

ბორის ფუძეზე არსებული მასალების პრაქტიკული გამოყენების პერსპექტივების რეალიზაციისათვის აუცილებელია მათი რეალური სტრუქტურისა და სტრუქტურულად მგრძნობიარე ფიზიკური და მექანიკური თვისებების კომპლექსური კვლევა. მიუხედავად იმისა, რომ შესრულდა ბორის ფუძეზე არსებული მასალების მნიშვნელოვანი კვლევები, ჯერ-ჯერობით გადაწყვეტილი არ არის განსაზღვრული თვისებების მატარებელი ბორის კრისტალების მიღების, კერძოდ ნახევარგამტარული ხელსაწყოთმშენებლობისათვის უმთავრესი p- და n - ტიპის ბორის კრისტალების მიღების პრობლემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე სხვადასხვა ელემენტით ლეგირებული ბორის მიღების, მათი სტრუქტურისა და ფიზიკური თვისებების კვლევა წარმოადგენს აქტუალურ ამოცანას. ასეთი ხასიათის კვლევა საშუალებას იძლევა მიღებულ იქნას გაღრმავებული ინფორმაცია ბორის კრისტალურ მესერში მალეგირებელი ელემენტების კრისტალოგრაფიული პოზიციების, დიფუზიისა და სხნადობის შესახებ; რეალურ სტრუქტურაში დამახასიათებელი სტრუქტურული დეფექტების წარმოქმნისა და მიგრაციის მექანიზმებისა და ახალი ტექნიკისათვის მნიშვნელოვანი თვისებების მიზანდასახული მართვის შესაძლებლობათა შესახებ.

ბ-რომბოედრული ბორის (შემდგომ მ-ბორის) ელექტროფიზიკური თვისებების მართვა შესაძლებელია სხვადასხვა მეტალით ლეგირებით, რომლის დროსაც გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ცალკეული მალეგირებელი კომპონენტის ელექტრული აქტივობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ბორის რთული აღნაგობის ელემენტარულ უჯრედში დაკავებულ პოზიციაზე. ამჟამად დადგენილია [1, 2], რომ გარდამავალი მეტალები ელექტრულ აქტივობას ამჟღავნებენ ბორის სტრუქტურაში ჩანერგვის A₁, E და D სიცარიელებში. ზოგიერთი მეტალის (Ni, Cr, Fe) A₁ პოზიციაში ჩანერგვა განაპირობებს n-ტიპის გამტარობას და გამტარობის სიდიდის მაღალ მგრძნობიარობას მალეგირებელი ელემენტის კონცენტრაციისადმი.

ნაშრომში წარმოდგენილია სხვადასხვა კონცენტრაციის ნიკელით ლეგირებული β- ბორის კრისტალების სტრუქტურის, ელექტრული მახასიათებლების და გრეხეთი რხევების ენერგიის გაბნევის პროცესების კომპლექსური შესწავლის შედეგები. საცდელი კრისტალები მიღებულია ელექტროწინაღობის ვაკუუმურ ღუმელში შესაბამისი კაზმების გადნობით.

მიღებული β- ბორის შენადნობების მიკროსტრუქტურა შესწავლილ იქნა ოპტიკურ მიკროსკოპზე Neophot-32. შენადნობების სტრუქტურაში გამოვლენილია პოლიკრისტალური აღნაგობა, მარცვლები მრავალკუთხედების ფორმისაა, მათი ზომები იცვლება 0,05 - 5მმ დიაპაზონში. ნიკელის კონცენტრაციის გაზრდით მცირდება მარცვლების ზომები. შედარებით დიდი ზომის მარცვლებში შეინიშნება მიკროორეულების სიმრავლე.

ლეგირებული ბორის კრისტალების ძვრის დინამიური მოდულისა და შინაგანი ხახუნის ტემპერატურული და ამპლიტუდულების შესწავლა წარმოებდა ნახევრადავრომატურ დანადგარზე გრეხეთი რხევების სიხშირისა და მიღევის ლოგარითმული დეკრემენტის რეგისტრაციის მეთოდით. გაზომვებში გამოიყენებოდა პარალელიაპედის ფორმის ნიმუშები ზომით $0,4 \times 0,4 \times 15$ მმ³. გაზომვები სრულდებოდა 100-300 K ტემპერატურების და 0,5-5 ჰე სიხშირეთა ინტერვალში. გაზომვის პროცესში შესაძლებელი იყო გრეხეთი რხევების ამპლიტუდის ცვლილება $1 \cdot 10^{-5} - 5 \cdot 10^{-3}$ ინტერვალში. გაზომვები ხორციელდებოდა ტემპერატურის ყოველი 1-3 გრად/წთ ცვლილებისას.

ძვრის მოდულის აბსოლუტური სიდიდე თოახის ტემპერატურაზე გაინსაზღვრებოდა ფორმულით [3]: $G = G_0 \frac{f^2}{f_0^2}$; სადაც G_0 და f_0 გამზომი დანადგარის ეტალონის (განადიუმი) ძვრის მოდული და რხევის სიხშირეა თოახის ტემპერატურაზე, ხოლო G და f - იდენტური ზომების საცდელი კრისტალის ძვრის მოდულისა და რხევის სიხშირის ნიმუშებით გრედები. აღნიშნული მეთოდით ძვრის მოდულის განსაზღვრის ცდომილება 3% -ზე ნაკლებია. შინაგანი ხახუნის სპექტრის მახასიათებლები (აქტივაციის ენერგია, სიხშირის ფაქტორი) განისაზღვრებოდა ცნობილი სტანდარტული მეთოდით [4].

ექსპერიმენტულად დადგინდა, რომ 2,0 ატ% Ni-ის შემცველი ბორის შენადნობი ხასიათდება n-ტიპის გამტარობით, ხოლო შედარებით ნაკლები კონცენტრაციით ნიკელით ლეგირებული ბორის შენადნობები p-ტიპის გამტარობით. აღსანიშნავია, რომ p-ტიპის ნიმუშებში Ni-ით ლეგირება ავლენს ხვრელების ძვრადობის ამაღლების ტენდენციას. სხვადასხვა კონცენტრაციის ნიკელით ლეგირებული β- ბორის შენადნობების ელექტროფიზიკური მახასიათებლების მნიშვნელობები წარმოდგენილია ცხრილში 1.


ნიკელით ლეგირებული β-ბორის ელექტროფიზიკური მახასიათებლები

ცხრილი 1.

საცდელი ნიმუშები	გამტარობის ტიპი	ძენის მატარებლების კონცენტრაცია	ელექტრო- გამტარობა, ომი ⁻¹ სმ ⁻¹	ელექტრული ძვრადობა, სმ ² კ ⁻¹ მ ⁻¹	ძვრის მოდული კგ/მმ ²
B+ 0,5 ატ% Ni	p	$1 \cdot 10^{18}$	4,30	1,4	180
B+ 1,2 ატ% Ni	p	$5 \cdot 10^{18}$	5,20	4,0	195
B+ 2,0 ატ% Ni	n	$2 \cdot 10^{19}$	6,50	2,3	225

როგორც ცხრილიდან ჩანს ძვრის მოდულის აბსოლუტური მნიშვნელობები იზრდება ნიკელის კონცენტრაციის გაზრდით და არ არის დამოკიდებული $B+Ni$ შენადნობების ელექტროგამგარობის ტიპზე. ძვრის მოდულის ამაღლება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ძლიერი ლოკალური ელექტრონული კავშირების წარმოქმნასთან.

ნახ. 1-ზე წარმოდგენილია ნიკელის სხვადასხვა კონცენტრაციით ლეგირებული ბორის შინაგანი ხახუნისა და ძვრის მოდულის სპექტრები. ნახაზიდან ჩანს, რომ $B+ 0,5 \text{ ат\% Ni}$ შენადნობების შინაგანი ხახუნის ტემპერატურულ სპექტრში ($\sim 0,8 \text{ эВ}$) გამოვლენილია ორი მაქსიმუმი – 150 და 235K ტემპერატურებზე. ისინი შეთავსებული არიან ტემპერატურისაგან სუსტად დამოკიდებულ ფონთან. მეორე მაქსიმუმი პირველთან შედარებით განიერია, იგი სუსტი ინტენსივობით ხასიათდება. ტემპერატურის $80-300\text{K}$ ინტერვალში შინაგანი ხახუნის სპექტრის ფორმა დამოკიდებული არ არის ტემპერატურის ცვლილების მიმართულებაზე. სპექტრის შემადგენელი შინაგანი ხახუნის ფონისა და მაქსიმუმების ინტენსივობა იზრდება რხევების ამპლიტუდის გაზრდით $1 \cdot 10^{-5}$ -დან $5 \cdot 10^{-4}$ -მდე.



ნახ.1. ნიკელით დეგირებული ბორის შინაგანი ხახუნისა (1,2,3) და ძვრის მოდულის (1', 3') სპექტრები

1, 1' – $B+ 0,5 \text{ ат\% Ni}$; 2 – $B+ 1,2 \text{ ат\% Ni}$; 3, 3' – $B+ 2,0 \text{ ат\% Ni}$;

მაღალ სიხშირეზე ($\sim 0,8 \text{ эВ}$) ორივე მაქსიმუმი $10-15$ გრადუსით გადადგილდება ოთახის ტემპერატურის მიმართულებით. ეს გარემოება მეტყველებს შინაგანი ხახუნის პროცესების რელაქსაციურ ბუნებაზე. აღნიშნული

რელაქსაციური პროცესების ენერგიის მნიშვნელობებია 0,18 და 0,40 ევ., ხოლო მათი შესაბამისი სიხშირის ფაქტორი – $5 \cdot 10^6$ და $5 \cdot 10^9$ წმ¹.

ციკლური დეფორმაცია $5 \cdot 10^{-3}$ რიგის ამპლიტუდაზე ოთახის ტემპერატურის პირობებში დაახლოებით 20%-ით ზრდის ორივე მაქსიმუმის ინტენსივობას. მოწვა 500 K-ზე 3 სთ-ის განმავლობაში მკეთრად ამცირებს მაქსიმუმების ინტენსივობას. ძვრის ფარდობითი მოდულის გრაფიკზე ორივე რელაქსაციური მაქსიმუმის ტემპერატურებზე შეინიშნება ძვრის მოდულის დეფექტი. მისი სიმცირე გამოწვეულია რელაქსაციური მაქსიმუმების დაბალი ინტენსივობით. 80-დან 300K-მდე ინტერვალში ძვრის მოდული უმნიშვნელოდ იცვლება.

ნიკელის კონცენტრაციის გაზრდა 1,2 ატ%-მდე იწვევს პირველი მაქსიმუმის სიმაღლის ზრდასა და მის გადანაცვლებას 10 გრადუსით დაბალი ტემპერატურებისაკენ. შესაბამისად მცირდება მაქსიმუმის აქტივაციის ენერგია და სიხშირის ფაქტორი ($\sim 2 \cdot 10^{-6}$ წმ¹). მნიშვნელოვნად იზრდება მეორე მაქსიმუმის ინტენსივობა. იგი ინარჩუნებს დიდ სიგანესა და სიმეტრიულ ფორმას. აღნიშნული მაქსიმუმის აქტივაციის ენერგიისა და სიხშირის ფაქტორის სიდიდეები ტოლია შესაბამისად 0,38ევ და $2 \cdot 10^9$ წმ¹. ორივე მაქსიმუმის ინტენსივობა მაღლდება ამპლიტუდური დეფორმაციის $\sim 5 \cdot 10^{-3}$ -მდე გაზრდით. მაღლალ ამპლიტუდებზე ($\sim 10^{-3}$) ციკლური დეფორმაცია მნიშვნელოვნად ზრდის მაქსიმუმებისა და ფონის ინტენსივობას. ინტენსივობის გაზრდის ლიკვიდაცია შესაძლებელია 5სთ-ის განმავლობაში ნიმუშების ვაკუუმში მოწვით 1000K-ზე.

n- ტიპის გამტარობის B+ 2,0 ატ% Ni შენადნობების შინაგანი ხახუნის ტემპერატურული სპექტრი რიგი თავისებურებებით ხასიათდება. მკეთრად მაღლდება ორივე მაქსიმუმის ინტენსივობა. ისინი გადანაცვლებულია დაბალი ტემპერატურებისაკენ. მათ ახასიათებთ რხევის ამპლიტუდისაგან საგრძნობი დამოკიდებულება. პირველი მაქსიმუმი შევიწროვებულია, გააჩნია სიმეტრიული ფორმა. მეორე მაქსიმუმი აშკარად განიერია და სიმეტრიული. ამაღლებულია აგრეთვე შინაგანი ხახუნის ფონი, რომლის ინტენსივობა 80-300K ინტერვალში პრაქტიკულად უცვლელია.

პირველი მაქსიმუმი ხასიათდება აქტივაციის ენერგიით $\sim 0,13$ ევ და სიხშირის ფაქტორით- $1 \cdot 10^6$ წმ¹. მეორე მაქსიმუმის აქტივაციის მახასიათებლები შემცირებულია (აქტივაციის ენერგია 0,35 ევ, სიხშირის ფაქტორი – $1 \cdot 10^9$ წმ¹). შემდგომი მოწვა 5სთ-ის განმავლობაში 1000K-ზე ძლიერად ამცირებს მათ ინტენსივობას.

ამრიგად, ექსპერიმენტულად ნაჩვენებია, რომ 2,0ატ% -მდე ნიკელით ლეგირება იწვევს β -ბორის მექანიკური თვისებების ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებლის – ძვრის მოდულის გაზრდას. ამასთან ერთად ადგილი აქვს რელაქსაციურ პროცესებში მონაწილე დეფექტების აქტივაციის ენერგიის შემცირებას. რელაქსაციური შინაგანი ხახუნის პროცესების ინტენსივობა იზრდება გრეხითი რხევების ამპლიტუდის გაზრდით, რითაც დგინდება მათი დეფორმაციული ანუ დისლოკაციური წარმოშობის ბუნება [4]. β -ბორის სტრუქტურისათვის დამახასიათებელია დისლოკაციები, დეფორმაციული ორეულები და წყობის დეფექტები [5]. სავარაუდოა, რომ ნიკელით ლეგირება ამცირებს აღნიშნული დეფექტების ბირთვებში შეუვსებელი ელექტრონული კავშირების რაოდენობას და შესაბამისად ადაბლებს მათი მოძრაობისათვის საჭირო ენერგეტიკულ ბარიერებს. ამით აიხსნება დისლოკაციური წარმოშობის რელაქსაციური პროცესების აქტივაციის ენერგიის სიდიდეების შემ-

ცირქება B-Ni შენადნობებში. როგორც უკვე აღინიშნა ძერის მოდულის ამაღლება უპირატესად ელექტრული წარმოშობისაა და დაკავშირებულია Ni-ისა და B-ის ატომების ლოკალიზებული, ძლიერი ელექტრული კავშირის ძალების ფორმირებასთან.

მიღებული ექსპერიმენტული შედეგები მნიშვნელოვანია β -ბორის ფუძეზე განსაზღვრული მექანიკური და ელექტროფიზიკური თვისებების შენადნობების დამუშავებისა და პრაქტიკული გამოყენების პრობლემის გადასაჭრებლად.

ლიტერატურა

1. Lunderstrom T., Tergenius L., Higashi Z. Kristallographic, v.167, #3/4, 1984, pp.235-245.
2. Nakayama T. Shimizu J. Kimura K. J. Solid State Chemistry, 1,54, 2000, pp.13-19.
3. Головин С.А., Пушкар А., Левин Д.М. Упругие и демпфирующие свойства материалов. М: Металлургия, 1987, 192с.
4. Постников В.С., Внутреннее трение в металлах. М: Металлургия, 1974, 380с.
5. Mackelv M., Rae Smith A., Eyring L. J. Solid State Chemistry, 44,#3, 1982, pp.374-381.

Влияние легирования никелем на электрофизические и механические характеристики β –бора

M. Darchiashvili

Изучены электрофизические и механические характеристики образцов β –бора, легированного никелем р- и н-типа. Определены значения электрофизических характеристик, модуля сдвига и активационных параметров наблюдаемых релаксационных процессов. Обсуждены закономерности изменения указанных характеристик в β –боре, легированном никелем.

Influence of Ni doping on the electrophysical and mechanical characteristics of β - boron

M. Darchiashvili

Electrophysical and mechanical characteristics of p - and n-type Ni-doped β – boron have been studied. Values of activation parameters of relaxation processes, shear modulus and electro-physical characteristics have been defined. Regularities of changing of the denoted characteristics in Ni-doped β – boron have been analyzed .

სასურსათო პროდუქციის იდენტიფიკაცია

**გზა წულუკიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
კოსტავას ქ. 77**

სასურსათო პროდუქციის ხარისხი და უვნებლობა უმთავრესი ფაქტორია, რაც ბიზნესსა და სამომხმარებლო ბაზარზე წარმატებას უზრუნველყოფს.

საქართველოს და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების, თუ საერთაშორისო ორგანიზაციების დღის წესრიგში უმნივნელოვანეს აღგილს იკავებს

უხარისხო, ფალსიფიცირებული პროდუქტების სამომხმარებლო ბაზრიდან განდევნა და მომხმარებელთა ჯანმრთელობის დაცვა. არაერთი ტექნიკური ლონისძიების მიუხედავად, ბაზარს სულ უფრო მეტად იპყრობს უხარისხო ნაწარმი, რომლის მოხმარება იწვევს ადამიანთა ქრონიკულ და ტოტალურ დაავადებებს, მოწამვლებს, რაც ხშირ შემთხვევაში ლეტალური შედეგით მთავრდება. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მონაცემებით 2000 წელს 2,1 მლნ. ადამიანის გარდაცვალების მიზეზი სურსათი იყო.

სასურსათო პროდუქტები არის საკვები პროდუქტებისა და თამბაქოს ნაწარმის ერთობლიობა, რომელთა ინგრედიენტები მოხმარებისას მთლიანად ან ნაწილობრივ ხვდებიან ადამიანის ორგანიზმში და გარკვეულ ზემოქმედებას ახდენენ მის შინაგან გარემოზე (ჯანმრველობაზე).

საკვები პროდუქტები - ცხოველური, მცენარეული, მინერალური ან ბიოსინთეზური წარმოშობის პროდუქტებია, რომელიც გამიზნულია ადამიანის საკვებად მოხმარებისათვის როგორც ახალი, ისე გადამუშავებული სახით. საყოველთაოდ ცნობილი საკვები პროდუქტების გარდა საკვებ პროდუქტებს მიეკუთვნება აგრეთვე საკვები დანამატები და საღეჭი რეზინი.

სხვა ფაქტორებთან ერთად ერთგვაროვანი პროდუქტების სერტიფიკაციის სისტემების განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს ნიმუშის აღების წესი და იდენტიფიკაცია.

იდენტიფიკაცია ფალსიფიკაციის დადგენის ინსტრუმენტია. პროდუქტთან მიმართებაში იდენტიფიკაცია არის გარკვეული დასახელების პროდუქტისადმი წაყენებული მოთხოვნების შესაბამისობის დადგენა მასზე აღნიშნულ თანმხელე ღოგუმენტებთან, მარკირებასთან. თვისობრივი იდენტიფიკაციის ჩატარება ძალიან რთული, ხანგრძლივი და ხშირად ძვირადლირებული პროცესია [2,514 გვ.]

ფალსიფიკაცია - გაყალბება, წარმოების პროცესში გარკვეული პროდუქტის მისი დასახელებისათვის შეუსაბამო, სხვა ნაკლებად სრულფასოვანი ნედლეულის გამოყენებით ხარისხის შეცვლა და მისი რალიზაცია ანგარების მიზნით. ფალსიფიკაციის დადგენის ძირითად მეთოდოლოგიურ პრინციპს წარმოადგენს მსგავსი თვისებების საკვები პროდუქტების კვლევის სილრმე. **ამოცანებში შედის:** პროდცექტის სამომხმარებლო თვისებებისა და ხარისხის მაჩვენებლების კვლევა, ასორტიმენტული კუთვნილების განსაზღვრა, სტანდარტებისა და ნორმატიული დოკუმენტების სრულყოფა, იდენტიფიკაციის მეთოდების, უპირველეს ყოვლისა ექსპერს-მეთოდების დამუშავება, რომელიც იმის საშუალებას იძლევა, რომ ნდობის მაღალი ხარისხით განვსაზღვროთ პროდუქტის ასორტიმენტული კუთვნილება [2,135, 136 გვ].

იდენტიფიკაციის ფუნქციებია: პროდუქტის წარმოდგენილი ნიმუშის შესაბამისობა კონკურენტულ დასახელებასთან, ხარისხთან, მარკასთან, საბაზრო ურთიერთობების სუბიექტებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება; პროდუქტის ნამდვილობის დადგენა;

იდენტიფიკაციის ობიექტებია - სასურსათო პროდუქტია. მათი შესაბამისობის შეფასება ძალიან მნიშვნელოვანია მომხმარებლისათვის, რომელიც პროდუქტს იძენს.

პროდუქტის იდენტიფიკაციის განმახორციელებელი სუბიექტები – საბაზრო ურთიერთობის ჯაჭვის ყველა მონაწილე: მეწარმე, გამყიდველი, მომხმარებელი, რომელიც აგრეთვე ახორციელებს იდენტიფიკაციას გაუთვით-ცნობიერებლად, მას არა აქვს საკმარისი კვალიფიკაცია და ორიენტირებულია მხოლოდ საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და ცოდნაზე. [5].

სტანდარტები, სასურსათო პროფუქციისა და ნედლეულის სერტიფიკაციის ჩატარების წესები ითვალისწინებენ მაჩვენებლების სამ ჯგუფს: ორგანოლეპტიკურს, ფიზიკო-ქიმიურს, მიკრობიოლოგიურს.

იდენტიფიკაციის მიზნით გამოიყენება მხოლოდ ორგანოლეპტიკური (სენსორული) და ფიზიკო-ქიმიური (გაზომვითი) მეთოდები, რომლებიც განსაზღვრავენ პროდუქციის სამომხმარებლო თვისებებს. მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები მიეკუთვნება უსათროხოების მაჩვენებლებს, რომელიც დამოკიდებულია გარეგან ზემოქმედებასა და მიკროფლორის დაბინძურებაზე. საკვები პროდუქტები სასურველ არეს წარმოადგენენ მიკროორგანიზმების გამრავლებისათვის, ამიტომ მათ მიერ გამომუშავებული მიკრობოქსინების სიჭარბე არ შეიძლება იყოს იდენტიფიკაციის კრიტერიუმი. შესაბამისად, მიკრობიოლოგიური კვლევის შედეგები იდენტიფიკაციის კრიტერიუმად არ ითვლება და იგი მოიაზრება მხოლოდ სხვა მეთოდებთან კრიტერიუმად [5].

იდენტიფიკაციის კრიტერიუმად არ გამოდგება აგრეთვე სასერტიფიკაციო კვლევისას გამოყენებული ზოზიერთი ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებელიც.

ზოგად ორგანოლეპტიკურ მაჩვენებლებს მიეკუთვნება: გარეგნული სახე, გემო და სუნი, კონსისტენცია. გარეგნული სახე არა მხოლოდ გავრცელებული და ხელმისაწვდომია, არამედ იდენტიფიკაციის ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმია. სწორედ ამ მაჩვენებლით იწყება იდენტიფიკაცია. მწარმოებლის, გამყიდველისა და მომმხარებლის მიერ შეუსაბამობის აღმოჩენისას სხვა კრიტერიუმების განსაზღვრა უსაფუძვლოა, თუმცა გარეგნული სახე როგორც იდენტიფიკაციის კრიტერიუმი საკმარის ნდობის ფაქტორს არ შეიცავს, ვინაიდან ფალსიფიკაცია ყველაზე ხშირად სწორედ გარეგნული სახის გაყალბებით იწყება. მაგ. მხოლოდ გარეგნული სახით შეუძლებელია ყავის, ჩაის, ალკოჰოლური სასმელების, კარაქის იდენტიფიცირება, ვინაიდან შემცვლელებს ხშირად ისეთი გარეგნული სახე აქვთ, რომლის გამორჩევა გემოსა და სუნის მიხედვით ნამდვილი პროდუქტისგან და განსაკუთრებით ფალსიფიკაციის დადგენა რიგითი მომხმარებლისათვის თითქმის შეუძლებელია.

ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები მისაწვდომი, ერთი შეხედვით უბრალო, მაგრამ არასაკმარისად მყარია, ამიტომ ის არ შეიძლება იყოს იდენტიფიკაციის ერთადერთი კრიტერიუმი და აუცილებლად უნდა იყოს გამყარებული ფიზიკო-ქიმიური (განსაკუთრებით უვნებლობის) მაჩვენებლებით.

ბევრი ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებელიც ვერ გამოდგება იდენტიფიკაციის კრიტერიუმად. მაგ. ღვინოში სპირტის, შაქრის, ტიტრული მჟავიანობის განსაზღვრა შედეგს ვერ მოიტანს, რადგან სასურველ კონდიციამდე ამ მაჩვენებლების მიყვანა ძნელი არ არის ეთილის სპირტის, შაქრის, მჟავების დამატებით. კარაქის იდენტიფიკაციისას ცხიმის, ტენიანობის, მასური წილის კრიტერიუმად გამოყენებასაც არ მოაქვს შედეგი, ვინაიდან ფალსიფიკაციისას მას უფრო ხშირად ცვლიან მარგარინით ან სხვა ანალოგით, რომელიც კარაქისაგან ძირითადი სტანდარტული მაჩვენებლებით თითქმის არ განსხვავდება.

იდენტიფიკაციის კრიტერიუმად შერჩეული მაჩვენებლებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ტიპიურობა. მაგ. ნატურალური ყავისთვის იდენტიფიკაციის მეტად ტიპიურ კრიტერიუმს წარმოადგენს მასში კოფეინის შემცველობა, თუმცა ნატურალური ყავის მარცვლოვანი შემცვლელებით ან ციკორით ნაწილობრივ შეცვლით შეუძლებელია კოფეინის შემცველობის მიხედვით ყავის ნატურალობის დადგენა და იდენტიფიცირება. ასეთ შემთვევაში კოფეინის შემცველობის კრიტერიუმად ჩართული უნდა იყოს ორგანოლეპტიკური მეთოდები

და აგრეთვე ქსოვილების მიკროსტრუქტურის განსაზღვრა. მარცვლოვანი შემცველობის დამატება გამოიწვევს სახამებლის მარცვლების წარმოქმნას, რაც ყვითების არ არის დამახასიათებელი.

იდენტიფიკაციის კრიტერიუმები უნდა იყოს ობიექტური და დამოუკიდებელი შემმოწმებლის სუბიექტური მონაცემებისაგან (კომპეტენტურობა, პროფესიონალიზმი) აგრეთვე დამოკიდებულია ექსპერიმენტის ჩატარების პირობებზე.

ფალსიფიკაციის სახეებია: ასორტიმენტული, ხარისხობრივი, რაოდენობრივი, ლირებულებრივი, ინფორმაციული, რომლის საბოლოო მიზანია უხარისხო პროდუქტისათვის გარეგნულად სამომხმარებლო უპირატესობის იმიტირება.

ამგვარად, სასურსათო პროდუქციის იდენტიფიკაცია კომპლექსური შეფასების ხასიათი უნდა ჰქონდეს, რომლის რეზულტატია პროდუქციის შესაბამისობის დადასტურება ნორმატიულ დოკუმენტებთან.

ეკონომიკური მოსაზრებებით სასურსათო პროდუქტების ფალსიფიკაცია ყოველთვის დიდ პრობლემას წარმოადგენდა. აღნიშნულ საქმიანობას ახორციელებდნენ სასურსათო პროდუქტების საქონელმცოდნეობისა და ექსპერტიზის კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები, რომლებსაც მეცნიერულად ჰქონდათ შესწავლილი სამომხმარებლო ბაზარზე არსებული პრაქტიკულად ყველა სახის სასურსათო პროდუქციასთან დაკავშირებული პრობლემების მთელი ციკლი, პროდუქციის ძირითადი მახასიათებლები (მათ შორის უვნებლობის რისკები, ფალსიფიკაცია) და ამ მახასიათებლების უზრუნველყოფის ფაქტორები, ყველა ის კომპონენტი, რომელიც განაპირობებს კონკურენტუნარიანი პროდუქციის დაკვირვებას სურსათის ბიზნესში.

ქვეყანაში შექმნილ სოციალურ - ეკონომიკურ გარემოსთან ადაპტირების აუცილებლობამ ჩვენი ქვეყნის ბევრი მოქალაქე აიძულა ხელი მოეკიდა ისეთი ბიზნესისათვის, რომლის ხორცშესხმა სპეციალურ მენეჯერულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს მოითხოვს, რაც ახალ მეურნე სუბიექტს უმეტეს შემთხვევაში არ აღმოაჩნდა, თავისთავის იმედად დარჩა პრობლემების წინაშე. ცხადია, ამის გამო დიდია ბიზნესის კრახით დასრულების ალბათობა.

სასურსათო პროდუქციის ხარისხის, უვნებლობის და ფალსიფიკაციის დადგენა ურთულესი ამოცნაა, რაც მხოლოდ სურსათის ხარისხისა და უვნებლობის მართვის სპეციალური განათლების მქონე კვალიფიციური სპეციალისტის პრეროგატივაა.

დღეისათვის, აშშ-სა და ევროპის რიგ უნივერსიტეტებში სასურსათო საქონელმცოდნეობა წოდებულია როგორც სურსათის მეცნიერება ან სურსათის ხარისხის და უვნებლობის მართვა (თუმცა საფრანგეთის, ინგლისის შოტლანდიის - დანდის, გერმანიის, პოლონეთისა და სხვა უნივერსიტეტებში საქონელმცოდნეობა დღესაც ისწავლება როგორც დამოუკიდებული მეცნიერება და სასწავლო დისციპლინა), რომელიც თავისი შინაარსით საქონელმცოდნეობის იდენტურია (მაგ. Clemson University, department of Food Science, Human Nutrition და სხვა).

საქართველო - ევროკავშირის სამოქმედო გეგმის ENP-AP ფარგლებში ევროკავშირი ავალდებულებს საქართველოს დააწესოს ევროპული ტიპის სტანდარტები, რეგულაციები. ამ პრობლემის გადასაჭრელად საქართველოში აუცილებელია სურსათის მწარმოებელ კომპანიებში სრულიად ახალი მიდგომის დამკვიდრება, სურსათის ხარისხისა და უვნებლობის სფეროში მართვის თანამედროვე, ევროპასა და აშშ-ში დღეისათვის ფართოდ აღი-

არებული საფრთხის ანალიზისა და საკონტროლო კრიტიკული წერტილების HACCP სისტემის პრინციპების მოთხოვნებისადმი, რომლის დანერგვის გარეშე საქართველოში სურსათის ბიზნესის წარმატება და საზოგადოებრივი აღიარება შეუძლებელია. HACCP სისტემა გულისხმობს კონტროლის მექანიზმების შექმნას სურსათის წარმოებისა და მომზადების თითვეულ ეტაპზე, მათ შორის დაფასოებისა და დისტრიბუციის ეტაპზე. ამ მიღვომის ფარგლებში ყურადღება ფოკუსირებულია არა საბოლოო პროდუქტის შემოწმებაზე, არამედ წარმოების პროცესში საფრთხეების აღრეულ გამოვლენასა და პრევენციაზე.

HACCP-ის სისტემის დამფუძნებელი და კოორდინატორი საქართველოში ქნი ნინი პარკინსონიც, სწორედ კვებისა და სურსათის მეცნიერების სპეციალისტია.

სამწუხაროდ, ევროექსპერტების აზრით: „მნიშვნელოვანი პრობლემაა ინსტიტუციონალური სისუსტე. თუ ადამიანურ რესურსებზე ვისაუბრებთ, სურსათის ხარისხსა და უვნებლობაზე პასუხისმგებელ მარეგულირებელ სამთავრობო უწყებების თანამშრომლებს არ აქვთ უსაფრთხოების წესების დაცვის, სურსათიდან მომავალი სერიოზული საფრთხეების უზრუნველ-საყოფად აუცილებელი აკადემიური კვალიფიკაცია და მეცნიერული ცოდნა. საქართველოს სოფლის მეურნეობის სმინისტრო ეყრდნობა არაკვალიფიციურ პერსონალს. სურსათის უვნებლობის შესახებ დებატებში იშვიათად მონაწილეობენ ისინი, ვისაც ეს საკითხი უშუალოდ ეხება. საკვები პროდუქტების გამოკვლევა შეუძლებელია ქვეყანაში შესაბამისი კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული ლაბორატორიების არ არსებობის გამო. ხელისუფლებამ აგრეთვე უნდა დაიწყოს ინვესტირება ლაბორატორიების სანდო, პროფესიონალურ და გამჭვირვალე სისტემაში, რომელიც სურსათის ხარისხისა და უვნებლობის სისტემის საკვანძო ელემენტია და კორუფციის რისკების შემცირების დამატებითი ინსტრუმენტია. ამ სისტემის არსებობა თვით რისკების ანალიზის ცნების განუყოფელი ნაწილია, რადგან ეს ცნება გულისხმობს, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება მეცნიერულად დასაბუთებული პროცესის შედეგად უნდა იქნას მიღებული, რომელიც ხშირად არაკვალიფიციურ, აღნიშნულ საკითხში არაკომპეტენტური პირების მიერ ხორციელდება.

ქართული პროდუქციის ეკროკავშირის ბაზრებზე შეღწევის უმთავრესი ფაქტორია კონკურენტუნარიანობა და არა ფიტოსანიტარული პრობლემები“. (საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს 2009 წ. ანგარიშიდან <http://www.transparancy.Ge/post/report/sursatis-uvenebloba-saqartveloshi>).

საქართველოში სურსათის ხარისხისა და უვნებლობის შესახებ კანონის ამოქმედებისა და სურსათის ბიზნესის სფეროს შემდგომი აღმავლობის წარმატებით უზრუნველსაყოფად სურსათის ხარისხისა და უვნებლობის მართვის სპეციალისტების მომზადება - გადაუდებელი ამოცანაა.

ლიტერატურა

1. Родина Т. Г., Николаева М.А., Елисеева Г.Г. и др. Справочник по товароведению продовольственных товаров. М: Колос, 2003, 608 с.
2. Гамов В. К., Павлова Ж. П., Колмогоров Ю. М., Экспертиза продовольственных товаров: учебное пособие. Владивосток: изд. ДГАЭУ, 2000. 248с.

3. Теплов В. И., Сероштан М. В., Боряев В. Е., Панасенко В.А. Комерческое товароведение: Учебник. – З-е изд. –М.: Издательский Дом «Дашков и Ко», 2001-620 с.
4. Николаева М. А. Товароведение потребительских товаров. Теоретические основы. Учебник для вузов. – М.: Издательство НОРМА, 1999. -283 с.
5. Чепурной И. П. Идентификация и фальсификация продовольственных товаров, Учебник М.: Издательство – торговая корпорация «Дашков и К°», 2004 с. 18-75.
6. Шепелев А. Ф., Мхитарян К. Р. Товароведение и экспертиза вкусовых и алкогольных товаров. Учебное пособие-Ростов н/Д: Издательский центр «Март», 2001-208 с.
7. Гамидулаев С. Н., Иванова Е. В., и др. Товароведение и экспертиза продовольственных товаров: учебное пособие – СПб.: Альфа, 2000-432 с.
8. გ. წულუკიძე „სურსათის მარკეტინგის სრულყოფის ზოგიერთი საკითხი“ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, №5, 2009, გვ. 194.

Food Identification

Tsulukidze M. A.

Food quality and safety is the major factor in successful implementation of business and consumer market for the protection of consumer rights.

The article refers to the following: concept and methods of identification of food products, purpose, task, functions, objects, subjects, means; falsification: concept, types, falsification research methods as the identification facilitates the definition of falsification.

Идентификация пищевых продуктов

Цулукидзе М. А.

Качество и безопасность пищевых продуктов является важнейшим и обусловливающим фактором успешного осуществления бизнеса продовольствия и потребительской сферы, в целях защиты прав потребителя.

В статье изложены: понятие и методы идентификации продовольственных товаров, цель, задачи, функции, объекты, субъекты, средства; фальсификация: понятие, виды, методы исследований фальсификации т.к. идентификация является инструментом для определения фальсификации.

სხვადასხვა სისტემის კოეფიციენტის მქონე ელემენტებისაგან
შედგენილი დრეკადი სისტემის განივ დარტყმაზე გაანგარიშება

ანთოზ ხაბეგიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, კოსტავას 77

დრეკადი სისტემის გაანგარიშება, მოცემული აჩქარების, დარტყმითი დატვირთვის და რხევის დროს, მათემატიკური და ფიზიკური სიძნელეების გამო როგორია.

სხვადასხვა მიახლოებითი მეოთოდების (დაყვანილი მასის, ფართობის, მომენტის, მიმდევრობითი მიახლოების, ენერგეტიკული და სხვა) მიუხედავად, დარტყმის თეორია ჯერ კიდევ სრულყოფილად შესწავლილი არაა.

შემოთავაზებული გამარტივებული ინჟინრული ხერხი საშუალებას გვაძლევს განივი, გრძივი, გრეხითი, ღუნვა-გრეხითი და სხვა სახის დარტყმის შემთხვევაში დინამიკურობის კოეფიციენტის გარეშე დაგადგინოთ დინამიკური მახასიათებლები. იგი გამოიყენება, როგორც რაკეტადი და ურკვევადი ღეროების, ისე სხვადასხვა სისტემის კოეფიციენტიანი ელემენტებისაგან შედგენილი დრეკადი სისტემის დინამიკური გაანგარიშების დროს; მიღებული შედეგები სხვა მეოთოდებით განსაზღვრულ სიდიდეებისაგან არ განსხვავდება.

გამარტივებული ინჟინრული ხერხით, ვარდნილი ტვირთის მიერ დრეკადი სისტემის დარტყმის წერტილში წარმოშობილი ინერციის დინამიკური ძალა, იანგარიშება ფორმულით [1]:

$$P_{\text{g}} = Q + \sqrt{Q^2 + 2HKQ}, \quad (1)$$

სადაც არის ვარდნილი ტვირთი, – ტვირთის ვარდნის სიმაღლე, – სისტემის სისტემის კოეფიციენტი, რომელიც რიცხობრივად დარტყმის წერტილში ერთეულოვანი გადაადგილების გამომწვევი ძალის ტოლია.

სისტემის კოეფიციენტი, სისტემის შემადგენელი დრეკადი ელემენტების შეერთების სახეების მიხედვით, შემდეგი ფორმულებით განისაზღვრება [2]:

$$K = \sum_{i=1}^n C_i \quad (\text{პარალელური შეერთება}),$$

$$K = \frac{1}{\sum_{i=1}^n \frac{1}{C_i}} \quad (\text{მიმდევრობითი შეერთება}),$$


$$K = \frac{1}{\frac{1}{\sum_{i=1}^n C_i} + \sum_{i=1}^n \frac{1}{C_i}} \quad (\text{შერეული შეერთება}),$$

სადაც C_i არის ცალკეული ელემენტის სისტემის კოეფიციენტი.

(1)-ით მიღებული დინამიკური ძალის საშუალებით განისაზღვრება სხვადასხვა დინამიკური მახასიათებლები (M_{g} , σ_{g} , τ_{g} , δ_{g} და ა.შ.) [3].

მაგალითი 1. საყრდენებზე თავისუფლად დაყრდნობილი ჯვარედინად შეერთებული ფოლადისა და სპილენძის კოჭების გადაკვეთის წერტილში სიმაღლიდან ტვირთი ეცემა (ნახ. 1, ა). განვსაზღვროთ მაქსიმალური დინამიკური ნორმალური ძაბვა კოჭებში თუ $Q = 80$ კგ, $H = 30$ სმ; ფოლადის კოჭისათვის: $I_1 = 4$ მ, $E_1 = 2 \cdot 10^6 \frac{\text{ნ}\cdot\text{მ}}{\text{ს}\text{მ}^2}$, განივავეთი ორტესებრია №24ა ($I_1 = 3800 \text{ ს}\text{მ}^4$, $W_1 = 317 \text{ ს}\text{მ}^3$), $[\sigma_1]_{\text{g}} = 1200 \frac{\text{ნ}\cdot\text{მ}}{\text{ს}\text{მ}^2}$. სპილენძის კოჭისათვის: $I_2 = 3$ მ, $E_2 = 0,84 \cdot 10^6 \frac{\text{ნ}\cdot\text{მ}}{\text{ს}\text{მ}^2}$,

განივავეთი სწორკუთხაა $6 \times 20 \text{ ს}\text{მ}^2$ ($I_2 = 4000 \text{ ს}\text{მ}^4$, $W_2 = 400 \text{ ს}\text{მ}^3$), $[\sigma_2]_{\text{g}} = 750 \frac{\text{ნ}\cdot\text{მ}}{\text{ს}\text{მ}^2}$.



ნახ. 1

$$\text{კოჭების} \quad \text{სიხისტის} \quad \text{კოეფიციენტი} \quad C_1 = \frac{48E_1I_1}{l_1^3} = 5700 \frac{\text{ძღ}}{\text{სმ}},$$

$$C_2 = \frac{48E_2I_2}{l_2^3} \approx 5973 \frac{\text{ძღ}}{\text{სმ}}. \text{ რადგანაც კოჭები პარალელურადაა შეერთებული (2)-ის}$$

მიხედვით გვექნება $K = C_1 + C_2 = 11673 \frac{\text{ძღ}}{\text{სმ}}$. (1)-ში ცნობილი სიდიდეების ჩასმით

$$P_{\text{კ}} \approx 7566 \text{ კგ.}$$

დარტყმის მიმართულებით წერტილში $P_{\text{კ}}$ ძალა მოვდოთ (ნახ. 1, ბ). განვსაზღვროთ ფოლადის და სპილენის კოჭზე მოქმედი $P_{1\text{კ}}$ და $P_{2\text{კ}}$ ძალები. ფოლადის და სპილენის კოჭისა და სისტემისათვის A წერტილი საერთოა, ამიტომ $\delta_{\text{კ}} = \delta_{1\text{კ}} = \delta_{2\text{კ}}$, სადაც

$$\delta_{1\text{კ}} = \frac{P_{1\text{კ}}}{C_1}, \quad \delta_{2\text{კ}} = \frac{P_{2\text{კ}}}{C_2} \quad \text{და} \quad \delta_{\text{კ}} = \frac{P_{\text{კ}}}{K},$$

აქედან

$$P_{1\text{კ}} = \frac{C_1}{K} P_{\text{კ}} = 3695 \text{ კგ}, \quad P_{2\text{კ}} = \frac{C_2}{K} P_{\text{კ}} = 3871 \text{ კგ.}$$

მაქსიმალური დინამიკური მდუნავი მომენტები და ნორმალური ძაბვები კვეთში იქნება:

$$\max M_{1\text{კ}} = \frac{P_{1\text{კ}} l_1}{4} = 369500 \text{ კგსმ}; \quad \max \sigma_{1\text{კ}} = \frac{\max M_{1\text{კ}}}{W_1} = 1166 \frac{\text{ძღ}}{\text{სმ}^2};$$

$$\max M_{2\text{კ}} = \frac{P_{2\text{კ}} l_2}{4} = 290325 \text{ კგსმ}; \quad \max \sigma_{2\text{კ}} = \frac{\max M_{2\text{კ}}}{W_2} = 726 \frac{\text{ძღ}}{\text{სმ}^2}.$$

ორივე კოჭი სიმტკიცის პირობას აკმაყოფილებს:

$$\max \sigma_{1\text{კ}} < [\sigma_1]_{\text{კ}}; \quad \max \sigma_{2\text{კ}} < [\sigma_2]_{\text{კ}} \quad (\text{განსხვავება შესაბამისად } 2,8\% \text{ და } 3,2\%).$$

მაგალითი 2. ორი სხვადასხვა სიხისტის კოეფიციენტიანი შედგენილი კონსოლური კოჭის თავისუფალ ბოლოზე სიმაღლიდან ტვირთი ეცემა

(ნახ. 2, ა). განვსაზღვროთ მაქსიმალური დინამიკური ძაბვა, თუ $Q = 50$ კგ, $H = 40$ სმ; $I_1 = 1\vartheta$, $I = 4 \vartheta$, $E_1 = E_2 = E = 2 \cdot 10^6 \frac{\text{ნ}}{\text{მ}^2}$, $I_1 = I = \frac{6 \cdot 12^3}{12} = 864 \vartheta^4$, $I_2 = 2I$,

$$W_1 = W = 144 \vartheta^3; W_2 = 2W, [\sigma] = 1200 \frac{\text{ნ}}{\text{მ}^2}.$$

ელემენტების სიხისტის კოეფიციენტების დასადგენად დარტყმის წერტილში მოვდოთ ერთეულოვანი ძალა და ავაგოთ მღუნავი მომენტის ეპურა (ნახ. 2, ბ). გრაფიკულ-ანალიზური ხერხის გამოყენებით [4] მივიღებთ:

$$C_1 = \frac{E_1 I_1}{\omega_1 a_1} = \frac{EI}{\omega_1 a_1}, \quad C_2 = \frac{E_2 I_2}{\omega_2 a_2} = \frac{2EI}{\omega_2 a_2} \quad (4)$$



ნახ. 2, ბ-დან $\omega_1 a_1 = \frac{l^3}{192}$, $\omega_2 a_2 = \frac{21l^3}{64}$.

(4)-ში გავითვალისწინოთ (5) და ჩავსვათ ცნობილი სიდიდეები, გვექნება:

$$C_1 = \frac{192EI}{l^3} = 5184 \frac{\text{ნ}}{\text{მ}^3}, \quad C_2 = \frac{128EI}{21l^3} = 164,6 \frac{\text{ნ}}{\text{მ}^3}.$$

კონსოლური კოჭის დრეკადი ელემენტებულია მიმდევრობით, ამიტომ

$$K = \frac{1}{\frac{1}{C_1} + \frac{1}{C_2}} = \frac{C_1 C_2}{C_1 + C_2} \approx 159,5 \frac{\text{ნ}}{\text{მ}^3}.$$



ნახ. 2

(1)-ით განსაზღვრული დინამიკური ძალა

$$P_{\text{დ}} = 50 + \sqrt{50^2 + 2 \cdot 40 \cdot 159,5 \cdot 50} = 850,3 \text{ კგ.}$$

მაქსიმალური დინამიკური ნორმალური ძაბვა

$$\max \sigma_{\text{დ}} = \frac{P_{\text{დ}} l}{2W} = \frac{850,3 \cdot 400}{2 \cdot 144} = 1181 \frac{\text{ნ}}{\text{მ}^2} < [\sigma]_{\text{დ}} = 1200 \frac{\text{ნ}}{\text{მ}^2}.$$

სხვადასხვა დრეკადი ელემენტებისაგან შედგენილი სისტემის დინამიკურ ძალაზე გაანგარიშების გამარტივებული ინჟინრული ხერხი დინამიკურობის კოეფიციენტის განსაზღვრის აუცილებლობას არ მოითხოვს.

აღნიშნული ხერხი მარტივია, გამოიყენება, როგორც ცალკეული სტატიკურად რკვევადი და ურკვევადი ღეროების, ისე დრეკადი ელემენტებისაგან შედგენილი სისტემის გაანგარიშების დროს. მიღებული შედეგი სხვა მეთოდებით გამოვლილ სიდიდეებისაგან არ განსხვავდება.

სისტემის შემადგენელი დრეკადი ელემენტების შეერთების სახეების (პარალელური, მიმღევრობითი, შერეული) გათვალისწინება აუცილებელია; იგი უნდა შეესაბამებოდეს დარტყმის წერტილის გადაადგილებას.

ლიტერატურა

1. ა. ხაბეიშვილი. ბზარების გათვალისწინებით რკინაბეტონის კოჭის განივდარტყმაზე გაანგარიშება. სტუ-ის სამეცნიერო ჟურნალი „განათლება“, № 1, ოქტომბერი, 2011.
2. Миролюбов И.Н., Енгаличев С.А.,... Пособие к решению задач по сопротивлению материалов. Изд-во «Высшая школа», 1974, Москва, с. 310.
3. Фесик С.П. Справочник по сопротивлению материалов. Изд-во Будовельник, Киев, 1982, с. 226-230.
4. Anzor Khabeishvili, Tamaz Batsikadze. Résistanse des matériaux. Edition “l’Université technique”, Tbilisi, 1998, p. 170, 204-207.

РАСЧЕТ УПРУГИХ СИСТЕМ, СОСТАВЛЕННЫХ ИЗ ЭЛЕМЕНТОВ С РАЗНЫМИ ЖЕСТКОСТЯМИ, НА ПОПЕРЕЧНЫЙ УДАР

A.D. ხაბეიშვილი

Грузинский технический университет
Тбилиси, ул. Костава 77

В статье рассматривается расчет упругих систем, составленных из элементов с разными жесткостями, на поперечный удар.

Применено упрощенный инженерный способ, который без динамического коэффициента дает возможность определить динамические характеристики.

Calculation of the System composed of the Elements of Various Stiffness Coefficients on the Longitudinal Shock

A. Khabeishvili

Technical University of Georgia, 77, Kostava street, Tbilisi

The calculation of the elastic system composed of the elements of various stiffness coefficients on the longitudinal shock is considered. The dynamic strength is determined through the simplified engineering method, without the Dynamicity Coefficient. The obtained results do not differ from the meanings determined through the other methods.

ფიზიკური გარდაქმნები - დნობა და გამყარება

*ირინე ჯანჯლავა, ლალი ჩაგელიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი კოსტავას ქ. 77*

გარეგანი პირობების (ტემპერატურა, წნევა) მიხედვით ნივთიერება შეიძლება იმუოფებოდეს განსხვავებულ მდგომარეობაში, რომელთაც აგრეგატული მდგომარეობები ეწოდებათ.

არსებობს სამი ძირითადი აგრეგატული მდგომარეობა: მყარი, თხევადი, გაზური. გვაქვს სხვებიც, რომლებიც წარმოიქმნებიან ნახსენები მდგომარეობების ერთიმეორეში გადასვლის მიჯნაზე, აგრეთვე პლაზმა, რომელიც ნაწილობრივ ან მთლიანად იონიზირებული გაზია.

ნივთიერების გადასვლას ერთი მდგომარეობიდან მეორეში, ფაზურ გარდაქმნებს უწოდებენ. განვიხილოთ ფაზური გარდაქმნა - დნობა. დნობის ქვეშ იგულისხმება ნივთიერების გადასვლა მყარი ფაზიდან თხევადში.

მიკროსკოპული თვალთახედვიდან გამომდინარე მყარიდან თხევად ფაზაში გადასვლა წარმოაბს შემდეგნაირად: თუ ჩვენ თანაბრად გავათბობთ მყარ კრისტალურ ნივთიერებას, გადაცემული სითბო მოხმარდება კრისტალის შინაგანი ენერგიის გაზრდას. ეს ენერგია შედგება მყარი სხეულის კრისტალური მესერის კვანძებში მოთავსებული ნაწილაკების სითბური რხევის კინეტიკური და ამ ნაწილაკებში ურთიერთქმედების პოტენციური ენერგიების ჯამისგან. მყარი სხეულის ტემპერატურა დროთა განმავლობაში გაიზრდება და მიაღწევს რა ფაზური გარდაქმნის თტ ტემპერატურას კრისტალი იწყებს რღვევას და თანდაოთანობით გადასვლას თხევად ფაზაში. ტემპერატურა თტ დამოკიდებულია იმ წნევაზე, რომელსაც განიცდის მდნობარე ნივთიერება. თუ P - წნევა მუდმივია, მაშინ მუდმივია ფაზური გარდაქმნის ტემპერატურაც T_t . ამ ტემპერატურას ჩვენ ვუწოდებთ დნობის ტემპერატურას, ან დნობის წერტილს. ნორმალურ წნევას (760 ტორი) შეესაბამება დნობის ნორმალური ტემპერატურა T_{tn} .

ცხრილში 1 მოცემულია ზოგიერთი ნივთიერების დნობის ტემპერატურები ნორმალური წნევის დროს.

ნივთიერება	დნობის ტემპერატურა	ნობის ფარული სითბო
ვერცხლისწყალი	-38.87	2.75
წყალი	0	79.7
კალა	231.9	14.2
თუთია	419.5	26.0
ალუმინი	660.1	94.0
NaCl	800	126
სპილენი	1083	49
პლატინა	1769	27
მოლიბდენი	2625	-
ვოლფრამი	3410	-

მოყვანილი ცხრილიდან ჩანს თუ რა დიდია სხვადასხვა ნივთიერების დნობის ტემპერატურათა შორის განსხვავება.

დაიწყება რა დნობა სისტემაში გვექნება ორივე ფაზა მყარიც და თხევადიც, როდესაც სისტემა თერმულად იზოლირებულია, მაშინ თითოეულ ფაზის რაოდენობა რჩება მუდმივი - მყარდება წონასწორობა თუ გავაგრძელებთ სითბოს მოწოდებას, მაშინ თხევადი ფაზის რაოდენობა გაიზრდება, მყარის შემცირდება, ტემპერატურა არ შეიცვლება მანამ, სანამ არ მივიღებთ მთლიანად თხევად მდგომარეობას.

სითბოს რაოდენობა, რომელიც საჭიროა დნობის ტემპერატურამდე მიყვანილი ერთეული მასის მყარი ფაზის იმავე ტემპერატურის თხევად ფაზაში გადასაყვანად დნობის ფარული კუთრი სითბო ეწოდება ს დნობის ფარული სითბოს მნიშვნელობები ზოგიერთი ნივთიერებისათვის მოყვანილია ცხრილში 1.

ზოგადად ფაზური გადასვლების დროს სითბო ან გამოიყობა, ან იხარჯება, რომელსაც ჩვენ გუწოდებთ ფაზური გარდაქმნის სითბოს და აღვნიშნავთ L-ით. ფარულ სითბოს ვიდებთ დადებითი ნიშნით, თუ მდგომარეობის შეცვლისათვის სითბო იხარჯება წინააღმდეგ შემთხვევაში ვიდებთ უარყობითი ნიშნით. დავუშვათ, რომელიმე ნივთიერების გარკვეული ფაზური გარდაქმნისას 1 ფაზიდან მე - 2 გადასაყვანად მოწოდებული იქნა ფარული სითბო . თუ შინაგანი ენერგია პირველ ფაზის ერთი მილისათვის არის 1, მოცულობა V1, ანალოგიურად მცირე ფაზის შირნაგანი ენერგია - 2, მოცულობა - V2 მაშინ გარკვეული ფაზური გარდაქმნის ფარული სითბოსათვის, თერმოდინამიკის პირველი საწყისიდან გამომდინარე, შეიძლება დავწეროთ თანაფარდობა:

$$L=U_2-U_1+P(V_2-V_1) \quad (1)$$

სადაც P არის წნევა, რომლის დროსაც მიმდინარეობს ეს პროცესი
1) განტოლება გადავწეროთ ასეთი სახით

$$L=Li+Le \quad (2)$$

სადაც Li=U₂-U₁ გუწოდებთ შინაგან ფარულ სითბოს,

ხოლო Le=P(V₂-V₁)- გარეგან ფარულ სითბოს.

შინაგანი ფარული სითბო Li წარმოადგენს მთლიანი L სითბოს უდიდეს ნაწილს, რომელიც იხარჯება შინაგანი ენერგიის გაზრდამდე, მაშინ როდესაც გარე ფარული სითბო Le როგორც წესი ნაკლებია ლა იხარჯება მუშაობაზე, რომელიც სრულდება მოცემული ნივთიერების მოცულობის გაზრდაზე.

დნობისას, სისტემაში დამყარებული წონასწორობა, შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა წნევების დროს. რადგანაც სისტემა წარმოქმნილი მყარი და თხევადი ფაზებით (f=2) ერთიდაიგივე ნივთიერებისაა (S=1) ამიტომ გიბსის ფაზური წესის (f+V=s+2) მიხედვით იგი მონოვარიანტულია (v=1) ყოველ წნევას შეესაბამება დნობის გარკვეული ტემპერატურა მაგრამ ამ ტემპერატურის ცვლილების დამოკიდებულება წნევაზე წნევაზე უმნიშვნელოა: კლაუზიუს - კლაპეირონის განტოლებიდან

$$e_t = T(V_2 - V_1) \frac{dP}{dT} \quad (3)$$


გამომდინერეობს თანაფარდობა

$$dT = \frac{T_1(V_2 - V_1)}{e_t} dp \quad (4)$$

როგორც წესი დნობისას ნივთიერების მოცულობა იზრდება (V₂>V₁) წნევის გაზრდა იწვევს დნობის ტემპერატურის უმნიშვნელო გაზრდას:

მაგალითად წნევის გაზრდა 1-ატმ - თი იწვევს ცინკის დნობის ტემპერატურის გაზრდას $0,006^0$ - ით ვადმიუმისას - $0,003^0$ - ით და ა. შ.

ზოგიერთი ნივთიერების მოცულობა, მაგ. ყინულის დნობისას მცირდება ($V_2 < V_1$), ასევი ნივთიერები მაღალი წნევის დროს დნება კიდევ უფრო დაბალ ტემპერატურაზე. ყინულისათვის წნევის 1 ატმ - თი გაზრდა იწვევს დნობის ტემპერატურის შემცირებას $0,0075^0$ - ით.



ნივთიერების გადასვლა მყარი ფაზიდან თხევადში შესაძლებელია მხოლოდ იმ P წნევაზე, რომელიც აღემატება P_A წნევას, რაც შეესაბამება ამ ნივთიერების სამმაგ წერტილს

ფაზურ დიაგრამაზე მოცემულია დნობის მრუდები - ორფაზიანი სისტემა „მყარი - თხევადი“ წონასწორობის მრუდები. მრუდი d_1 გამოსახვების ნივთიერების დნობისას მოცულობის ზრდას ($V_2 > V_1$), როცა $\frac{dT}{dP} > 0$ მრუდი

a_2 შეესაბამება დნობისას მოცულობის შემცირებას ($V_2 < V_1$) და $\frac{dT}{dP} < 0$, ეს

ორივე მრუდი ციცაბოა, რაც ნიშნავს, რომ დნობის ტემპერატურის დამოკიდებულება წნევაზე უმნივრესელო. ისეთი წნევების დროს, რომლებიც მცირედ განსხვავდებიან ატმოსფერულისაგან, დნობის ტემპერატურა ფაქტიურდ ემთვხევა სამმაგი წერტილის ტემპერატურას.

გამყარებას ჩვენ ვუწოდებთ თხევადი ფაზიდან მყარში გადასვლას, თუ სითხეს გავაცივებთ, ტემპერატურა დაეცემა გამყარების ტემპერატურამდე, რომელიც სუფთა ნივთიერებისათვის იგივეა, რაც დნობის ტემპერატურა. გამყარებისას გამოიყოფოდა სითბო, რომელიც დნობის ფარული სითბოს ტოლია.

წნევებისათვის $P < P_A$ ნივთიერება განიცდის სუბლიმაციას, ანუ გადადის მყარი ფაზიდან პირდაპირ გაზურში, თხევადი ფაზის გავლის გარეშე.

თუ თხევადი ნივთიერებას თანაბრად და საკმაოდ ნელა გავათბობს, შეიძლება მივაღწიოთ, რომ მან იარსებოს თხევად მდგომარეობაში გამყარების უფრო დაბალ ტემპერატურაზეც. ამ მოვლენას ეწოდება გადაცივება. წყალი, რომელიც არ შეიცავს ჰაერს, შეიძლება გადავაციოთ თითქმის 10^0 -ით.

ნატრიუმის ტრიოსულფატი $\text{Na}_2\text{S}_2\text{O}_3 \cdot 5\text{H}_2\text{O}$ შეიძლება გადავაციოთ 30^0 -ზე მეტი ტემპერატურით და იგი არ გამყარდეს. მაგრამ ასეთი მდგმოარეობა არ არის სტაბილური მუტასტაბილურია; იგი ადვილად ირდვევა. მაგალითად, თუ გადაცივებულ სიხში შევიტანო მისავე მყარი ფაზის მცირე ზოგის კრისტალს, იგი სწრაფად გამყარდება.

მეტასტაბილურ მდგმოარეობას წარმოადგენს აგრეთვე მყირი სხეულის გადახურება დნობის ტემპერატურაზე უფრო მაღალ ტემპერატურამდე. მაგალითად ნავტალინი $\text{C}_{10}\text{H}_8 \cdot 80^0\text{C}$ -ით უფრო მაღალ ტემპერატურამდე შეიძლება მივიყვანოთ და იგი არ გადნება.

ლიტერატურა

1. Чачхиани З. Б. «Основы молекулярной физики», технический университет. Т. 2009.
2. Савельев И. В. «Курс общей физики», М. Наука, 1966.

Физические преобразования – таяние и отвердевание

И. Джанджава, Л. Чагелишвили

В работе описано фазовое преобразование твердого тела в жидкое. Дано уравнение Клаузиуса – Клапейрона, в котором показана зависимость температуры плавления данного вещества от его давления. Так же приведены диаграмма, на которой показаны кривые равновесия для двухфазного состояния вещества.

Physical transformations - thawing and solidification

I. Djandjgava, L. Chagelishvili.

The work describes the phase transformation of solid to liquid. Given of the equation Clausius - Klapeiron, which shows the melting temperature of the substance from its pressure. Just reduced diagram, which shows equilibrium curves for the two-phase state of matter.

ჟურნალისტიკა – Журналистика – Journalizm

რუპერტ მერდოკი – უდიდესი ავსტრალიელი მედიამაგნატი და მისი საგაზეთო იმპერია

ქ. გიორგობიანი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი, ქოსტავას 77

ავსტრალიას, მსოფლიოს მეხუთე კონტინენტს, უგზოტიკურ და განსხვავებული ტრადიციების მქონე ქვეყანას, მოსახლეობის რიცხვის გათვალისწინებით (16 მილიონი ადამიანი), წამყვანი ადგილი უჭირავს პერიოდულ გამოცემათა რაოდენობის მიხედვით. ავსტრალიაში ხუთასამდე ნაციონალური გაზეთი გამოდის. ყოველდღიური, ყოველკვირეული გაზეთებისა და ქურნალების ტირაჟი შეადგენს 12,5 მილიონ ეგზემპლარს. ქვეყნის უმსხვილესი ყოველდღიური გაზეთია “ოსტრელიანი”, რომელიც 1964 წელს დაარსდა და დიდი პოპულარობით სარგებლობს. მის ფურცლებზე საინტერესოდ და ობიექტურად შექდება ის მნიშვნელოვანი მოვლენები, რაც ხდება ავსტრალიაში და მის საზღვრებს გარეთ. “ოსტრელიანი” გამოირჩევა მრავალფეროვანი რეპრიკებით, რომელიც განკუთვნილია მოსახლეობის ფართო ფენებისათვის და აკმაყოფილებს ყველაზე პრეტენზიული მკითხველის მოთხოვნასაც კი. გაზეთი დაკომპლექტებულია კვალიფიციური ჟურნალისტებით, რომლებიც ცდილობენ გაამართლონ საზოგადოების ნდობა და კეთილსინდისიერად შეასრულონ დაკისრებული ვალდებულება, ადამიანებს დროულად და ობიექტურად მიაწოდონ ინფორმაცია. “ოსტრელიანი” ერთდროულად ქვეყნის ხუთ ქალაქში გამოდის. ცნობილ და პოპულარულ გაზეთთა რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე “ეიდჟი”, რომელიც მე-19 საუკუნეში, 1854 წელს დაარსდა. გამოდის 130 გვერდის მოცულობით. გაზეთის ფურცლებზე გარკვეული ადგილი ეთმობა რეკლამას, გვხვდება ფოტოებიც, რაც გამოქვეყნებულ მასალას ერთვის თან. 1831 წელს დაარსებული “სიდნეი მორნინგ პერალდი” ინტელიგენციის საყვარელი გაზეთია, რომელიც საინტერესო სტატიებით, დაბალანსებული კომენტარებით, სერიოზული ანალიტიკური მსჯელობით გამოირჩევა. მისი მოცულობა 144 გვერდს შეადგენს. ასევე მნიშვნელოვანი გაზეთია “პერალდი”, რომელიც 1840 წელს დაარსდა და დღესაც გამოდის. 1938 წელს დღის სინათლე იხილა გაზეთმა “გრიბუნი”. მილიონ ეგზემპლარს აღწევს “სან ნიუს პიტორიალის” ტირაჟი. “ოსტრელიან ლეფედ რივიუ” ავსტრალიელების საყვარელი ჟურნალია. ქვეყანაში ფართოდ არის გავრცელებული პროვინციალური და “ქალაქგარე” პრესა. ავსტრალიაში 343 პროვინციული გაზეთი გამოდის, მათ შორის 37 ყოველდღიურია. პატარა ქალაქებსაც კი, რომელთა მოსახლეობა 10 000 ადამიანს არ აღემატება, თავისი გამოცემა აქვს. 85 გაზეთი იბეჭდება 30 უცხო ენაზე, მათ შორის იტალიურ, ბერძნულ, გერმანულ, ფრანგულ და ემიგრანტთა სხვა ენებზე. ისინი თვეში ერთხელ ან თრჯერ გამოდის. ავსტრალიის საინფორმაციო

სააგენტოებია “ოსტრელიან ასოშეიტეტ პრესი” (AAP), რომელიც 1935 წელს დაარსდა და “ოსტრელიან უნაიტეტ პრესი” (AUP), დაარსებული 1928 წელს. ქვეყანაში რადიოგადაცემები 1923 წლიდან მიმდინარეობს, ტელეგადაცემები კი – 1956 წლიდან უმთავრესად ინგლისურ ენაზე.

ავსტრალიაში თითქმის ყველა დიდი გაზეთი ეკუთვნის 4კონცერნს. ისინი ერთმანეთს შორის მძაფრ კონკურენციულ ბრძოლას აწარმოებენ: “ჰერალდ ენდ უიკლი ტაიმსი”, “ჯონ ფეირფაქს მილიტერი”, “კონსოლიტეიტედ პრეს ჰოლდინგი” და “ნიუს კორპორეიშენი”. პირველი კონცერნი მელბურგშია განთავსებული, დანარჩენი სამი კი – სიდნეიში. “ნიუს კორპორეიშენის” მფლობელია რუპერტ მერდოკი, არაორდინარული, გამორჩეული ნიჭისა და უნარის მქონე, საოცრად მიზანსწრაფული ადამიანი, მსოფლიოს უმდიდრესი საერთაშორისო მაგნატი, რომლის შემოსავალი 20 მილიარდ დოლარს აღწევს. მისი კომპანია ყოველკვირეულად უშვებს 600 მილიონ გაზეთს ევროპაში, ავსტრალიაში, წენარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებსა და ასევე აშშ-ში, სადაც აკონტროლებს ახალი გამოცემების 70%-ს. დიდ ბრიტანეთში მერდოკის კონტროლს ქვეშა მოქცეული მთელი პრესის მესამედი, მათ შორის უდიდესი გაზეთები “სანი” და “ტაიმსი”. მასვე ეკუთვნის საკაბელო ტელევიზია და საინფორმაციო სააგენტო “როიტერი”.

რუპერტ მერდოკი დაიბადა 1931 წლის 11 მარტს მელბურგში, ავსტრალიელი ქურნალისტის კიტ არტურ მერდოკის ოჯახში. მერდოკის მამა პატარა, პროვინციული, არაფრით გამორჩეული გაზეთის მფლობელი იყო, რომელიც ვერც ხარისხით და ვერც ტირაჟით დაიკვენიდა. რუპერტმა ყრმობის ასაკშივე დაისახა მიზანდ, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, წარმატებისთვის მიეღწია, შრომა არ ეზარებოდა, არც უნარი და ფანტაზია აკლდა. ერთი სიტყვით, მისი სურვილი განუხორციელებელი სულაც არ იყო. რუპერტი სწავლობდა ინგლისურ სკოლაში, ელიტარულ ინტერნეტ “გილონგში” და შემდეგ ოქსფორდის უნივერსიტეტში, რომლის დამთავრების შემდეგ მიიღო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. ამ დროს მამა გარდაეცვალა და დაუტოვა ორი გაზეთი და რადიოსადგური, არცთუ კარგ მდგომარეობაში. მერდოკმა ქურნალისტური გამოცდილების მისაღებად დახმარებისთვის ოჯახის ძევლ მეგობარს, საგაზეთო ბიზნესის უმსხვილეს წარმომადგენელს, ლორდ ნორტკლიფს მიმართა და მის ერთ-ერთ გაზეთში რედაქტორის თანაშემწედ დაიწყო მუშაობა. 22 წლისა კი თავად გახდა რედაქტორი. 1956 წელს მან შეისყიდა “სანდი ტაიმსი”, რომელიც სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა, გაკოტრებულს დახურვის საფრთხე ემუქრებოდა. რუპერტმა გამოიყენა თავისი ორგანიზატორული ტალანტი და შეძლო გაზეთის ფეხზე დაყენება. პირველ რიგში მკითხელის მიზიდვა იყო საჭირო. სენსაციური პუბლიკაციების, სკანდალური ამბების და ანომალური მოვლენების გამოქვეყნება ამის მისაღწევად სწორი გზა აღმოჩნდა. ერთი წლის შემდეგ მერდოკმა შეისყიდა ქვეყანაში პირველი სატელევიზიო სადგური. ამავე პერიოდში გაზეთისთვის “სიდნეი მირორი” 7,5 მილიონი დოლარი გადაიხადა. ასე დაიწყო მისი იმპერიის მშენებლობა. 1968 წელს მერდოკი დაუპირისპირდა რობერტ მაქსველს და აშკარად დაჯაბნა კონკურენტი, გამარჯვების შანსი არ დაუტოვა და მოახერხა დიდი ბრიტანეთის პოპულარული გაზეთის “ნიუ ოფ უორდლის” ხელში ჩაგდება, 1969 წელს კი “სანის” მფლობელიც გახდა. მანამდე ეს გაზეთი ინტელექტუალურ გამოცემას წარმოადგენდა, რომელიც პოლიტიკის მიმართ განსაკუთრებული ინტერესით გამოირჩეოდა. მერდოკმა შეცვალა გაზეთის მიმართულება და ხასიათი, ბეჭდავდა იმას, რაც უფრო დააინტერესებდა

მკიოთხველს: სპორტი, სექსი, სენსაცია, ჭორები. ერთი სიტყვით, წარმატებით იყენებდა ე.წ. “ყვითელი პრესის” ნიუანსებს, აქვეყნებდა ვულგარულ ფოტოებს, იგონებდა უწმატურ სათაურებს, წერდა ცნობილი ადამიანების პირადი ცხოვრების შესახებ. მცდელობამ გაამართლა და 1971 წელს “სანი” წლის გაზეთი გახდა, 1993 წელს კი მისმა წლიურმა შემოსავალმა 50 მილიონ ლოდარს მიაღწია. დღეს “სანი” არის ყველაზე დიდი ტირაჟის მქონე ინგლისურენოვანი გამოცემა (4 მილიონი ეგზემპლარი).

რუპერტ მერდოკის გავლენის სფერო ავსტრალიას გასცდა, მან გააფართოვა თავისი მოდვაწეობის არეალი და მედიამაგნატად იქცა. 1972 წელს გადაწყვიტა გასულიყო ამერიკულ ბაზარზე, რომელიც უფრო მსხვილი იყო, ვიდრე ავსტრალიისა და დიდი ბრიტანეთისა ერთად. პირველ რიგში მერდოკმა შეისყიდა რამდენიმე გაზეთი სან-ანტონიოში, კერძოდ, “სან-ანტონიო ექსპრესი” და “სან-ანტონიო ეკინინგ ნიუსი”. შემდეგ მან გააერთიანა ეს ორი გაზეთი სახელწოდებით “სან-ანტონიო ნიუს-ექსპრესი”. აქვე წააწყდა პირველ წინააღმდეგობასაც. მას უარი უთხრეს ცნობილი “ვაშინგტონ სტარის” მიყიდვაზე. მაშინ მერდოკმა დააფუძნა თავისი გაზეთი მსგავსი თემატიკით და მას “ნაციონალ სტარი” უწოდა. 1976 წელს მოხდა რუპერტის კარიერისთვის მნიშვნელოვანი მოვლენა. ეს დაკავშირებული იყო “ნიუ-იორკ პოსტის” შეძენასთან, რომელშიც 30 მილიონი დოლარი გადაიხდა. 1977 წელს დააარსა გამომცემლობა “ნიუ-იორკ მეგეზინი”, 1979 წელს “ნიუს კორპორეიშენი”, რომელშიც დღეისათვის 30 000 ადამიანია დასაქმებული. მერდოკმა ისიც მოახერხა, რომ სელში ჩაეგდო ჰოლივუდის ცნობილი კომპანია “ფოქს მულტიმედია”, რომელიც საზოგადოებას განსაკუთრებით დაამახსოვრდა ფილმით “ტიტანიკი” და მულტსერიალით “სიმპსონები” და “ფუტურამა”. მერდოკის გზა ყოველთვის იავარდით როდი იყო მოფენილი. იყო ისეთი პერიოდიც, როცა მისი იმპერიის არსებობას საფრთხე დაემუქრა, დიდი ვალი დაედო, მაგრამ მოახერხა თავი დაეღწია ერთი შეხედვით გამოუვალი მდგომარეობიდან. ზოგიერთ საკმაო დიდი თანამდებობის მქონე ამერიკელს გულზე არ ეხატებოდა იღბლიანი ავსტრალიელის წარმატება. მათ გასაჩუმებლად მერდოკმა კიდევ ერთი გონივრული ნაბიჯი გადადგა. 1985 წელს ამერიკის მოქალაქეობა მიიღო. 2000 წელს მისი ყურადღება ინტერნეტმა მიიპყრო, მერდოკმა შეიძინა პოპულარული სოციალური ქსელი “My Space” 580 მილიონ დოლარად. შემდეგ 80 მილიონი დოლარი გადაიხდა ავსტრალიის სიდიდით მეორე ავიაკომპანიის შესაძენად. მერდოკის სახელი საქართველოსთანაც ასოცირდება, ლაპარაკია იმაზე, რომ მან ჩვენს ქვეყანაში შეიძინა ტელეკომპანია “იმედის” აქციების 30%.

რუპერტ მერდოკი საზოგადოებრივ-ჰოლიტიკურ ცხოვრებაშიც აქტიურად მონაწილეობდა. თუმცა მისი პოლიტიკური შეხედულებები ხშირად იცვლებოდა. ახალგაზრდობაში ის იყო ლეიბორისტული პარტიის მომხრე, შემდეგ მხარს უჭერდა კონსერვატორებს – მარგარეტ ტეტჩერს და ჯონ მეიჯორს, აშშ-ში კი რესპუბლიკელებს – როლანდ რეიგანს და ჯორჯ ბუშ-უმცროსს. მერდოკს ყოველთვის შესანიშნავი ალდო გააჩნდა და გონებაც უჭრიდა. ჯერ კიდევ 1959 წელს აალაპარაკა მსოფლიო ცნობილი სასამართლო პროცესის გაშუქებისას, რომელიც გაიმართა 9 წლის გოგონას გაუპატიურებისა და მკაფელობის გამო. დამნაშავედ მიჩნეული იყო ვინმე რუპერტ მაქს სტიუარტი, რომელმაც აღიარა დანაშაული. მას სიკვდილი მიუსაჯეს. მაგრამ მერდოკს ეჭვი შეეპარა სასამართლოს გადაწყვეტილებაში. დკვირვებულმა ავსტრალიელმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ დამნაშავის აღიარება ძალზე დახვეწილი და ლიტერატურულად გამართული იყო, გრამატიკული შეცდომების გარეშე,

სტიუარტი კი გაუნათლებელი, ტლუ და გაუთლელი კაცი იყო. მერდოკმა ჩაატარა გამოძიება, საკუთარ გაზეთში აქვეყნებდა ამ ფაქტას დაკავშირებულ მასალებს და მოახერხა ჭეშმარიტების დადგენა, რაშიც დიდი იყო დამსახურება მისი გაზეთისა, რომელსაც “ნიუს ლიმიტედი” ერქვა.

მილიარდელი სამჯერ იყო დაქორწინებული. სხვადასხვა ქორწინებიდან ჰყავს 4 ქალიშვილი და 2 ვაჟი. მისი კომპანია 60 მილიონ დოლარადაა შეფასებული. ცხოვრობს ნიუ-იორკში, მე-5 ავენიუზე, იმ სახლში, რომელიც ადრე როკფელერს ეკუთვნოდა. მერდოკი ხშირად არის კრიტიკის ობიექტი. ადანაშაულებებს იმაში, რომ მის მიერ შეძენილი გაზეთები ყვითელ პრესად იქცევა, კარგავს ობიექტურობას, ვულგარული ხდება და ა.შ. მაგრამ რუპერტი ყურადღებას არ აქცევს მავანთა სიტყვებს, თავის საქმეს აკეთებს და ხშირად იმეორებს: “მე ვაძლევ პუბლიკას იმას, რაც მას სურს”.

Rupert Murdoch – the Greatest Australian Media Magnate and his news-empire

K. Giorgobiani

Georgian Technical University
77 Kostava street, Tbilisi, Georgia

In the work there is talking about way passed by the greatest media magnate – Rupert Murdoch, about his excellent talent and skill, which difficulties he had to get over until he has become the richest man of the world, how his empire has been built and how his strongest concern “News Corporation” has been laid the foundation, media space of Australia is reviewed here too.

Руперт Мердок - выдающийся австралийский медиамагнат и его газетная империя

K. Giorgobiani

Грузинский технический университет
Грузия, Тбилиси, Костава 77

Статья посвящается Руперту Мердоку, его пройденному пути, его великому уму, таланту; описываются те трудности и препятствия, преодолевать которых ему приходилось. Рассказывается как строилась его империя и как было положено основание в становлении его могущественного концерна «Ньюс-Корпорейшн». В статье также сделан обзор австралийской печати.

აჭარის რეგისტრი მედიაში არსებული ხარვეზების საზოგადოების ცნობიერებაზე გავლენა

ინგა ზოიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი

რუსული ქურნალისტიკის მკვლევარმა ქურნალისტის მაგიური აზოვნება და მითოლოგიურ ტექსტი უკვე რამოდენიმე წელია გამოიკვლია. ნაშრომში „ქურნალისტური შემოქმედების ფსიქოლოგია“ ავტორი ელენა პრონინა წერს, რომ: „მითოლოგიური ტექსტი უპირველეს ყოვლისა მრიენტირებულია ადამიანური ფსიქიკის ირაციონალურ მხარეზე, როდესაც

იმედს ეძებენ და არა ინფორმაციას, შეფასებებს და არა ფაქტებს, გრძნობათა გამოსავალს და არა ლოგიკას და ა.შ

მითოლოგიური ტექსტის მომზადებისასა ქურნალისტს თავად უხდება ჩაიძიროს მაგიურ აზროვნებაში, ერთმანეთს შეურიოს რელობა და სიმბოლიკა: ვარაუდები, რომელიც როგორც ცნობილია „თავისთავად ჯიუტი რამაა”... რუსი მკვლევარის აზრით: „პროპაგანდისტის ამოცანაა დაარწმუნოს სხვა თავის სიმართლეში, უკარნახოს საჭირო ემოციები, მკითხველში გამოიწვიოს იგივე გრძნობები, რომელთაც თვითონ განიცდის და რაც უფრო ქურნალისტი ლოგიკას გააქანებს, მით უფრო წარმოიქმნება მაგიური რეზონანსი”...

მითოლოგიური ტექსტი რომელიც ქურნალისტის მიერ იქმნება, მასში სიმბოლოების გამოყენებას გულისხმობს, რაც საზოგადოების ცნობიერებაზე მაგიურ ზეგავლენას ახდენს. აზრის ნათესაყოფად პრიმიტიულ მაგალითს მოვაჟელიებ; თუ ქურნალისტი პირდაპირ ჩართვას ან „სთენდაპს” მასიური ხანძრის მოვლენის ადგილიდან მეხანძრის უნიფორმით აკეთებს და ისეთ ეფექტს ქმნის თითქოსდა ისიც ხანძრის ჩაქრობის უშუალო მონაწილეა და თუ ქურნალისტი ამით საზოგადოებას აჩვენებს თუ რამდენად რთულია მეხანძრის პროფესია, ასეთ შემთხვევაში ფაქტია ტელემაყურებელში უფრო მეტი ემოცია იქმნება, ვიდრე ქურნალისტის მიერ ცალსახად ნათქვამი ტექსტით: მეხანძრები ხანძარს ამ წუთებშიც აქრობენ.

მითოლოგიური ტექსტისა და მაგიური აზროვნებისაგან აჭარის რეგიონული მედია ძალიან შორსაა. ამაზე რეგიონის მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები თავად მეტყველებენ. სამაგიუროდ რეგიონში მასობრივი კომუნიკაციის ერთერთი საშუალება „აჭარის ტელევიზია” სიმულანტობასთან ძალიან ახლოსაა. აღნიშნულ არხზე დილის შემეცნებით - გასართობი პროგრამა „დილის ტალღა” მხოლოდ შაბათ-კვირას გადის პირდაპირ ეთერში. პირდაპირ ეთერში ამბებს ტელესტუდიიდან პროგრამის „დილის ტალღის” ორი წამყვანი და საინფორმაციო გამოშვების ერთი წამყვანი გვაცნობს. პროგრამა „დილის ტალღის” ფორმატით თითქოსდა პირდაპირი ჩართვა სამზარეულოდან და სასარგებლო რჩევების სტუდიიდანაც ხდება. აქ უკვე „დილის ტალღის” რედაქცია საზოგადოებას ატყუებს „სიმულანტი ტელეჩართვით”. „სიმულანტ ტელეჩართვას” აღნიშნული არხის თანამშრომელის სამსახურიდან გათავისუფლებაც მოჰყვა, იმ მიზეზით, რომ გადაცემის ჩანართის „სამზარეულოს” წამყვანის სიტყვა „გამარჯობა” ორი დუბლით გავიდა პირდაპირ ეთერში. დაახლობით ერთი წელია კი აღნიშნული რედაქცია „ამინდის პროგნოზის” პირდაპირ ჩართვას აღარ გვატყუებს, რადგან ხშირად ქუჩაში წინასწარ ჩაწერილი ამინდის პროგნოზი არ ამართლებდა. ამინდის წამყვანი ქლებით ხელში წიმინან ამნდს თითქოსდა პირდაპირ ეთერში თუ გვამცნობდა, რეალურად ქალაქში დილის კაშკაშა მზე ანათებდა... ასეთ შემთხვევაში ფაქტია, რომ აჭარის ტელევიზია არა „სიმულტანობას” არამედ სიმულანტობას მიმართავს. მედიაში კი ქართული ქურნალისტიკის მკვლევარის რეზო სურგულაძის მოსაზრებით „სიმულტანობა ნიშნავს მოვლენისა და მისი ასახვის ერთდროულობას – სულერთია, ეთერში პირდაპირ გადაიცემა ის, თუ ვიდეომაგნიტურ ფირზე აღიბეჭდება - და არა მოვლენისა და მისი ჩვენების ერთდროულობას. ამას ადვილად შევამჩნევთ, თუ დავუკვირდებით ტრანსლაციური ვიდეოჩანაწერის გადაცემას, რომელიც მოვლენის მიმდინარეობის დროს აღარ ემთხვევა, მაგრამ რადგან მასში შენარჩუნებულია პირდაპირი გადაცემის სივრცულ-დროითი ერთიანობა (მოქმედების უწყვეტობა და ხანგრძლივობის რეალური დრო, რაც ვიდეომაგნიტურ ფირზე მოვლენის

პირდაპირი ასახვითაა განპირობებული), თითქმის მთლიანადაა შენარჩუნებული პირდაპირი მაუწყებლობისათვის ყველა თვისება, მათ შორის „დასწრების უფექტიც“. აჭარის ტელევიზიის აღნიშნული დილის პროგრამის წამყვანების გადასვლის ტექსტები „სამზარეულოს“ და „სასარგებლო რჩევების“ წამყვანებოთ ტელემაყურებლების ცნობიერებაში ისეთ წარმოდგენას ქმნიან თითქოსდა ისინი ერთმანეთს პირდაპირ ეთერში ესაუბრებიან. როგორც უკვე ავღნიშნე, ეს „სიმულანტი ჩართვაა“ და არა სიმულტანობა.

როგორც ქურნალისტიკაში ცნობილი ახალი ამბავი არის ის როცა ძაღლს უკბენს ადამიანი და არა ის, როცა ძაღლი უკბენს ადამიანს. ამ „პრინციპს“ ბათუმში გამამომავალი ყოველკვირეული გაზეთი „ბათუმელები“ ხშირად იცავს და მკითხველს არც სენსაციურ და არც ანალიტიკურ სტატიებს აკლებს. თუმცა როგორც, ჩანს სენსაციურობისთვის „გაზეთი“ არც უცენზურო სიტყვებს და არც მოგონილ ამბებს იშურებს. პირდაპირ გეტუვით გაზეთ „ბათუმელების“ 2011 წლის 28-4 მარტი-აპრილის ნომერის პირველ გვერდზე დაიბეჭდა ინფორმაციული შენიშვნა სათაურით „სასჯელი მასტურბაციისთვის“. მასში უცენზურო სიტყვებით გადმოცემული ამბავი იმდენად არარეალური და არადამაჯერებელია რომ მკითხველი ეჭვს ნამდვილად შეიტანს მის უზუსტობაში. როგორც ჩანს ქურნალისტს ფაქტების გადაუმოწმებლობა და ტექსტი ჭორების გამოყენება ამბავის სენსაციურობისთვის დასჭირდა. რამდენადაც პარადოქსი არ უნდა იყოს აღნიშნული საგაზეთო მასალის ავტორს მისივე კოლეგამ „საქართველოს ქურნალისტური ეთიკის ქარტიაში“ მასალის გამოქვეყნებისათვის უჩივლა.

მოზარდ თაობასთან გაზეთიდან უხამსი სიტყვებით ცალმხრივი კომუნიკაცია, ვფიქრობ, რომ არასახარბიერებულ შედეგებამდე მიგვიყვანს. გაზეთს, რომელსაც ინფორმაციული დატვირთვაა აქვს, მან ყველა კითხვას პასუხი უნდა გასცეს და საზოგადოებაში ეჭვები არ უნდა დაბადოს.

„შეთხული ამბებით“ და „პირდაპირი ჩართვით“ სიმულანტობა ვფიქრობ, რომ საზოგადოების ცნობირებაზე დიდ ზეგავლენას მოახდენს და ტელემაყურებელსა და მკითხველში უნდობლობას გამოიწვევს. ზემოთ ხსენებული „უცენზურო სიტყვა“ კი ძველი თაობას გაღიზიანებს, ხოლო ახალ თაობას უხამსი ქცევისკენ უბიძებს.

დროა უკვე საკუთარ შეცდომებზე ვისწავლოთ და დავეთანხმოთ მე-19 საუკუნის უცხოელი ქურნალისტის პ.კ. პანთის გამონათქვამს: „არაერთხელ გამიგონია, რომ ზოგ ადამიანს გაზეთებში წაკითხულის არ სჯერა. ეს კარგს არაფერს უქადის ძველი ყაიდის რედაქტორებს და პატიოსანი ქურნალისტიკის ეპოქის დადგომას მოასწავებს.“

Влияние на общественное сознание, имеющихся в аджарском регионе недостатков

И. Зоидзе

Данная статья рассматривает существующие в Аджарской региональной медиа недостатки. В труде рассматриваются вопросы становления общественного мнения в следствии освещения искаженных фактов, слухов и осознанно допущенных ошибок средствами масмедиа.

Influence on the public consciousness, available in Adjara region of lacks

I. Zoidze

The following article discusses the gaps existed in Adjarian Regional media. The effects of disfigured facts, gossips and purposeful mistakes covered in media, on the consciousness of society is also considered in the thesis.

И.А.Бодуэн де Куртене о типологии лексико-семантических систем языков массовой информации

Б.Л Имнадзе
Грузинский технический университет
Тбилиси, Костава, 77.

Учет лингвистических и методов, а также ихприменение особеннор на начальном этапе разработки общей семиотической теории языков СМИ крайне важно и необходимо,ибо лингвистика давно уже является самостоятельной наукой,имеющей собственные методы и понятийный аппарат.

Семиотические понятия вроде язык нпухи, язык искусства,технический языхк и т.п.вполне возможно рассматривать,естественно,имея их функции в современном обществе в качестве знаковых систем СМИ.

Мы постарались в теоретиченском плане применить некоторые идеи И.А.Бодуэна де Куртене к сравнительному изучению лексики языков науки и художественной литературы.Выбор обусловлен тем,что именно И.А.Бодуэн де Куртене разработал концепцию об общих причинах языковых изменений,по которой развитие лексико-семантической системы языка обусловлено «двумя мощными течениями, которые являются результатом стремлений к облегчению («стремление к облегчению»,по всей вероятности,можно интерпретировать в терминах системной лингвистики как взаимную подстройку субстанции и структуры) в самом языковом центре» (1,с.214)

Эти «направления при развитии значения» таковы: 1) от неопределенности к определенности содержания, 2) от конкретности к абстрактности» (2,с.71) И.А.Бодуэн де Куртене указывает,что «первое течение,»проявляющееся в иносказаниях,в метафорах, в «народной этимологии»,облегчает поэтическое творчество,добавим многообразит и письменную техническую речь,делает ее более живой и конкретной,наоборот,течение,проявляющееся во все большем обособлении и абстрагировании слов,облегчает трезвое,прозаическое мышление,облегчает строго научную работу человеческого разума» (3, с.191). Т аким образом, И.А.Бодуэн де Куртене подчеркивает функциональное различие между двумя тенденциями.В то же время эти тенденции,являясь противоположными,своим взаимодействием обеспечивают развитие лексико-семантической системы языка. И.А. Бодуэн де

Куртене указывает, что «в зависимости от имеющейся в данном случае потребности, человеческий разум действует то в одном, то в другом направлении» (4, с., 149).

Из сказанного можно сделать вывод: во-первых, развитие и изменение значений в лексико-семантической системе происходит в двух противоположных направлениях, и, в чём-вторых, «удельный вес» одного из направлений в развитии лексико-семантической системы определяется функцией, «потребностью» «человеческого разума».

Гипотеза, изложенная по рассматриваемой проблеме И.А. Бодуэном де Куртене, объясняет развитие лексико-семантической системы языка и связывает его с длительностью мозга. Язык как динамическая система обязательно предполагает наличие в лексико-семантической системе двух противоположных тенденций, т.к. они обеспечивают ее развитие и способность подстраиваться под деятельность человеческого мозга.

Эволюция значений происходит, вероятно, не одинаково во всех языках СМИ. Одна из тенденций, в зависимости от назначения данной знаковой системы, является ведущей. В языке науки ведущая тенденция развития значений – «от конкретности к абстрактности», в языке художественной литературы, поэзия – от «неопределенности к определенности содержания». Между тем следует отметить, что ни в одном из языков не может полностью отсутствовать одна из тенденций, исключило бы возможность развития и функционирования языка, привело бы к утрате им коммуникативной функции. Так, например, по И.А. Бодуэну де Куртене, невозможно абсолютно упорядочить какую-либо терминологическую систему.¹⁾

Наличие двух тенденций развития значений необходимо учитывать как при диахроническом изучении языка, так и при синхроническом, так как значения, по-видимому, стратифицируются по признаку абстрактности.

Завершая отметим, что концепция развития и изменения значений И.А. Бодуэна де Куртене открывает перспективы типологического изучения лексико-семантических систем СМИ. Проведение сравнительного статистического анализа лексико-семантических систем языков СМИ с учетом двух тенденций развития значений откроет возможность построения их технологий.

¹⁾ Сложно, но по-нашему мнению, возможно. Постараемся вернуться к этой проблеме в ближайшем будущем. Б.И.

Литература

1. И.А. Бодуэн де Куртене. Об общих причинах языковых изменений. – В кн., И.А. Бодуэн де Куртене Избранные труды по общему языкознанию. М., 1963. стр., 245.
2. И.А. Бодуэн де Куртене. Подробная программа лекций в 1876 учебном году. Стр., 100.
3. И.А. Бодуэн де Куртене. Об общих причинах языковых изменений. М., 1963. стр., 245.
4. И.А. Бодуэн де Куртене, там же.

ო.ა.ბოდუენ დე კურტენე მასობრივი ინფორმაციის ცნების ლექსიკა-სემანტიკური
სისტემების ტიპოლოგიის შესახებ.

ბ.იმნაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
თბილისი, კოსტავას, 77

სტატიაში განხილულია ცნობილი რუსი ლინგვისტის ბოდუენ დე კურტენეს
მოსაზრება მასობრივი ინფორმაციის ენების ლექსიკა-სემანტიკური სისტემების
ტიპოლოგიის შესახებ, რის საფუძველზე შევეცადეთ ი.ა. ბოდუენ დე კურტენეს
ზოგიერთი იდეა გამოგვეყენებინა მეცნიერული ენის ლექსიკის შედარებით შესასწავლად.

M. A. B. de Courtenay About the Typology of Lexico-Semantical Systems of Mass Information.

B. I. Imnadze

Georgian Technical University
77, Kostava st., Tbilisi, Georgia

The paper deals with application of some ideas of M. A. B. de Courtenay in establishing typology of Lexico-Semantical Systems of Mass Information.

**მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პედაგოგიური პოტენციალი
და მისი რეალიზაციის სამეცნიერო მეთოდური საფუძვლები**

**გოჩა ტექშელა შვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი**

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს უდიდესი შესაძლებლობები
აქვთ მოქალაქეთა ცნობიერებასა და ქცევაზე აქტიური ზემოქმედების მოსახ-
დენად.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მასობრივი ინფორმაციის საშუ-
ალებათა პედაგოგიური როლი, რადგან იგი ორიენტირებულია პიროვნების
ჩამოყალიბებაზე.

ვინაიდან მათი მეშვეობით ინდივიდი ამყარებს კავშირს სხვა ადა-
მიანთან, იღებს და გასცემს ინფორმაციას (ცოდნას), ანგითარებს ყველა საკუ-
თარ თვისებასა და ნიჭს, დისკუსიის/დიალოგის პროცესში.

ასობრივი ინფორმაციის საშუალებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი
შემადგენელი ნაწილია ტელევიზია.

ტელევიზია საოცარი გამოგონებაა, რომელიც საშუალებას გვაძლევს
სახლიდან გაუსვლელად, დილაკზე თითოს ერთი მისტერიო ვეზიაროთ ცხოვ-
რების საკვირველ ფერადოვნებას და დედამიწის ნებისმიერ წერტილში გა-
დავაადგილდეთ სულ რამდენიმე წამის განმავლობაში. მრავალფეროვან
პროგრამათაგან ჩვენ შეგვიძლია ის გადაცემები ავირჩიოთ, რომლებიც უფრო

მოგწონს-გადაცემები ბუნებაზე, უცხო ქვეყნების კულტურასა და ტრადიციებზე, დოკუმენტურ-ისტორიული ფილმები, მუსიკალური შოუ და ტელეთამაშები, კომედიები, ტრილერები, ბოევიკები, სათავგადასავლო თუ საშინელებათა ფილმები და ა.შ.

მართალია, თითზე ჩამოსათვლელი, მაგრამ მოზარდებისთვისაც არსებობს შემეცნებითი ტელეგადაცემები: „ეტალონი“, „ყველაზე ჭკვიანი“ და სხვ., რომლებიც ცდილობენ ახალგაზრდებში სიკეთის, თანაგრძნობის უნარის, სხვისთვის დახმარების გაწევის სურვილის გადღივებასა და განმტკიცებას. ასეა თუ ისე, ტელევიზიის მეშვეობით მოზარდი უდიდესი მოცულობის ინფორმაციას იღებს იმ სამყაროს შესახებ, რომელშიც ცხოვრობს.

რაც უფრო მეტ დროს ატარებს ბავშვი ტელევიზორთან და უყურებს შემეცნებით-გასართობ პროგრამებს, მით უფრო მაღალია მისი ინტელექტის კოეფიციენტი, მით უფრო მეტად აქვს მას განვითარებული წარმოსახვისა და შემოქმედებითი პოტენციალი. ბავშვები, რომლებიც დღეში 2 საათზე მეტ ხანს უყურებენ ტელეგადაცემებს, როგორც წესი, უკეთესად სწავლობენ. მიღებული ინფორმაცია ეხმარება მოზარდს სასკოლო საგნების ათვისებაში.

თუმცა, ყველაფერში ზომიერებაა საჭირო. გადაჭარბებული ტელევიზორის ყურების დროს უფრო ნაკლები დრო რჩება ბავშვს წერა-კითხვის ჩვევათა სავარჯიშოდ, გაკვეთილების მოსამზადებლად, შემეცნებით ინტერესთა და მიღრეკილებათა გასავითარებლად.

დღესდღეობით, ტელევიზია კომუნიკაციის ყველაზე ძლიერ შუამავალს წარმოდგენს. იგი საქმაოდ მრავალმხრივია და მრეწველობის კომპლექსური დარგია.

XXI საუკუნეში, როცა ახალგაზრდობა ნაკლებ დროს ანდომებს წიგნის კითხვას, მათ სულიერ და ზნეობრივ განვითარებაზე ძირითადი პასუხისმგებლობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ეკისრება.

დარწმუნებული ვარ, რომ მომდევნო რამდენიმე წელიწადში ტელევიზია კიდევ უფრო ძლიერ გავლენას იქონიებს კულტურის პოპულარიზაციაზე. ამასთან, ახალგაზრდის განათლებასა და აღზრდის საკითხებში ტელევიზიის მნიშვნელობა და როლი კიდევ უფრო გაძლერდება. როგორც ავტორმა, სატელევიზიო გადაცემა „ეტალონის“ მრავალწლიანი გამოცდილებიდან გამომდინარე შემიძლია დავადასტურო, რომ საგანმანათლებლო გადაცემებს დღეს სოციალური დატვირთვაც მოეთხოვება. თუმცა, ამჯერად მხოლოდ გადაცემის საგანმანათლეობლო-აღმზრდელობით ნაწილზე შევჩერდები. ნებისმიერ ახალგაზრდას ვისაც „ეტალონში“ მოხვედრის სურვილი აქვს, ან უყურებს გადაცემას, ან გაუმართლა და მონაწილეობს, მოეთხოვება ყველა ძირითადი სასკოლო საგნის მინიმალურ დონეზე ცოდნა. ამას ემატება სწრაფი აზროვნების უნარი, რადგან კითხვები ისეა შედგენილი, რომ ოთხი სვარაუდო პასუხიდან ორის გამორიცხვა მარტივად შეიძლება. დარჩენილი ორიდან სასურველი ვერსიის შერჩევისას კი უკვე (ცოდნასთან ერთად) მნიშვნელოვანია ინტუიცია და გარკვეული რისკი. ასე რომ ახალგაზრდები გადაცემის მეშვეობით საჭირო (ცხოვრებისეულ) უნარ-ჩვევებსაც გამოიმუშავებენ. ამასთან, სწორი პასუხები ახალგაზრდა 5 ქულას იღებს, არასწორში – 0-ს, ხოლო თუ თავი შეიკავა – 2 ქულას. კოთხვების შედგენის მეთოდიკა, ქულათა თავისებული სისტემა, და დროის მოკლე მონაკვეთში (15 წამი) სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი: ათანაბრებს განსხვავებული ასკის მქონე მოსწავლეთა (VIII კლასიდან – XII კლასის ჩათვლით) წარმატების მიღწევის შანსს, რადგან უმცროს-კლასების უფრო რისკიანია, უფროსკლასების კი ნაკლებად. პროექტის ის

ნაწილი რომლითაც „ეტალონი“ მსოფლიოს მედიასივრცეში არსებული სხვა ანალოგიური გადაცემებისგან განსაკუთრებით გამოირჩევა გახლავთ, ტელე-გადაცემაში ერთდროულად მონაწილეთა ასაკობრივი დიაპაზონი: 14 წლიდან – 17 წლამდე. ამ მიგნების გამო „ეტალონს“ მედიაპედაგოგისკის სიახლედ („ნოუ ხაუ“) თვლიან. თუმცა, პირადად მე ნებისმიერი საგანმანათლებლო ტელეგადაცემის მთავარ ღირსებად (მათ შორის „ეტალონისაც“) მიმაჩნია ის თუ რამდენად ძლიერ საგანმანათლებლო მოტივაციას უქმნის ახალგაზრდებს. მაგალითად, აღნიშნულ ტელეგადაცემაში კითხვები ისეა შედგენილი, რომ ახალგაზრდებს გადაცემის შედეგაც გაუჩნდეთ სურვილი ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციების მიძიონ.

მაგალითი №1:

გრიგოლ ორბელიანის ცნობილ „სადღეგრძელოში“ ნათქვამია – „თამარის დროშა გაშალეს, შეკრბა დიდუბეს ლაშქარი/ კახი ფარ-შუბით, თუში ხმლით,/ ფშავ-ხევსურს ჰშვენის აბჯარი/ მკლავით ძლიერი ქართლელი, ვით ციხე-ბურჯი მაგარი/ ოსი ფეხმარდი, მთიული ბრძოლაში შეუპოვარი . . .“ რით იქმ მესხი გამორჩეული:

A) მხედრობით; B) თოფით; C) სწავლით; D) მკვირცხლობით.
პ. „ თამარის დროშა გაშალეს, შეკრბა დიდუბეს ლაშქარი/ კახი ფარ-შუბით, თუში ხმლით,/ ფშავ-ხევსურს ჰშვენის აბჯარი/ მკლავით ძლიერი ქართლელი, ვით ციხე ბურჯი მაგარი/ ოსი ფეხმარდი, მთიული ბრძოლაში შეუპოვარი/ მესხი სწავლითა ქებული, გმირი იმერი ზრდილობით, და მშვილდოსნობით აფხაზი, გურული, მეგრი მკვირცხლობით . . .“

მაგალითი №2:

შაპ-აბასის გვერდით დაკრძალულია ერთადერთი ადამიანი, ისიც ქართველი. რომელია ეს ქართველი:

A) დავით აღმაშენებელი; B) ვახტანგ გორგასალი;
C) თეიმურას II - თავდადენული; D) დაუდხან უნდილაძე.

მაგალითი №3:

ერთნაირი ტემპერატურის პირობებში, დიფუზია უფრო სწრაფად მიმდინარეობს:

A) მყარ სხეულებში; B) სითხეებში;
C) აირებში; D) სამივეში ერთნაირად მიმდინარეობს.
პ. აირებში მოლეკულებს შორის ურთიერთქმედების ძალები პარქტიკულად ნულის ტოლია, ამიტომ სხვადასხვა აირები ადვილად აღწევენ ერთმანეთში.

მაგალითი №4:

ნაჯერი ნახშირწყალბადების პომოლოგიური რიგის პირველი წევრია:

A) meTani; B) eTani; C) propani; D) butani.

კ. მეთანი უმარტივესი ნაჯერი ნახშირწყალბადია – შეიცავს ნახშირბადის ერთ ატომს. ერთზე ნაკლები ნახშირბადატომი კი არც ერთ სხვა აირში არ იქნება.

მაგალითი №5:

ეს სიტყვა ლათინური ენიდან არის შემოსული და ნიშნავს – „ვაცხადებ ჩემ საქმედ“. რომელია ეს სიტყვა:

- A) ინიციატივა;
B) პროფესია;
C) პედაგოგიკა;
D) პოლიტიკა.

ქ. ლათინურიდან – „პროფესიონალური“ – გაცხადებ ჩემ საქმეები.

მაგალითი №6:

რის აღსანიშნავად შემოიღეს ციფრი ნული ინდოელმა მათემატიკოსებმა:

- A) წონასწორობის; B) თანასწორობის;
C) სიცადრიელის; D) ჯანმრთელობის.

მაგალითი №7:

ავიცენა ბრძანებდა – „თქვენს ჯანმრთელობაზე იმის მიხედვით იმსჯელეთ, თუ როგორ გიხარიათ გაზაფხულის მოსკოვა და . . .“

- A) დაძინება; B) გათენება;
C) მუგობრის ზარი; D) ლაქტორის დანახვა.

Ճ. ածց ալո ձշեցի օծն ածճալո օծն եօնա, ոզօչյ ազուշյն (980-1037) Յեռմօլո
աժմռեազլյլո յյօմո ոյր. մաս արոեթռջլոնիմուս աժմռեազլյլ
թարմռմաջըյելոաք մոտիկյցզնիյ. զաժմռցյմուս տանաեմագ, ուս յմորյցիսա დա
մյուեցիս յարուս յյօմո ոյր. ազուշյնաւ յըշտվնուս 450-ից մյջո նամրոմի,
Շռմյլուացան հյցինամցոյ մեռլուագ 274-մա մռացիօ.

Педагогический потенциал СМИ и научно-методические основы его реализации

Гоча Ткешелашвили

В статье рассматриваются различные телегames, направленные на воспитание молодежи.

Pedagogical potential of the media and the scientific and methodological basis of its implementation

Gocha Tkeshelashvili

The article discusses the various game show, aimed at training young people.

ინტრიგა, როგორც ვერბალური კომუნიკაციის სახეობა

ივანე ჯაგოდნიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი, კოსტავა 77

გაიძვერობა (ეშმაკობა) – ჰქუის ნიშანია,
ოუმცა არა იმგვარი ჰქუისა, რისი
წყალობითაც ზერთული
მათემატიკური ამოცანები
ამოიხსნება.

გაიძვერობა ქვეგამხედური ჰქუაა,
მათემატიკისათვის უცხო და
შეუფერებელი. იგი განატოლებს,
ათანაბრებს, ათანასწორებს.

უცნობი ბრძენი

ინტრიგა ეშმაკური ჰქუის კონკრეტული გამოვლენაა და ვერბალურ (ანუ მატემატიკური) კომუნიკაციებში სპეციფიკურ სახეობას ქმნის.

ინტრიგის უმთავრესი პროცესუალური აქტებია:

- ოპონენტის ანკესზე წამოგება, სატყუარაო წაქეზება თავის მარყევში გამოყოფის მიზნით;
- შემოვლითი გზის სვლა;
- ადამიანური სისუსტეების – ცნობისმოყვარეობის, შიშის აკრძალული ხილისაკენ ლტოლვისა და ა. შ. – სპეციალურ გამოყენება;
- ინტრიგას რთული სიტუაციიდან სხვის ხარჯზე გამოსვლის ხერხსაც უწოდებენ. აიტომაც მას არაიშვიათად ვერაგობა, ჭუჭყი და სიბინძურე ახლავს.

ინტრიგა სიბნელის პირმშოა, რადგან მთლიანად – განზრახულობიდან რეალიზების ჩათვლით – კომუნიკაციური ინტენციის მოდელირება ზემოქმედების დაფარულობას ემყარება. იგი რეალიზების შემდგომაც შეუმნიველებების რჩეობას. ინტრიგა მისი შედეგების რეალიზების შემდეგაც გაუმჯდავნებებლ-დაფარული უნდა დარჩეს, ხოლო განზრახულობა მხოლოდ ინიციატორისათვის უნდა იყოს ცნობილი.

ინტრიგა ვერბალური კომუნიკაციური სპექტაკლია, სადაც რეჟისორი ჩანაფიქრის უხილავი შემსრულებელი აქტიორიც არის, რომელიც ადრესატს („მსხვერპლს“) ჩაითრევს თამაშში და მანიპულირების ობიექტად აქცევს. რეჟისორი ადრესანტი კი სცენარს იმგვარად და იმ ინტენციით ქმნის და სრულქმნის, რომ ადრესატს დაგებული მახე მოეწონოს და არა მხოლოდ მოეწონოს, სიხარულითაც კი შეასრულოს ადრესანტის მიერ თავსმოხვეული როლი. ინტრიგის პროცესუალური სამკაული სიცილია, რადგან მისი ფაბულა, სიუჟეტის სასაფუძვლო ამბავი სასაცილოა და აქ სასაცილოსა და შესაბამისად სიცილის ორი მხარე, ორი ასპექტი თანახმიერობს:

ადრესანტის („დამდგმელი რეჟისორის“) ინტენციონალური სიცილი, ინტრიგის გესლის შენიდგვის ფუნქციით და ადრესატის მწვავე თვითირონიული სიცილი, გაწილებისა და სინაწელის შეზავებული, იმის შეგრძნებით

გაცნობიერებული, რომ „რაც მოგივა დავითაო, უველა შენი თავითაო“. ოღონდ ამ გაცნობიერებას ვითარების შეცვლის შეუძლებლობაც აღბეჭდავს თავისებური ტვიფარით. და კიდევ: თავისთავზე სიცილს ადრესატის მიერ საკუთარი მდგომარეობის სასაცილოობაც აცინებს; იცინის იმიტომ, რომ უველანირად სასაცილო მდგომარეობაშია. ამ მდგომარეობაში კი საკუთარი ფეხით არის მოხვედრილი, სასაცილო მახის გარდანახვის გამო.

საკუთარ თავზე სიცილი, თვითირონია მოცემულ კომუნიკაციურ დონეზე საკუთარ თავზე სიცილით შესაძლოა ოპონენტის სიცილის რეექსტრის გადაფარვის და ამით ინტრიგის მახიდან თავის დაღწევის გზადაც იქცეს („მსხვერპლი“) საკუთრი თავის ოპონენტზე უფრო ძლიერი დაცინვით ოპონენტს გადააქცევს სიცილის ობიექტად).

ინტრიგას ნებისმიერი ვერბალური კომუნიკაციური პროცესი შეიცავს. მეტყველება ინტრიგის შემცველობას ემყარება, რადგან ინტრიგა მოსმენის აუცილებელი პირობაა. მსმენელს ამბავში ინტრიგა იზიდავს, ინტრიგას ელის და მისი ამოცანებისათვის მზაობა აძლიერებს მოსმენის სურვილს. მაგრამ ეს უკვე სხვაგვარი ინტრიგაა – ადამიანური გონებამახვილობის გამომხატველი. მისი მიზანიც, შესაბამისად, ადამიანის სმენისათვის მახის დაგებაა – მოსმენის იძულების ინტენციის მქონეა და არა მსმენელის პიროვნული დირსების შელახვა, დარღვევა.

ინტრიგის კლასიკურ მაგალითად რიტორიკის თეორეტიკოსებს დამოკლეს ამბავი მოჰყავთ, რომელმას ინტრიგის იმგვარი მეტაფორულობა იტვირთა, რომ საუკუნეთა წიაღ რიტუალურად უსასრულო გარემოებების გამოც კი არ გაფერკმთალდა და არ დაკარგა მეტაფორული ელფერი.

ცნობილია, რომ დამოკლე სირაკუზელი ტირანის დიონისე უფროსის (ძვ. წ. ა. 405-367 წწ.) ფავორიტი იყო. იგი ხელისუფლების დაუსრულებელი ხოტბით ცდილობდა კეთილგანწყობის შენარჩუნებას. გაბეზრებულმა დიონისემ გადაწყვიტა ორიგინალურად ეჩვენებინა დამოკლესათვის, რას წარმოადგენდა რეალურად ხელმწიფის ცხოვრება.

დამოკლე ოქროს ტახტზე დააბრძანეს, ულამაზესი მსახურები მიუჩინეს, რომლებიც მის ნებისმიერ სურვილს მყისიერად აღასრულებდნენ. მაგიდა მის წინ ნუგბარებით იზინიქებოდა. პაერი ნელსაცხებელთა სურნელებით იყო აღსავსე. პირდაპირ მიწიერი სამოთხე მოუწყვეს. მაგრამ ამ სამოთხეში ერთი „მაგრგამ“-იც ჩაუდეს: დამოკლეს თავს ზემოთ, ცხენის ძუით გამობმული მძიმე, ძვირფასთვლიანებინი მახვილი იყო დაკიდული.

დემოკლე თავიდან ისე იყო გარდარეული ბედნიერებით, რომ მახვილს ყურადღებასაც არ აქცევდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისე შეაძრწუნა თავს დაკიდებულმა საფრთხემ, რომ დიონისეს ხვეწნა დაუწყო, ოდონდ აქაურობას მომაშორე და სხვა არაფერი მინდაო.

ინტრიგის ამ სახეობაში ცხადად იკვეთება ინტერნაციონალური გამორჩეულობა, კერძოდ, მისი ეთიკურობა. აქ მიზანი ოპონენტის ცნობიერებით ბეჭებზე დადება კია არაა, არამედ მოვლენის არსში საკუთარი გამოცდილებით წვდომის მცდელობა, ადამიანის რაიმეში შეგონებით დარწმუნებაა. ეს გარემოება კი ცხადყოფს, რომ ინტრიგა, როგორც ვერბალური კომუნიკაციის ტექნოლოგიური მოდელი, არა მხოლოდ არსობრივად და პროცესუალურად არის რთული მოვლენა, არამედ ინტერნაციონალურადაც. ანუ ინტრიგა და ინტრიგანობა ყოველთვის არ არის ცნობიერების და მავნეობის მსახურება. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი მკვლევარი ინტრიგას ადამიანის თანდაყოლილ, ბუნებრივ და აუცილებელ თვისებადაც კი მოიაზრებს;

აცხადებს, რომ ადამიანების ყოფა თოჯინების თეატრს წარმოადგენს იმ გაგებით, რომ ვიღაცის უხილავი ხელი თითებზე გამობმული ძაფებით ასევე მართავს მათს არსებობას და სწორედ ამგვარი ძაფებით არიან ადამიანები ერთმანეთთან დაკავშირებულნი. მართვის სისტემა კი ინტრიგას ემყარება. აქედან კი იმის მტკიცების საფუძველიც იქმნება, რომ ინტრიგანობა ადამიანის სულის ბუნებრივი ფუნქციონირებაა, ადამიანურ ლტოლვა-მისწრაფებათა კატალიზატორია, ადამიანის „მქ” გაცხადებისა და დამკვიდრების ტექნოლოგიური პროცედურული „იდეოლოგია”. უცნაურია, ადამიანებს არ უყვართ ინტრიგის ობიექტურად – „მსხვერპლად” ყოფნა და შინაგანი აღშფოთება ეუფლებათ ინტრიგის საცეცების შეგრძნებისას, მაგრამ დიდ კმაყოფილებას განიცდიან, როდესაც სხვას გაჰვევევნ ინტრიგის ქსელში. როგორც ეტყობა, ადამიანებს ინტრიგა უცნაური ძალის სმევით იზიდავს. თავიდან აშფოთებს, მერმე ეს აღშფოთება წუხილში გადიაზრდება, სულ ბოლოს, როდესაც ინტრიგის შედეგი პრობლემად ჩამოყალიბდება, მისი გადაწყვეტისათვის იწყებს ფიქრსა და ქმედებას.

პრობლემათა ძიება, პრობლემურ არეში ყოფნა და პრობლემათა მოგვარება-გადაწყვეტის მცდელობა კი ადამიანის სულისა და ინტელექტის ბუნებრივი მდგომარეობაა. ეს ვითარება გენიალური სიმარტივით აქვს გაცხადებული ვაჟა-ფშაველას: „მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერი, როცა ვარ შეწუხებული... გონება მსჯელობს საღადაო”. წუხილი პრიბლემათა არსებობის გამო და ძიება ამ პრობლემებისა საკუთარი არსებობის არსის შესაგრძნებად ადამიანის ბუნების შინაარსის მაქსიმა, თავისთავადი მისტერია ინტრიგისა. ასე რომ, პრობლემურობა ადამიანური არსის გამოხატულებაც არის. ეს კი იმასაც ცხადყოფს, რომ ადამიანურობა საქციელია და სხვის საქციელზე რეაგირებაა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ადამიანი თავისი სასიცოცხლოდ აუცილებელი სოციალურობის გამო, მუდმივად თავის მსგავსთა გაერთიანებებში არსებობს, ანუ მუდმივად ადამიანებით დასახლებულ სივრცეში იმყოფება, ხოლო ამ სივრცის არსებობის განმსაზღვრელი ადამიანის თვითრეალიზების მოლოდინია, მაშინ ინტრიგა შეიძლება ადამიანის თვითგანხორციელების პოტენციალადაც განვიხილოთ.

ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ ინტრიგა არა მხოლოდ რთული, არა-მედ სერიოზული ვერბალური და ფსიქოლოგიური კომუნიკაციური ფენომენია. მას ფაქტორულ უნივერსალურ კომპონენტებაც უწოდებენ და ისეთი ასპექტების არსებობაზედაც მიუთითებენ, როგორიცაა კანონზომიერობითობა, იძულებითობა, საგალდებულოებითობა და ა. შ. გამოვლენა-თავშენათა მრავალსახოვნობის ფონზე ინტრიგის არსებითი მახასიათებელი, მისი არსის განმსაზღვრელი ადრესატის ინტენციის (განსაზღვრის) დაფარვაა. თავად განსაზღვრა კი ადრესატის მოლოდინის აბსოლუტურად საპირისპიროა.

ინტრიგის საფუძველი ბრაზი, ჯავრი, გესლია, მაგრამ კოლიზიაში, თავშენის პროცესში, ბრაზიც უკანა პლაზე გადაინაცვლებს, ჯავრიც, გესლიც და საქმეში ჩაერთვება ინდივიდის უფლება (სამართალი). აქ ინტრიგის მთესველის პიროვნება და თავად ინტრიგის თესვა განცალკევდებიან. ინტრიგა მთესველის პიროვნებისაგან განსხვავებულ შინაარსს იძენს – ინტრიგოლოგის კანონებს ემორჩილება. ინტრიგის მთესველის პიროვნება კი თავის ბრაზთან, ჯავრთან და გესლთან რჩება.

ინტრიგის შინაარსობრივ-ვერბალურ ფუნქციონირებაში აშკარად იკვეთება ორი ასპექტი:

- ხერხები, რომელთა მეშვეობითაც რეალიზდება ინტრიგის მიზანი;
- გავლენა და მისი ფორმები.

ხერხები – მიზნის მიღწევის გზები და საშუალებები შინაარსით სუბიექტურია, არჩევანს ემყარება, გავლენა კი ადრესანტის ქცევა-მოქმედებათა შეზღუდვაა.

ადამიანური არსებობა, სამყაროში საკუთარი ადგილის ძიების თვალსაზრისით, ეშმაკობის (ინტრიგის) საჭიროებასაც აღიარებს. ადამიანია ეშმაკობს, ანუ ინტრიგობს; იახლოებს და იშორიშორებს თავის მსგავსებს; ბლოკავს ან წაახალისებს მათს ქმედებებს; ამცირებს ან ადამადლებს მათს პიროვნულობებს და ა. შ. და ამას ვერაფერს უხერხებს ადამიანი, რომლის არსებობასაც ვნებისა და გონების თანაარსებობა განსაზღვრავს და ადამიანის სულში მარადიული სამსჯავროს ბობოქრობას ასაზრდოებს: რასაც ვნება სურვილობს, რისკენაც სულს ვნება უბიძებს, გონება ეწინააღმდეგება ჯიუტად ამ ჭიდილის უსასრულობა ამყოფებს სულს ყოფნა-არყოფნის მუდმივ ზღვარზე, საიდანაც ადამიანური განსაცდელის შიშიც იმზირება, მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა.

ინტრიგის არსის და გამოვლენის ფორმების სირთულე კი იმაში ვლინდება, რომ მისი ბუნების შესწავლისათვის სპეციალური დარგია შექმნილი – ინტრიგოლოგია.

ინტრიგა კომუნიკაციური მოვლენაა, ხოლო ინტრიგოლოგია ინტრიგის ფორმებისა და ხერხების საკუთარი მიზნებისათვის, გამოყენების ხელოვნება, ოპონენტების წინააღმდეგ და ოპონენტებისაგნ თავის დასაცავად.

Интрига, как специфическая форма верbalной коммуникации

Проф. И. Т. Джагоднишвили

В статье рассматриваются вопросы сущности феномена интриги и форм его проявления в вербальных коммуникациях. Указывается, что интрига – своеобразная игривая форма ума и интелекта, является актуальной для современного общества, а потому следует изучать ее проявления.

Intrigue, as specifical form of verbal-communication

Full Professor Iv. Jagodnishvili

In article is discussed the issue of penomenon intrigues and its usage in verbal communication. Indicates, that intrigues is the game form of brain and intelect, which is actual in modern society, that is why it is nessessery to exspore their new discoveries.

ფილოლოგია – Филология – Philology

ფრ. პოლდერლინის სინთეზური ენის სტუქტურები და „პარატაქტიკული” ენა

ნანა ადამია-ხურცილავა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, კოსტავას ქ. № 77.
ენებისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის დოქტორანტი.

ლირიკული ნაწარმოების მხატვრული ინტერპრეტაცია გულისხმობს ურთიერთმიმართების გამოვლნას სინთეზურ ენაში. მასში ყოველი სიტყვა თუ ფრაზა საკრალურ დატვირთვას იძენს. პოლდერლინის მდიდარი შემოქმედების ჭვრეტას ჩვენ შევყავართ მეტად ფერადოვან პოეტურ სამყაროში. მათში განსაკუთრებით შერწყმულია მუსიკალური ჟღერადობა, რომელიც ქმნის საკუთრივ მისი მსოფლისმხედველობის სხვებისგან განსხვავებულ კომპოზიციურ სტილს. ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ მისი თემატური მასალა რთული და დრმაა, სადაც თავმოყრილია მთელი სულიერი სამყარო. პოლდერლინის პოეზიის ჰერმენევტიკულ პერიმეტრზე ერთმანეთს ერწყმის ბიბლიური და პოეტური ენა. მისი შემოქმედება გადადის დროულიდან ზედროულში, მიწიურიდან ზეციურში, ადამიანურიდან დვოაებრივში.

პოეტი მხატვრული აზრების შეკავშირებით ხაზს უსვამს სამყაროსა და ხელოვნების ერთიანობას. მის ნაწარმოებებში გამოკვეთილია უმაღლესი ფორმა, რომელიც ქმნის ერთ მთლიან სიტყვას, სადაც ჩანს სიღრმისკენ ლტოლვა. პოეტის სულიერ აქტივობას ძალას აძლევს დვოაებრივი სითბო და პოეტური ენა, რომელიც ადამიანისათვის ზეციური სამყაროს ხატს წარმოადგენს. ლექსის შიდა შრეებში განვითარებით სიტყვის მისტიკურ-ზებუნებრივი შინაარსი და დვოაებრივი სიბრძნე. ტექსტის სიტყვათა წყობაში ზღვარდაუდებელია პოეტის სულის სინატიფე და დმრთისადმი უდიდესი სიყვარული, მისი პოეტური ცხოვრება თვით ენაში ვლინდება. პაიდეგერის აზრით, პოლდერლინი „პოეტის პოეტია”, იგი სამყაროს შიდამჭვრეტელი და გზის მაჩვენებელია, რომელიც შეიგრძნობს დმერთების ენას, ენაში ამოიცნობა ზეციური სიბრძნე. პოლდერლინის პოეტურ ენაში კოდირებულია სამყაროს სულიერი ჭეშმარიტებანი და ფილოსოფიურ-რელიგიურ-ისტორიული ასპექტები. იგი დგას „დმერთის ელვათა ქვეშ” შიშველი მკერდით. პოეტის ქონბრივ კორპუსში სინთეზური სტრუქტურა ლაიტმოტივად გასდევს მის „პარატაქტიკულ ენას”. პოეტის ენა სინთეზური ენაა და ამავდროულად მიჰყება ცხოვრებისეულ რიტმს, მასში გააზრებულია ენის მისტიკური წიაღი, რომელსაც პოეტი მსხვერპლად ეწირება და ადამიანის სულიერ ცხოვრებაში სრულ პარმონიას ჰქმნის, მისთვის ენა „ოდითგან ენაა დმერთოა”.

ფრ. პოლდერლინი ფილოსოფიური, რელიგიური და პოეტური მეტყველების საფუძველზე ჰქმნის ახალ ბუნებას და ახალ საზოგადოებას. მის მხატვრულ სურათებში ხაჩვენებია არა მხოლოდ პოეტოლოგიური, არამედ ისტორიულ-ფილოსოფიური სახეები. პოეტი მხატვრული ენის შიდა სფეროში

იწყებს ახალი დირებულებების დაფუძნებას, მოდის დიდი სიტყვა, პათეთიკური წყობა და სიტყვის საკრალურობა. პოლდერლინის მკვლევარი თეოდორ ადორნო პოეტის გვიანდელ ლირიკას პარატაქტიკული ნორმის საზღვრავს. პოეტის აზრობრივ სიტყვებში ჩანს დრმა ემოციები და „ბუნდოვანება”, რომელიც იგივე ადორნოს აზრით, „ფილოსოფიას სჭირდება”. მისი აზრით, პოლდერლინმა თითოეულ სტრიქონებში აამეტყველა „სიუცხოვე” და საჩინო გახდა „ენაწყლიანობა”. მან პოლდერლინის გვიანდელ ლირიკაში საჯაროდ გამოიტანა პოეტის „განზრახ- ჩანაფიქრი”. პოლდერლინის პოეზიაში უბრალოდ არ ჩანს აბსტრაქტულობა, პოეტის პოეტური ლოგიკა სუბიექტიდან პრედიკატში გადადის და იგი ამ მოქმედებას „მუსიკალურობით” ავსებს. პოეტური ელემენტების (მეტრიკის, რითმის, ასონანტის, ალიტერაციის) მეშვეობით ადორნო პოლდერლინის თითოეულ სიტყვებში მელოდიურბას ხედავს და პოეტის გვიანდელ ლირიკას ბეთჰოვენის გვიანდელ მუსიკასთან აიგივებს.

„პარატაქტისი” ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს წინადადებათა თანწყობას, რომელიც დამახასიათებელია პოეტის გვიანდელი ნაწარმოებებისათვის. პოლდერლინის მხატვრული ქმნილებები მუსიკალურია, სწორედ მუსიკის მეშვეობით ხდება ენაში დაფარული საზრისის წვდომა და შინაგანი დაძაბულობის მოშლა. პარატაქტიკული ენის ბრწყინვალე ნიმუშებია პოეტის პიმნები „პატმოსი” და „ერთადერთი”, ელეგია „პური და ლვინო”, ლექსი „სიცოცხლის ნახევარი” და სხვანი. თეოდორ ადორნო ფრ. პოლდერლინის გვიანდელ პიმნს „პატმოსს” უწოდებს „უდიდეს პარატაქტიკულ სტრუქტურას”, რომელშიც მოცემულია სინთეზური, გრამატიკული, მუსიკალური, ადამიანური და ფილოსოფიურ-რელიგიურ-ისტორიული აზრების სრულყოფილი თანაფარდობა. ვახდენთ თარგმანის ნაწყვების ციტირებას: „ახლოა და მისაწვდომად ძნელი დვთაება. / მაგრამ სადაც საფრთხეა, იქ მხსნელი იშვება. / წყვდიადში მყოფობენ არწივნი და უშიშრად ფრენენ ალპების ძენი ეთეროვან ხიდებზე უფსკრულის ზემოთ. / ირგვლივ შემოკრებილან დროის მწვერვალი და უსაყვარლესნი ცხოვრობენ ახლოს. / უმწეონი ერთმანეთისაგან ყველაზე მოწყვეტილ მთებზე, / ამიტომაც გვიბოძე წყალი წყალი უცოდველი, / ო, ფრთები გვიბოძე, რადგან უერთგულეს აზრთან მოვიდეთ და უკანვე დავბრუნდეთ კვლავაც”.¹ ასევე შეიძლება წარმოვადგინოთ პოეტის პარატაქტიკული ენის საოცარი ნიმუში, პატარა ლექსი „სიცოცხლის ნახევარი”- (Hälften des Lebens). მოვიყვანთ მის თარგმანს: „ყვითელი მსხლებით და სავსე ველური ვარდებით / ჩაკიდებულა ნაპირი ტბაში / ე. ი., თქვენ მშვენიერნო გედებო ამბორით მთვრალნო / თავს პხრით ღვთიურფეზელ წყალში, / ოჲ, სად ვიპოვი როს დადგება ზამთარი ცივი, / ყვავილებს, მზის ნათებასა და მზის ჩრდილს? / მხოლოდ ცივი კედლები დგანან უსიტყვოდ, / და ქარში მარტო აფქიონი აწერიალდებიან”.²

ლექსის წიადში წარმოჩენილია მიწიერი სამყარო, მისი ზებუნებრივი და მისტიკური შინაარსი, რასაც ადასტურებს ბუნების ელემენტების მისტიკორი. ლექსში იგრძნობა სიახლოვისა და სიშორის ერთიანობის განცდა. ადორნოს შეხედულებით პოლდერლინის „დიალექტიკური რეფრაქცია გადადის სინამდვილის ფორმასა და შინაარსში, რითაც პოლდერლინის ჭეშმარიტი დამოკიდებულება იჭრება კრიტიკულ და უტოპიურ რეალობაში”. (zwischen Form und Wahrheitsgehalt. Dadurch wird die genuine Beziehung Hölderlins zur Realität, die kritische und utopische, weggeschnitten).³

პოეტის წერის მანერაში ვლინდება ბუნების ძალა მთელი მისი სემანტიკური ველებით. ლექსი „სიცოცხლის ნახევარი” ფორმით მცირე

ზომისაა, მაგრამ მსოფლიო მნიშვნელობის, იგი გამოხატავას საყოველთაო ცხოვრებისეულ და პოეტურ კრიზისს. ლექსის მხატვრული ტექსტუალური ქსოვილების შიგნით თამაშობს ღრმა მისტიურ-იდიალისტური ერთიანობის კონცეფცია. თავდაპირველად ვეცდებით მისი ინტელექტუალური სამყაროს განმარტებას. ლექსის ძირითად სტრუქტურებში კოდირებულია ანტიოქიისი და სინოზი, „სიცოხლის ნახევარი”, ზუსტად ამ პრინციპზეა აგებული, ლექსის ძირითადი სტრუქტურა მარტივია, მასში გამოკვეთილია წესრიგი სტროფებს შორის, მოცემულია განშორებისა და სიკვდილის ხაზი. ლექსის სურათის მოხაზულობა და მისი პოეტური შუქრდილები გამოთქვამს სათქმელს, იქმნება რაღაც ისეთი შთაბეჭდილება, რომ ამ პატარა ლირიკული ლექსის პოეტურ ჩარჩოში ჩასმულია მთელი სამყაროს ტრაგიკული სახეები. ლექსის თითოეული ქვეტექსტის ფარული აზრი ხაზს უსვამს ლექსის „პარატაქტიკულ ენას”, რომელშიც თანაფარდობითი წყობითაა გადმოცემული პოეტის პოეტური ხელოვნება. მკითხველი წვდება მხატვრული ტექსტის როლ პერიპეტიებს. ლექსის პირველ სტროფში ჰარმონიული ლანდშაფტი ჰქმნის ზაფხულის განწყობას, რომელიც ასოცირდება აყვავებულ მრავალფეროვან პეიზაჟებთან. ლექსში საინტერესოა ტბის სცენა, სადაც პოლდერლინის მკვლევარის პაულ მალონის აზრით „პოეტი აღწერს ვიზუალურ შთაბეჭდილებებს”. (ჩანს ანტიოქიური პარალელები). გერმანელი მკვლევარის ლ. შტრაუსის აზრით: „თრობა და სიფხიზლე არ უპირისპირდებიან ერთმანეთს, მაგრამ ისინი ერთმანეთს ხომ განსაზღვრავენ, დიახ, ერთმანეთს ერწყმიან”. („Trunkenheit und Nüchternheit seien einander nicht entgegengesetzt. Sie ergänzen einander, ja einander, ja durch dringen einander“). ვილჰელმ დილთვაის შეხედულებით „აქ საუბარია მთლიანობაზე“.⁴ ჰაიდეგერი სიტყვით აქ „იკვეთება ადამიანის ყოფიერება, რომელსაც პოეტი ენაში აფუძნებს“. ლექსი გამოხატავს მბაფრ ემციებს, მდიდარია რაღაცნაირი შეგრძნებებით, სუბიექტური და ობიექტური შთაბეჭდილებებით, იგრძნობა სიცოცხლესთან სიახლოვე, ენით გამოუთქმელი სილამაზე ერთვის ლექსეს. ლექსში „das Trunkene“ (თრობა) უკავშირდება ლვთაებრივ სიფხიზლეს, რომელშიც უხვად არის ფერადოვანი კომპოზიცია, სადაც ჩქეფს ფერთა სილადე. პოეტს ეს ჰარმონიულობა უმაღლეს ხარისხში აჰყავს. ამავე დროს ლექსში მოჩანს ძლიერი სასიყვარულო განწყობილება, რომელსაც ქმნის თავად მუსიკა. თეოდორ ადორნოს აზრით „დიდი მუსიკა შეუცნობელი სინოზია, იგია პოლდერლინის გვიანდელი პოეზიის თაურსახეა“. („Große Musik ist begrifflose Synthesis; diese das Urbild von Hölderlins später Dichtung“). /parataxis, S. 471/.⁵ მეორე სტროფში სიახლოვის ნაცვლად არის დაშორება – „ცივი კედლები“. ყველგან დისპარმონია, „აფქიოთა წკრიალით“ ყველაფერი ქვავდება, ტკივილი სუფევს. იმავე სტროფში ჩნდება პარადოქსი, იგი „მზის ჩრდილში“ დაეძებს დაკარგულ ჰარმონიას. ლექსის ეს შინაარსი გვაგრძნობინებს არა სამყაროს დამოკიდებულებას, არამედ საკუთარ „პოეტურ მდგომარეობას“. ლექსის ცენტრალური სახეა გედი, რომელიც ასოცირდება პოეტან.

საზოგადო მოღვაწე ბეტინა ფონ არნიმის სიტყვით პოლდერლინი მშობლიურ „ენას ეამბორა“. (hat die Sprache geküsst). ამ სიტყვით იგულისხმება ენის ნამდვილი დამოკიდებულება, რომელიც არის დანტესთან, გოეთესთან და სხვა პოეტებთან. პოლდერლინს ჰქონდა მეტად მდიდარი, ღრმა პათეოკური და ფხიზლე ენა, მისი პოეტური აღლო პოეტის სიტყვით რომ ვთქვათ, ესაა „ლვთაების ფხიზლე წყალი“. ენა პოლდერლინისათვის ერთი მხრივ პათეტი-

კურია, მეორე მხრივ შორეული ჟინია და სიფხიზლეა. პოეტს აქვს გერმანული სიფხიზლე, გატაცება კი ბერძნული, ეს სინთეზი ენაში ვლინდება. მისი მოელი პოეტური მარგალიტები „დვოთაების ფხიზელი წყალია”, რომელიც ამდიდრებს პოლდერლინის ღვთიურ ქმნილებებს.

პოლდერლინის მკვლევარმა ვოლფგანგ ბინდერმა გამოხატა თავისი აზრი პოლდერლინის ლექსებზე. იგი ამბობს, რომ პოლდერლინის ლექსები გამორჩეულია, თავისი შინაარსით, რომ იგია „საოცარი ქმნილება” და „განუმეორებელი”, გერმანული ენის სივრცეში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Fr. Hölderlin. sämtliche Werke und Briefe. (Patmos). S. 481 (თარგმანი ჩვენია ნ. ადამია-ხურცილავა). Berlin und Weimar. 1970.
2. Fr. Hölderlin. sämtliche Werke und Briefe. (Hälften des Lebens). S. 447. (თარგმანი ჩვენია ნ. ადამია-ხურცილავა). Berlin und Weimar. 1970.
3. Theodor W. Adorno (parataxis S. 453).
4. Wilhelm Dilthey. Das Erlebnis und die Dichtung. S. 291. Stuttgart. 1957.
5. Theodor W. Adorno (parataxis S. 471).

Структуры синтезного языка и „паратактический” язык Ф. Гёлдерлина

Нана Адамия-Хурцилава

Грузинский технический университет

Тбилиси, ул. Костава №77.

Департамент языков и коммуникаций, Докторант.

Поетический язык Фр. Гёлдерлина особо отличается своей музыкальностью. Гёлдерлин создаёт своеобразный композиционный стиль своего мифосознания, что выявляется в его синтезном и паратактическом языке. В герменевтическом периметре поэзии Гёлдерлина переплетены как мифологические и библейские, так и исторические и философические пласти.

Fridrikh Holderlins synthetical language structures and „paratactical”language

Nana Adamia-Khurtsilava

Technical University of Georgia.

Tbilisi, 77, Costava St.

The doctorant of the Department of Language and Communication.

Fridrikh Holderlins poetic language is particularly distinguished for its musical cadence. Holderlins creates a special compositional style of his perception of the world, which reveals itself in his synthetic and paratactical language.

The hermeneutical perimeter of Holderlins poetry offers an interweaving of mythological and biblical layer as well historical and philosophycal ones.

Концепт «молчание» в творчестве А. Белого

Бондаренко Тамара
Грузинский технический университет
Тбилиси, Костава 77

Молчание. Что же означает это слово? В толковом словаре Ожегова, Шведовой: «Молчать – 1. Не произносить ничего, не издавать никаких звуков; 2. Соблюдать что-нибудь в тайне, не рассказывать о чем-нибудь, не высказываться».

В «Словаре русского языка» под редакцией Евгеньевой: «Молчать –

1. Ничего не говорить, не издавать звуков голосом;
2. Не нарушать тишины, не производить звуков;
3. Не рассказывать, не говорить о ком-, чем-либо, хранить в тайне что-либо;
4. Не проявляться, не давать о себе знать».

В «Толковом словаре русских глаголов» под редакцией Бабенко: «Молчать – не говорить ничего, не издавать звуков голосом». В «Кратком толковом словаре русского языка» под редакцией Розановой: «Молчать – не говорить, не кричать». М. Бахтин считает молчание продолжением беседы, и бывает двух типов. К первому типу относится молчание с паразыковыми и жестовыми заполнениями, ко второму — молчание с полным отсутствием голосовых звуков. То есть молчать и не говорить являются синонимами, но это не всегда так. Можно «молчать», но этим сказать больше, чем если бы произносить целый текст. Поэтому молчание тоже можно считать одним из способов передачи информации т.е. коммуникации. Происходит декодировка текста. При этом возможностей выразить свою мысль через молчание даже больше, чем если речь произносится. Понимание мотивов и культурных концептов, выражаемых молчанием, совершенно необходимо для порождения и правильного прочтения текста, для раскрытия его интеллектуальной и эмоциональной внутренней символики.

С этой точки зрения интересно рассмотрение концепта «молчание» в прозе А. Белого. В эпоху символизма, когда литература находилась в процессе поиска новых средств художественного изображения, начали формироваться те стилевые, образные приемы, которые впоследствии определили лицо поэзии и прозы XX века. Одним из таких способов выразить свою мысль через молчание является цитатность текста. Скрытая цитатность и travestирование образов принадлежат к числу таких находок символизма. В этом контексте и следует рассматривать коллизийный параллелизм, отмеченный выше.

Как верно замечал А. Жолковский, «чаще всего цитируется более или менее явно, кусок текста, образ, сюжетное положение». У Жолковского под словом «цитируется» следует понимать «используется». Необходимо добавить, что не всегда автор использует прямое цитирование текста. Чаще встречается прием скрытой цитации. Цитация может быть завуалированной: когда цитация более или менее очевидна, когда сходными являются общая мысль, перекликающиеся фрагменты.

В «Петербург» А. Белого читаем: «У нее со стен упадали каскады ярчайших неугомонных цветов: очень огненных — там; и здесь — поднебесных. На стенах японские веера, кружева и подвесочки, банты, а на лампах атласные абажуры развеяли бумажные крылья. Софья Петровна Лихутина развешала японские пейзажи. И в комнатах туго набитых диванами, креслами, софами, веерами... тоже не было перспективы». Привлекает внимание восточный антураж комнат и слово «перспектива». Думается, можно предположить, что символы Востока в домашнем

мире Лихутиной призваны выразить, с одной стороны, внешнюю прогрессивность героини, а с другой – более глубокое размышление автора на тему о путях развития России. В этом контексте слово «перспектива» из дизайнера термина превращается в философский. Белый не видит перспективы в ориентации России на Восток («...не было перспективы»). В "Москве под ударом", описывая ненавистную героиню, Белый помещает её в комнату, набитую ненужным хламом, как бы подтверждая, насколько она глупа. *«Здесь шкура пластилась малайского тигра с осколенной головой, глядевшей вставным стеклом глаза; [...] бамбуки занавесили двери, ведущие в спальню; [...] здесь и статуя в рост человеческий негра из черного дерева кошку проскаломпугала»..* В доме все искусственно. Такое же пустое, как и сами хозяева. Хочется вспомнить произведение А.П.Чехова «Попрыгунья», где автор зафиксировал подобное психологическое состояние как характерное для определенных групп общества: *«Ольга Ивановна в гостиной увешала все стены сплошь своими и чужими этюдами в рамках и без рам, а около рояля и мебели устроила красивую тесноту из китайских зонтов, мольбертов, разноцветных тряпочек, кинжалов, бюстиков, фотографий. В столовой она оклеила стены лубочными картинами, повесила лапти... И все находили, что у молодых супругов очень миленький уголок»..* Здесь перед нами налицо цитация целого «куска текста». Антураж комнаты больше говорит о характере героинь, чем, если бы герои заговорили. Внешнее говорит о внутреннем.

Для художников русского символизма характерен интерес к философскому осмыслинию исторически предначертанного пути России. Эта тема в литературе начала XX века развивается в плане переосмыслиния социально-философских и этических тенденций эпохи. Однако авторы-символисты не теряют ощущения единого со всей классической русской литературой корня в своих размышлениях. Авторы-символисты ощущали текст, как явление, живущее самостоятельной жизнью, и в этом плане интертекстуальные моменты схождения русских символистских текстов дают широкую перспективу для выявления таких составляющих русского психологизма, как историческая личность и её художественное воплощение.

Такие ведущие прозаики символизма, как А.Белый и Дм. Мережковский, были вовлечены в единый культурно-этический поток своей эпохи. Для художников русского символизма характерен интерес к философскому осмыслинию исторически предначертанного пути России. Эта тема в литературе начала XX века развивается в плане переосмыслиния социально-философских и этических тенденций эпохи. Наличие в романах образов-символов может сказать больше, чем пространные диалоги героев. В романе Мережковского маску носит Петр и его окружение. Таким образом Мережковский показывает, что реформы Петра, может, и приведут Россию к высшей точке развития, т.е. к «цивилизации», но в то же время это может быть и крахом России. Россия потеряет свою душу. Мережковский против тех жестоких мер, носителем которых в романе является Пётр. Неслучайно в романе есть такие строки: *«Некий мерзкий и престрашный черный Змий, который в никонианских церквях, во время богослужения, на плечах архиереев, вместо святого амофора висит, ползая и стрекочущ; или ночью, обогнувшись около стен царских палат, голову и хобот имея внутри палаты, шепчет на ухо царю».* Здесь сразу же хочется провести параллель с текстом А. Белого: *«Ползучая многоножка ужасна ... Нет предела людской многоножки; ... хвост просунут в Морскую; по Невскому шаркают членистоногие звенья».* В романе "Москва под ударом": *«Спрут» - грозная фантасмагория: имагинация близящейся социальной катастрофы».* В "Серебряном голубе" тоже идёт

речь о некоем неизвестном и страшном Звере: "Слушайте, православные, царство Зверя приходит, и только огнём Духовным попалим Зверь сей...».

Архетипически змея является трансцендентальным символом, олицетворяющим посредника между небом и землёй, т.к. это представитель подземного мира, имеющий дело с наземным миром. Авторы пытаются показать, что приближается время царства архетипического подземного мира, на земле воцарился Аид, здесь нет места живым людям. Змей, «многоножка», длинный хвост, спрут- это одни и те же символы, символы надвигающегося апокалипсиса, катастрофы, хаоса. И если Мережковский и Белый в начале своего творчества такими образами-символами, т.е. «молчанием», описывали свои предчувствия, то в романе "Москва под ударом"(1932год) Белый называет эпоху, в которой он живёт, "*социальная катастрофа*".

Для Белого вся Россия – лишь маска, под которой скрывается истинное, неприглядное лицо. Действие романа "Серебряный голубь" происходит в вымышленном городе, которым может быть любой уголок России. Описание города Лихова применимо к любому городу России. "Лихов был город, не спасаемый, так сказать, никогда, никем и ничем: истребляемый наоборот, желудочными болезнями, пожарами, пьянством, развратом и скукой". Это Россия в миниатюре.

Интересно рассмотреть этимологию названия города "Лихов". Очень часто в романе Белого употребление словосочетания "Лик Духов". Лик Духов отвернулся от города (шире России) и город превратился в Лихов. В этимологическом словаре русского языка дается следующее определение прилагательному "лихой": "В просторечье зло, беда, несчастье". И производные от этого слова: *Лиходейство, лихой* - могущий причинить вред. В русском языке много пословиц со словом "лихо", несущем отрицательный оттенок. "Лиха беда - начало". "Хватить лиха". Нет блага этому городу, пока вновь Лик Духов не обратится на него.

В городе настало "лихолетье" - пора смут, потрясений и бедствий. Уже название города указывает на несчастья, произошедшие в этом маленьком провинциальном городке. Хотя само начало романа никак не указывает на трагический финал. "Россия несчастная страна".

Таким образом, концепт «молчание» является центральным в прозе символистов и является своеобразным стилевым приемом для высказывания тех мыслей, которые являлись доминирующими для авторов начала века.

The concept of "silence" in the prose of Andrei Bely

T. Bondarenko

Georgian Technical University
Kostava Str., 77, Tbilisi, Georgia

Silence can be considered one of the ways to transfer information that is communication. Occurs decoding the text. Opportunity to express his thought through the silence even greater than when it is pronounced. Understanding the motives and cultural concepts, expressed by silence, is absolutely necessary for the generation and correct reading of the text, to disclose its intellectual and emotional inner symbolism.

კონცეპტი "დუმილი" ანდრეი ბელის შემოქმედებაში

თ. ბონდარენჯო

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი, კოხავას 77

დუმილი წარმოადგენს ინფორმაციის გადმოცემის ერთ-ერთი საშუალება, ანუ კომუნიკაცია, რომლის დროსაც წარმოებს ტექსტის დეკოდირება. მოტივების და კონცეპტების აღქმა, რომელიც გადმოიცემა დუმილის მეშვეობით სრულიად აუცილებელია ტექსტის სწორი წაკითხვისატვის, მისი ინტელექტუალური და ემოციური შიდა სიმბოლიკის გახსნისათვის

უსრული წინადადებები დიალოგში

ასმათ ევსაია
ახალციხის სახელმწიფო სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელი
რუსთაველის №193

უსრული წინადადება ყველაზე მეტად დამახასიათებელია ზეპირი მეტყველებისათვის, რომლის არსებითი თავისებურებაა – სიტუაციურობა (წერითი მეტყველების კონტექსტურობისგან განსხვავებით). ზეპირი მეტყველების დამსმარე საშუალებები (მიმიკა, ჟესტიკულაცია) ან აუცილებლად თანმხელები პირობები (ინტონაცია) საშუალებას აძლევს მეტყველს, ბევრი რამ არ წარმოთქვას და აზრი ისე გააგებინოს თანამოსაუბრეს. შაუბრის პროცესში აგრეთვე ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს წინა ნათქვამსაც, რომლის განმეორება ჩვეულებრივ, არ ხდება ხოლმე, თუ რაიმე ლოგიკურ – სტილური დატვირთვა მასზე არ მოდის, სწორედ ამიტომაა, რომ უსრული წინადადებანი ყველაზე ხშირია დიალოგებში. იგი წარმოადგენს “ისეთ გამონათქვამთა გაცვლა-გამოცვლას, რომელიც ბუნებრივად წარმოქმნის ერთულობის საუბრის პროცესში”.(4)

დიალოგის აზრობრივი ერთიანობა გავლენას ახდენს ენობრივ-ინტონაციურსა და რამდენადმე ფორმობრივ თავისებურებებზეც. სწორედ ეს აზრობრივი ერთიანობა განაპირობებს დიალოგურ მეტყველებაში უსრულ წინადადებებს წინა ნათქვამის მიხედვით.

დიალოგში გამოყენებული უსრული წინადადებები შეიძლება წარმოადგენდნენ კითხვაში მოცემული აზრის განგრძობა-შევსებას, დასტურს ან უარყოფას. ასეთ წინადადებებს შეიძლება აკლდეს ერთ-ერთი ან რამდენიმე, ან კიდევ რეალურად არ იყოს წარმოდგენილი არც ერთი სტრუქტურულად აუცილებელი წევრი.

დიალოგური მეტყველებას, მიუხედავად იმისა, თუ წინადადებების როგორი სტრუქტურული ტიპებისგან შედგება იგი, გააჩნია აგებულების თავისი საკუთარი კანონზომიერებები, რომლებიც გამოწვეულია მისი ფორმირების პირობებითა და მიზნობრივი დანიშნულებით: თითოეული რეპლიკა წარმოიქმნება უშუალო საუბრის დროს და ამიტომაც გააჩნია ორმხრივი

კომუნიკაციური მიმართულება. დიალოგის ბევრი სინტაქსური თავისებურება დაკავშირებულია სწორედ საუბართან.

დიალოგზე წინადადებებს შორის გამოიყოფა წინადადება-რეპლიკა, წინადადება-კითხვებზე პასუხი, წინადადება-პასუხები-გამეორებითი კითხვები, წინადადება-დადასტურება ან უარყოფა.

წინადადება-რეპლიკები წარმოადგენენ ძირითად რგოლებს ურთიერთ-მონაცვლე რეპლიკების საერთო ჯაჭვში. დიალოგის რეპლიკაში, როგორც წესი, გამოიყენება წინადადების ის წევრები, რომლებიც გადმოცემულ ამ-ბავს მატებენ რაღაც ახალს და არ მეორდებიან წინადადების ის წევრები, რომლებიც უკვე ნახსენები იყო მოსაუბრის მიერ. რეპლიკები, რომლებითაც იწყება დიალოგი, ჩვეულებრივ, შემადგენლობის მიხედვით უფრო სრულია და დამოუკიდებელი, ვიდრე შემდგომი, რომლებიც ლექსიკურად და გრამატიკულად ორიენტირებენ წინა რეპლიკებზე. მაგალითად:

- იგრიკა? – იკითხავს ერთა.
- მწერმებია, ხალამური გაუჩრია პირ ში.
- ვარდობისაი?
- ქალწულია, კვავილებით შემჯული.
- ბარიალი?

- მეცელება. თაველების გვირგვინი დაუდგამს თავზე.

- ტირისძევები?

- ბერიკაცია, ბუხარს ევიცება.

- ასპანი?

- ბერადირეა...[გამს.]

- А Игрика? – спрашивает мальчик.

– Пастух, в руках у него свирель.

- А Вардобисა?

– Дева в уборе из цветов.

- Мариали?

– Косарь. Венец из колосьев носит он на голове.

- Тирисдени?

– Стариц. Он льнёт к огню.

- Апани?

- Охотник....

უსრული წინადადებები-რეპლიკები განსხვავდებიან პასუხის ან რეპლიკის ხასიათის მიხედვით. ისინი შეიძლება წარმოადგენდნენ პასუხებს იმ კითხვებზე, რომლებშიც წინადადების ესა თუ ის წევრი გამოიყოფა:

- გუშინ დაცვაზე იყავი?
- კი.
- როგორ ჩაიარა?
- იხე, ჩვეულებრივად.
- ბევრი ხალხი იყო?
- არა უშავს, კი.
- შენიშვნები ბლობად ჰქონდათ?
- არა, არც იხე... შიგადაშივ (დოჩან.).
- Был вчера на защите?
- Да.
- Как прошла?

- Ничего, как всегда.
- Много народу пришло?
- Да так, было.
- А замечаний много сделали?
- Нет, не очень. . . кое-какие.

- Здѣсь зоѣа ხარ?
- გამვლელი. . . მოხევიალე. . .
- დამისთევით ხარ თუ საცხოვრებლად?
- იქ შევხდავ. . .
- Ты кто такой?
- Проходящий... странствующий...
- Ночуешь или жисть?
- Погляжу там... (М. Г.).

უსრული წინადაღებები შეიძლება წარმოადგენდნენ იმ კითხვის პასუხებს, რომლებიც მხოლოდ ნათქვამის დადასტურებას ან უარყოფას ითხოვენ:

- Это твои стихи в журнале вчера напечатаны?
- Мои (С. Бар.);
- ях შეხი ლექსები დაიბეჭდა გუშინდელ ურნალში?
- ჩემი.

შეიძლება იყოს პასუხები კითხვებზე შემთავაზებული პასუხების პარიანტებით:

- მოგწონს თუ არ მოგწონს? – პიონერ მან სვენებ-სვენებით.
- მოგწონს – თქვა მან.

და ბოლოს, პასუხები მტკიცების მნიშვნელობით შემხვედრი კითხვების ფორმით:

- Чем же вы живете-то будете?
- А голова-то, а руки-то на что? (М. Г.)
- მაინც რითი უნდა იცხოვოთ
- თავი და ხელები რისთვისდა გვაქვ?
- წინადაღებები პასუხები-გამეორებითი კითხვები:
- Приезжал затем, чтоб тебе предложение сделать.
- Предложение? Мне? (Ч.).
- ჩამოვედი როდ ხელი გთხოვთ.
- ხელი მოხვოთ? მე?

უსრული წინადაღებები დიალოგში წარმოადგენენ რეპლიკებისა და კითხვა-პასუხების ერთიანობას. უსრული დიალოგური წინადაღებების თავისებურებას განსაზღვრავს ის გარემოება, რომ სიტყვებთან ერთად ზეპირ-მეტყველებაში დამატებითი კომპონენტების სახით გამოიყენება არაენობრივი ფაქტორები – ჟესტი, მიმიკა, სიტუაცია. ასეთ წინადაღებაში გამოიყენება მხოლოდ ის სიტყვა, რომლის გარეშეც აზრი გაუგებარია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ა. დავითიანი. ქართული ენის სინტაქსი. თ.1972.გვ.135
2. ლ.კვაჭაძე. თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი. გვ.208

-
3. Т.Н. Колокольцева Специфические коммуникативные единицы диалогической речи. Волгоградский Государственный университет, 2001.
 4. Н.Ю. Шведова. Очерки по синтаксису русской разговорной речи. М., 1960, ст.281
 5. Л.П. Якубинский. О диалогической речи. Петроград, 1986.ст.17-58.

Неполные предложения в диалогической речи

*Asmat Evsaina
Ахалцихский Государственный учебный университет*

Данная работа касается выявлению лингвистических особенностей неполных предложений в диалогической речи художественных произведениях. На основе изучения диалогов русского и грузинского языков был сделан сравнительный анализ их структур. Проанализированы примеры их перевода с русского на грузинский язык, и наоборот. Указаны сходство и различие структур построения неполных диалогических предложений в обоих языках.

Uncompleted sentences in the conversations

*Asmat Evsaina
The teacher of Akhaltsikhe state educational university*

Our current work is related to the identification of linguistic specifics of uncompleted sentences in the conversations of artificial creations. On the basis of investigation of dialogs in Georgian and Russian languages comparison analysis of their structures has been done. Examples of their translation from Georgian into Russian languages and vice versa have been analyzed.

ენა და სამყაროს აღქმა

*ჯანეტა ვარძელაშვილი
თხუ*

სამყაროს შემცნებისა და ამ პროცესში დაგროვილ ცოდნის ამსახველი აზრის გამოხატვის ძირითადი საშუალება არის ბუნებრივი ენა. ენა აფიქსირებს შემცნების აქტებს (კონტინტს), სახელს არქმევს რეალიებს და მოვლენებს, ინახავს ამ სახელებს და იყენებს ინფორმაციას, რომელიც შეკუმშულია ენობრივ ერთეულებში და იშლება მეტყველების დაწყებისას. სამყაროს შესახებ შეხედულებათა უმეტესობა ადამიანს უყალიბდება ენით გაშუალებული მოღვაწეობის პროცესში.

კოგნიცია (ლათ. *cognitio* – ცოდნა, შემცნება და *cogitatio* – აზროვნება, განსჯა) თანამედროვე სამეცნიერო დისკურსში განიმარტება როგორც შემცნებითი პროცესი, რომლის საშუალებითაც ხდება აღქმა, კატეგორიზაცია, გააზრება, ინფორმაციის გადამუშავება; კოგნიცია მოიცავს გარე სამყაროში ადამიანის მიერ საკუთარი თავის შეცნობასა და შეფასებას, სამყაროს განსაკუთრებული სურათის აგებას, რაც ადამიანის ქცევისა და ორიენტაციის საფუძველია. კოგნიცია კოგნიტივიზმის უმთავრესი ცნებაა. იგი მე-20

საუკუნის ბოლოდან აღიარებულია მენტალური, კოგნიტური პროცესების კვლევის სფეროში წამყვან თეორიულ სკოლად.

კოგნიტური კვლევების განმასხვავებელი ნიშანია დისციპლინათშორისობა. კოგნიტურ მეცნიერებაში შემავალი სხვადასხვა დისციპლინა იკვლევს კოგნიციის განსხვავებულ ასპექტებს. ამასთანავე კვლევის სფეროში ერთვება ფსიქოლოგიური პროცესების მთელი დიაპაზონი: აღქმა, ხატოა ამოცნობა, ყურადღება, მეხსიერება, სწავლება, ქცევა, ემოციები, ენა. დღევანდელი მეცნიერებისთვის აშკარაა, რომ სწორედ ენით ხდება ცნობიერება უფრო ბუნებრივად მისაწვდომი: „...ჩვენ შემეცნების სტრუქტურებს მხოლოდ ენის წყალობით ვიცნობთ. იგი გვაძლევს საშუალებას, გამოვხატოთ და აღვწეროთ ეს სტრუქტურები ნებისმიერ ბუნებრივ ენაზე...“ (Кубрякова: 1997, 21). ამგვარად, კოგნიტური ლინგვისტიკა უპირატესად დაკავებულია „სილრმისეული სემანტიკით და დაინტერესებულია პირველ რიგში ენობრივი ფორმების შინაარსობრივი ასპექტებით, /.../ ამიტომ, საკმაოდ ხშირად კოგნიტური მეცნიერების სპეციფიკას უკავშირებენ კონსტრუირებული მნიშვნელობის გამოკვლევის მიმართულებას, მის დინამიკას, მნიშვნელობის ჩამოყალიბების სირთულეს სხვადასხვა კონსტრუქციის ფარგლებში და დისკურსში და ა. შ. (Cognitive Linguistics: Foundations, Scope, and Methodology: 1999).

ამ სამეცნიერო დისციპლინის ძირითადი ამოცანაა ფსიქოლოგიურად ახსნას ენობრივი ფაქტები და კატეგორიები, შეეცადოს შეუსაბამოს ენობრივი ფორმები მათ მენტალურ რეპრეზენტაციებს და იმ გამოცდილებას, რომელსაც იგი ასახავს ცოდნის სტრუქტურის სახით.

კოგნიტური ლინგვისტიკის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია, თუ როგორ ხდება ენობრივი ცოდნის სტრუქტურების რეპრეზენტაცია და მათი მონაწილეობა ინფორმაციის გადამუშავებაში.

ადამიანის აზროვნება მიემართება კონკრეტულიდან აბსტრაქტულისკენ და აგებს სხვადასხვა სირთულის სტრუქტურებს – კონცეპტებს, ფრეიმებს, სლოტებს. სამეცნიერო აბსტრაქციის ამ ჩამოთვლილ ტერმინთა შორის სამეცნიერო დისკურსში უფრო ხშირია ტერმინი „კონცეპტი“. იგი ნომინირდება იმ სიტყვით, რომელიც უფრო ადეკვატურად და კონცენტრირებულად გადმოსცემს მოცემულ რეფერენტში შემავალ აზრს. კონცეპტში ჩახვეული მნიშვნელობა არის ფიქსაცია იმისა, თუ როგორ მიემართება აზრი უფრო მეტად აბსტრაქტული ლოგიკური კონსტრუქტებისკენ რეალიის შემეცნების პროცესში. ენა გამოხატავს მნიშვნელობას, მაგრამ სირთულე იმაშია, რომ მნიშვნელობა „არ შეიძლება დაყვანილი იქნას სამყაროსა და ენას შორის ურთიერთობამდე /.../ მნიშვნელობა ანთროპოცენტრულია, ანუ, ის ასახავს ადამიანური ბუნების ზოგად თვისებებს, უფრო მეტიც, ის კონცენტრულია, ანუ ორიენტირებულია მოცემულ ეთნოსზე“ (Падучева: 1996, 5). ანა ვეჯბიცაიას თანახმად, „თვით ბუნებრივი ენის ბუნება ისეთია, რომ იგი არ ასხვავებს ექსტრალინგვისტურ რეალიებს ფსიქოლოგიურისგან და ენის მატარებლის სოციალური სამყაროსგან“ (Вежбицкая: 1997, 16). ენობრივ ნიშანში მატერიალიზებული აზრი გადმოიცემა კონკრეტული ენის ენობრივი სქემა-სტრუქტურის შესაბამისად. თუმცა მატერიალურ გამოხატვასთან ერთად, ყოველი ბუნებრივი ენა რეალური და წარმოსახვითი სამყაროს სიმბოლიზაციის იდეალური ობიექტია, რომლის იმავდროული მატარებელიცაა ამ ენაზე მოლაპარაკე ყოველი ინდივიდი. ენობრივი ნიშნის ინტერპრეტაცია არის შემეცნებითი ქმედების გაგრძელება,

რომელიც ემყარება აზროვნების ტრადიციებს, ცნების ინტერპრეტაციის ეროვნულ, სოციალურ და კულტურულ კანონებს.

შემეცნება ადამიანის სულიერი შემოქმედების სპეციფიკური სახეა, ეს არის სამყაროს წვდომის პროცესი. ცოდნა კი შემეცნების პროცესის შედეგია. იგი არის სინამდვილის ფრაგმენტის იდეალური სახე, წარმოდგენა საგანზე ან რეალიაზე. ფილოსოფიური განმარტების თანახმად, ცოდნა წარმოადგენს „ურთულეს სისტემას, რომელიც სოციალური მეხსიერების სახით წარმოგვიდგება“. მისი სიმდიდრე თაობიდან თაობას, ხალხიდან ხალხს გადაეცემა სოციალური მემკვიდრეობითობისა და კულტურული მექანიზმების მეშვეობით“ (Спиркин)¹. ბუნებრივი ენა სოციალური მემკვიდრეობითობისა და კულტურის იმანენტურია, ის უშეალოდ ჩართულია ადამიანის სულიერი მოქმედების ამ სფეროებში, ფართოვდება და გარდაიქმნება საზოგადოებასა და კულტურასთან ერთად. ენა ყალიბდება კულტურასთან ერთად, ამავე დროს მასაც აყალიბებს, ასახავს და ინახავს ენის მატარებლის სულიერ და პრაქტიკულ გამოცდილებას.

შემეცნების პროცესში ადამიანი იყენებს არა მარტო გონებას, არამედ გრძნობასაც: გრძნობა გონებას უგზავნის მონაცემებს შესამეცნებელ რეალიაზე, გონება აზოგადებს ინფორმაციას და ამის საფუძველზე აკეთებს დასკვნებს. ფილოსოფიური მეცნიერების ჩარჩოებში ჩამოყალიბებულია შემეცნების თეორია (გნოსეოლოგია/ეპისტემოლოგია), რომელიც მთავარ პრობლემად განიხილავს საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ ჩნდება ცოდნა და როგორ ხდება ის ადამიანისთვის ხელმისაწვდომი. თუმცა ამ პრობლემის ფესვები უნდა ვეძებოთ ანტიკურ ფილოსოფოსებთან. უკვე პლატონისა და არისტოტელებს განსჯებში იკვეთება ამ გლობალური პრობლემის გადაჭრისას ახალი დროის მეცნიერებაშიც აქტუალური ორი ძირითადი მიმართულება: პლატონის იდეებიდან წარმოშობილი რაციონალიზმი და ემპირიზმი, რომელიც სათავეს არისტოტელებს ფილოსოფიაში იღებს.

რაციონალიზმის პოზიციიდან ყოფიერების კანონზომიერებები ადამიანის მიერ გამოიყვანება გონების და ინტელექტის მეშვეობით. ემპირიზმის პოზიციიდან კი – აზრს წინ უსწრებს ემპირიული გამოცდილება. ამ პრობლემასთან დაკავშირებული ფილოსოფიური დისკუსიის ძალზე განზოგადებული შედეგი შესაძლებელია შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ: თუ არც თუ ისე შორეულ წარსულში ითვლებოდა, რომ შემეცნებას აქვს ორი საფეხური – გრძნობითი, „ცოცხალი განჭვრება“ და სინამდვილის რაციონალური ასახვა, მოცემულ ეტაპზე აღიარებულია, რომ მთელ რიგ სიტუაციებში გრძნობითი იმსჯვალება რაციონალურით. ამიტომ შემეცნების დონედ მიჩნეულია ემპირიული და თეორიული, ხოლო გრძნობითი და რაციონალური განიხილება როგორც უნარი, რომელიც არის ემპირიულისა და თეორიულის ჩამოყალიბების საწყისი ბაზა. ითვლება, რომ შემეცნების რეალური სტრუქტურის სწორედ ასეთი გაგებაა აღეკვატური.

ამრიგად, ინდივიდის შემეცნებითი აქტივობა დამყარებულია გრძნობითსა და რაციონალურზე, ხოლო შემეცნების შედეგია ცოდნა სამყაროს შესახებ.

¹ ფილოსოფია : ელექტრონული რესურსი;

მისაწვდომობის რეჟიმი : http://www.gumfak.ru/filos_html/spirkin/content.shtml; მისაწვდომობის თარიღი: 2011 [მაისი-ივნისი]

როგორც სამყაროს ათვისების პროცესი, ასევე ამ პროცესის შედეგები დაკავშირებულია აღქმის ფსიქოლოგიურ ფენომენთან, ხოლო ადამიანის აღქმის აქტივობა თავის მხრივ დაკავშირებულია აღქმის განწყობასთან, რომელიც სამყაროს რეალურობის „მტკიცებულებების“ უწყვეტი ძიების, მათი გამრავლების და ამ რეალურობასთან კავშირის საიმედოობის მოტივაციას ახდენს (იხ. ნათაძე: 1982, 80-88; Старовойтенко: 2001, 77).

აღქმა არის შეგრძნებათა სინთეზი, რომლის შიგნითაც ცალკეული შეგრძნებების ევოლუცია და დიფერენცირება ხდება. აღქმა არის ჩვენი შეგრძნებების განვითარება; ითვლება, რომ ინდივიდს აღქმის პოტენცია დაბადებიდანვე აქვს. ამასთან, როგორც ბ. გ. ანანიევი აღნიშნავს „ადამიანის ფსიქოლოგიურ განვითარებაში, ისევე, როგორც მთელი კაცობრიობის სულიერ განვითარებაში, მჭიდროდ არის დაკავშირებული ორი ტენდენცია: გრძნობითი ხატის ვიზუალიზაცია და გრძნობითი ცხოვრების ვერბალიზაცია...“ (1982, 24). ლინგვისტიკის პოზიციისათვის არსებითია ის ფაქტი, რომ ენის შესახებ არსებულ კოგნიტურ კონცეფციებში უპირატეს „პოსტულატიდ ყალიბდება გრძნობითი, თვალსაჩინო აღქმის განსაკუთრებული როლი ენის აგებულებაში (ამის თაობაზე მაგ. იხ. ლიტერატურის ჩამონათვალი [Carlson-Radvansky, Irwin 1994, 670])“ (Кубрякова: 2004, 76).

რაკი დაწვრილებით არ ვჩერდებით აღქმის თეორიაზე, გამოვყოფთ ორ დებულებას, რომლებსაც ენაში კოგნიტური პროცესების კვლევისთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვთ.

პირველი: აღქმის განწყობა აგარებს უპირატესად არაცნობიერ ან ქვეცნობიერ ხასიათს. თუმცადა, აღქმის თვისობრივი და ძალისმიერი პარამეტრები შესაძლოა გახდეს ინდივიდის სპეციალური გაცნობიერებული ძალისხმევის საფუძველი. ასე ყალიბდება წარმოდგენა აზრის მეშვეობით. შესაბამისად, აღქმის პროცესში ერთვება კონცეპტუალური აქტი: აზრი ანაწევრებს იმას, რაც შერწყმულია არაცნობიერ პერცეფციაში (სტაროვოიტენკო: 2001, 84). როგორც ფსიქოლოგიურ შრომებშია აღიარებული, სწორედ აზროვნება განაპირობებს აღქმულის სიტყვიერ-ლოგიკურ კატეგორიზაციას.

მეორე: აღქმა ტრადიციულად ხასიათდება როგორც „განცდის მოვლენა“, რომელიც შეიცავს ემოციურ-შეფასებით კომპონენტს. და ეს არის აღქმის შეფასებითი და ემოციური სისავსე, რომელიც თავის მხრივ გადაიზრდება აზრის აქტში და პოულობს ვერბალურ გამოხატვას. „ჩვენი გრძნობითი განხოგადებული ხატები, ისევე როგორც ცნება, მოიცავს მოძრაობას და, ალბათ, წინააღმდეგობებს; ისინი ასახავს ობიექტს თავისი მრავალმხრივი კავშირებითა და გასაშუალებებით. ეს ნიშნავს, რომ არც ერთი გრძნობითი მნიშვნელობა არ არის გაყინული ანაბეჭდი“ (Леонтьев: 1975, 71). ეს ზოგადი დებულებები საჭიროებს წმინდა ლინგვისტურ ინტერპრეტაციას და შესაძლებელია ნაწილობრივ დამტკიცდეს ნომინაციის სფეროს მონაცემებითაც.

სახელდების პროცესის არსი მკაფიოდ ჩამოაყალიბა ჩეხმა მკვლევარმა ბ. დოკულილმა: „ახალი სახელდების ჩამოყალიბების ყოველი აქტი გულისხმობს, რომ ცნობიერებაში (ანუ შინაარსი) სინამდვილის განზოგადებული ანარეკლი თავიდან გარკვეული სახით გადამუშავდება, დანაწევრდება და წესრიგდება მოცემული ენის სახელდების უნარის შესაბამისად. მოცემულ ენაში ცნების გამოხატვასთან დაკავშირებული ეს შინაგანი ჩამოყალიბება

ხდება ე. წ. ონომასიოლოგიური კატეგორიებით, ანუ ძირითადი ცნებითი კატეგორიებით, რომლებიც ქმნიან სახელწოდების საფუძველს“ (Докули: 1982, 96). შესაბამისად, ენობრივი სისტემის სემანტიკური კომპონენტი ურთიერთ-ქმედებს შემეცნებისა და აზროვნების სფეროსთან, რომელშიც ლოკალიზდება ადამიანისა და ასახული (ასევე წარმოსახული) გარე სამყაროს დამაკავშირებელი აზრობრივი (მენტალური) მოვლენები და პროცესები.

ჯერ კიდევ ა. პ. პეშკოვსკი წერდა, რომ „გრამატიკა იწყება მხოლოდ იქ, სადაც მიჩნეულია, რომ არა მარტო ბგერები, არამედ სიტყვის მნიშვნელობაც კი არამთლიანია, დანაწევრებულია და ცალკეულ ელემენტებად არის დაყოფილი...“ (Пешковский: 1959, 76). ხოლო 2003 წელს რუსი ლინგვისტი ა. ე. კიბრიკი ამტკიცებს, რომ თანამედროვე ლინგვისტიკის პოზიციონან ცალკეული სიტყვებიც კი შეიძლება განიხილებოდეს „ელემენტებად, როგორც მთელი კოსმოსი“ (Константы и переменные языка: 2003). ამრიგად, თანამედროვე ლინგვისტიკა ემიჯნება ჯერ კიდევ 1963 წელს დ. ნ. შმელოვის მიერ გამოთქმულ (Шмелев: 1964, 87). იდეასაც დიფუზურობის შესახებ, რომელიც ჩადებულია სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობაში. სემები, რომლებშიც ყალიბდება სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა, შეესაბამება სათანადო ცნებების ნიშან-თვისებებს. თავის მხრივ, ცნებათა ნიშან-თვისებები ასახავს მოვლენების, რეალური სინამდვილის ნიშან-თვისებებს, ამიტომ სემები თავიანთ საფუძველში არალინგვისტური ბუნებისაა. მნიშვნელობის ტიპის (პირდაპირი, გადატანითი), სამეტყველო ურთიერთობის სიტუაციის, პრაგმატული მიზანდასახულობის გათვალისწინებით პირველ პლაზე გამოდის სიტყვის მნიშვნელობის გარკვეული მიკროკომპონენტი. ამ პროცესში აისახება სიტყვასთან დაკავშირებული კულტურული წარმოდგენები, ტრადიციები და სხვა არაენობრივი ფაქტორები.

შემეცნების მეშვეობით, რომელიც გადაედინება კულტურულ კონტექსტში და გარკვეულწილად მოცემული კულტურის მოდელს წარმოადგენს, ადამიანი იღებს ინფორმაციას გარე სამყაროზე. ამასთან დაკავშირებით ედვინ ჰათჩინსის ნაშრომში „Cognition in the World“ (1995) მითითებულია, რომ „კულტურა ყველაფერთან ერთად, აყალიბებს თავად ჩვენს შემეცნებას“. რუსი ლინგვისტის ილინის აზრით, კულტურისა და აზროვნების შეძენა ერთი პროცესის ნაწილებია, ხოლო უნიკალურობის ელემენტები შემეცნების ტიპებით არის განპირობებული (Ильин: 2001).

ზღაპრის კლასიფიკაციის მრავალი ცდა არსებობს როგორც საქართველოში, ისე უცხოეთშიც. მაგრამ აზრთა სხვაობა აზრთა სხვაობად რჩება, ვინაიდან ფოლკლორისტიკაში სხვადასხვა თეორიულ მიმდინარეობის, სკოლის წარმომადგენლები ზღაპრს სხვადასხვა თვალსაზრისებიდან განიხილავდნენ. ზღაპრის კლასიფიკაციის ნაირსახეობაც აქედან იღებს სათავეს. დღემდე არსებულ კლასიფიკაციათა შორის, რომელიც საფუძვლად დაედო მომდევნო კლასიფიკაციებსაც, ასახელებენ საერთო შორისოდ არსებულ კლასიფიკაციას, რომელიც შეიმუშავა ფინურმა სკოლამ, კერძოდ, მისმა ცნობილმა წარმომადგენელმა აარნემ. “აარნეს სისტემით ზღაპრები გაიყოფიან სამ ქვეჯანრად. 1. ზღაპრები ცხოველების შესახებ. 2. საკუთრივ ზღაპრები და 3. ანეგდოტები. ყველაზე რთული და მრავალფეროვანია მეორე ქანრი – “საკუთრივ ზღაპრები.” აარნე ამ ქანრს შემდეგ ჯგუფად ყოფს: 1. ჯადოსნური ზღაპრები, 2. ლეგენდარული ზღაპრები, 3. ნოველისტური ზღაპრები, 4. ზღაპრები უგნური ეშმაკის შესახებ. აარნესეული კლასიფიკაციის საფუძვლებზე, ადგილობრივი მასალის ჩართვით, შეიქმნა ცნობილი აარნე-ანდრევას საძიებელი. (Андреев Н: 1929) მნელი არაა აარნე-ანდრევის კლასიფიკაციაში იმის დანახვა, რომ იგი თითქმის მთელი ხალხური პროზის კლასიფიკაცია და არა დამოკიდებულად ზღაპრის ქვეჯანრებისა, მაგრამ მისი მნიშვნელობა მაინც დიდია, ვინაიდან იგი საფუძვლად დაედო სხვა ავტორთა კლასიფიკაციებს. ასე, მაგალითად ვ. მილერიც გამოყოფს სამ ჯგუფს: 1. სასწაულებრივი ზღაპრები, 2. საყოფიერო და 3. ზღაპრები ცხოველებზე, უკანასკნელი პროპრა სამი უძრავი და სამი უძრავი განათლების კატეგორია (Пропп Я: 1928-35)

წარმოდგენილ სქემაში ”კორექტივი შეიტანა ი. სოკოლოვმა. მისი აზრით, ხალხური ეპოსი შეიძლება დაიყოს: ცხოველთა ზღაპრებად, ჯადოსნურ ზღაპრებად, საყოფიერო ზღაპრებად და ზღაპარ ანეგდოტებად. (Соколо Ю: 1941-319) იური სოკოლოვის კლასიფიკაცია წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ მას, ისევ როგორც სხვა კლასიფიკაციებს, მკლევართა ერთი ნაწილი ცალმხრივად მიიჩნევს. ე.ვ პომერნაცევმა კოლექტიურ ნაშრომში “ რუსული ხალხური პოეტური შემოქმედება” ასეთი კლასიფიკაცია შემოგვთავაზა: “ზღაპრები ცხოველებზე, ჯადოსნური ზღაპრები, ისტორიული ზღაპრები, ავანტურისტული და საყოფაცხოვრებო” (Руслан : 1954-242) ალ.ღლონგს საეჭვოდ მიაჩნია “ისტორიული ზღაპრები.” ეჭვს აძლირებს ისიც, რომ ავტორს ამ რუბრიკის ქვეშ განხილული აქვს ლეგენდები თუ გადმოცემები იონე მეოთხეზე, სტეფანე რაზინზე, პეტრე პირველზე... ზღაპრები კია ისინი? ტერმინი ”ისტორიული ზღაპრები” უხეიროა და სრულიად ვერ გადმოგვცემს საქმის შინაარსს”... (ღლონგი ალ: 1963-29)

ქართული ზღაპრის პირველი კლასიფიკაცია მოგვცა ალ. ხახანაშვილმა, მართალია, მ.ჩიქოვანი მას მოგველებულად მიიჩნევს, მაგრამ რამდენადც ზღაპრის კლასიფიკაციას თავისი ისტორია აქვს, საინტერესო მისი აქ წარმოდგენა: “ქართული არაკები, წერდა ალ. ხახანაშვლი, შეიძლება სამ ჯგუფად გავყოთ: 1. ზღაპრები მითიური შინაარსია რომელიც სასწაულებრივ ანუ ფანგაზიურ ელფერით არიან შემოსილნი; 2. ზღაპრები საყოფაქცეონი, სადაც კაცის ზნეობრივი ღირებულებაა დაფასებული; 3. ზღაპრები პირუტყვების მონაწილეობით შევსებულნი. შეიძლება ითქვას, რომ ხახანაშვილისეული კლა-

სიფიკაცია არცთუ ისე მოძველებულია. მითიური შინაარსის ზღაპრებში, რომლებიც სასწაულებრივ, ანუ ფანტაზიურ ელფერით არიან შემოსილი, ჯადოსნური ზღაპრები იგულისხმება და მისი პირველად მოხსენიება კლასიფიკაციში არაა მიუღებელი. ზრაპრები საყოფაქციონში, იგივე საყოფირ ნოველისტური ზღაპრებია. მესამე ადგილზე ცხოველთა ზრაპრები. ხახანიშვილისეული კლასიფიკაცია იმ მხრივა საყურადღებო, რომ მან ზღაპრის სამი ქვეუანრი გამოყო დამოუკიდებლად. ზღაპრის, როგორც უანრის, ასეთი გააზრება მისაღებია.

ქართული ხალხური ეპოსის ახლებური სიუჟეტური კლასიფიკაცია წარმოდგენა მ.ჩიქოვანმა: 1.ცხოველთა ეპოსი, 2. მისნური ანუ ჯადოსნური ზღაპრები, 3. საყოფირო ნოველისტური ზრაპრები, 4. საგმირო ეპოსი, 5. ლეგენდები და 6. ანეგდოტები. მ.ჩიქოვანისეული კლასიფიკაციაში ხალხური პროზის დაჯგუფებაა და არა კონკრეტულად ზღაპრისა...

ალ-დლონტის აზრით, ქართული ზეპირშემოქმედებით გპიკური ნაწარმოებნი, ანუ ხალხური პროზა იყოფა: 1.ხალხურ ნოველად, 2. ხალხურ მოთხრობად და 3. ხალხურ რომანად. (დლონტი ალ:1963-31) ხალხური მოთხრობას მკლევარი “ზღაპრული ეპოსის ძირითად, განსამზღვრელ ქანრად მიიჩნევს. “აქ გვაქვს: ცხოველთა ზღაპრები, ჯადოსნური მოთხრობები, ლეგენდა-გადმოცემები, საგმირო თქმულებები... რომ ხალხური მოთხრობა იტევს ყველაფერს, რასაც ფართო გაგებით ზღაპარი ჰქვია” (დლონტი ალ:1963-31).

რასაკვირველია ზღაპრის კლასიფიკაციის სხვაგვარი ცდებიც არის, მაგრამ დამოწმებული-დანაც აშკარაა, რომ პრობლემა ძალზე რთულია. თი-თოეულ მკლევარს საკუთარი, დამოუკიდებელი პოზიცია უკავია ზღაპრის კლასიფიკაციის საკითხში. ასე, მაგალითად, ალ. დლონტი დღეემდე არსებულ კლასიფიკაციებს ნაკლად მიიჩნევს იმას, რომ “მკლევარები ზღაპრული ეპოსის კლასიფიკაციისას ამოდიოდნენ ტრადიცული სქემიდან.. გვერდს უვლიდნენ ზღაპრებს, როგორც მხატვრულ ნაწარმოებებს, რომ ასეთი კლასიფიკაცია იყო ცალმხრივი” (დლონტი ალ: 1963-27).

როგორც ვხედავთ, ზღაპრის კლასიფიკაციის საკითხი ზღაპარმცოდნების ერთერთ რთულ პრობლემად რჩება. მკლევართა მიერ ზღაპრის ისე ფართოდ და ყოვლისმომცველი მნიშვნელობით გააზრება, რომ მასში მთლიანი ხალხური პროზა გაერთიანდეს, გადახედვას საჭიროებს. ვფიქრობ, რომ კლასიფიკაციაში არ უნდა შევიტანოთ ისეთი დამოუკიდებელი მნიშვნელობის სპეციალისტი ჟანრები, როგორიცაა: საგმირო ეპოსი, ლეგენდები, თქმულებები, გადმოცემები და ანეგდოტები. ჩვენთვის მისაღებია რ. ჩოლოვაშვილის ზღაპრის ქვეუანრებად დაყოფა. ცხოველთა ეპოსი, ჯადოსნური ზღაპრები, ნოველისტური ზღაპრები.” (ჩოლოვაშვილი რ.2004-6) ნაშრომში კარგადაა ნაგრძნობი ზღაპრის ბუნება, სამივე ქვეუანრი თანმიმდევრულადაა განხილული და მათ შორის უძველესი რწმენა-წარმოდგენების საერთო საფუძვლებია გამოვლენილი. ჩვენთვის იგი ზღაპრის კლასიფიკაციაა, ყველაზე უფრო მისაღები სხვა კლასიფიკაციათა შორის, ჩვენ განსხვავებულად გვესახება პრობლემა, კერძოდ ჩვენეული კლასიფიკაცია ასეთია: 1. ჯადოსნური ზღაპრები, 2. ფანტასტიკური, ანუ ისეთი ზღაპრები, რომლებშიც ადამიანის ფიზიკური და გონებრივი უპირატესობებია დადასტურებული, 3. ცხოველთა ეპოსი და ნოველისტური ზღაპრები. ამგვარი კლასიფიკაცია საკამათო იქნება, ზღაპრის მკლევართა უმეტესი ნაწილისათვის მიუღებელიც, განსაკუთრებით მეორე

ტიპი ზღაპრებისა, სადაც ადამიანის ფიზიკური და გონებრივი უპირატესობაა დადსტურებული. ასეთი გაბედული ნაბიჯის გადადგმა გაგვაბედვინა სვანური ჯადოსნერი ზღაპრის არქაულობებმა, თემატიკურმა სიმდიდრემ და რთულმა სიუჟეტურმა აღნაგობამ. კლასიფიკაციაში პირველს ტიპიური ჯადოსნური ზღაპრებს ვუწოდებთ. ამგვარ სახელწოდებაში ჩვენ განსხვავებულ შინაარს ვდებთ. საქმე იმაშია, რომ სვანურ ჯადოსნურ ზღაპრებში უფრო სრული სახითაა შემორჩენილი ანიმისტური და ტოტემური მსოფლწარმოდგენილთა ნიშნები უძველესი დროიდან დღემდე. ასე, მაგალითად, “სახლიდან გასულ გმირს უდაბურ ტყეში მუხა დაეხმიანა: ”ჭაბუკო, საით მიდიხარ, მაინტერესს შენი ვინაობა, “გასაჭირსაც ჰქითხავს, რჩევა-დარიგებასც აძლევს, გამოცდასაც უტარებს... ე.ი. ადამიანის შემწე ხე-მცენარეა. იგი ზღაპრის პერსონაჟია... სხვა შემთხვევაში ასეთიები არიან: ალვის ხე, ცაცხვი (სვანური 1939 :) ასეთ ზღაპრებში არ ჩანს გმირის დამოუკიდებელი ქმედება, იგი მთლიანად მინდობილია გარეშე ძალებს და ამ ძალებითაა მართული. ფათერკებით ადსავსე გზების გავლით საბოლოოდ განახლებული უბრუნდება თავის კერას, სახლს და კარგ ცხოველებას ეწევა. მაგრამ არის მთელი რიგი ზღაპრებისა, სადაც გმირი საკმარისად აქტიურია, ძლიერია, მოხერხებულადაც ქმედობს, სიტუაციაში გარკვევის უნარიც აქვს, ეძებს მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლის საშუალებებს და აღწევს კიდეც, რასაკვირველია დამხმარე ძალებით. ამასთანავე, ზოგჯერ გმირი თავის ფიზიკურ ძლიერებითაც ეწევა საწადელს. ასე, მაგალითად “ზღაპარი უხეიროსი.” უხეირო იმდენად ძლიერია, რომ მან ამინდის გამგებელი ელია აიძულა რომ დაელოცა, ცოტას ჭამდეო.” (ხალხური 1964) სწორედ ამ გვარი ზრაპრები მიგვაჩნია გარდამავალ საფეხურებად ტიპიური ჯადოსნური ზღაპრებიდან ცხოველთა ეპოსამდე.

ცხოველთა ეპოსი ზღაპრის ყველაზე არქაულ ქვეჯანრადაა მიჩნეული სამეცნიერო ლიტრატურაში. ცხადია, მასში მოქმედი პერსონაჟები ცხოველებია. მათ ურთიერთობაში მტრობა, სიცრუე, დალატი, სისახტიკე ჩვეულებრივ მოვლენაა, აქ სრული უპასუხისმგებლობაა. ისინი ერთმანეთს ხვდებიან, მმობილდებიან, სამეურნეო საქმიანობასაც ეწვიან, მიწას ხნავენ, თესავენ, მკიან. მიუხედავად ამგვარი ურთიერთობებისა, ბოლო მაინც ტრაგიკულია. ცხოველთა ეპოსის სამყარო გაუტანლობას, ურთიერთმოღორების, მუხანათობას, პრინციპულად ანტაგონისტიკური სამყაროა. იგი შორს დგას ჯადოსნური ზღაპრის სიუჟეტისაგან. მართალია, აქაც არის მაცნე, ცრუ გმირი, მაგრამ არიან შემწე და მჩუქებელნიც. ცხოველთა ეპოსში არ არსებობს შემწე. ასეთი მხოლოდ საკუთარი თავია. ამა თუ იმ გვარის ცხოველი საკუთარი ძალითა და უნარით აღწევს თავს ხიფათისაგან. რა არის თითოეული გვარის ცხოველის ასპარეზზე გამოსვლის მიზეზი, ჩვენთივის უცნობია. მას არ ჰყავს შინიდან გამსტუმრებელი. ისინი გზაში ხვდებიან ერთმანეთს, მმობილდებიან, მაგრამ დამმობილება არასოდეს მთავრდება მშვიდობიანდ. მელამ თავისი მმობილ მგელს, რომელმაც თავისი წილი ერბო შეუჭამა, არ აკმარა მოტყუება და ტყავი გააძრო. მათ შორის ერთიანობა არ არსებობს, მმობა-მეგობრობა უმაღვე წყდება. ცხოველთა ეპოსში ყველაზე მოხერხებული მელამ, დათვი გულუბრუყვილობის განსახიერებაა, მგელი სიხარბის და გაუმაძღვრობის. თუ სამონადირეო ტრადიციებს გავითვალისწინებთ დასახელებული ცხოველები სრულებითაც არ არიან ისეთები, როგორც ცხოველთა ეპოსია, დათვს არ აკლია ეშმაკობა და სიფრთხილე, მაგრამ მელა მაინც განსაუთრებულად ხერხიანია, იგი მისი საბინადროს

ზედმიწევნით კარგი მცოდნეა, აქვს თავისი საწვრთხელი ბილიკები, წყალზე გადასახტომი, სამალავიც, ამიტომ მასზე დადევნებულ მწევარ-მეძებრებს და მონადირეს იოლად უბევეს გზას, სწრაფად უსხლტება ხელიდან. როგორც ჩანს, ხალხის ფანტაზიაც მოხერხებულ ქმედებს ანიჭებს უპირატესობას და არა დიდ ფიზიკურ ძლიერებას, რომელიც დათვშია განსახიერებული. როგორც ვხედავთ, ცხოველთა ეპოსი ძალზე რთული ქვეჯანრია. მათ ერთიმეორის მოტყუება, გაუტანლობა, სისასტიკე მრავალმხრივაა დამაფიქრებელი... იგი მართლაც შორს დაგას ჯადოსნური ზღაპრის სიუჟეტისაგან...

ზღაპრის სპეციფიკური ქვეჯანრია ნოველისტური ზღაპრები. აქ ჩვეულებრივი ადამიანები არიან თავიანთი ყოველდღიური საქმიანობით, მიზნებითა და საყოფაცხოვრებო ინტერესებით. მათ ქმედებაში თითქოს საარსებო საშუალებებია წამყვანი: მდიდრდებიან, განძს იპოვნიან, სოვდგრებისა და ყაჩადის სიმდიდრეს ეუფლებიან, სამი მმაში ან ორში ერთი ზარმაცია და სხვა. მაგრამ ხდება ისე, რომ სწორედ ამგვარს მოემართება ხელი, კი მკითხველისათვის მოულოდნელი ჩანს ალოგიკური, მაგრამ თუ ღრამდ დავაკვირდებით, აქ სულ სხვა სირთულეები, სხვა სულიერი იდუმლებებია დაფარული, რომელიც ზედაპირზე არ ჩანს, მაგრამ ფაქტია, რომ ნოველის გმირიც ისეთივე რთულ დავალებას ასრულებს, როგორც ჯადოსნური ზღაპრის და ცხოველთა ეპოსის პერსონაჟები. ისიც იმქვევნიური საიდუმლო სიბრძნის მცოდნეა, ზღაპრის კლასიფიკაციაში მას კუთვნილი ადგილი უნდა მივუჩინოთ.

Вопрос о классификации сказки в грузинской фольклористике

Otar Oniani

Вопрос классификации сказок является одним из наиболее сложных вопросов, в частности признан сложнейшей проблемой сказоведения.

The question of classifying tales of Georgian folklore

Otar Oniani

The classification of fairy tales is one of the most difficult issues, in particular recognized the great challenge of skazovedeniya.

ფრეიმი, მისი ბუნება, მნიშვნელობა და ზოგადი დახასიათება

თ. ბეტრიაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
თბილისი კონფარუს 77

ენა აზროვნების გამოსახვის საშუალებაა. ადამიანი შეიმეცნებს გარესამყაროს და ეს პროცესი ენით არის გაშუალებული. ვინაიდან რეალური სამყარო

ადამიანის მიერ ცნებების მეშვეობით აისახება, ენა, როგორც ნიშანთა სისტემა, უნდა განვიხილოთ, როგორც ცნებისა და აკუსტიკური სახის (ფორმის) კავშირი. აზრი, როგორც რეალურ სამყაროში მიმდინარე პროცესის ენობრივი ასახვა, ენობრივი სისტემის ორ დონეზე - სიღრმული და ზედაპირული სტრუქტურის დონეზე აისახება. ენის სიღრმისეულ სტრუქტურაში აისახება ცნებები და მათ შორის არსებული ლოგიკური მიმართებები, იგი განიხილება, როგორც ერთგვარი ინვენტარი წინადადების წარმოსაქმნელად; ზედაპირულ სტრუქტურაში კი ტრანსფორმაციის შედეგად ხდება მატერიალიზაცია: ამასთან, მორფოლოგიურ დონეზე ხდება აღსანიშნის მორფოლოგიური მატერიალიზაცია, სინტაქსურ დონეზე კი იმ ლოგიკურ მიმართებათა მატერიალიზაცია, რომელიც არსებობს ცნებებს შორის ენის სიღრმისეულ სტრუქტურაში.

ფრეიმის თეორიას პრაგმატული საფუძვლები აქვს. მისი გამოყენება შეიძლება სხვადასხვა სამეტყველო დარღვევის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის დროს აფაზიოლოგიაში, სურდოპედაგოგიკასა და ფსიქიატ-რიაში; უცხო ენების შესწავლასა და მშობლიური ენის გრამატიკის შესწავლის საქმეში. განსაკუთრებულია ბავშვის მეტყველების შესწავლაში, სასამართლო ფსიქოლოგიასა და კრიმინალისტიკაში (ნ. ტინბერგენი, 39, 64–76).

თემის სიახლე გამოიხატება ფრეიმის შეპირპისპირებით კვლევაში თანამედროვე ინგლისური და ქართული ენების მაგალითებზე, რაც აქამდე არ გაკეთებულა და რომელიც, ვიმედოვნებთ ზოგადი და, კერძოდ, კოგნიტიური ლინგვისტიკის თეორიულ ასპექტებს ახლებური კუთხით წარმოაჩენს.

უაღრესად საინტერესოა ფრეიმის მოდელირების გზით აგება. ეს გულისხმობს აბსტრაქტული სისტემების (მოდელების) შექმნას, რომელთა შემდგომი სპეციფიკისა და ინტერპრეტაციის შედეგად განსახილველ ენებს მივიღებთ. ასეთი მოდელები ერთგვარად იდეალიზებულ ენობრივ სქემებს მოგვცემს, მაგრამ იდეალიზებული ობიექტების აგება ემპირიულ მეცნიერებაში რეალურ ობიექტთა შესწავლის აუცილებელი პირობაა: ეს ობიექტები ხშირად მეტად რთულია და მათი კვლევა შეუძლებელია გამარტივებისა და იდეალიზაციის გარეშე. მაგალითად, ენათმეცნიერი, იდეალიზებულ ენობრივ მოდელს აგებს და რეალურ ენებს ამ მოდელთან შედარების გზით ახასიათებს. ენის, როგორც ნიშანთა სისტემის ბუნების გარკვევა მისი სტრუქტურის შესწავლით დავიწყეთ. ასეთი სისტემების თავისებურებათა დახასიათება საშუალებას მოგვცემს უფრო ნათლად და მკაფიოდ წარმოვიდგინოთ ნიშანთა ისეთი რთული სისტემის აგებულება, როგორიც ადამიანის ფრეიმული ენაა.

მაგალითად, სინტაქსური აგების ნაირგვარობა, რომელიც ზმნური თავისებურებებითაა შეპირობებული, შესაძლებელი აიხსნას შინაგანი და გარეგანი ფაქტორებით.

შინაგან ფაქტორებს განეკუთვნება ის, რომ, მაგალითად, ინგლისურში ზმნას შეუძლია შესიტყვება წარმოქმნას, რომელიც სტრუქტურული ტიპების მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რომლებიც რთული შესიტყვებების ფარგლებში გაცილებით დიდი სიღრმისა და საკმაოდ რთულ სინტაქსურ კონსტრუქციებს ქმნიან. გარეგან ფაქტორებად შეიძლება სიტუაციური მართვის

მრავალფეროვნება და რეალობაში არსებული თავისებურებები, რომელიც მათ მრავალფეროვან რეპრეზენტაციასა და ზმნურ ლექსემებთან დამახასიათებელ შერწყმას გულისხმობს.

ფაქტორბივი მასალის ანალიზი ფრეიმის ფარგლებში სინტაქსური აგებულებების ყველაზე რეკურენტულ ტიპებს გამოგვაყოფინებს. აქვე მოვიყვანთ სინტაქსური აგებულების მოდელების წარმოსადგენად პირობით აღსანიშნებს: P – კომპონენტი პრედიკატის რეპრეზენტაციის საშუალება; S - კომპონენტი სუბიექტის რეპრეზენტაციის საშუალება; O - კომპონენტი ობიექტის რეპრეზენტაციის საშუალება; A - კომპონენტი ხერხის რეპრეზენტაციის საშუალება; A1 - კომპონენტი დროის რეპრეზენტაციის საშუალება; A2 - ტერმინალური კომპონენტი ადგილის რეპრეზენტაციის საშუალება; prep - წინდებული; pron – მიმართებითი ნაცვალსახელები, რომელიც განსაზღვრებით დამოკიდებული წინადადების ერთ-ერთ ვარიანტს წარმოგვიდგენს; აღნიშვნების მოცემული სისტემა ცოტათი გამარტივებულია აღწერის გამარტივების მიზნით. მაგალითად, S სიმბოლოს მიერ აღინიშნება არა მხოლოდ მაღალი კომპონენტის – სუბიექტის ვერბალიზაციის საშუალება, არამედ ლექსემაც, რომლითაც ხდება ტერმინალ სუბიექტის ხასიათის რეპრეზენტაცია – president = former president = S. ეს ეხება კომპონენტი ობიექტისა და ობიექტის მახასიათებლების ლექსემა-რეპრეზენტატივებს (ჯ. სირლი, 3; 32–36; რ. ფინმანი, 5; 68–70).

ფრეიმის ვერბალიზებული კომპონენტები მარტივი წინადადების შემადგენლობაში მოქმედებითი თუ ვნებითი გვარის ზმნების გამოჩენას გულისხმობს. ასევე რთულ თანწყობილ და რთულ ქვეწყობილ წინადადებებში განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებების სახით შემდეგ სინტაქსურ კონსტრუქციებს განსაზღვრავენ: SO.SOa.SOa1. SOa2. SOaa1.:

The could not lead, but they could capture the whole authories.

კომპონენტი ობიექტის იმპლიკაცია მოცემულ მაგალითში იმით აიხსნება, რომ ეს უკანასკნელი წინარე კონტექსტში იქნა რეპრეზენტირებული. ასეთ სიტუაციებში პრაქტიკულად ყველა მართვის ზმნებს შეუძლიათ ფუნქციონირება.

SOa ტიპის სტრუქტურულ აგებულებას ძირითადად განაპირობებენ ზმნები: rule, reign, govern. ვნახოთ ეს ფაქტორბივ მასალაზე:

The rulers governs in the interests of the ruled.

The president governs with the assistance of an appointed Cuncel of ministers.

ზოგადი ხასიათის თხრობისას, მიზნის შესახებ აბსტრაქტულ მსჯელობაში ან მართვის ხერხების დროს, წინადადების სტრუქტურაში პირდაპირი დამატების არქონა, სტრუქტურის ფრეიმში კომპონენტი ობიექტის უკანა პლანზე გადასვლის გამო:

The rules rather according to the wisdom.

აქედან დასკვნა: სინტაქსური კონსტრუქციების ტიპები: SOa1/SOa2/SPaa1 - SOa შემთხვევაში კონსტრუქციის ნაირსახეობებს წარმოადგენს. ამგვარი მოდელირებიდან გამოტანილი დასკვნა ფრეიმული სემანტიკის ტერმინებით, სინტაქსური

კონსტრუქციის მრავალფეროვნებას გამოხატავს, რომელიც თავად ფრეიმის დინამიკური სტრუქტურით გამოიხატება.

პირობით ნიშანთა სისტემას, რომლის საშუალებით რაღაცის შეტყობინების გაგზავნა შეიძლება – კოდი ეწოდება. ასეთ სისტემებში გვაქვს როგორც სინტაქტიკური, ასევე სემანტიკური წესები. კოდის ნიშნებს შეიძლება სხვადასხვა ფიზიკური ნიშნები ჰქონდეს – რადიოტალღები, ელექტროიმპულსები, წერილობითი ნიშნები... ბუნებრივი ენაც არსებითად კოდია, რომლებშიც ბგერითი ნიშნებია გამოყენებული [ამაზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ] (ჩ. ფილმორი, 4; 24–35).

სამეტყველო აქტის ფრეიმები სტატიკური ფრეიმებია, რომლის კვანძები (სლოტები) ენის პარადიგმატულ დონეს განეკუთვნება და კონკრეტულ ენაში ნომინატორის სემანტიკურ სტრუქტურას. დინამიკური ფრეიმი სინტაგმატიკურ დონეზე ვერბალიზაციის დროს იშლება სამეტყველო აქტის პროტოტიპული ბუნებით, რომელსაც თავისი ენობრივი კორელატი გააჩნია დისკურსის სახით. სამეტყველო აქტის ფრეიმის ყოველი სლოტი სუბფრეიმადაა მიჩნეული, – ესაა გარკვეული ტიპის ინფორმაცია, რომელიც სამეტყველო აქტის „სცენარის“ აღსაწერად რელევანტურია. დისკურსში სამეტყველო აქტის მნიშვნელობა რეალიზდება მისი სუბფრფეიმების ვერბალიზაციით.

კონცეპტუალური კვანძები (სლოტების) შინაარსი ნომინატორის სამეტყველო აქტში ძევს, რომელიც, თვაის მხრივ, სამეტყველო აქტის ფრეიმული სტრუქტურის საფუძველია, და ის ქმნის შინაარსობრივ ინვარიანტს მოცემული ტუპი სამეტყველო აქტისა ეროვნულ ენაში მისი აქტუალიზაციისა და დისკურსის გზით.

სამეტყველო აქტის დინამიკური ფრეიმი ადამიანის კატეგორიულ გამოცდილებას ასახავს კომუნიკაციის პროცესში, როგორც დისკურსული მოღვაწეობის ხერხემალი. სამეტყველო აქტის ანალიზი დინამიკური ფრეიმის ჭრილში პროტოტიპული ფრეიმული სტრუქტურის საფუძველზე (სტატიკური ფრეიმი) საშუალებას იძლევა სამეტყველო აქტის შინაარსისა და გამოხატვის პლანის ადეკვატურად აღწერისა სინტაგმატურ დონეზე კონსტანტური და ვარიანტული შესატყვისობების გათვალისწინებით.

სამეტყველო აქტების თეორიაში სამეტყველო აქტი განისაზღვრება როგორც კომუნიკაციის მინიმალური ერთეული, რომელსაც საკუთარი სტატუსი გააჩნია კომუნიკაციის სხვა ერთეულებს შორის. წინადადება, ამასთანავე, მიჩნეულია ენობრივ ერთეულად, გამონათქვამი კი – მეტყველების ერთეულად, სამეტყველო აქტი – საკომუნიკაციო ერთეულად. ამ გაგებით სამეტყველო აქტი თანამედროვე ლინგვისტურ პრაგმატიკაში ფართო გაგებისაა: ეს არა მხოლოდ მოსაუბრის ინტენციის გამოხატვა, არამედ პიროვნებთშორისი სამეტყველო ურთიერთობა, რამეთუ მასში აისახება სამტყველო ურთიერთობის ბუნება. მრავალი მკვლევარი ამასთან დაკავშირებით ნებისმიერ ინტენციონურ დისკურსს მაკროსამეტყველო აქტად მიიჩნევს. სამეტყველო აქტის ასეთი ფართო გაგებით მხედველობაში იღებენ კომუნიკაციის ყველანაირ სოციალურ, კულტურულ და ისტორიულ ფაქტორს, რომელშიც კარგად ჩანს უკანასკნელ წლებში ლინგვისტიკაში დამკვიდრებული

ანთროპოცენტრისტული ტენდენცია: ყურადღების ცენტრში მეტყველებისა და ეთნოკულტურული ტრადიციების მატარებელი და პიროვნება დგას.

სამეტყველო აქტების ლინგვისტური ანალიზის დროს ძირითად პრობლემას ქმნის სამეტყველო აქტების მნიშვნელობების ინტენციური დისკურსის ვერბალიზაცია. მარტივი (მიკროსამეტყველო) აქტების მნიშვნელობების პროპოზიციული სტრუქტურის ანალიზი სამეტყველო აქტის ნომინატორის გამონათქვამის სიღრმისეული სტრუქტურის კომპონენტური ანალიზის გზით ხორციელდება. სამეტყველო აქტების ინტენციური დისკურსის მნიშვნელობების ტრადიციული ლინგვისტური ანალიზის მეთოდები ამასთან დაკავშირებით არასაკმარისია მნიშვნელობის ბირთვის გამოსავლენად და აღსაწერად, რომელიც რეალიზებული სამეტყველო აქტის მრავალრიცხვოვანი ვარიანტის დისკურსში ვერბალიზაციის დემონსტრაციის საშუალებას იძლევა.

იმის გათვალისწინებით, რომ სამეტყველო ურთიერთობის სიტუაციები სამეტყველო ურთიერთქმედებების კონვენციული ვერბალიზაციის სცენარით ხორციელდება, სამეტყველო აქტის სისტემური კვლევა და აღწერა და ეროვნულ ენაზე ურთიერთობის რეფერენტული სიტუაციის კონცეპტუალიზაციის სპეციფიკა მშობლიური ენი მატარებლების ენობრივ ცნობიერებაში სამეტყველო აქტების ფრეიმული სამეტყველო აქტების გამოვლენითა და აღწერით ხორციელდება, როგორც საურთიერთო სიტუაციის გამოცდილი კოგნიტური ცოდნის რეპრეზენტაციის პრინციპი, რომელიც წარმოდგენილია ენის მატარებლის ენობრივ აზროვნებაში ლინგვოკოგნიტიური სცენარების სახით. ამის გამო, განსაკუთრებული ყურადღბა ექცევა მშობლიურ სამეტყველო აქტში ნომინირებულ ლექსიკურ ერთეულებს. ამ ლექსემების სემანტიკური სტრუქტურა აზროვნებაში აფიქსირებს სამეტყველო აქტის კოგნიტიური სცენარის ძირითად კომპონენტებს და ფრეიმის სამეტყველო აქტის ენობრივ კორელაცის წარმოადგენს, რომელიც თავის თავში შეიცავს მშობლიური ენის მატარებლის მიერ სამეტყველო ურთიერთქმედების კოგნიტიური სქემის სცენარის გაშლის პოტენციალს, სამეტყველო აქტის ფრეიმის დისკურსში აქტუალიზებული ვერბალური განხორციელების ყველა ვარიანტს (კ. ფიშერი, 6; 34–39).

ცოდნის რეპრეზენტაციის სხვადასხვა ერთეულებს შორის ფრეიმი მაქსიმალურად განზოგადოებულია და ამიტომაც ცოდნის უნივერსალურ სისტემას წარმოადგენს და უპირატესად გვევლინება არა როგორც თავად რეპრეზენტაცია, არამედ რეპრეზენტაციის პრინციპად. მ. მინსკის ფრეიმი ქსელის სახით წარმოუდგენია, რომელიც შედგება კვანძებისა და მათი კავშირებისაგან. თუკი ზედა, სუპერორდინალური ქსელის კვანძები ყოველთვის განსაზღვრულია, რამდენადაც ისეთი ცნებებით ყალიბდებიან, რომლებიც მოცემული სიტუაციისათვის ყოველთვის ჭეშმარიტია, სუბორდინალურ დონეებზე მრავალი მწვერვალი ტერმინალი გვაქვს („სლოტები“), რომლებიც მოცემული სიტუაციის კონკრეტული მონაცემებით უნდა შეივსოს (მ. მინსკი, 2; 47–56).

კოგნიტიური ლინგვისტიკის სფეროში გამოკვლევების შედეგად შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ენობრივი კატეგორიზაციის ყველა პროცესი აგებულია ფრეიმირებაზე – კატეგორიული ფრეიმების მეტყველებების ჩასახვისას, როდესაც

ენობრივი ერთეულის მნიშვნელობა ან სტრუქტურები განსაკუთრებულ კატეგორიულ ფილტრს „გადის“ და მოცემული ერთეულებისა თუ სტრუქტურების დანიშნულებას ეთანხმება, რათა შეასრულოს მისი განსაზღვრული ფუნქცია საერთო ენობრივ კონტექსტში, რომელიც ვერბალიზებული კოგნიტიური ერთეულის აზრობრივ მატერიალიზაციას ახდენს. მოცემულ შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ სხვადასხვა დონის კატეგორიულ ფრეიმებზე, რომლებიც მთლიანობაში ენობრივ თეზაურუსს ქმნიან, რომელსაც ადამიანის ენობრივი მონაცემთა ბაზის ფრეიმულ ორგანიზაციის იდეამდე მივყავართ და აქცენტი სწორედ ამ აბზის ორგანიზაციის პრინციპზე კეთდება. ამ თვალსაზრისით ფრეიმი ენობრივი კატეგორიების „შეფუთვა“ და ინტენციურ დისკურსში მათი მატერიალიზაციის ხერხი.

ფრეიმების სტრუქტურულ აგებაში ხუთი თვისებაა გამოყოფილი: ფრეიმების პირველი თვისების მიხედვით ისინი ურთიერთგამსჭვალით ხასიათდებიან; მეორე ადამიანის უნარი ყურადღება მიაქციოს ფრეიმის ნებისმიერ ნაწილს; მესამე თვისებას ფრეიმი დინამიკაში შეჰქავს სააზროვნო პროცესებთან; ფრეიმების მეოთხე თვისების მიხედვით ფრეიმებს დინამიკური არსი გააჩნიათ როგორც ცოდნის ღია სტრუქტურებს, რომელიც ტიპურ ობიექტებზე ან მოვლენებეზე იძლევა წარმოდგენას; ფრეიმების მეხუთე თვისებაა მათი სტრუქტურის ფორმალური წარმოდგენისა. ფრეიმის მაღალი დონეები ფიქსირებულია და ეთანადება იმ საგნებს, რომლებიც ყოველთვის ჭეშმარიტია მოცემული სიტუაციის მიმართ.

ამდენად, ფრეიმი მრავალასპექტიანი კოგნიტიური ფენომენია, რომელიც ენობრივ კატეგორიზაციასთან, ინფორმაციის შენახვასთან და რეპრეზენტაციასთან მჭიდროდაა დაკავშირებული, ასევე მეტყველების ჩასახვასთან და დისკურსი ორგანიზაციასთან.

ფრეიმი ადამიანური ცოდნის კოგნიტიური გამოცდილების რეპრეზენტაციის პრინციპია, რომელიც აერთიანებს კოგნიტიურსა და ენობრივს ინტენციური აზრის ვერბალიზაციის პროცესში, რომელიც ახლოსაა საკვანძო სქემით მნიშვნელობის სათანადო სემანტიკურ/პროპოზიციულ ერთეულთან – ენის სტრუქტურასთან და რომელიც ააქტიურებს მის სათანადო ფრეიმს ენის მატარებლის ცნობიერებაში (მ. მინსკი, 2).

კოგნიტიური ერთეულებისაგან (ცნების, სახის და ა.შ.) განსხვავებით ფრეიმი მომავალი გამოთქმის აზრობრივი ჩონჩხია. რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი ვერბალიზებული აზრი ენობრივ ეტაპამდე ფრეიმის სახით არსებობს. საპირპისპირო პროცესს ვხვდებით მეტყველების დეკოდირების დროს, როდესაც ერთგანზომილებიანი ენობრივი სტრუქტურა იქცევა განათლებული რეციპიენტის საშუალებით ფრეიმულ სტრუქტურად მრავალგანზომილებიან კოგნიტიურ ერთეულად, რომელიც რეციპიენტის ცნობიერებაში სათანადო სახეებსა და ცნებებს იწვევს. აქედან გამომიდნარე, ის ასეთ სახეს მიღებს: 1) ფრეიმის კვანძები; 2) ვერბალური სტრუქტურის მნიშვნელობების, სემები.

ლიტერატურა

1. Croft, William A. and D.A. Cruse (2004). 'Metaphor'. Cognitive Linguistics. Cambridge: Cambridge University Press.
2. Marvin Minsky. Communication with Alien Intelligence *In memoriam*: Hans Freudenthal; Published in *Extraterrestrials: Science and Alien Intelligence* (Edward Regis, Ed.) Cambridge University Press 1985. Also published in Byte Magazine, April 1985.
3. "Minds, Brains, and Computers" by John Searle, in *Philosophy: The Quest for Truth*. Oxford Univ. Press; 5th edition, ISBN: 0195156242
4. Fillmore, Charles J. (1982). 'Frame semantics'. In The Linguistic Society of Korea (eds.).
5. R. Feynman, *The Character of Physical Law*, Modern Library, 1994, ISBN: 0679601279.
6. Fisher, Kimberly (1997). 'Locating frames in the discursive universe'. Sociological Research Online, 2/3.

Фрейм, его природа, значение и общая характеристика

T. Petriashvili, докторант
ГТУ, Тбилиси, Костава 77

В статье рассмотрена сущность фрейма, а также значительное количество деталей, хотя они (эти детали) в данной ситуации не могут быть подтверждены, ибо отсутствие задания не связано «тесно» со свойствами терминала.

Frame, its nature, means and common characteristics

T. Petriashvili
Ph.D.GTU, Tbilisi, 77 Kostava

The article discusses the essence of the frame, and a significant amount of detail, although they (these items) in this situation can not be confirmed because no jobs are not related to "closely" with the properties of the terminal.

გიორგი ლეონიძის მხატვრული ენის შესწავლის ისორიიდან

გამოცემის შეკვეთი
სტუ დოქტორანტი

გ. ლეონიძის მხატვრულ ენაზე უამრავმა მკვლევარმა გამოთქვა აზრი. ვფიქრობთ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ელენე კოშორიძის დაკვირვება, რადგან იგი იმ რეგიონის მკვიდრია, რომელსაც განეკუთვნება გ. ლეონიძე, ამიტომაც მოსალოდნელი უნდა იყოს, რომ სხვებზე უფრო ახლოს გ. ლეონიძის პოეტური ენის თავისებურებათა წვდომის ოვასაზრისით, ამ სამყაროს არსთან იგი უნდა მისულიყო. ხაშმის ენობრივი სამყარო, საიდანაც წარმოშობითაა ე. კოშორიძე გ. ლეონიძის მშობლიური სოფლის პატარძეულის სასაუბრო ენობრივ ტრადიციებთან დიდ განუყოფელ ერთიანობას ქმნის. ე. კოშორიძე უპირველესად ენობრივი ინტერესებით ხელმძღვანელობს და,

აქედან გამომდინარე, გრამატიკული კატეგორიებით ოპერირებს. ის გ. ლეონიძის მხატვრული ენის ერთ უმთავრეს თავისებურებად იმას ხედავს, რომ ჭარბობს შერწყმული წინადადება, თანაც ისეთი, რომელშიც რამდენიმე მსაღვრელს ახლავს განკერძოებული განსაზღვრება. მისი დაკვირვებით, ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადებით აღწევს გ. ლეონიძე იმას, რომ თხოობა უფრო დინამიურია, რადგან ფრაზა ასეთ შემთხვევაში “მდიდარია მსგავსი სტრუქტურების ანუ ერთგვაროვანი აგებულების ხმაბაძვითი სიტყვებით და გამოიჩინა შინაგანი რიტმითაც”.

ე. კოშორიძე წერილში “ენა მდიდარი და მშობლიური”, იმაზე ამახვილებს ყურადღებას, რომ “ლექსიკურ წყვილებს ხშირად შეესაბამება ხარისხის ფრომები” თანაც ისეთი, რომლებიც არსებითი სახელიდანაც კი არის ნაწარმოები, მაგ., “უციაგესი”, “უტოლუმბაშესი” და მისთ.

აღნიშნულის გარდა, ე. კოშორიძე ფიქრობს, რომ გ. ლეონიძის ლექსიკას “სახიერს ხდის მოულოდნელი პოეტური შედარებები”, ხოლო სასაუბრო მეტყველების იერს ანიჭებს სასუბრო სიტყვის მასალა”.

ე. კოშორიძე, აღნიშნულ წერილში არ გასცდენია ენათმეცნიერულ ინტერესთა ფარგლებს და ამის გამო, მისი ანალიზი ქართული ენის გრამატიკულ მორფოლოგია-სინტაქსთან გ. ლეონიძის დამოკიდებულებას წარმოადგენს [კოშორიძე 2000: 10-12].

ე. კოშორიძის გ. ლეონიძის პოეტურ ენასთან მიმართების თავისებურებები მეტი სისრულითა და სიდრმით არის გამოვლენილი წერილში “და ავსებული ბარბაროსულად მიყვარდა სიტყვა მიმინოსებრი” (უურნალი “ლიტერატურა და სხვა”). ამ წერილში ე. კოშორიძე შევცადა დაშორებოდა პოეტის მხატვრული ენის წმინდა ენათმეცნიერულ აღწერა-დახასიათებას და უფრო ენის ფილოსოფიის და ენის ლიტერატურათმცოდნეობითი ინტერსების ასპექტები წარმოეჩინა. ამგვარი გამიზნულობა აღნიშნული წერილისა განსაკუთრებით ცხადად ჩანს დასკვნით ნაწილში. აქ გ. ლეონიძის ლექსიკა-ფრაზეოლოგიაზე ნათქვამია: “ლექსიკა-ფრაზეოლოგია გულუხვადად დაპურებული არამარტო ქართული კლასიკური მწერლობიდან, არამედ ხალხური მეტყველების წიაღიდანაც... პოეტური გზნებით დამუხტულმა მწერალმა ყრმობა ვასილ ბარნოვის ხელში გაატარა... რომლის მდიდარი ლექსიკით გამორჩეული ისტორიული რომანები რიტმული პროზის იშვიათი ნიმუშებია”. ამის იქით გ. ლეონიძის ენობრივი სამყაროს ვ. ბარნოვის პროზასთან კავშირის წარმოჩენის თვასაზრისით, ე. კოშორიძე, სამწუხაროდ, არ მიდის. აღნიშნავს მხოლოდ, რომ “ვ. ბარნოვთან ურთიერთობასაც არ შეიძლებოდა უკვალოდ ჩაევლო” (გვ. 78). არადა ეს მინიშნება კვლევა-ძიების ერთი მნიშვნელოვანი მიმართულების წინაპირობაა, მიმართულებისა, რომლის მიზანიცაა გ. ლეონიძის პოეტური ენის ქართული წიგნიერი სიტყვის სამყაროსთან კავშირისა.

ჩვენი აზრით, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ამავე ნაშრომში გამოთქულ შემდეგ თვალსაზრისს, რომელიც ე. კოშორიძისაგე მითითებით ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ფეხმოკიდებული თვასაზრისის თავისებურ პარაფრაზს წარმოადგენს. ესაა მითითება იმაზე, რომ ქართული ენა გ. ლეონიძისათვის “მხოლოდ გამოხატვის საშუალება კი არ არის, არამდედ შინაფორმაც. თითქოს პოეტის იდეათა სამყარო ენით კი არ ფორმდება, არა-მედ ენიდან” (გვ. 78).

ცხადია, რომ წარმოდგენილი მოსაზრება თანამდეროვე ლინგვისტიკის, მათ შორის, ლინგვოკულტუროლოგიისა და ლინგვოფსიქოლოგიის მონაპოვრებს ემყარება და ენის მომხმარებლის სამყაროს ენობრივი ხატის გაგებით საზრდოობს, რომლის თანახმადაც “ხედვის ფრეიმი” წინასწარ აპირობებს საქმელის ფორმას, რადგან თავადაა მისი შინაფორმა. ეს გამოიხატება იმ თქმით, რომ ენა და მისი სიღრმისეული დონეები, ამ დონეების წვდომის უანარი, არის საზოგადოდ ენის მომხმარებლის, და მათ შორის, გ. ლეონიძის ენობრივი სამყაროს თავისებურების განმსაზღვრელი.

რაც შეეხება გ. კოშორიძის აღნიშნული წერილის ცალკეულ ასპექტებს და გ. ლეონიძის პოეტურ ენაზე დაკვირვების რაგვარობას, აქ, უპირველესად, ყურადღებას იქცევს ე. კოშორიძის ერთ-ერთი სასაფუძვლო არგუმენტი: “საოცრად ფრთხილი და მოკრძალებული იყო გ. ლეონიძის გადსველა პოეზიიდან პროზაში. სახელმოხვეჭილი პოეტი თითქოს უბოდიშებდა მკითხველს თუ თავისი წიგნის პერსონაჟებს: “-მე ხომ თქვენს უბირ ცხოვრბას ვწერ გამოუცდელი პროზაიკოსის ხელით”, - მიმართავს იგი დიდ ხნის წინ დამიწებულ თანასოფლელებს, “უდვოთ ჯაფით დაწრეტილებს”... “ხელჩქარად მომიხდა ამ წიგნის წერა, სულ რამდენიმე თვესში!”” (გვ. 68) აქ აშკარაა, რომ მკვლევარი ერთგვარად “წამოეგო” გ. ლეონიძის თხრობის ხერხს – მობოდიშებას, ცხადია, პოეზიაში უფრო ძნელია საკუთარი სიტყვის თქმა, ვიდრე პროზაში. პროზა მეტ ასპარეზს გადუშლის მწერალს ენასთან სიახლოვის ჩვენების თვალსაზრისით. თუ პოეზიაში ტროპული მეტყველების აუცილებლობა ზღუდავს პოეტს, პროზაში, ამ მხრივ, უფრო დიდი ასპარეზია, ამიტომ, ჩვენი აზრით, დაზუსტებას საჭიროებს გ. კოშორიძის თქმა: “საოცრად ფრთხილი და მოკრძალებული იყო გ. ლეონიძის გადასველა პროზიდან პროზაში” [კოშორიძე 2001: 68-78].

გ. ლეონიძის პროზა, როგორც ცნობილია, გამოკვეთილად “ნატვრის ხით” არის წარმოდგენილი. ესაა მისი ცხოვრების წიგნი, მისი სამყაროს თხრობა. გ. ლეონიძის აზროვნების მეტაფროულობა და მათი ქართულ ხალხურ მსოფლგანცდასთან მიბმულობა უპვე ამ მოთხრობათა კრებულის სათაურში მედავნდება. “ნატვრის ხე” თავისი სემანტიკური გაფორმებით არის ღრმადეროვნული, უზუალურიც და სააგტორო ინდივიდუალურიც. უზუალური იმდენად, რამდენადაც კომპოზიტის პირველი ნაწილი ხალხურია – ფოლკლორული. ხოლო ინდივიდუალურ-სააგტორო იმდენად, რამდენადაც ფოლკლორულ ლექსიკაში გვაქვს ნატვრის თვალი და არა – ნატვრის ხე. აქ ნატვრის ხე მართლა სურვილის ხის სემანტიკასაც იტევს, მაგრამ გ. ლეონიძისეული თქმის ელფერიც აშკარად ატევია.

ე. კოშორიძის დაკვირვებით “ნატვრის ხეში” არეკლილია გ. ლეონიძის მიერ ცოცხალ, ტრადიციულ ყოფაში ძირძველი ქართული სიტყვების ძიების შედეგები. ე. კოშორიძე იმოწმებს გ. ჯავახიშვილის ცნობას იმის თაობაზე, რომ პოეტს უყვარდა “... მაძღარი სიტყვა” არ უყვარდა “ენით მოფინვვლა” და მარტო სამცხე-ჯავახეთში სამსაზე მეტი ასეთი სიტყვა ჩაიწერა.

ე. კოშორიძე კარგად იცნობდა მამის ყრმობის მეგობარს, გ. ლეონიძის და აღნიშნავს: “ბუნებით სათხო და კეთილშობილი მწერალი ვერ ეგუებოდა “უხათრო”, “პილპილიან”, გამძვალებულ სიტყვებს”. “ავი სიტყვა ზამთარია, ტკბილი სიტყვა ზაფხული”, უხეში სიტყვა ადამიანის სულს ატლანქებსო, კაცს ანადგურებსო”. ჭეშმარიტი შემოქმედის სიტყვას, მართლაც, აქვს ამგვარი ძალა, რომელსაც განსაკუთრებით აფასებდა გ. ლეონიძე. ტ.

ტაბიძისადმი მიძღვნილ სხდომაზე მან იმითაც გამოარჩია მეგობარი, რომ მას “არ უყვარდა სიტყვა სიტყვისთვის” და ესმოდა, რომ “ცარიელ სიტყვას უკან რაღაც უნდა მოსდევდეს, რომ სიტყვის იქით უნდა იყოს ხანძარი, წყალ-დიდობა, საშინელება თუ სიხარული” [კოშორიძე 2001: 72]. აქ ის პოეტური მუხტი იგულისხმება, რომელიც სიტყვას მხატვრულ ესთეტიკურ ხარისხში აიყვანს, ის მხატვრული სახეები ივარაუდება, რომელთა მიგნებაც მხოლოდ ბუნებასთან წილნაურ შემოქმედს ხელეწიფება. სწორედ ასეთი შემოქმედია გ. ლეონიძე.

საყურადღებოა ე. კოშორიძის მითითება იმაზე, რომ “გ. ლეონიძე სიტყვას ბიბლიური სიბრძნით უყურებდა, სწამდა, რომ ყოველი სიტყვა დვთით ბოძებული მადლი იყო”, სწამდა ისიც, რომ “სიტყვას შეეძლო გაეთბო და გაეთოშა კიდეც კაცი” (გვ. 69). ცხადია, აქ გ. ლეონიძის ლექსიკის კიდევ ერთი წიგნიერი წყაროა გამომჟღავნებული და ადმდენად სამერმისო კვლევითი ჰერსპექტივების შემცველია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კოშორიძე ე., “ენა მდიდარი და მშობლიური”, ჟურნალი “ბურჯი ეროვნებისა”, 2000 წ., №4, გვ. 10-11; №5, გვ. 11-12;
2. კოშორიძე ე., “და ავსებული ბარბაროსულად მიყვარდა სიტყვა მიმინოსებრი”, ჟურნალი “ლიტერატურა და სხვ”, 2001 წ. №1(3), გვ. 68-78;

Из истории изучения поэтического языка Георгия Леонидзе

Э. Шакиашвили
Докторант ГТУ

О поэтическом языке Георгия Леонидзе писали многие исследователи. Средних последовательностью и глубиной изучения языка произведений писателя выделяется Э. Кошоридзе.

Статье дается оценка языковедческих изысканий Э. Кошоридзе - языковеда.

From the history of the study of poetic language George Leonidze

E. Shakiashvili
Doctoral GTU

On the poetic language of George Leonidze wrote many researchers. Medium consistency and depth of learning the language works of the writer stands E. Koshoridze.

Article assesses the linguistic research of E. Koshoridze - linguist.

გიორგი ლეონიძის შემოქმედება ბესარიონ ჯორბენაძის თვალთახედვით

გეატერინგ შაკიაშვილი
სტუ დოქტორანტი

გიორგი ლეონიძეს ქართული ენის ბუნების, მისი ლექსიკურ-სემანტიკური გელის წვდომა-გათავისებისა და გამომზეურების მხრივ XX საუკუნის მწერალთაგან მნელად თუ შეედრება ვინმე. მისი ენობრივი სამყაროს არსებითი მახასიათებელი ისაა, რომ მოულოდნელად თანამყოფობს ძველი წიგნიერი ლექსიკა (ზოგჯერ ფრაზეოლოგიაც), და თანამედროვე ცალკეული ენობრივი ერთეულები, რომელთა ძირძველი მნიშვნელობა შეცვლილია. ამ ენობრივ მოვლენათა პალი გ. ლეონიძის ნაწერებში აშკარაა, ეს ყოველივე მის ჩამოქნილ ენაში ვლინდება და ამ მწერლის მეცნიერულ, სტილისტიკურ, ლექსიკოლოგიურსა და ლექსიკოგრაფიულ ძიებაში გამოიხატება.

თანამედროვე ენათმეცნიერთაგან გ. ლეონიძის პოეტური სიტყვისადმი ინტერესით გამოირჩევა ბ. ჯორბენაძე, რომელიც გ. ლეონიძის შემოქმედების გამოკვეთილი მკვლევარი არ ყოფილა. იგი პოეტის დაბადებიდან 100 წლის-თავთან დაკავშირებით შეეხო აღნიშნულ საკითხს და თავისი შეხედულებები გადმოსცა ნაშრომში “მუხლადი სიტყვა გ. ლეონიძისა”, რომელიც ცალკე წერილების სახით დაიბეჭდა ურნალში “ბურჯი ეროვნებისა” [ჯორბენაძე 1999: 13-14] ამ ნაშრომში საინტერესოა უპირველესად საკითხისადმი მიღვინა.

ბ. ჯორბენაძე წინამორბედ ენათმეცნიერთაგან იმითაც განსხვავდება, რომ მშრალ გრამატიკალიზაციას და გრამატიკულ სტილისტიკას გვერს უვლის და მწერლის პოეტურ ენაზე დაკვირვების ახალ ხედვას წარმოგვიდგენს. მისი აზრით, “გ. ლეონიძის შემოქმედებაში მთელი სისრულითა და ფერადოვნებით გახმიანდა ქართული სიტყვა. წარმოჩნდა მისი აზრობრივი სიზუსტე და პოეტური ბერადობა. მზისეული სიფიცხე და გაზაფხულის სინედლე. ბრძნული სიდარბაისლე და ჭაბუქური სიკისკასე” [ჯორბენაძე 1999: 13].

ცხადია, რომ ავტორი გ. ლეონიძის პოეტური ენის თავისებურებათა განსაზღვრებებს გვთავაზობს: ესაა ფერადოვნება “აზრობრივი სიზუსტე”, “პოეტური ბერადობა”, “მზისეული სიფიცხე”, “გაზაფხულის სინედლე”, “ბრძნული სიდარბაისლე” და “ჭაბუქური სიკისკასე”. დეფინიციათა (ეპითეტთა) სპეციფიკა მსჯელობის ზოგადობას და პოეტური ენის ოდენ ეპითეტებით დახასიათების მცდელობაა. ცხადია, ავტორი მხოლოდ მიგვანიშნებს და მკითხველმა ამ მინიშნებით უნდა წარმოიდგინოს რადაც გამორჩეული, არაჩვეულებრივი, მაგრამ, სახელდობრ, როგორი, ამაზე პასუხს მოყვანილი ციტატა, სამწუხაროდ, ვერ იძლევა. შესაძლოა საკამათო იყოს ბ. ჯორბენაძის ისეთი გამოთქმაც, როგორიცაა ქართული სიტყვის “აზრობრივი სიზუსტე”, რასაც თითქოს უნდა ვხედავდეთ გ. ლეონიძის ენაში და ესეც იმიტომ, რომ კარგად არის ცნობილი ქართული სიტყვის პოლისემანტიკურობა.

ბ. ჯორბენაძის დაკვირვებით გ. ლეონიძის მხატვრულ ტექსტებში ჩვეულებრივი ქართული სიტყვა კონკრეტულ კონტექსტში განსხვავებულ, “ადრე უქონელ ქდერადობას იძენს” ამ დაკვირვებას, ბუნებრივია, აქვს თავისი საფუძველი, რადგან ნებისმიერი ლექსიკური ერთეული არამხოლოდ ქდერადობას, არამედ სემანტიკასაც კი იცვლის კონკრეტულ კონტექსტსა და

გამონათქვამში. ამიტომაც არ არის გასაკეირი ჩვეულებრივი სიტყვის აღნიშნული ფერისცვალება გ. ლეონიძის მხატვრულ ენაში.

გასაზიარებელია ბ. ჯორბენაძის დაკვირვება იმის თაობაზე, რომ: “პოეტი შინაგანი ალდოთი მიაგნებს ხოლმე ამ სატყვასაც და მის გამანედლებელ კონტექსტსაც.” გასაგებია ავტორის მითოება ეროვნული ბუნებრივი ენის გ. ლეონიძის მიერ ღრმა ცოდნაზე. ცხადია, პოეტის მხატვრული ნიჭიერება სწორედ შესაფერისი სიტყვის მოძებნაშია. აზრის ნიუანსობრივად გადმოცემას სიტყვა და თქმა განსაზღვრავს. ხოლო თქმა ენის ღრმა ცოდნის გარეშე არავის ეძლევა. გ. ლეონიძე ამ მხრივ გამორჩეულია, ამას ცხადყოფს ჩვენი ავტორის დაკვირვებაც: “გ. ლეონიძის ყოველი სიტყვა აზრობრივად დატყირთულია და შინაგანი სითბოთი გასხივოსნებული.” ამ თქმაში ყურადღება გასამახვილებელია ერთ ასპექტზეც “ყოველი სიტყვა... შინაგანი სითბოთი გასხივოსნებული”. ამ მხატვრული თქმის მიღმა გ. ლეონიძის ენის კიდევ ერთი თავისებურება ჩანს. ესაა ლექსიკის გამორჩეულობა. გ. ლეონიძე თავის-თვად პოეტურ ლექსიკურად იმთავითვე განსხვავებულ, რაიმეთი არაჩვეულებრივ სიტყვას კი არ ეძებს, არამედ მშობლიური ენის ლექსიკის მიერ ადამინური სიკეთის, სინათლის და კაცომოყვარების აბსტრაქტული შინაარსების დაკონკრეტების უნარს ამზეურებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გ. ლეონიძე საკუთარი პოეტური მეტყველებით იმას ცხადყოფს, თუ რაღმა ქვეტექსტური, სემანტიკური დონეების მქონეა ქართული სიტყვა.

ბ. ჯორბენაძე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ “გ. ლეონიძეს არ უყვარდა “მაღალსამტვრევი სიტყვები და ფეხმოკლე აზრი”. სწრედ ამიტომ ათქმევინა თავის ერთ-ერთ პერსონაჟს “სიტყვა ვთქვათ, ხალხი დავაძარდვიანოთ!””

პოეტის სიტყვების ციტირება მკვლევარს აქაც გ. ლეონიძის ლექსიკის სპეციფიკაზე ყურადღების გასამახვილებლად დასჭირდა. ცხადია, ძნელი გასარკვევია გ. ლეონიძის ფრაზა “მაღალსამტვრევი სიტყვები და ფეხმოკლე აზრი”, მაგრამ ამგვარი სიტყვებისადმი პოეტის დამოკიდებულება სიტყვის აზრთან შეუსაბამობაზე წუხილს უნდა გამოხატვდეს. მაღალსამტვრევ სიტყვებში კი ფუყე, უაზრო (კალკირებული) სიტყვის ფონეტიკური ზიზილპიპილურობა უნდა იგულისხმებოდეს. ბ. ჯორბენაძე ფიქრობს, რომ გ. ლეონიძის პოეტური აღმაფრენა “ქართული პურ-დვინის მადლითაა განათლული” ეს, თავისთავად სწორი დაკვირვებაა, მაგრამ საკითხის, თუნდაც ისტორიის თვალსაზრისით, ალბათ, უნდა აღინიშნოს, რომ მანამდე მსგავსი მოსაზრება გამოთქვა გრ. კინაძემ. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მან გ. ლეონიძე ქართულ მწერლობაში სწორედ იმით გამოარჩია, რომ მის ნაწერებში სუნისა და გემოს პოეზია იგრძნობა, ხოლო ნიმუშად გ. ლეონიძის შემდგომი პოეტური სიტყვებიც მოიყვანა: “გადევყარა ნარიყალას ნისლიანი ბური, ხაში, ხილი და თონიდან ამოყრილი პური”. ბ. ჯორბენაძეს აღნიშნულის დასტურად გ. ლეონიძის სხვა თქმა მოაქვს “ასე მგონია, პურის კალამი მიჭირავს ხელთ და ამ ქართული პურის მადლითა და სიმართლით ქადალდზე გადამაქვს ის, რაც დამავალა დედამ და ჩემმა მშობელმა ხალხმა”. აშკარაა, რომ გ. ლეონიძე ცალსახად მიანიშნებს ეროვნულ ენობრივ სტიქიონთან თავის განუყოფლობას. ამიტომაც უწოდებს მას ე. კვიტაიშვილი “ქართული სიტყვის ბაზიერს”.

ბ. ჯორბენაძის ერთგვარად შემაჯამებელი დაკვირვება გ. ლეონიძის პოეტურ ენაზე ასეა ფორმულირებული: “პირველყოფილი, ყოვლისწამლებავი

შინაგანი ენერგია, მიწიერი სილამაზით ტკბობის დაუოკებელი ჟინი. სიცოცხლის მძაფრი წყურვილი განსაზღვრევენ მის პოეტურ მსოფლეოდგას. დარბაისლური გლეხებაცური სიბრძნის მადლიც დაჟყვება მისეულ სტრიქონებს, რაც განაპირობებს გ. ლეონიძის ენობრივი სტილის მკვეთრად გამოხატულ პირადულობას”.

გ. ლეონიძის შემოქმედებაში დაფიქსირებულ დიალექტიზმებს ენის გახალისებისა თუ პოეტური ონავრობის ფუნქცია აკისრია.

გ. ლეონიძის შემოქმედებაში ჭარბად იგრძნობა ხალხური ინტონაცია. არა ხალხური მოტივების უშუალოდ გადმოდება, არამედ ინტონაციური მსგავსება. მოყვანილი ციტატა ცხადყოფს, რომ გ. ჯორბენაძემ სწორად ამოიცნო გ. ლეონიძის მშობლიურ ენასთან მიმართების ბევრი თვისება. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ დაკვირვებებაში ისაა, რომ პოეტმა მხოლოდ წყაროს როლი კი არ დააკისრა ეროვნული ენის ლექსიკურ სამყაროს, ცალკეული სიტყვები თუ თქმები კი არ დაძებნა და გადმოიტანა თავის მხატვრულ ტექსტებში არამედ ამოიკითხა და მიაგნო იმ ენერგიას, რომელიც ამ ლექსიკაში პოტენციურად არის დაუნჯებული. მან ბუნებრივი გზნება, ექსპრესია, ემოცია და ინტონაცია ამოიცნო. გ. ლეონიძის პოეტური სიდიადე და მისი ენის გამორჩეულობა ამ გზნებისა და ემოციის განსიტყვების უნარშია. მიწიერი სილამაზით ტკბობის დაუოკებელი ჟინი უწოდა გ. ჯორბენაძემ პოეტის ამ უნარს და ამ ინტენციის (გამიზნულობის) საფუძვლად სიცოცხლის მძაფრი წყურვილი დაასახელა. მნელია არ დაეთანხმო ამ განსაზღვრებას ერთი დაზუსტებით: გ. ლეონიძის პოეტურმა ხედვამ არამხოლოდ ამოიცნო მშობლიური ენის სტიქიონური თავისთავადობა, არამედ მკითხველამდე მისი დიდი მადლის მიტანაც შეძლო. ეს კი იმით მოახერხა, რომ თავის მკითხველსა და მშობლიურ ენას შორის შუამავლობა კი არ იკისრა მხოლოდ, არამედ მშობლიური ენის ფილოსოფიის განმსაზღვრელი ხალხური საწყისები ამოზიდა და მათი შინაარსი გადაუშალა მკითხველს. მკვლევარნი, და მათ შორის, გ. ჯორბენაძეც, ამ უნარს დარბაისლური გლეხებაცური სიბრძნის მადლის გადმოცემის უნარს უწოდებენ. ხოლო ეს თქმა სამართლიანი იმ აზრით არის, რომ სწორედ გერებებიცურ მეტყველებას არ ახლავს არც მანერულობა და არც ფუნქციური სტილისტიკის ნიშან-წყალი ეტყობა.

გ. ჯორბენაძის დაკვირვებით, გ. ლეონიძის პოეტური ენის ხალხურ ენობრივ სტიქიონთან განუყოფლობაზე კიდევ ერთი თავისებურება მიანიშნება. ესაა დიალექტიზმების გამოყენების სპეციფიკა.

მწერლის ენაში დიალექტიზმების გამოყენების რაგვარობის კვლევა ტრადიციული საკითხია ენათმეცნიერებაშიც და ლიტერატურის მცოდნეობაშიც. ეს, ცხადია, გ. ჯორბენაძისთვისაც კარგადაა ცნობილი, მაგრამ ამ ფაქტის მიღმა იგი სხვა თავისებურების გამოვლენასაც ხედავს: ერთი მხრივ, დიალექტიზმებით “ენის გადახალისების” ტენდენციაზე მიგვითოვებს, მეორე მხრივ, დიალექტიზმებში გ. ლეონიძის პოეტური ონავრობის ფუნქციას ხედავს. დიალექტიზმებით ენის გადახალისებაში, შესძლოა, დიალექტური ფორმების და ფრაზეოლოგიის ჭარბი გამოყენება დავინახოთ. ხოლო დიალექტიზმებით პოეტურ ონავრობაში გ. ლეონიძის სიტყვათქმნადობაზე მინიშნება უნდა ვიგულისხმოთ, თანაც გრამატიკული სტილისტიკის ხორმათა ხელყოფით. ეს კი იმას ნიშნიავს, რომ გ. ლეონიძის მხატვრულ ენაში ახალ სიტყვათა უჩვეულო წარმოება გველოდება. ეს კი თავისთავად სამომავლო კვლევის პერსპექტივების არსებობასაც ცხადყოფს. ამას ისიც აზუსტებს, რომ გ.

ლეონიძის პოეტური ენა ხალხურთან ინტონაციურ მსგავსებასაც ამჟღავნებს. ასეთ შთაბეჭდილებებს აღძრავს ბ. ჯორბენაძის განხილული წერილი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯორბენაძე ბ., “მუხლადი სიტყვა გიორგი ლეონიძისა”, ქურნალი “ენა და მწერლობა” 1999 წ., №9, გვ. 13-14; №11, გვ. 8-11; №12, გვ. 2-5;
2. კვიტაიშვილი ე., “ქართული სიტყვის ბაზიერი” გაზეთი “ლიტერატურული საქართველო”, 1977 წ., 16 სექტ., 23 სექტ.;
3. კიკნაძე გრ., “მეტყველების სტილის საკითხები”, თბ., უნივერსიტეტის გამომც., 1957 წ., გვ. 269-303.

Видение художественной речи Г. Леонидзе в работах Б. Джорбенадзе

E. Shakiashvili
докторант ГТУ

Особенности художественной речи Г. Леонидзе исследованы многими грузинскими языковедами и литературоведами, среди которых выделяется Б. Джорбенадзе.

В статье проанализированы его взгляды на данный феномен.

The apparition artistic sermons G. Leonidze when in use B. Jorbenadze

E. Shakiashvili
doctorate of GTU

The peculiarity of artistic speech G. Leonidze research many Georgian linguist and expert in literature among which be distinguished to B. Jorbenadza.

In article analyses his glance of give way phenomenon.

სამეცნიერო პროზის ზოგიერთი თავისებურებანი

მარიამ შონია, ასოცირებული პროფესორი
მანანა ჩხარტიშვილი, ასოცირებული პროფესორი
ნატალია დოლიძე, დოქტორანტი (თხუ)
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო,
თბილისი, კოსტავას ქ., 77

სამეცნიერო პროზის სტილს მრავალნაირად მოიხსენიებენ: მეცნიერულ-ტექნიკური, ინტელექტუალური მოხსენების, ტექნიკური, მეცნიერულ-პროფესიული, მეცნიერული გადმოცემის, მეცნიერული ნაშრომის სტილი და ა.შ.

რა ძირითადი თვისებებით ხასიათდება სამეცნიერო პროზის სტილი? როგორია მისი სპეციფიკა? მეცნიერული აზროვნების ფუნქციას წარმოადგენს გარემომცველი სამყაროს შეცნობა ლოგიკური კატეგორიების შექმნით. ამიტომ სამეცნიერო პროზა ძირითადად მსჯელობითა და მტკიცებით ყალიბდება. სიზუსტე მიიღწევა გამონათქვამის მთლიანობით და აზრობრივი ადეკვატურობით. ლოგიკური სიმკაცრე, ობიექტურობა, სიზუსტე და თანმიმდევრობა – ეს ის თვისებებია, რომლებიც სამეცნიერო პროზის იდეალს წარმოადგენს. სამეცნიერო ნაშრომის სტილის საწყისად ითვლება გადმოცემის ლოგიკური თანმიმდევრობა, ორიენტაცია ლოგიკურ აღქმაზე და გადმოცემის ინტელექტუალური ელემენტების ფართო გამოყენება. სამეცნიერო პროზის ავტორის ნაშრომში, პირველ რიგში, ყურადღებას იმსახურებს ლოგიკური მსჯელობის ჯაჭვი, რომელიც ააშკარავებს არა შემთხვევითს და ცალკეულს, არამედ საერთოს, კანონზომიერს.

ენობრივი საშუალებების შერჩევა განპირობებულია ადამიანის მოვა-წეობის ამა თუ იმ სფეროთი და, აქედან გამომდინარე, სფეროს სპეციფიკა განსაზღვრავს როგორც ენობრივი საშუალებების შერჩევასა და გამოყენებას, ასევე აღნიშნული სტილის ფუნქციურ ამოცანებს. სამეცნიერო ნაშრომის ლონგვისტურ ანალიზს შეუძლია ტექსტის სპეციფიკური სამეცნიერო მხარის ახალი ასექტების გაშუქება. გ.ო. ვინოკური სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ყველა ენათმეცნიერი, რომელიც ამა თუ იმ ენას იკვლევს და სწავლობს, ამავე დროს იმ კულტურის მკვლევარადაც გვევლინება, რომლის ნიადაგზეც აღმოცენდა ეს ენა [4, 211]. ანალოგიურად შეიძლება ითქვას, რომ სამეცნიერო ნაშრომების ენის შესწავლა ახლებურად წარმოგვიდგენს კვლევის მიმართულებასა და შესასწავლი სფეროს განვითარებას.

სამეცნიერო პროზის ამოცანას, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს გარკვეული მოსაზრებების დასაბუთება, ჰიპოთეზების წამოყენება, არგუმენტირება, სამეცნიერო საკითხების ზუსტი ჩამოყალიბება, აღწერა, განსაზღვრა ინფორმაციის გადაცემისა და მიწოდების მიზნით, აგრეთვე ახლად ჩატარებული კვლევის შედეგების გაშუქება. სწორედ სამეცნიერო ენის გამომხატველობითი საშუალებების მეშვეობით ხდება არსებული სინამდვილის აღწერა და მტკიცდება ჭეშმარიტი ფაქტები.

რადგანაც სამეცნიერო პროზა ადამიანის გონებრივ საქმიანობას ასახავს, მისი ენაც ლოგიკური აღნაგობით ხასიათდება. ეს შეეხება სამეცნიერო ტექსტის გადმოცემის როგორც ლექსიკურ, ასევე სინტაქსურ თავისებურებებს.

სწრაფვას იმისკენ, რომ ენობრივი ფორმა რაც შეიძლება ზუსტად შეესაბამებოდეს გამონათქვამის შინაარსს, მივყავართ ტერმინების მრავლად გამოყენებისაკენ. როგორც შ. ბალი წერდა, ტერმინი ლექსიკისა და ფორმულა სინტაქსის სფეროში წარმოადგენს ენობრივი გამოხატვის იდეალურ ხერხს, რომლისკენაც მიისწრაფვის სამეცნიერო ენა [1, 244].

არჩევს რა შესაფერის ლექსიკას, სამეცნიერო ტექსტი ყოველთვის გვიჩვენებს მოვლენებისა და მათი განვითარების ობიექტურ მხარეს. როდესაც სიტყვები გამოიყენება ისეთი აზრის გამოსახატავად, რომელიც ცალკეულიდან და შემთხვევითიდან ზოგადისა და კანონზომიერებისაკენ არის მიმართული, მაშინ სიტყვის მნიშვნელობა კარგავს ზუსტ გამომხატველობას და, გარკვეულწილად, აბსტრაქტული ხდება. ეს მეცნიერული აზროვნების დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა.

სამეცნიერო ტექსტისათვის აგრეთვე დამახასიათებელია მკვეთრად განსაზღვრული სინტაქსის გამოყენება და სიტყვათა გარკვეული წყობა. სამეცნიერო მეტყველების სინტაქსურ კონსტრუქციებს გარკვეული სტერეოტიკულობა ახასიათებს. ამასთან, სამეცნიერო ნაშრომების სტილის სპეციფიკას წარმოადგენს ტერმინებსა და გამომხატველობას მოკლებული სიტყვების გამოყენება, ნორმატიული ლექსიკისა და ფრაზეოლოგიისაკენ სწრაფვა. ამ კანონზომიერი მახასიათებლების გამო მეცნიერული გადმოცემის სტილი ჩვენს შეგნებაში არსებობს, როგორც ფუნქციური სტილი, გარკვეულწილად, დახურული სისტემა [5, 39, 44].

უდავოა, რომ სამეცნიერო პროზის უპირველეს დანიშნულებას წარმოადგენს მკითხველის გონიერაზე და არა გრძნობებზე ზემოქმედება. ამიტომა, რომ იგი გადმოცემის მაქსიმალური ობიექტურობისაკენ ისწრაფვის. ამის გამო, გავრცელებულია შეხედულება, თითქოს სამეცნიერო სტილი მოკლებულია ემოციური დატვირთვის მქონე ელემენტებს (სტილის ნეგატიური მახასიათებელი). ამიტომ, ხშირად ჩნდება აზრი, რომ სამეცნიერო პროზა ყოველთვის მოსაწყენი და არაორიგინალური და, აქედან გამომდინარე, ერთგვაროვანიცაა.

მკვლევარები ამტკიცებენ, რომ მეტყველების მხატვრული და სამეცნიერო სტილი პოლარულობას მხოლოდ გამონათქვამის ხატოვნობის თვალსაზრისით როდი ამჟღავნებს. ამ შემთხვევაში ერთმანეთს უპირისპირდება სუბიექტური შეფასება და ობიექტური ნეიტრალურობა, დინამიკურობა და სტატიკურობა, აშკარად გამოხატული ინდივიდუალობა და ამ უკანასკნელის არარსებობა. სამეცნიერო აზროვნების ფუნქციაა სამყაროს აღქმა ლოგიკური ანალიზის გზით, მხატვრულ აზროვნებაში კი შემოქმედებითი მიდგომა დომინირებს.

ამ მოსაზრებების მომხრეების აზრით, ემოციურზე და ჰიპერბოლიზებაზე ოდნავმა უურადღების გამახვილებამაც კი, ისევე, როგორც მინიმალურმა ხატოვანებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს გადმოცემის სიზუსტეზე, რადგან ნებისმიერი ცნება, რომელსაც ალეგორიული ელფერი დაკრავს, გადის მეცნიერული ჩარჩოების მიღმა. თუკი სამეცნიერო პროზა თავის სიმაღლეზე დგას, იგი თავისუფალი უნდა იყოს ნებისმიერი სახის ემოციური გამოხატვის საშუალებებისაგან.

ემოციური ელემენტის გაძვებას სამეცნიერო ლიტერატურიდან სხვადასხვაგვარად ხსნია:

უპირველეს ყოვლისა, იმ ფაქტით, რომ ინტელექტუალური და ემოციური აღქმა ერთმანეთს გამორიცხავს. სამეცნიერო პროზა თვითონ მეცნიერებაა და მისწრაფვის რა მაქსიმალური ობიექტურობისაკენ, თავიდანვე გამორიცხავს აფექტურ ალეგორიულ ელფებისაგან.

მეორეც, ჩამოყალიბდა აზრი, რომ სამეცნიერო ენა და მისი არსი „ცხოვრების მიღმა“ და ამიტომ სამეცნიერო აზრი ყოველთვის თავისუფალია ნებისმიერი სახის გრძნობითი ელფერისაგან.

მესამე არგუმენტი არის ის, რომ ნებისმიერი სუბიექტური ელემენტი და დამოკიდებულება ზუსტი სამეცნიერო დისკუსიის მიღმა დგას.

ზემოთ ჩამოთვლილ რადიკალურ მოსაზრებებს უპირისპირდება მკვლევართა საკმაოდ დიდი ნაწილი იმის შესახებ, რომ ემოციურმა ელფერმა შეიძლება შეაღწიოს სამეცნიერო ლიტერატურაში.

ეს ფენომენი შეიძლება რამდენიმე მიზეზით აიხსნას. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ენაში თითქმის არ არსებობს სრულიად იზოლირებული სტილისტური რესურსები და სამეცნიერო პროზის სტილი არ შემოიფარგლება მხოლოდ განსაკუთრებული ენობრივი ფორმებით.

სამეცნიერო პროზაში ემოციური ელემენტების შეღწევის ერთ-ერთ მიზეზად სამეცნიერო პოლემიკაც ითვლება. პოლემიკის დროს, რომელიც ისეთივე ძველია, როგორც მეცნიერება, ემოციური ლექსიკის ელემენტების დანიშნულებას წარმოადგენს იმ შეხედულებათა და ცნებათა შესუსტება, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია პოლემიკური დარტყმა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამეცნიერო ნაშრომებში მხოლოდ ზემოადნიშნული მიზნით ნახმარი ელემენტები როდი ავსებენ გამომხატველობითისა და ინდივიდუალურის მარაგს. ავტორის ინდივიდუალობა, მისი ხედვა, დამოკიდებულება ნათქვამის ან დაწერილის მიმართ მეცნიერულ ნაშრომში ემოციური შეფასების ელემენტს წარმოქმნის, და, აქედან გამომდინარე, შემოაქვს ემოციური შეფერილობა. უფრო მეტიც, შემოქმედებითი ინდივიდუალობა შეიძლება დროდადრო ისეთივე ძლიერიც იყოს, როგორც მხატვრულ პროზაში. ამიტომ ეჭვის ქვეშ დგება აზრი, რომ სამეცნიერო ენა სავსებით მოკლებულია პიროვნულობას. „აზრი, რომელიც გრძნობითაა გალესილი, უფრო გვარწმუნებს, ვიდრე მხოლოდ ობიექტური გულგრილი გამონათქვამი“ [6, 347].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ემოციურ-სუბიექტური შეფასებისა და მისი ენობრივ-სტილისტური მახასიათებლების შესწავლა აქტუალურია არა მარტო მსატვრული ენის სტილთან მიმართებაში, არამედ მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამეცნიერო ენის სტილის ჩამოყალიბებაშიც.

ემოციურისა და ინტელექტუალურის კავშირი და ურთიერთმიმართება ყოველთვის იპყრობდა ენათმეცნიერთა ყურადღებას. მიუხედავად აღნიშნული საკითხის გარშემო არსებული რადიკალური შეხედულებებისა, ზემოხსენებული ასპექტების ურთიერთგამომრიცხაობის შესახებ, უფრო მისაღებად უნდა მივიჩნიოთ ლინგვისტური კონცეფცია, რომლის მიხედვითაც ენის ინტელექტუალურ და ემოციურ მხარეებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობს.

ინტელექტუალური და ავექტური ენის ორ მნიშვნელოვან და აუცილებელ ასპექტს წარმოადგენს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ერთ შემთხვევაში ადგილი აქვს ლოგიკურ, ინტელექტუალურ დომინანტას, ხოლო მეორე შემთხვევაში – ემოციურ-გამომხატველობითს.

ენის კალევის დროს ორივე ასპექტს უნდა მიექცეს ყურადღება და არა იმის მცდელობას, რომ ეს ელემენტები ერთმანეთს დაკუპირისპიროთ. ლოგიკური ენა შეიძლება არ იყოს მოკლებული ემოციურ შეფერილობას, ხოლო ემოციური – მყარ ლოგიკურ წყობას. ენის ინტელექტუალიზაცია გულისხმობს არა ემოციური ელემენტის მთლიანად გაძვებას, არამედ გაზრდილ კონტროლს მასზე.

სამეცნიერო პროზაში შემფასებლური და ინდივიდუალური ელემენტების გამოყენებას თავისი სპეციფიკა ახასიათებს, რაც შემდეგში მდგომარეობს:

– მართალია, სამეცნიერო პროზაში ინდივიდუალობის გამოჩენა დასაშვებია, მაგრამ არ წარმოადგენს სტილის ორგანულ მახასიათებელს;

– ემოციური ელემენტი განიცდის გარკვეულ ფუნქციურ გარდატეხას, რის გამოც არ ირღვევა სტილის საერთო კანონზომიერება;

– მხატვრული ენისაგან განსხვავებით, სადაც ემოციურ-გამომხატველობითი ელემენტი განუყოფელი ნაწილია, სამეცნიერო ენა მხოლოდ უშვებს ასეთი ელემენტების გამოყენების შესაძლებლობას;

– ერთის მხრივ, ემოციური ელემენტების სტილისტური შეფერილობა განსაკუთრებულ გამომხატველობას იძენს ლოგიკური, ობიექტური მსჯელობისა და საგანთა და მოვლენათა კვალიფიკაციის ფონზე, მეორეს მხრივ კი, ემოციური შეფერილობის ლექსიკის სპეციფიკური შეზღუდული ხასიათი სამეცნიერო პროზის სტილის ერთიანობის შესაძლებლობას იძლევა.

მიუხედავად ამ ორი ხახის აზროვნებასა და სტილს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებისა, მათ შორის მაინც ბევრია საერთო. როგორც ვ.ა. ბოგოროდიცი აღნიშნავს, შემოქმედებითი სული ერთი და იგივე ხასიათისაა როგორც მეცნიერებაში, ასევე პოეზიაში. განსხვავება მხოლოდ ენის ელემენტების ხასიათსა და მათ წყობაშია [2, 314–315]. ვ. ბრიუსოვის აზრით კი განსხვავება მხოლოდ იმ მეთოდებშია, რომლებსაც ისინი იყენებენ. მეცნიერების მეთოდს ანალიზი წარმოადგენს, ხოლო ხელოვნებისას – სინთეზი. მეცნიერება შედარებისა და შეპირისპირების საშუალებით ცდილობს სამყაროს მოვლენების შესწავლას, ხოლო ხელოვნება მიისწრავვის იმისკენ, რომ სამყაროს მოვლენები ანალოგიის მეშვეობით ერთ მთლიანად შეკრას [3, 208].

როგორც მეცნიერება, ასევე ხელოვნება სპეციფიკური მეთოდების გამოყენებით იკვლევს სამყაროს და ამდიდრებს ადამიანის გონებას ცოდნით. ალბათ, ეს კავშირიც განაპირობებს იმ გარემოებას, რომ მხატვრული სტილის ელემენტები იჭრებიან სამეცნიერო ნაშრომებში, ამდიდრებენ სამეცნიერო ენის სტილს და მეტ გამომხატველობას ანიჭრებენ მას. მნელად თუ მოიძებნება სამეცნიერო ნაშრომი, რომელშიაც ზომიერად მაინც არ არის გამოყენებული ემოციური დატვირთვისა და შეფერილობის მქონე სტილისტური საშუალებები.

ლიტერატურა

- 1) Ш. Балли. Французская стилистика. М., 1961, с. 244.
- 2) В.А. Богородицкий. Очерки по языковедению и русскому языку. 2004, с. 314–315.
- 3) В. Брюсов. Научная поэзия. т.2, М., 1955, с. 208.
- 4) Г.О. Винокур. Избранные работы по русскому языку. М., 1979, с. 211.
- 5) Н. Поспелов. Проблема стилистики и проблема стиля. Тезисы докладов. Изд-во МГУ, 1961, с. 39, 44.

Некоторые особенности стиля научной прозы

М. Шония, М. Чхартишвили, Н. Долидзе

Грузинский технический университет,
Грузия, Тбилиси, ул. Костава, 77

Поскольку научная проза используется для отображения мыслительной деятельности человека, её стиль отличается логической последовательностью и объективностью, что проявляется как на синтаксическом, так и на лексическом уровнях. Однако, это не исключает наличия в стиле научной прозы эмоционально окрашенных слов, выражений и конструкций, которые придают ей большую выразительность и индивидуальность.

Some Peculiarities of Scientific Prose Style

M. Shonia, M. Chkhartishvili, N. Dolidze

Georgian Technical University,
Kostava Str., 77, Tbilisi, Georgia

As scientific prose is used for expressing the intellectual activity of the man, its style is characterized by accuracy, logical consistency and objectivity. These features are manifested both on the syntactic and lexical levels. However, this does not rule out the presence of emotive words expressions and constructions in the scientific style which add to its expressiveness and individuality.

ემოციურ-სუბიექტური შეფასების გამოხატვის ლექსიკური საშუალებები სამეცნიერო პროზაში

მარიამ შონია, ასოცირებული პროფესორი
მანანა ჩხარტიშვილი, ასოცირებული პროფესორი
ნატალია დოლიძე, დოქტორანტი (თხუ)
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი, კოსტავა ქ., 77

ემოციურ-ექსპრესიული ლექსიკა ენაში არსებული სიტყვების მარაგის იმ ჯგუფს განეკუთვნება, რომელიც ადამიანის გრძნობებს უკავშირდება და, აქედან გამომდინარე, დადებით ან უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავს.

მეტყველების ნაწილებში ჩადებული ემოციურ-ექსპრესიული პოტენციალის საკითხი ყოველთვის იქცევდა მკვლევართა ყურადღებას.

ემოციური ლექსიკის ორსურსების შეცვებაში დიდი წვლილი შეაქვთ ფართო სემანტიკის მქონე ზედსართავ სახელებს, აგრეთვე აწყო და წარსული დროის მიმღებებს. თვით ზედსართავი სახელის ბუნებაში ჩადებულია სუბიექტური ინდივიდუალური საწყისი. ასე რომ, ავტორი ზედსართავი სახელის ხმარებისას გამოხატავს თავის დამოკიდებულებას საგნის ან მოვლენის მიმართ და, აქედან გამომდინარე, შეფასებას აძლევს მას.

თვისობრივი ზედსართავების შინაარსი ელასტიკური და მრავალფეროვანია. მათი გამოყენების დროს საგნის თვისება გარდატყდება ინდივიდუალურ-ემოციური აღქმის ფაზაში და შემოაქვს ემოციურ-შემფასებლური ელემენტი. თვისობრივი ზედსართავები ერთიანდებიან იმ სიტყვათა ჯგუფში, რომელთაც ხან აფექტურ, ხან კი ემოციურ ლექსიკას უწოდებენ.

შეიძლება გამოვყოთ დადებითი და უარყოფითი ემოციური შეფასების ზედსართავი სახელები.

დადებითი შეფასების მქონეა ისეთი ზედსართავები, როგორიცაა, მაგ., მარველლოუს, წონდერფულ, მაგნიფიცენტ, გრეატ, ეხცელლენტ, ბეაუტიფულ, ადმირაბლე, სპლენდიდ, ეხეუისიტე და ა.შ. განსაზღვრების როლს ასრულებენ აგრეთვე მიმღებები: ასტოუნდინგ, სტრიკინგ, სტარტინგ და ა.შ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზედსართავების შინაარსი სცილდება მის საგნობრივ-ლოგიკურ მნიშვნელობას და გადაინაცვლებს ავტორის

სუბიექტურ-ემოციური მახასიათებლის სფეროში. განვიხილოთ ეს მოვლენა, მაგალითად, ზედსართავ ბეაუტიფულ-ის მაგალითზე:

"Another *beautiful* contrast to this arrangement is afforded by the plants which continue to flavor in the depths of winter".

"The calculations in both methods are full of *beautiful* details".

რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ავტორი არ იყენებს სიტყვას მისი პირდაპირი გაგებით. ასე რომ, თვისობრივი განსაზღვრება გადადის ემოციურ-სუბიექტური მახასიათებლის სფეროში, ხდება ზედსართავი სახელის საგნობრივ-ლოგიკური მნიშვნელობის გაუფერულება, სუსტდება აგრეთვე სემანტიკური კავშირი იმ არსებით სახელთან, რომლისგანაც ეს ზედსართავია წარმოებული.

იგივე მოვლენასთან გვაქვს საქმე ხშირად უარყოფითი შეფასების ზედსართავებთანაც. მაგ., ზედსართავი მონსტროუს-ის ხმარების შემთხვევაში ხშირად დაკარგულია სემანტიკური კავშირი არსებითთან, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ეს ზედსართავი გამაძლიერებელი ეფექტის მატარებელ სიტყვად გვევლინება. მაგალითად:

"It would be simply *monstrous* to conclude that seeds and plants had been "spontaneously generated".

"It appears *monstrous* to include the diameter of a foramen as part of the base of the skull".

ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რაც უფრო დიდია საგნობრივ-ლოგიკურ მნიშვნელობასთან დაშორების ხარისხი, მით უფრო ძლიერია ემოციურ-გამომხატველობითი უნარი.

"In recent years proponents of gender have made *remarkable* progress in providing equal opportunity to women".

"Lose coupling can be a major irritant, but it need not be a *fatal flow*".

"A large non-profit sector, poorly trained and poorly paid providers, *frazzled* parents and *dramatic* changes cause self-correcting market forces".

"These *startling* trends have created new opportunities and new problems".

"It also bears a *striking* resemblance to what Anderson calls pragmatic liberalism".

"These are different *wrenching* choices on which much depends".

ინგლისური ენის ემოციურ-ექსპრესიული ლექსიკის რესურსების შევსებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ზმნიზედების, რომლებიც ავტორის სუბიექტური შეფასების ერთ-ერთ საშუალებად გვევლინებიან. ისინი თავისი სემანტიკური ბუნებით ემოციურ გამაძლიერებლებს წარმოადგენენ, რომლებიც ახდენენ ზომისა და ხარისხის, თუ რაიმე სხვა თვისების პიპერბოლიზაციას. ისევე როგორც ზედსართავი სახელები, ზმნიზედებიც იყოფა დადებითი და უარყოფითი შეფასების მქონედ. დადებითი შეფასების მატარებელი ზმნიზედების მაგალითებია: admirably, beautifully, excellently, expusitely, wonderfully და ა.შ., ხოლო უარყოფითის – terribly, ruthlessly, awfully, jealously და ა.შ. არსებობს აგრეთვე კ.წ. „შუალედური“ ზმნიზედები, ისეთები, როგორიცაა, მაგალითად: extremely, excessively, enormously, incredibly, extraordinarily და ა.შ. აღნიშნული ზმნიზედების დადებითი, უარყოფითი თუ ნეიტრალური შეფასება დამოკიდებულია იმ ზედსართავზე, რომელიც ზმნიზედას მოსდევს. მაგალითად, extremely stable, extremely unstable, extremely different.

ხარისხობრივი დატვირთვის მქონე ზმნიზედები მიგვითოთებენ ხარისხობრივი მაჩვენებლის გარკვეული რაოდენობით არსებობაზე. ასეთებია,

მაგალითად, pretty, absolutely, perfectly, utterly, exceedingly, vastly, extraordinarily და ა.შ.

მოვიყვანოთ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყენებული ზმნიზედების რამდენიმე მაგალითი:

"By accepting *extraordinarily* low wages in an effort to accommodate tight parental budgets, provider help children to pay their bills".

"The number of working women has increased *sharply*".

"Evening child care is *extremely* hard to find".

"Quality of child care varies *dramatically* from center to center and system to system".

"Child care in the United States is *strikingly* uneven".

"They fail to help many consumers who *desperately* need guidance".

ენის ემოციურ-ექსპრესიულ ტონალობაში თავისი წვლილი შეაქვთ არსებით სახელებსაც. თუკი ზმნიზედა და ზედსართავი სახელი სალაპარაკო ენის ფენას მიეკუთვნება, არსებითი სახელები უფრო წიგნიერ ლექსიკას უნდა მივაკუთვნოთ. ისეთი არსებითი სახელები, როგორიცაა, მაგალითად, beauty, admiration, triumph, gracefulness, ardour, absurdity, generosity, flattery, evil, excellence, enthusiasm, devotion, disgrace, ignorance, scorn, disaster და ა.შ. სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად გამოიყენება ემოციური ელფერის გასაძლიერებლად და დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულებისა და შეფასების გამოსახატავად.

არსებითი სახელების მიერ გამოხატული დადებითი შეფასება გამოიყენება მეცნიერის ნაშრომის შესაფასებლად, თვითონ მკვლევარის დასახასიათებლად, მისი განსაკუთრებული ღვაწლის აღსანიშნავად, კვლევის პროცესის დასახასიათებლად და ა.შ.

უარყოფითი შეფასების მატარებელი არსებითი სახელები შეიძლება გამოიყენებულ იქნეს, მაგალითად, სამეცნიერო თეორიის კრიტიკული ანალიზისათვის, პროცესის ფაქტის ან მოვლენის უარყოფითი დახასიათებისათვის, ექსპერიმენტის მსვლელობის დროს წარმოშობილი არასასურველი ან განსაკუთრებით ხაზგასასმელი გარემოებების დასახასიათებლად და ა.შ. როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შეფასების მქონე არსებით სახელებს აკისრიათ ეფექტის გამაძლიერებელი ფუნქცია და შემოაქვთ თავისებური სტილისტური შეფერილობა, მაგალითად:

"Despite these *virtues* the iron triangle falls short of being a comprehensive normative framework".

"A timely subsidy helped to cushion the family day care community against the *shock* of new regulations".

"Providers must take advantage of every opportunity to raise their rates without triggering a public *outray*".

"Academy react if its code violation were publicized with equal *vigor* by the mass media".

"The *burdens* imposed on Mediating Structures will be lessened considerably".

სამეცნიერო ენის ემოციური შეფერილობის შექმნის თვალსაზრისით გარკვეული როლი ზმნებსაც აკისრიათ. ექსპრესიული ზმნები გამოიყენება ავტორის ნაშრომის ან მოვლენისა და ფაქტის უარყოფითად ან დადებითად შესაფასებლად, ასევე გამონათქვამებისათვის ზედმეტი გამომსახველობის მისანიჭებლად. აღნიშნული მიზნით გამოიყენება როგორც ის ზმნები, რომლებიც სალაპარაკო ენას მიეკუთვნებიან, ასევე ისინი, რომლებიც „წიგ-

ნურ“ ლექსიკას ეკუთვნიან. ასეთი ზმნებია, მაგალითად, to disparage, to endow, to commence, to venture, to perish, to succumb, to entomb, to disdain და ა.შ. სალაპარაკო ენის სფეროდან – to brush aside, to brake down, to hit upon, to push, to crush, to spring up და ა.შ.

გამაძლიერებელი ეფექტის მქონე ზმნების გამოყენების მაგალითები:
"It captures headlines and triggers public policy debate".

"If child care arrangements *crash*, a sceptical client's commitment may *crash* as well".

"When a child is ill, the working mother must leave work and cope with her child or *scramble* to contrive some other arrangement".

"Even they get upset, though, when government regulations *huff* and *puff* over technicalities".

"Between 1977 and 1987, as expenditures on home health and out patient clinics *skyrocketed*, the for-profit sector's market share increased dramatically".

სამეცნიერო ენის სტილის ანალიზისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მეტაფორას. ატარებს რა ტრადიციულ ხასიათს, ენობრივი მეტაფორა წარმოადგენს შესანიშნავ მასალას ლოგიკურად თანმიმდევრული აზრის გამოსახატავად, არგუმენტირებისათვის და ა.შ. გარდა ამისა, ასეთ მეტაფორას არ გადააქვს მკითხველის ყურადღება ძირითადი აზრისაგან, არ იწვევს დამატებით შეუთავსებელ ასოციაციებს.

სამეცნიერო ტექსტში ძირითადად გვხვდება როგორც ზმნური, ასევე არსებითი სახელებით გამოხატული მეტაფორები. როგორიცაა, მაგალითად, to throw the light, to bridge a gap, to attack a problem, to crown with success, to toil through the solution, to wrestle with the problem, to ventilate an idea, to wake up to the fact, strides of science, armour of sanctity, treasury of the deep, a ray of hope, fruits of inheritance და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ მეტაფორა სამეცნიერო ტექსტში დამხმარე ხასიათს ატარებს, იგი უფრო იპყრობს მკითხველის ყურადღებას, ვიდრე მხატვრულ პროზაში. ამ შემთხვევაში მოქმედებს ე.წ. კონტრასტულობის კანონი. მეცნიერულ ნაშრომებში, რომლებიც აგებულია ლოგიკური მსჯელობისა და მტკიცების პლანში, მეტაფორის გამოჩენა მყისვე იპყრობს მკითხველის ყურადღებას.

ის, რომ სამეცნიერო ტექსტში მეტაფორა დამხმარე ხასიათს ატარებს, იმითაც მტკიცდება, რომ ავტორი, უპირველეს ყოვლისა, აზრს მკაცრად და ლოგიკურად აყალიბებს, ხოლო შემდეგ, აღნიშნულის განსამტკიცებლად, იყენებს მეტაფორას, რომელიც გამოთქმულ აზრს ემოციურ-სუბიექტურ შეფერილობასა და შეფასებას აძლევს. ასე რომ, გარკვეულად ხდება ემოციურისა და სუბიექტურის გამიჯვნა. მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითები:

"Almost every square mile of the sea bed yields different species. In fact, *the treasury of the deep is inexhaustable*".

"An idea is beginning to dawn upon us that there may be much real ability among the boys in other directions, they may be *a kind of unworked mine of possibilities and resources*".

მეცნიერულ ნაშრომებში მეტაფორა სხვადასხვა მიზნით გამოიყენება, მაგალითად:

- ა) ამას თუ იმ თეორიის გასაკრიტიკებლად;
- ბ) კვლევის საგნის აღსაწერად (დადებითი ან უარყოფითი შეფასების გარეშე);
- გ) კვლევის საგნის აღსაწერად მისთვის დადებითი ან უარყუოფითი ემოციურ-სუბიექტური შეფასების მინიჭებით;

დ) მეცნიერის ნაშრომის დადებითად ან უარყოფითად შესაფასებლად (მაგ. პოლემიკური ხასიათის რეცენზიებში).

ასე რომ, მეტაფორა, როგორც სტილისტური ხერხი, სამეცნიერო პრო-ზაში გამოიყენება შეგნებულად და იმ ფარგლებში, რომელიც შექსატყვისება მეცნიერული აზრის გამოხატვის ამოცანებს.

მეტაფორის ფუნქციონირების გარკვეული შეზღუდვა კიდევ ერთხელ მიგვითოთებს სუბიექტურ-ემოციური ელემენტების რაციონალურ გამოყენებაზე სამეცნიერო ლიტერატურაში

მეტაფორების გამოყენების მაგალითები:

"Even in Vermont, where *chains do not dot the child care landscape*, for-profit centers violate state rules more often".

"It might be said that society *fills the gaps left by inadequate markets*".

"Decentralization has liberated *oppressive red tape*".

"In the word of some researchers, it would require new *habits of the heart*".

"They have jealously guarded their autonomy to reach out those in need instead of *encasing themselves in protective cocoons*".

"In wrestling with these questions I have relied upon two normative frameworks".

სამეცნიერო პროზაში გამოყენებულ სტილისტურ საშუალებებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შედარებას. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მეცნიერულ ლოგიკურ მსჯელობას ესაჭიროება შედარებითი ანალიზი, ანალოგიების მოძებნა, საგანთა და მოვლენათა შედარება, საერთოს აღმოჩენა და საპირისპიროს გამოყოფა და ა. შ.

შედარება შეიძლება გამოყენებულ იქნას მეცნიერის ღვაწლისა და შემოქმედების დადებითად დასახასიათებლად, კვლევის ობიექტის დასახასიათებლად და ა.შ., მაგრამ, ყველა შემთხვევაში შედარების გამოყენებისას ავტორი გამოხატავს თავის ემოციურ დამოკიდებულებას აღწერილი მოვლენისა თუ ფაქტის მიმართ. ეს დამოკიდებულება აღვილად პპოვებს ასახვას მკითხველის წარმოსახვაში, მოქმედებს მის გრძნობებზე და ქმნის რა ემოციურ შეფერილობას, ამყარებს ავტორის მიერ გამოთქმულ აზრს. მოვიყვანოთ შედარების რამდენიმე მაგალითი:

"All you know that this idea is almost *as old as mankind*".

"Unlike other regulatory hurdle, these requirements are not even remotely related to the health and safety of children".

"It is tempting to dismiss changes that can be achieved so quickly *as trivial or incremental in nature*".

"We would have to recreate a spirit of community comparable to that evoked so vividly in old Frank Kapra movies".

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიყენება აგრეთვე სიტყვათა კომბინაციები, რომლებიც ჩამოყალიბებულნი არიან „გამზადებულ“ გამოთქმებად, სტაბილურ ერთეულებად.

განსხვავებით ლექსიკოლოგიისაგან, რომელიც სტაბილურ ლექსიკურ ერთეულს ნაწილებად შლის კვლევისა და ანალიზისათვის, სტილისტიკა ასეთ ერთეულებს განიხილავს იმ საკომუნიკაციო ეფექტის თვალსაზრისით, რომლის გადმოცემასაც აგტორი ცდილობს. სტილისტიკა ინტერესდება იმ სიტყვათა კომბინაციებითაც, რომლებიც, როგორც ლექსიკური ერთეულები, ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებიან. როდესაც ასეთ გამოთქმებზე ვლაპარაკობთ, ჩვენ წინაშე დგება ე.წ. „კლიშეს“ პრობლემა. ამ პრობ-

ლემის გარშემო პოლემიკა არ წყდება. არსებობს აზრი, რომ კლიშე უკელვის გაცვეთილია და როდესაც შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, თუ რა სიტყვა მოჰყვება ბოლოს ნათქვამ სიტყვას, საქმე გვაქვს კლიშესთან. მეორეს მხრივ, არსებობს მოსაზრებაც, რომ ის, რაც ძველი და გაცვეთილია ერთი მსმენელის ან მკითხველისათვის, შეიძლება ახალი იყოს მეორისათვის.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ისეთი სიტყვათა კომბინაცია, რომელიც მიუდებელია გარკვეული ენობრივი საზოგადოებისათვის, არ ეხამება ენის შინაგან წესებს, ვერ გახდება სტაბილური ენობრივი ერთეული და, აქედან გამომდინარე, ხშირი ხმარებისაგან „გაცვეთილიც“.

ის, რომ ესა თუ ის ლექსიკური ერთეული მოცემულ ენაში ნაცნობი და გასაგები ხდება, მიგვითითებს იმაზე, რომ იგი აღიარებულია, როგორც ენობრივი ერთეული.

ასეა თუ ისე, გაცვეთილია ეს გამოთქმები თუ არა, ისინი მაინც ფართოდ გამოიყენება ენაში და მათი მაგალითები სამეცნიერო ლიტერატურაშიც გვხვდება. ისეთი სიტყვათშეთანხმებები, როგორიცაა, მაგალითად, crushing defeat, sky rocketing costs, unthinkable thoughts, აგრეთვე შედარებით ნეიტრალური ელფერის მქონე სიტყვათშეთანხმებები, როგორიცაა growing awareness, rising expectations, overwhelming majority და ა.შ. ფართოდ გამოიყენება და ენის გამომხატველობითი რესურსების მარაგს ავსებს.

გამოყენებული მყარი სიტყვათშეთანხმებების მაგალითები:

"Individual subsystems often march to the beat of different drummers".

"Such pressures add to the heavy burdens that families already face".

"Would for-profit centers still be worse than nonprofit centers if we could wave a magic wand and banish the chains?"

"Employers pass along the overwhelming majority of the incremental costs".

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინტელექტუალური და აფექტური ენის ორი მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ისინი არ გამორიცხავენ ერთმანეთის თანაარსებობას. უბრალოდ, ერთ-ერთი მათგანი შეიძლება ლოგიკურად დომინირებდეს მეორეზე.

ემოციური ელემენტი არა მარტო აღწევს სამეცნიერო ლიტერატურაში, არამედ სუბიექტური შეფასების მიზანმიმართული და, ამავე დროს, ზომიერი გამოყენება მეტ დამაჯერებლობას აძლევს აზრს, რომლის მიზანსაც ფაქტის ან მოვლენის ლოგიკური არგუმენტაცია წარმოადგენს.

ლოგიკური მსჯელობის ლაკონურობისა და ნეიტრალურობის შეხამება ემოციურ-სუბიექტურ ელემენტთან კიდევ უფრო ამყარებს და განამტკიცებს სამეცნიერო ნაშრომში გადმოცემულ გაანალიზებულ ინფორმაციას. ზომიერად გამოყენებული ემოციური ელემენტი ისე ჩაიქსოვება სამეცნიერო ენის „ამაღლებულ, მწიგნობრულ“ ლექსიკაში, რომ არ აღვევს სამეცნიერო ლიტერატურის სპეციფიკურ მთლიანობას და, ამავე დროს, მეტ გამომხატველობას მატებს მას.

ლიტერატურა

- 1) И.В. Арнольд. «Стилистика современного английского языка». 1973.
- 2) А.В. Фёдоров. «Очерки общей и сопоставительной стилистики». М., 1971
- 3) М.П. Брандис. «Стилистический Анализ». М., 1971.
- 4) Н.Ф. Пелевина. «Стилистический анализ художественного текста». Л., 1980.

-
- 5) I.R. Galperin. "Stylistics". "Higher School". 1977.
6) William T. Gormley. "Everybody's Children". Washington DC, 1995.

Лексические средства выражения эмоционально-субъективной оценки в стиле научной прозы

М. Шония, М. Чхартишвили, Н. Долидзе

Грузинский технический университет, Грузия, Тбилиси, ул. Костава, 77

К многочисленным и разнообразным средствам выражения эмоционально-субъективной оценки относятся эмоционально-окрашенные прилагательные, наречия, существительные, глаголы, а также фразеологические единицы. Использование таких слов и выражений в стиле научной прозы не только не нарушает специфической целостности этого стиля, но и придает ему большую выразительность, способствуя лучшему осмысливанию передаваемой информации.

Lexical Means of Expressing Emotional Appraisal in Scientific Prose

M. Shonia, M. Chkhartishvili, N. Dolidze

Georgian Technical University, Kostava Str., 77, Tbilisi, Georgia

Multiple and diverse lexical means of expressing emotional appraisal include emotionally coloured adjectives, adverbs, nouns, verbs as well as phraseological units. Using such words and expressions in scientific prose does not disturb the specific integrity of this style; on the contrary, it adds to the expressiveness of the information conveyed and, therefore, contributes to the better comprehension of the text.

Семантика роли «адресата» (AD) (в контексте грузинской глагольной супер-парадигмы)

Г.Б. Чикоидзе

В работах Chikoidze 2007, Чикоидзе 2010 предложено нетрадиционное понятие супер-парадигмы как совокупности парадигм грузинского глагола, образованных от одной и той же глагольной лексемы. Одной из основ для введения этого понятия служит общность и упорядоченность набора семантических ролей, к которым непосредственно адресуются члены этой совокупности посредством соответствующих глагольных аффиксов, и «ответная» упорядоченность выбора падежного оформления актантов, выраждающих эти роли (Чикоидзе 2010 а).

Так, например, в случае супер-парадигм, рассматриваемых в Чикоидзе 2010 как регулярные, набор ролей выглядит в соответствии с Рис.1, где CS представляет роль «каузатора», AG – агента, OB – объекта (пациенса) и AD – «адресата». Каждой парадигме регулярной супер-парадигмы взаимооднозначно соответствует часть этого набора: каузативная парадигма адресуется своими аффиксами к паре (CS, AG), активная (не адресованная) – к (AG, OB), а та же активная (адресованная) – к (AG, AD), наконец пассив (без адресации) – к единственной роли OB, а с адресацией – к паре (OB, AD).




Рис.1 Набор семантических ролей «регулярной» супер-парадигмы. Комментарии в тексте.

Стрелки на Рис.1 символизируют зависимости, связывающие эти роли: «головная» (крайняя левая, согласно схеме Рис.1) роль оказывает доминантное влияние на остальные члены набора и, в первую очередь, на непосредственно следующую за ней роль, определяя ее оформление, так и придавая некоторые дополнительные оттенки ее семантике. Так, например, присутствие в наборе CS лишает AG его базисного (присущего ему в головной позиции) оформления, заменяя его маркерами адресата (AD), что впрочем, не противоречит здравому смыслу, если учесть, что AG в таком наборе действительно становится адресатом воздействия каузатора CS.

В отличие от этого позиция AD в наборе всегда является крайней правой («хвостовой» - согласно Langacker 1991), а оформление зависит от адресованности или неадресованности парадигмы: в первом случае AD оформляется как традиционное косвенное дополнение (глагольная адресация объектными аффиксами (Ob) и оформление актанта дательным (d) падежом в I, II серии); при отсутствии адресации глагольными аффиксами актант AD маркируется тем или иным послелогом (*tvīs* – ‘для’, *tan* – ‘с’, *ze* – ‘на’) в зависимости от глагольной лексемы, реализующей предикат (PRED). Этот последний вариант маркирования в большинстве случаев возникает и при глагольных формах III серии, что можно объяснить тем, что в этой серии объектные аффиксы (Ob) переадресуются к AG, принимающему к тому же форму дательного падежа: сохранение того же падежа за актантом AD привело бы к двусмысленностям, которых, как правило, избегает язык. Это подтверждается и тем, что в случаях, когда «партнеры» по набору ролей не принимают в III серии форму дательного или вообще отсутствуют (*sžinavs mas* (d) – ‘спит он’), то форма дательного за актантом AD сохраняется.

Что касается семантики AD, то в основе ее лежит (в соответствии с позицией AD в схеме Рис.1) направленность на него как на конечный ориентир, адресат процесса (иногда – состояния), выражаемого глагольной лексемой. Детали этой «направленности» определяются семантикой глагола и участника ситуации, наиболее тесно связанного с AD, а также самого AD. В частности, в зависимости от этих семантических отношений направленность может быть прямой или косвенной, более или менее уточненной, а результат воздействия на AD может быть того или иного рода: AD может изменяться или оставаться неизменным, приобретать что-то дополнительное или, наоборот, терять что-то ему принадлежавшее и т.д.

Схема Рис.2 предназначена для определения этих различий результата воздействия на AD, непосредственным инициатором которого является один из участников, роль которого отлична от AD: агент (AG), инструмент (INSTR), объект (OB); в некоторых специфических случаях это воздействие распространяется на AD, исходя непосредственно из семантики глагола (PRED).

Здесь, как и в Чикоидзе 2010, используется «радиальный» путь описания семантики, в данном случае – роли AD. Схема Рис.2 представляет собой попытку структурирования базовых значений AD, из которых могут развиваться вторичные

(переносные, метафорические, идиоматические) значения этой роли, не теряющие, однако связи со своими исходными, базовыми значениями.




Рис.2 Схема значений AD и ролевых контекстов, определяющих возможность их реализации в высказывании. Комментарии в тексте (нумерация пунктов текста соответствует индексации блоков, к которым они относятся).

В некотором смысле радиальной является и структура самой схемы Рис.2; ее исходному (нулевому – 0) блоку соответствует простейший, пространственно-вещественный вариант значения AD; прямое и непосредственное воздействие на адресат одного из участников ситуации (AG, INSTR, OB) без уточнения позиции AD, на которую направлено это воздействие и без упоминания результата, к которому оно приводит:

→ AD

Примеры:

man (AG) didxans urṭqa / ubraxuna ḫars (AD) – ‘Он долго бил / громыхал по двери’;

man (AG) didxans urṭqa / ubraxuna ḫars (AD) mušti (/t) (OB/INSTR) – ‘Он бил / громыхал по двери кулак (/ом).’

Важным случаем переносных значений этого (0-го) блока является поток информации, направленный на «адресат» AD:

man (AG) utxra / šeaṭqobina / ganucxada / auçqa mas (AD) raγaca – ‘Он сказал / сообщил / объявил ему что-то / его о чем-то.’

Примером весьма частых пересечений значений различных блоков и даже ветвей схемы Рис.2 могут служить высказывания квази-синонимичные только что приведенным, которые связывают передачу информации от AG к AD с некоторым (как правило – вещественным) объектом OB, что вызывает ассоциацию со значением блока 3а при условии, что одним из вариантов Z(AD) (см. ниже пункт 3а) можно считать совокупность доступных для AD источников информации:

man (AG) mas (AD) gaugzavna / miaçoda / ... çerili / sabuti / kvitari / gancxadeba / angarişı / ... (OB) – ‘Он послал / доставил /... ему письмо / документ / квитанцию / заявление / отчет/ ..’.

Зато прямыми «наследниками» блока 0 выглядят «грубоватые» идиомы:

man (AG) mas (AD) (pirşı (LOC)) miaxala / tavşı rexva/ ... is (OB), rasac fikrobda – ‘Он прямо выложил ему / обрушил на него (/ему на голову) то, что думал’.

Впрочем, при факультативном добавлении LOC (tavşı - ‘ему на голову’) и этот идиом сдвигается к другому (на этот раз – к 1b) блоку.

Нумерация дальнейших пунктов будет соответствовать номерам блоков схемы Рис.2, к которым относятся эти пункты.

1. Символика этого блока

$$AG \rightarrow OB \subset AD$$

указывает на то, что непосредственной целью воздействия (AG) в данном случае является не AD в целом (как в предыдущем случае), а некоторая его часть, которую обозначает OB, уточняя таким образом направленность действия, ориентированного, вообще говоря, на AD:

ekimma (AG) mas (AD) šeuxvia binşit xeli / amouçuo ķibilis fesvi / mourčina tirkmelebi (OB) – ‘Врач ему перевязал бинтом руку / удалил корень зуба / вылечил почки’.

Идиомы:

man (AG) mas (AD) šeuçuxa guli / amouçuo ȳvini / šeuķra xel-fexi (OB) – ‘Он ему издергал нервы / достал мозги / связал руки-ноги’.

1a. Этот пункт отличается от предыдущего лишь заменой OB на LOC, т.е. роли объекта (OB) на роль, соответствующую обстоятельству места (LOC), указывающую в этом случае место AD, на которое непосредственно направлена активность AG:

$$AG \rightarrow LOC \subset AD$$

Примеры:

man (AG) mas (AD) aķoca loqaze / ȳucebši /... (LOC) – ‘Он поцеловал ее в щеку / губы/ ...’

Иногда между AG и LOC(AD) посредничает «освободившийся» OB:

ekimma (AG) mas (AD) çausva xelze (LOC) malamo (OB) / gauķeta nemsi (OB) baržaķši (LOC) / čauķara ekosķopia (OB) gulze / ... – ‘Врач ему помазал мазь на руку / сделал укол в ляжку / произвел эхоскопию сердца (/на сердце) /...’

Идиомы:

is (AG) mas (AD) tavze (LOC) xels (OB) usvams / tvalši (LOC) nacars (OB) aqrис / ... ‘Он гладит его/ее по голове / пускает ему/ей пыль в глаза / ...’

2. Значения левой ветви схемы рассматривают AD и воздействующего на него объекта как две вначале и в конечном итоге независимые друг от друга единицы. В отличие от этого средняя ветвь (2, 2a) подразумевает тесную связь между ними, возникающую в процессе взаимодействия или, наоборот, нарушающуюся в его результате. Так, например, значения соответствующие блоку 2, подразумевают объединение AD и OB в одно целое (AD+OB) или отделение от целого AD одной из его частей (AD-OB) под воздействием, исходящим от AG (возможно через посредство INSTR):

$$AG \Rightarrow (AD \pm OB)$$

man (AG) daumaşa sacıvs (AD) sunelebi (OB) / miaķera perangs (AD) žibe (OB) / miuerta ķompiūters axali modemi (OB) / ... ‘Он добавил в сациви пряности / пришел к рубахе карман / подсоединил к компьютеру новый модем / ...’;

man (AG) danit (INSTR) moacila purs (AD) kerki (OB) / moaṭexa ṭoṭs çveri (OB) / moagliža ķedels (AD) 3veli špaleri (OB) / ... ‘Он срезал ножом с хлеба корку / отломил кончик ветки / содрал со стены старые обои / ...’

Большинство переносных значений этого узла совпадает со значениями блока 3а. Все же специфическими для данного (2-го) блока можно считать значения, связанные с возникновением / исчезновением некоторого качества AD:

sunelebma (AG) misca axali gemo (OB) ḫeržs (AD) – ‘Пряности придали новый вкус пище’;

am samķaulebma da ḫosmeṭiķam (AG) damaṭebiti ešxi da brçqinvaleba (OB) mianiča mis garegnobas (AD) – ‘Эти драгоценности и косметика придали дополнительные изящество и блеск ее внешности’;

am mukaram / ubedurma šemtxevam (AG) çaatrva / gaukro gamedaoba (OB) mis kcevas (AD) – ‘Эти угрозы / несчастные случаи лишили смелости его поведение’.

2а. Роль единого целого в этом случае выполняет процесс (PROC), в рамках которого взаимодействуют OB и AD:

(AD+OB) ⊂ PROC.

Основным вариантом можно считать случай, когда AD и OB одновременно или попеременно выполняют аналогичные действия:

is (OB) mas (AD) esaubra / eķamatata / ečxuba / ečidava / Šeežibra / evačra / ... ‘Он с ним беседовал / спорил / дрался / боролся / соревновался / торговался / ...’

Все же участие этой пары ролей в процессе не выглядит в этих высказываниях вполне симметричным: OB приобретает в них оттенок инициатора, ориентированного на AD (блок 0). Этот нюанс становится более наглядным на фоне высказываний, полностью симметризирующих оценку поведения этой пары в рамках PROC:

isini esaubrnen / eķamatnen / ... ertmanet (s/tan) – ‘Они побеседовали / поспорили / ... друг с другом’

или просто:

isini saubroben / ķamatoben / ... – ‘Они беседуют / спорят/ ... ’

В еще большей степени этот перевес активности OB при вероятной (хотя и – необязательной) статичности AD проявляется в примерах вроде:

is (OB) Šexvda / daežaxa / daečia / daemsgavsa / gaučolda / ... mas (AD) – ‘Он встретился с ним / столкнулся с ним / догнал его / стал походить на него / сравнялся с ним / ...’

Здесь дополнительно всплывают нюансы значений блоков 0 и 2.

Пересечение этого рода характерно для семантики многих блоков схемы Рис.2 и, в частности, для ее третьей ветви: возглавляющий ее блок 3 аналогичен во многом головному блоку схемы (0) и составляющим левой ветви (1, 1a); в основе семантики блока 3а лежат черты сходные со значением блока 2; наконец, ряд примеров, соответствующих семантике блока 3b, определенно напоминает семантику блока 2а. Своеобразие же этой ветви заключается в специфических отношениях, связывающих OB с AD (блоки 3, 3а) и в том, что AD (в одиночку или вместе с «партнером» OB) подвержен некоторому состоянию (ST), а не «втянут» в процесс PROC (блок 3b).

Переменная Z в символике блоков 3, 3а представляет совокупности, множества объектов OB (конкретных или абстрактных), находящихся в одном из «специфических» отношений с AD и таким образом удовлетворяющих требованиям значений этих блоков. Примерами частных случаев таких отношений AD и определяемой ими совокупности («зоны») могут служить: «собственность» AD, «круг семьи» AD, иные «близкие» (родственные, дружественные, служебные) отношения,

зона «стремлений», «желаний» AD и предполагаемые пути, средства их достижения и надежды на их осуществление, и т.д. Именно эти зоны (Z) и содержащиеся в них объекты (OB) представляются настолько «близкими сердцу» AD, что воздействие на них AG воспринимается как косвенное, метонимическое воздействие на самого AD.

3. Значения этого доминантного узла правой ветви схемы Рис.2 определяются символикой:

$$AG \rightarrow OB \subset Z(AD),$$

подразумевающей воздействие AG на один из объектов (возможно их группу), принадлежащих одной из зон Z(AD).

Наиболее частыми и очевидными являются высказывания, где Z(AD) представляет зону «собственности»:

man (AG) mas (AD) daulaga / gautbo / gaubinjura / ... otaxi / bina / ... (OB) – ‘Она ему убрала / согрела / загрязнила / ... комнату / квартиру / ...’;

man (AG) mas (AD) gaugesha / gauutova / dauxia / gauçućqiana / ... perangi / ķaba / šarvali / ... (OB) – ‘Она ему выстирала / погладила / загрязнила / порвала / ... рубашку / штаны / ...’

Возможны примеры, где Z(AD) является зоной «близости» AD с OB:

ekimma (AG) mas (AD) umķurnala / gadaurčina / gamoužanmrtela / ... švili / coli / ʒma / deda / axlo megjbari / saqvareli gogo – ‘Врач вылечил / спас / оздоровил / ... ему сына / жену / брата/ мать / близкого друга / любимую девушку / ...’.

В рамках семантики этого блока AG может оказывать воздействие на возможные пути, процессы, ведущие к достижению некоторых целей, желательных ситуаций, предметов стремления, мечтания, надежды:

man (AG) mas (AD) daxmareba gauçia / xeli šeuçqo / xeli šeušala / gza gauxsna / gza čauķeṭa/ ... miznis miçcevaši / misaçcevad – ‘Он ему дал / подарил / купил / ... книгу / сапоги / машину / дом / ...’.

В этих метафорах роль OB выпадает на долю переносных понятий «помощи» (daxmareba), «рук» (xeli), «пути» (gza).

За. Аналогично блоку 2а значения этого блока связаны с изменением состава Z(AD):

$$AG \Rightarrow Z(AD \pm OB),$$

т.е. под воздействием AG зона Z «приобретает» или «теряет» объект OB.

И в этом случае наиболее простые и наглядные примеры возникают в связи с зоной «собственности»:

man (AG) mas (AD) misca / ačuka / uqida / ... çigni / čekmebi / mankana / saxli / ... (OB) – ‘Он ему дал / подарил / купил / ... книгу / сапоги / машину / дом / ...’;

man (AG) mas (AD) çaatrva / mopara / gamostqua / ... fuli / cxeni / koneba / ... (OB) – ‘Он у него отнял / украл / выманил / ... деньги / коня / имущество /...’

Примеры возможных вариантов, где Z(AD) представлено зоной «близких человеческих отношений»:

man (AG) mas (AD) daumegobra / dauaxlova / daašora / ... mezoblebi / nacnobebi / natesavebi / tanamšromlebi / ... (OB) – ‘Он его подружил / сблизил / развел / ... с соседями / знакомыми / родственниками / сослуживцами / ...’;

возможны и конструкции без упоминания источника внешнего воздействия (AD):

mas (AD) daebada tqupebi / gardaecvala deda / gašorda kmari / ... (OB) – ‘у нее родились близнецы / умерла мать / ушел муж / ...’

Метафоричность и в этом случае чаще всего характеризует высказывания, в которых Z(AD) представляет собой зону «желаний, стремлений, надежд» AD:

man (AG) mas (AD) gaučina / čaunerga / čausaxa / ... imedi / midrekileba / osneba / ... (OB) – ‘Он у него породил / ему внушил / у него создал / ... надежду / стремление / мечту ...’;

man (AG) mas (AD) gaukarçla / gaukro / gaucamťvera / ... qoveli imedi / iluzia / osneba / ... (OB) – ‘Он развеял / разрушил / ... ему все надежды / иллюзии / мечты / ...’

3b. Согласно со значением этого блока участник ситуации, интерпретируемый как AD, находится в состоянии ST:

$$AD \subset ST$$

Позиция блока в схеме Рис.2 определяется предположительной возможностью считать «состояние» (ST) на каком-то уровне абстракции некоторым аналогом «зоны» Z(AD) остальных блоков (3, 3а) этой ветви. Напрашивается и определенная аналогия с «процессом» (PROC) блока 2а: статика состояния ST имплицитно поддерживается динамикой некоторого процесса, социального, физиологического, эмоционального, ментального, в зависимости от характера самого состояния ST.

Типичные случаи физиологического ST:

mas (AD) sʒinavs / yviʒavs / šia / sçuria / ... – ‘Он спит / бодрствует / голоден / испытывает жажду / ...’

Социальная тематика звучит в примерах:

mas (AD) učirs / (ar) ulxins – ‘Он нуждается / ему (не) легко живется’.

Во многих случаях состояние определяется отношением AD к некоторому объекту OB (что дополнительно поддерживает аналогию Z и ST):

mas (AD) akvs / hqavs / eķutvnis / ... raŷaca / viŷaca – ‘Он имеет / ему принадлежит / ... что-то / кто-то’.

В отличие от примеров, связанных с блоками 3, 3а здесь происходит лишь фиксация принадлежности OB зоне собственности AD. Аналогично определяется принадлежность OB к зонам «желания», «потребности», «необходимости», «возможности» AD в высказываниях:

mas (AD) sçirdeba / unda / šeužlia / šurs / ... raŷaca (OB) – ‘ему нужно / он хочет / может / желает / ... что-то / чего-то’.

«Подражанием» процесса «партнерского» взаимодействия (блок 2а) можно считать выражения эмоциональных ST, в которых AD и OB воздействуют друг на друга, хотя и различным образом:

mas (AD) mosçons / uqvars / sʒuls is (OB) – ‘ему нравится / он любит / он ненавидит кого-то / что-то’.

Одностороннее влияние OB адресат AD испытывает в состоянии эмоционально возбужденного воображения:

mas (AD) ečeneba / elandeba / esizmreba raŷaca (OB) – ‘ему является / мерещится / снится что-то’.

Та же роль фактора, вызывающего состояние AD, получает (по до сих пор неясным причинам) нестандартное для OB оформление родительным падежом в контексте глаголов:

mas (AD) sžera / sçams misi (SR) – ‘Он верит ему / верует в него’.

SR здесь подразумевает «источник» (Source) возникновения состояния.

Весьма любопытным представляется совпадение оформления SR при следующих грузинских глаголах и в их русских переводах:

mas (AD) ešinia / scxvenia / erideba / etačileba / ... misi (SR) – ‘Он боится / стыдится / стесняется / смущается / ... кого-то / чего-то’.

Проблема оформления SR в этих контекстах приобретает особое значение на фоне той определяющей роли, которую придает языковой форме представления семантических ролей предлагаемый здесь подход (в соответствии с более ранними работами - Chikoidze 2007, Чикоидзе 2010, 2010a). Естественным развитием данной работы было бы рассмотрение структуры значений остальных семантических ролей (CS, CI, AG, OB) на основе характера их оформления, выражающего их языковую интерпретацию, т.е. исходя из того, как их «понимает» и как «нам преподносит» их язык.

ლიტერატურა – References – Литература

1. G. Chikoidze 2007. The Marking of Verb-Actant Relations in Georgian Language. Proceedings of 6th International Tbilisi Symposium on Logic, Language and Computation. B.D. Springer-Verlag, Berlin Heidelberg.
2. Г. Чикоидзе 2010. Систематизация значений некоторых классов языковых единиц. Институт Систем Управления им. Элиашвили, Тбилиси
3. Г. Чикоидзе 2010a. «Цепочка действий» грузинской глагольной супер-парадигмы. Труды Института Систем Управления им. Элиашвили, №14, Тбилиси
4. Langacker 1991. Concept, Image, and Symbol. The Cognitive Basis of Grammar. Mouton de Gruyter. Berlin, New York.

“ადრესატის” (AD) როლის სემანტიკა
(ქართული ზმნური სუპერ-პარადიგმის კონტექსტში)

გ. ჩიკოიძე

მოცემულია AD როლის მნიშვნელობათა სქემა, რომლის საფუძველს წარმოადგენს იმ ზეგავლენის ცნება, რომელსაც AD განიცდის სუპერ-პარადიგმის სხვა როლებისაგან (AD, INSTR, OB). ეს ზემოქმედება შეიძლება ეხებოდეს AD-ს მთლიანად ან იყოს გამიზნული რომელიმე მისი ნაწილისთვის, შეიძლება იწვევდეს მის გარდაქმნას ან შემადგენლობის ცვლილებას და ა.შ. სწორედ ამ ნიუანსებს ასახავს სქემის სხვადასხვა კვანძები.

The semantics of “addressee” role (AD) (in the context of Georgian verbal super-paradigm)

G. Chikoidze

The proposed here scheme of AD's meanings is based on the concept of influence on AD which is exerted by other semantic roles: CS-causer, AG-agent, OB-object, INSTR-instrument. In the result of this influence AD may be transformed, divided into parts or united with some complementary part, etc. All these and some other nuances are taken into account by the nodes of the proposed scheme.

არქიტექტურა – Архитектура – Architectura

კონტექსტუალიზმის პრობლემა ქართულ არქიტექტურულ რეალობაში

გ. დავითაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
თბილისი, კოსტავას ქ. 77

XX საუკუნემ მძლავრი იმპულსი მისცა პლურალიზმს ხელოვნების ყველა დარგში. არქიტექტურაში შეირყა საუკუნეების მანძილზე განმტკიცებული ისტორიული მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულების დოგმები, რომელიც უპირველეს ყოვლისა, მემკვიდრეობისადმი მოწიწებასა და რევერანსში გამოიხატებოდა, ხოლო ისტორიულ-არქიტექტურულ გარემოში ახლის ინკორპორაცია შესაძლებელი იყო მხოლოდ არსებულთან კონტექსტის ნიშნით-თანამასშტაბურობით, საჭიროებისამებრ სტილური შეთავსებულობით, რომელიც არც თუ იშვიათად სტილიზაციაში და კომპილაციაში გადადიოდა. განსხვავებულობა, ერთადერთობა, არატრადიციულობა ეპოქის სულის და განწყობილების ნიშანია, ამიტომ არქიტექტურაში განსაკუთრებულის შენარჩუნებისა და განვითარების ახალი გზების ძიება სულ უფრო აქტუალური ხდება, ანუ მიმდინარეობს „კონტექსტის ძიების“ პროცესი.

ნაწილობრივ, ასეთი ძიებები „წარსულთან ჰარმონიის“ ნოსტალგიურმა ორიენტაციამ გამოიწვია, რომელმაც მხატვრული შემოქმედების ყველა სფერო მოიცვა და ორიენტირებული იყო რეტროსპექტივაზე. ის ჩამოყალიბდა როგორც თანამედროვე ქალაქების გაუფერულების სპონტანური დაპირისპირების შედეგი, რომელიც გამოწვეული იყო ინტენსიური ინდუსტრიული მშენებლობით. ამასთან კულტურული მემკვიდრეობის დირექტულებების გათვალისწინებამ, არქიტექტურაში ახალი ნოვატორული წინადაღებების გაჩენის მხრივ პოზიტიური შედეგები გამოიდო, გააღრმავა რა ის ახალი ფორმალური და რიტორიკული შესაძლებლობებით, არქიტექტურული ენის ინდივიდუალიზაციით.

კონტექსტის ცნება და მასთან დაკავშირებული კონტექსტური აღქმა, კონტექსტური აზროვნება დამკვიდრდა ჩეგნში 1990-იან წლებში. მას ხშირად ვხმარობთ მაგალითად, „ისტორიული“, „კულტურული“, „ცხოვრებისეული“, „სოციალური“, „მეცნიერული“, „არქიტექტურული“, „ეკოლოგიული“ კონტექსტი და სხვ.

დღეს, როდესაც ისტორიულ გარემოში ახლის ინკორპორაციის აუცილებლობა დგება კონტექსტი, თანამასშტაბურობა, მხატვრული და სტილური თანაარსებობა უწინდელი ერთად ერთობიდან ერთ-ერთის კატეგორიად იქცა. კიდევ მეტი, არსებობს ტენდენცია კონტექსტი შეიცვალოს კონტრასტით, რადიკალურად ახლით, რადიკალურად განსხვავებულით, ამიტომაც ტრადიციისა და თანამედროვეობის მიმართება დღეს განხილულ უნდა იქნას ამ თრიპოზიტიდან.

კონტექსტი არ არის მხოლოდ მასშტაბური ან სტილური შეთავსება, იგი პირველ რიგში არის არსებული არქიტექტურული და ლანდშაფტური სიტუაციის ატმოსფეროსა და განწყობილების შენარჩუნება, ხოლო უკეთეს

შემთხვევაში, მის ახალ ემოციურ რეგისტრში აყვანა. ხშირ შემთხვევაში ეს ატმოსფერო განისაზღვრება არა ცალკეული შენობით, არამედ მთელი არქიტექტურული გარემოთი. მაგალითად, ძველი თბილისის ან სვანეთის ატმოსფერო, კოლხეთის ან შატილის განაშენიანების სპეციფიკა.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ არქიტექტურულ-სივრცული სიტუაცია თანამედროვე ტენდენციებთან კონტექსტში ისეთი სახით იქნეს მოწოდებული „მომხმარებლისადმი“, რომ იგი გრძნობდეს უწყვეტ კავშირს წარსულთან, ერთს სულიერ და მატერიალურ კულტურასთან. ადამიანში ასეთი ემოციური შეგძნებების გამოწვევა „ეროვნულის“ ერთ-ერთ არსებობის ნიშანს წარმოადგენს. ასეთი ემოციების გაღვიძების მეთოდები შეიძლება სხვადასხვა იყოს. დიდ არქიტექტურულ ნაწარმოებებში ზღვარი ტრადიციულსა და თანამედროვეს შორის ძნელად დასადგენია. ამ აზრის დასტურად ერთ მაგალითს მოვიშველიებ. რა არის ფუნიკულიორი – ტრადიცია თუ თანამედროვე? ის ერთდროულად ტრადიციულიცაა და თანამედროვეც. ამაშია მისი სიდიადე.

მართალია XX საუკუნის ტექნიცისტურმა ტენდენციებმა ჩამოაყალიბეს რეგიონალური და ეროვნული ტრადიციების და ტექნიკური პროგრესის ერთმანეთთან შეუთავსებლობის საქმაოდ მყარი შეხედულება, მაგრამ ბევრი არქიტექტორის პოზიციაა ის, რომ არქიტექტურა, ერთს სულიერი კულტურის სფეროა და ისტორიის, ტრადიციის, ადათ-წესების გააზრება უნდა მოხდეს თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებთან სიმბიოზში.

კონტექსტი წარმოგვიდგება მოკავშირედ ახალ მხატვრულ ფორმებსა და გარე არქიტექტურულ სტრუქტურებს შორის, რომლებიც იგულისხმება: ერთის მხრივ - ისტორიულად ჩამოყალიბებული კონკრეტული გარემო, რომელიც ამ შემთხვევაში ფუნქციონირებს არქიტექტურული ტექსტების ნაკრებად. მეორეს მხრივ - რეგიონალური, ნაციონალური არქიტექტურული ტრადიციები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში შეიძლება ვერ გამოვლინდნენ კონკრეტულ გარემოში, მაგრამ სინთეზში შექმნას მაქსიმალურად შევიწროვებული არქიტექტურული რეალობა, რომელთანაც ურთიერთკავშირში იქნება თანამედროვე არქიტექტურული ფორმა. უჭვგარეშეა, რომ ნებისმიერი არქიტექტურული ნაწარმოები, როგორც მხატვრული კულტურის ფენომენი ვერ იარსებებს ამ ფაქტორების გარეშე.

თანამედროვე არქიტექტურულ პროცესებში წარმოქმნილი სიტუაციებიდან გამომდინარე საინტერესოა იმ პროექტებისა და რეალიზაციების განხილვა, რომლებიც გარემოსა და ტრადიციას შორის დიალოგის ამა თუ იმ ფორმას ავლენენ.

ასეთმა დიალოგმა შესაძლებელია პოზიტიური შედეგი გამოიღოს, რადგან: 1. ასეთი დიალოგი წარმოადგენს თანამედროვე არქიტექტურის განვითარების ერთ-ერთ საშუალებას; 2. ის თვით ტრადიციის მხატვრული სისტემის ევოლუციის გაგრძელების, ახლებურად გააზრების, ინტერპრეტაციისა და ზოგჯერ ცხოვრებასთან ხელახალი დაბრუნების საშუალებას იძლევა; 3. კონტექსტუალურ მიღგომას შეუძლია შექმნას არქიტექტურული გარემოს უწყვეტობა და მისი კომპონენტები ფორმის, იდეის დონეზე ახალი მხატვრული ტიპის პოლიფონიურ სტრუქტურას, კომპოზიციას, ანსამბლს დაუკავშიროს; 4. სამივე შედეგს გააჩნია სოციალური ეფექტი, რომელიც მიმართავს საზოგადოებას ტრადიციული, ყოველი ადგილისთვის განკუთვნილი დირექტული ინდივიდუალური სისტემების ადზეგებისკენ, რაც მას შეგრძნების, ტრადიციის გააზრების, დროისა და კულტურათა კავშირის დანახვის საშუალებას მისცემს, და საზოგადოებაში ურთიერთობათა ტრადიციული მარეგულირებლის - არქიტექტურის როლს ააღორძინებს.

აქედან გამომდინარე თანამედროვე არქიტექტურული პროცესის განვითარებისთვის დიალოგი ტრადიციას, გარემოს, წარსულისა და აწმყოს კულტურებს შორის აუცილებლობას წარმოადგენს.

დღეს ქართულ არქიტექტურას მრავალი პრობლემა აქვს გადასაჭრელი. ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ ქართული არქიტექტურის მსოფლიო არქიტექტურული პრაქტიკისგან გარკვეულ ჩამორჩენაზე. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ისეთი საკითხების განხილვა, რომლებიც ერთგვარად შეავსებენ იმ დეფიციტს, რომელიც არსებობს ქართული არქიტექტურის მსოფლიო არქიტექტურის პროცესებთან მიმართებაში. თანამედროვე ქართული არქიტექტურის წინაშე დაგას “ტრადიციული” ამოცანა – შეინარჩუნოს თვითმყოფადობა, ეროვნულ ფესვებთან კავშირი. კონკრეტული აზრის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელი ხდება ჩვენი ტრადიციები ახალი თვალსაზრისით, თანამედროვეობასთან შესაბამისობაში გავიაზროთ.

თანამედროვე არქიტექტურაში ტრადიციის გადმოტანის რამდენიმე მეთოდის გააზრებით, შესაძლებელი იქნება ადგილის ისტორიის, არქიტექტურულ-კომპოზიციური თავისებურებების, ამა თუ იმ ნაგებობის ხასიათის გათვალისწინება და თანამედროვეობაში მისი ფაქტი ჩართვა. ეს მეთოდები შემდეგს გულისხმობს:

1) ტრადიციული, ისტორიული არქიტექტურული ფორმების მოძიება და არქიტექტურულ ნაწარმოებში მათი ჩართვა პირდაპირი გადმოტანით მხოლოდ ახალი ტექნიკისა და თანამედროვე მასალების გამოყენებით,

2) ძველი ისტორიული ფორმებიდან, ცალკეული ფრაგმენტების ამოკვეთა და თანამედროვე კონსტრუქციაში მათი ჩართვა. ეს არის ხელახალი კომბინაცია. ამავე დროს ისტორიული ფორმების პირველადი მნიშვნელობა იკარგება, რადგანაც ახალ კომბინაციაში ის სხვა მნიშვნელობას იძენს.

3) “უხილავი ტრადიციები” – მაგალითად კონკრეტული კულტურის ცხოვრების და აზროვნების წესების, ადათ-წესების, ესოების გამოვლენის საფუძველზე ისეთი სიმბოლოების შემოტანა, რომლებიც ამ ყოველივეს წარმოაჩენს. ის აბსტრაქტულ შტრიხებს შეიცავს.

ამ მიღების გათვალისწინებით ჩვენი რეალობიდან შესაძლებელია ტრადიციისადმი დამოკიდებულების რამდენიმე მაგალითის განხილვა და იმის დადგენა თუ რა მეთოდით, რა პროფესიული ხერხებით აღნიშნავენ დღეს ქართველი არქიტექტორები მემკვიდრეობასთან კავშირს. ისტორიული გარემოსადმი დამოკიდებულების ქართული პროფესიული მენტალიტი ხომ მაინც ისტორიული მემკვიდრეობისადმი პატივისცემას ამჟღავნებს. მემკვიდრეობისადმი ფაქტი დამოკიდებულების, მისი აქტიური როლი სივრცის ფორმირების საკითხში ნათელია, თუმცა გარემოს ორგანიზაციის სასურველი შედეგები ყოველთვის ვერ მიიღება.

ქალაქური სახლებისთვის სახასიათო იყო შიდა ეზო და აივნები, რომლებიც სამი მხრიდან ერტყმოდა მას. აივანს ორმაგი დატვირთვა პქონდა, პირველი, ის საჭირო იყო ქალაქის კლიმატური პირობებიდან გამომდინარე და მეორე, თავისი არსით უპირისპირდებოდა სხვა ქვეყნების, მაგალითად, აღმოსავლეური ქვეყნების ხასიათს და არქიტექტურულ მიღვომას, რომელიც გულისხმობდა “ჩემი სახლი ჩემი ციხესიმაგრეა”, თბილისური აივანი პირიქით გამოხატავდა სიმბოლოს გახსნილი ცხოვრების წესისა და ურთიერთობებისა, რომელიც მთელი დატვირთვით აისახებოდა მაშინდელი თბილისის არქიტექტურაში. ორ-სამ სართულზე განვითარებული აივნები ქმნიდა ზონებს, სივრცეებს, რომლებიც იძენდნენ ე.წ “სალაყბოების” ფუნქციასაც, ხოლო სამი მხრიდან აივნებით შემოფარგლული ეზო სხვადასხვა ოჯახის გამაერთი-

ანებელ სივრცედ წარმოჩნდება (მაგ. ტიპურია სახლი გუდიაშვილის მოედანზე).

ტრადიციის პირველი მეთოდის გადმოტანის საინტერესო მაგალითად შეიძლება დასახელდეს შავთელის ქუჩაზე აშენებული სასტუმრო, რომლის არქიტექტურული კომპოზიცია იმეორებს ტრადიციული ქართული სახლის გეგმარებით პრინციპს სამმხრივი აივნები, შიდა ეზო, რომლის ერთ-ერთ კუთხერში მრგვალი კიბე განთავსა, შესასვლელს აფორმებს რკინის აურული ჭიშკარი. აივნის სვეტების ფორმა და კაპიტელები მსგავსია გუდიაშვილის მოედანზე განთავსებული სახლის სვეტებისა. ახალი მასალების გამოყენებით მოხერხდა ტრადიციის გადმოტანა. გადაჭარბებულად მეჩვენება კიბისა და ჭიშკრის რკინის აური, თუმცა ეს არ აღდვევს შენობის საერთო კომპოზიციას და მას დადებით მუხტს სძენს. ფასადის კლასიცისტური მოტივები შერწყმულია მოდერნის ელემენტებთან.

საქართველოს მაღალმოიანი სოფლები ფერდობებზეა შეფენილი. მათი არქიტექტურული კომპოზიცია ბრწყინვალედ ეწერება გარემოსა და ესადაგება მას. თითოეული რეგიონი ინდივიდუალობით გამოირჩევა და მათვის დამახასიათებელი კომპოზიციური მიღომები გააჩნია. ქ.თბილისში, იპოდრომის მიმდებარე ტერიტორიაზე, ფერდობზე უნდა აშენებულიყო ცხოველთა ფიტულების კოლექციონერისთვის მუზეუმი - „მონადირის სოფელი“. მისი არქიტექტურული სახე ასოციაციით შატილის, ომალოსა და უშგულის ფრაგმენტებსა და ქართლის ძველ სოფლებს გვაგონებს. ამგვარი ასოციაციების და „მოგონებების“ შემდეგ იწყება დეტალების, მოცულობათა პროპორციების, ინტერიერის ახლებული ინტერპრეტაცია, რაც ტრადიციის მეორე მეთოდთან შეიძლება დავაკავშიროთ.

ფერდალური ხანის XVI-XVII სს. ციხე-სიმაგრე, არაგვის ერისთავთა რეზიდენცია ანანური შედგება ციტადელისა და კოშკებისგან. ერთ-ერთი „შეუპოვარის“ სახელითაა ცნობილი. სწორედ მისი ინტერპრეტაცია მოახდინეს ავტორებმა მიმდებარე ტერიტორიაზე აშენებულ სასტუმროს დაპროექტებისას. მასში ინტერპრეტირებული ტრადიციული ელემენტი კონტექსტში ქმნის თანამედროვე ფორმასთან და გარემოსთან შეთავსების საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს, რაც ტრადიციის ასახვის მეორე მეთოდს პასუხობს.

ამავე პრინციპს ეფუძნება ქართული ტრადიციული არქიტექტურული ელემენტების - „დარბაზული“ ჭერისა და „დედა ბოძის“ ჩართვა თანამედროვე სტრუქტურაში. თბილისის ყოფილი რიტუალების სასახლის ინტერიერში ტრადიციებთან კავშირის შეგრძნება ემყარება ასოციაციათა მრავალფეროვნებას, შეგრძნებებს, რაც ვლინდება ერთ-ერთი დარბაზის გადახურვაში.

„დედა ბოძის“ გამოყენების მცდელობაა მცხეთაში, სვეტიცხოვლის მახლობლად მდებარე პოსტმოდერნისტულ სტილში გადაწყვეტილ შენობაში, რომელსაც ტრადიციის ციტირების საუკეთესო ნიმუშად ვერ დავასახელებთ. სივრცისადმი დამოკიდებულების ქართული „ტრადიცია“ ითხოვს ისტორიულ გარემოსთან, ქალაქებებმარებით და ლანდშაფტურ სიტუაციასთან მორგების აუცილებლობას, რაც ამ შემთხვევაში გათვალისწინებული არ არის.

„ტრადიცია არა მხოლოდ ერის მატერიალური კულტურაა, არამედ არანაკლებ მნიშვნელოვანია, უხილავი, არამატერიალური „ტრადიციები“ – რელიგია, მუსიკა, მხატვრობა, ცეკვა, თეატრი, ზნე-ჩეულებები, რიტუალები, მთლიანად ერის სულიერი სამყარო, რაც მესამე მეთოდს მიეკუთვნება.

უხილავ ტრადიციებზე მსჯელობისას წარმოგვიდგა ისევ თბილისური ეზოს საზოგადოებრივი სივრცე, რომელიც თანაარსებობის საფუძველს ქმნიდა. თბილისის ახალ რაიონებში მცხოვრები ხალხის მიერ თავისთავად

მსგავსი ტენდენციები გამოვლინდა. ახალი გეგმარებითი პრინციპების მიხედვით, ერთმანეთისაგან დაშორებულ კორპუსებს შორის არსებული ტერიტორიები მობინადრებებმა აითვისეს, როგორც დამატებითი „საცხოვრებელი ფართები.“ განვითარებული ცხოვრებისეული პროცესები ბინიდან ეზოში გამოტანილი ცხოვრების დემონსტრირება გახდა – ეს თანაცხოვრების ტრადიციის მაჩვენებელია, რომელიც აღბათ მიუთითებს იმ ტრადიციის ასახვის აუცილებლობაზე, რომელიც თბილისურ სახლში ადრე არსებობდა და ასეთი ორგანული იყო საქალაქო ცხოვრებისათვის.

თელეთისკენ მიმავალ გზაზე XX საუკუნის 70-იან წლებში გაჩნდა მთელი რიგი მკაცრი ჩაგეტილი სისტემებისა (ვგულისხმობ კორპუსებს), რომლებიც არანაირად არ ჰასუხობენ ადამიანთა ცხოვრების სტილს და არ ექვემდებარებიან რაიმე ლოგიკას, ხოლო ადგილის ბუნება და ხასიათი თითქოსდა ურთიერთდაპირისპირებაში მოვიდა მსგავს სისტემებთან, რის გამოც მაცხოვრებლებმა დაიწყეს კორპუსის ეზოებში „ნალიების“ აგება, რაც ტრადიციული სოფლის სახლის ალეგორიად იქცა და მისთვის დამახასიათებელი გარემო შექმნა.

ვფიქრობ დღეს ჩვენი დედაქალაქისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას წარმოადგენს თანამედროვე არქიტექტურაში კონტექსტის გათვალისწინება, რაც სხვადასხვა მეოდითა და ხერხით შეიძლება განხორციელდეს. სწორედ ეს შეუნარჩუნებს თბილის უბანულ, ისტორიულ იერსახესა და ხასიათს.

ლიტერატურა

1. Архитектура и общество, В поисках контекста, N 6, 1987

Проблема контекстуализма в грузинской архитектурной реальности

Майя Давитая

*Грузинский технический университет,
Грузия, Тбилиси, ул. Костава 77*

В процессе глобализации постепенно стираются границы национальных культур. Уважение к грузинским традиционным архитектурно-композиционным приемов и их включение в современную урбанистическую среду представляется важнейшим шагом на пути сохранения самобытности.

В статье представлено несколько методов переноса традиции в современную архитектуру и рассмотрены примеры решения этого вопроса некоторыми грузинскими архитекторами.

The Problem of Contextualism in Reality of Georgian Architecture

Maia Davitaiia

*The Georgian Technical University,
77 Kostava st, Tbilisi, Georgia*

The globalization process is gradually erasing the borders of national cultures. Respect to the Georgian traditional architectural and compositional methods and their incorporation in contemporary urbanity represents as an important step in preservation of originality.


In the article is presented several methods of traditions carrying over into modern architecture and considered examples of solutions of these problems by number of Georgian architects.

ახალი ფორმადწარმომქმნელი პრინციპების ძიება თანამედროვე არქიტექტურაში (ნაწილი პირველი: “კინეტიკური არქიტექტურა”)

ასოცირებული პროფ. ნინო იმნაძე
სტუ, არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი

დღევანდელ, წინააღმდეგობებით სავსე ტენდენციების მქონე არქიტექტურაში – “არქიტექტურა კრიზისშია”. ეს სიტყვათა შეთავსება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, მაგრამ “კრიზისშია კი არქიტექტურა?” მოვიყვან არქიტექტურის თეორეტიკოსის ა. რაპაპორტის მოსაზრებას, რომელიც აღნიშნავს: “არქიტექტურა კრიზისში იყო მაშინაც, როდესაც კლასიციზმს ჩაენაცვლა ეკლექტიზმი, როგორც ენა არქიტექტურული ფორმების და კომპოზიციური ხერხების თავისუფლად არჩევისთვის, ეკლექტიკა გაკრიტიკებული იყო და ადგილი დაუთმო მოდერნს, რომელიც ასევე უპირატესობას აძლევდა თავისუფალ არჩევანს, მოდერნაც ვერ იარსება დიდ ხანს და მას ჩაენაცვლა ფუნქციონალიზმი და კონსტრუქტივიზმი, რომელიც გახდა თანამედროვე სტილის საფუძველი, თითქოს მოიძებნა არქიტექტურის ახალი სამეტყველო ენა, კრიზისი დაძლეული იყო, მაგრამ ცოტა ხანში ახალი სტილიც აცლენდა კრიზისის ნიშნებს და ადგილი დაუთმო ე. წ. “პოსტმოდერნიზმს”, “დეკონსტრუქტივიზმს” და სხვა მთელ რიგ მიმდინარეობებს არქიტექტურაში”. არქიტექტურული შემოქმედების პარადიგმების ასეთი ხშირი ცვლა თითქოს უნდა მიგვანიშნებდეს არქიტექტურის განვითარებაზე. წინამდებარე სტატიის მიზანია გავაანალიზოთ თუ რას წარმოადგენს XXI სუკუნის პირველი ათწლეულის არქიტექტურის სამეტყველო ენა, ერთერთი საინტერესო შემოქმედებითი კონცეფციის განხილვის მაგალითზე.


არქიტექტურა სახეს უცვლის თავის სივრცეებს, უარი სთქვა ტრადიციულ სტატიურ ფორმებზე და ადგილი დაუთმო თავისუფალ შემოქმედებით აზროვნებას. ამ არქიტექტურის გრამატიკა პროვოკაციულია, რადგან ახალი ფორმადწარმოქმნელი პრინციპების ძიებებისთვის მიმართა სამეცნიერო მოვაწყობის ერთ-ერთ შემოქმედებით მიმართულებას “კინეტიკურ მექანიკას” და მის საფუძველზე აღმოცენებულ “კინეტიკურ ხელოვნებას”. ხელოვნებაში ახალი ხაზის განვითარებას ხელი შეუწყო 1878 წელს პარიზში მსოფლიო გამოფენაზე რუსი მათემატიკოსის პაფნოტია ჩებიშევის მიერ წარმოდგენილი “მოსიარულე მანქანა”. ამ გამოგონებამ განაცვიფრა მნახველები იმით, რომ “ჰგავდა ცოცხალს” და ეს აღელვებდა წარმოსახვებს: “გრძნობდე მასში სულს და სიცოცხლეს”. (“მოსიარულე მანქანის” პრინციპი მოგვიანებით XXI საუკუნეში გამოყენებული იყო ტეო იანსენის მიერ შექმნილ “არსებებში”-ექვსფერა სატრანსპორტო ანიმარისი, რომელიც ქარის და წყლის დინებების საშუალებით გადაადგილდება. “არქიგრემის” მოსიარულე ქალაქების პროტოტიპი)



“კინეტიზმი” ეს არის მხატვრული შემოქმედების სახეობა, რომელიც ისწრაფის ხელოვნებათა სინთეზის კენ: კინეტიზმის თეორეტიკოსები ფ. მოროველე და ზ. ხულტენი კინეტიკურ ხელოვნებას ანიჭებდნენ უპირატესობას, როგორც მხატვრული ფორმის უსასრულო გამეორების, მონოტონურობის და შემოქმედებითი კრიზისის დაძლევის საშუალებას. “კინეტიკური ხელოვნება” ორიენტირებულია სივრცულ-დინამიურ ექსპერიმენტებზე, ნაწარმოების ან მისი ცალკეული ფორმების რეალური მოძრაობის გათამაშების ეფექტით. კინეტიზმის ელემენტები უძველესი დროიდან არსებობდა ქანდაკებაში, არქიტექტურაში, თეატრალურ სცენოგრაფიებში. თუმცა მისი კონცეფციების ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო მე-XX საუკუნის 20-იან წლების ავანგარდულმა მიმდინარეობებმა და უტოპიური გიგანტური კინეტიკური პროექტების გაჩენამ. მაგ. ვ. ტატლინის “მესამე ინტერნაციონალის კოშკი”, კ. მელნიკოვის “კოლუმბის ძეგლი”. მინიმალისტურ ტრანსფორმირებად კონსტრუქციები ა. როდჩენკოს, ლ. ლისიცკის და ა.შ.



”კინეტიკური ხელოვნების” ფუძემდებლებად ითვლებიან ვ. ტატლინი და ამერიკელი მოქანდაკე ა. კალდერი.




კალდერმა დამუშავა ე.წ. “მობილი”. ანიჭებდა რა თავის ნაწარმოებებს მოძრაობას ცდილობდა გადელახა ქანდაკების ტრადიციული სტატიურობა. ისეთი გამონათქმამები, როგორიცაა “სამყარო ახალ მოძრაობაში მოვიდა” და “კველაფერი ისწრაფის დინამიურებისკენ” (ნ. გაბო) განმარტავენ კინეტისტების ამოცანას. ნ.გაბომ თავის “რეალისტურ მანიფესტში” გამოაცხადა “კინეტიკური რითმები” და გახდა კინეტიკური ქანდაკების მიმდევარი. მისი პირველი მობილური ნამუშევარია “კინეტიკური კონსტრუქცია”. ვერტიკალურად მდგარი მოძრავი კონსტრუქცია სპირალურად დახვეული მავრთულის და მას-

ზე სიმძიმის ზემოქმედებით იღებდა სხვადასხვა ფორმას. კინეტიკური ხელოვნების მკაფიოდ გამოვლენილი ორი ტენდენცია: მინიმალისტური ობიექტი – მობილე და სინოეტიური კინეტიკური გარემო მჭიდროდ უახლოვდება ფუტურიზმს, კონსტრუქტიზმს და სუპრემატიზმს. კინეტიზმის მიმდევრები ცდილობენ შეიტანონ ადრე არსებულ ესტეტიურ სფეროში ახალი ფორმები, სტრუქტურები და სიტუაციები: ექსპრესიული, თეატრალური, კარნავალური, ეფექტური, მხიარული, რაც გახდა უამრავი კონცეპტუალური პროექტის საფუძველი. (მაგ. ხ. ლ. პარკა, ჯგუფები “მოძრაობა” და “კოლექტიური მოქმედება”, ფ. იმფანტე “სპონტანური თამაშები ბუნებაში” და სხვა.)

მხატვრების შემოქმედებითმა ძიებებმა ნიადაგი მოამზადეს კინეტიზმის განვითარებისთვის არქიტექტურაში და მე-XX საუკუნის 50-იანი წლებიდან სრულყოფილ მიმდინარეობად ჩამოყალიბდა. კინეტიზმის მიმდევრებმა განაცხადი გააკეთეს გამოფენებით, მანიფესტებით, პროექტებით. კინეტიზმის ექსპერიმენტებს შორის შეიძლება დაგასახელოთ ჟ.ტენგლის “თვითდამანგრეველი” კომპოზიციები, რ. სოტოს “დახვეწილი კომპოზიციები”, ხ. შოფურის “ქალაქთმშენებლობითი ფიქრები” (ან “კინეტიკური კოშები”), გ. იუპაერის “კინეტიკური ფოლკლორი”, “თვითმკვლელი” (ან თვითგამანადგურებელი) ხელოვნება (მაგ. წიგნის გრაფიკაში კითხვის დროს უეცრად ქრება სიტყვები, ხელოვნებაში იჭრებოდა ჩაქუჩები და ანადგურებდა ხელოვნების ნიმუშს და ა.შ.). ვიქტორ ვაზარელი, რომელიც იკვლევდა ხელოვნების გავლენას არქიტექტურაზე “კინეტიზმზე” ამბობდა: “კინეტიკური ხელოვნების მიზანი არის ის, რომ მაყურებელი გახადოს ავტორის შემოქმედების აქტიური მონაწილე”. თანამედროვე კინეტიკურ ხელოვნებაში მოძრაობა აისახება სხვადასხვანაირად: ერთის მხრივ ნაწარმოები გარდაიქმნება მაყურებლის მიერ ან ჰაერის რხევების ზემოქმედებით, მეორეს მხრივ მექანიკურად, კომიუტერული პროგრამების საშუალებით და ლაზერით. მოძრაობის ილუზიის შესაქმნელად გამოიყენება სარკე და ცვალებადი განათება. აქ კინეტიზმი პოპ-არტს უახლოვდება. ყველა ეს ხერხი აფართოებს მაყურებლის ჩართულობას ავტორის შემოქმედებაში.

მექნიკურად ცვალებადი სივრცეები და ობიექტები აქტიურად შემოვიდა არქიტექტურაში მე-XX საუკუნის ბოლოს. მაგ. 1982 წელს ჯონ ლაუტნერმა შეეცარიაში დააპროექტა ტენინგის საცხოვრებელი სახლი, სადაც გამოყენებულია მექანიკური მოწყობილობები თავისუფალი გარდამავალი სივრცეების ეფექტის მისაღებად. კედლები ტრიალებები ასოთხმოცი გრადუსით. კალიფორნიის საცხოვრებელ სახლში შექმნა ისეთი სივრცე, რომელიც თითქოსდა დაუსრულებელია, ოსკარ ნიმეირმა დააპროექტა ისეთი საცხოვრებელი სახლი, რომელშიც გარეთა კედლების მზის დამცავი პანელები ტრიალებენ ვერტიკალური დერბის გარშემო და ა.შ.


გაცნობიერება იმისა, რომ ცვალებადი მოცულობა შეიძლება გახდეს არქიტექტურული ფორმის ძიების ერთ-ერთი ხერხი, გამოყენებული იყო ამერიკული კომპანია “ჰობერმან ასოსიეთის” მიერ, რომელიც 1990 წელს დააფუძნა ჩაკ ჰობერმანმა. კომპანიამ დაიწყო ტრანსფორმირებადი კონსტრუქციების და დინამიური სტატიკის დანერგვა არქიტექტურაში. 1992 წელს რეალიზებული იყო კომპანიის პირველი კონსტრუქცია სფეროს სახით “I-ის ობები”.



ტრანსფორმირებადი გუმბათი “იკეცება” და “იშლება”. გუმბათი მოდის მოძრაობაში ოთხი პიდრავლიკური დგუშით და იმართება კომპუტერით. მისი პროტოტიპი გამოყენებული იყო პანოვერში X 2000-ზე დრეზდენის ტაძრის “რაუენკირცე” რეკონსტრუქციის კინეტიკური ინსტალაციისთვის. კომპანიის მიერ შექმნილი იყო არაერთი კინეტიკური ობიექტი, როგორც ამერიკაში ისე მთელს მსოფლიოში. მაგ. ვენესუელის პავილიონი EXPO -2000 პანოვერში, პავილიონი გადახურულია გიგანტური ყვავილის ფორმის კონსტრუქციით. ყვავილის ფორმების მოძრაობით იცვლებოდა ექსპოზიციის მთელი სახე,



კუვეიტის პავილიონი EXPO - 92 ბარსელონაში (არქ. სანტიაგო კალა-ტრავა) ამ პავილიონის ცნობილი “თევზის ნეკნები” აღფრთოვანებაში მოყავდა მნახველი. მოძრაობის შედეგად პავილიონი პერიოდულად გადაიქცეოდა ფუტურისტულ ობიექტად.



ინტერაქტიულ მუზეუმში “მირადორი” (ჩილე) მოწყო ინსტალაცია ხუთი ტრანსფორმირებადი სფეროთი. ტრანსფორმირებადი სფეროები, პიპერბოლოიდური პარაბოლოიდები ხდებოდნენ საგამოფენო ინსტალაციის მთავარი ელემენტები, რომლებიც იმართებიან კომპუტერის საშუალებით.

დღესდღეობით კომპანიამ ტრანსფორმირებადი კონსტრუქციის ტექნოლოგიაში განავითარა ორი მიმართულება: პირველი მოცულობის ტრანსფორმაცია ნაგებობის ტიპიური ნაწილების მოძრაობით. მოძრაობაში მოვანილი ეს ელემენტები ცვლიან ნაგებობის ფორმას. მობილური კომპონენტი “აცოცხლებს” სივრცეს და ცვლის ნაგებობის ადქმას. მეორე მიმდინარეობა – ბადი-სებრი ზედაპირების გამოყენება, რომელსაც უამრავი შესაძლებლობა გააჩნია.

მაგ. კალიფორნიის სამეცნიერო ცენტრის სამ იარუსიანი ატრიუმის სივრცე შეგხებულია კინეტიკური ობიექტით “ჰიპარი” (ჰიპერბოლოიდური პარაბოლოიდი).



ეს კარგასული ობიექტი მუდმივ მოძრაობაშია, კონსტრუქცია იკეცება და იშლება გარმონის პრინციპით., გარკვეული ინტერვალებით დიდდება მოელ სივრცეში და შემდეგ მცირდება მის ცენტრში. მოძრავი რთული კარგასის მობილური კომპონენტი “აცოცხლებს სივრცეს” და ცვლის ატრიუმის აღქმას.

ამერიკული კომპანიის “ჰობერმან ასოსიების” გამოცდილებამ სტიმული მისცა არქიტექტურაში ჩამოყალიბებულიყო ახალი კონცეპციები. მაგ: ტრანსფორმირებადი და ადაპტირებული სივრცე “PRADA” პავილიონისში არქ. რემ კოალპასი.



მრავალწახნაგოვანი სივრცე ტრიალდება. ექსპოზიციის მოწყობის თემატიური თავისებურებიდან გამომდინარე ერთმანეთს ენაცვლება იატაკი, კედელი, ჭერი, სანტიაგო კალატრავას “მბრუნავი ტორსი”. ფლორენციელი არქიტექტორის დევიდ ფიშერის “დინამიური ცათამბრჯენი”, რომელიც ერთდროულად მოძრაობს და ტრიალდებს, მოძრაობის ხარჯზე ეს ცათამბრჯენები შექმნიან ახალ პლასტიკურ და კომპოზიციურ ფორმებს.




საკმაოდ მომხიბლავია „მაგრამ ამავე დროს იუმორისტული და შოკის მონარგელი. ერნსტ გისელბერგის “დინამიური ფასადი”.



კინეტიკური არქიტექტურა ხელს უწყობს ინოვაციური კომუნიკაციური სივრცის შექმნას. ეს არის ვიზუალური ურთიერთიბის “სათამაშო სტილი”, რომელმაც აამოძრავა შენობათა ფასადები. ფასადი, რომელიც არქიტექტურული ფორმა მჭიდროდ არის დაკავშირებული ფერწერასთან. კერძოთ კი ოპ-არტთან (ოპტიკური ხელოვნება -“Optical art”).და imp-არტთან (შეუძლებელი ხელოვნება – “Impossible art”) ეს არის გრაფიკულ ხელოვნებაში სიბრტყეზე მოძრაობის შექმნელი მიმდინარეობა, რომელმაც არქიტექტურაზე გადაინაცვლა. იგი კლასიკური მაგალითია “ილუზიის” არქიტექტურაში.



ფასადი “დეკორაციის” და “ნიღაბის” მსგავსად ასახავს შენობის “სივრცულ” და “აზრობრივ” თავისებურებებს. “კინეტიკური” ფასადი ერთ-ერთი საინტერესო თემაა. მაგ. მრავალდონიანი ავტოფარეხის ფასადი მართალია არ წარმოადგენს უახლეს ტექნოლოგიურ ნოვაციას, მაგრამ მთელი ეფექტი მიღებულია ქარის და მზის სხივების ზემოქმედების საშუალებით. მხატვარ ნედ კომონთან ერთად არქიტექტურულმა ჯგუფმა BAC შექმნა “ვერტიკალური ტბის” კონცეფცია, რომელიც დამოკიდებულია ქარზე. ნაკადების მოძრაობას დინამიზმში მოყავს თვითოველი ელემენტი (კინეტიკური ფასადი შედგება 250 ათასი ალუმინის პანელებისგან) და მუდმივად ფორმირდება ფასადის ცვალებადი რელიეფი.



კინეტიკური ფასადი წყვეტს რამოდენიმე პრობლემას: მზის და ქარის ზემოქმედებით შენობა მოგვაგონებს ზღვის ტალღებს, ინტერიერში საინტერესო შუქჩრდილის თამაშია და რაც მთავარია წყვეტს შენობის განიავების და ინსოლაციის პრობლემებს. კინეტიკური არქიტექტურის მიმდევარმა კრისტოფერ ბაუდერმა, აღნიშნა, რომ “კინეტიკური არქიტექტურა არის შემდეგი ნაბიჯი ჩვენი გარემოს შესაქმნელად. არქიტექტურა ყოველთვის ცნობილი იყო, როგორც სტატიური, მყარი და მძიმე. მომავლის არქიტექტურა ფიზიკურად ადაპტირდება ჩვენი მოთხოვნების მიხედვით, რადგან ცვალებადობა ჩვენი დროის მუდმივი პროცესია”. მაგ: მოურუმი “კიფერ ტექნიქ” ცვალებადი ფასადით, გასაწევი სახლი ინგლისში, დინამიური ფასადი გერმანიაში, კინეტიკური კოშკი, რომლის ფანჯრის ელემენტები რეაგირებენ მზის სინათლეზე და ყვავილის მსგავსად ვიზუალურად გარდაქმნიან ნაგებობას.



ამრიგად, როგორც განხილულმა მაგალითებმა გვიჩვენა “კინეტიკური არქიტექტურა” უარს ამბობს სტერეოტიპებზე და ორიენტირებულია ესოეტიურ ეფექტზე. თანამედროვე ტენდენციები აახლოვებს მას პოსტმოდერნიზმის ესოეტიკასთან და ვირტუალურ არქიტექტურასთან. რთული კონცეპტუალური სტრუქტურებით იქმნება ცვალებადი სივრცეები, რომლებიც იდეის ხარჯზე იძენენ მოულოდნელ ეფექტს და თეატრალურობას.

არქიტექტურა ახალ “განზომილებას” იძენს – მოძრაობს სივრცეში და დროში. აუცილებელი აღარ არის კედელი იყოს ვერტიკალური ან ჟესაძლოა სულაც არ იყოს, გადახურვა აღარ ასრულებდეს შემოსაზღვრულ ფუნქციას, რადგან იგება მხოლოდ კარგასი. არქიტექტურა მხოლოდ ფორმა ან კონსტრუქცია არ არის იგი გახდა გარემოს ცოცხალი და ცვალებადი დეტალი, რომელსაც ღრმა აზრი გააჩნია. შენობის უსიცოცხლო გარსი იძენს სიკოცხლეს. ნათლად ჩანს, რომ არქიტექტურამ დაკარგა მკაფიო საზღვრები.

კინეტიკური არქიტექტურა ეს არის პროცესი გადმოსცეს ობიექტის, როგორც მხატვრული ნაწარმოების შინაგანი სამყარო. მას ახასიათებს ელემენტების შემოქმედებითი შეთავსება ისე, რომ ასახოს გრძნობები და ემოციები.

ლიტერატურა:

“Форма в архитектуре” А. Г. Раппапорт, М. Стройиздат 1990 г

**Поиски новых формообразующих принципов в современной архитектуре
(часть первая: “Кинетическая архитектура”)**

Имнадзе Н.

Цель данной статьи, анализ архитектуры начала нашего столетия на примере творческой концепции Кинетическая архитектура. Архитектура меняет свои пространство. Отказалась от традиций статичных форм и уступило место свободному творческому мышлению. Перемещается в пространстве и во времени. Грамматика этой архитектуры провокативна так как основой архитектурного формообразования послужила Кинетическая искусство.

**The search of the new form principles in contemporary architecture
(part one: "Kinetic architecture")**

Innadze N.

The purpose of this article is analysis of architecture beginning of this century in the example of creative concept “Kinetic Architecture”. Architecture is changing his spases. Moves in space and time. Grammar of this architecture is provocative because architectural form based in Kinetic art.

თანამედროვე მასალები და კონსტრუქციები – უნიფიცირებული არქიტექტურა

**მედეა მელქაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ქ. თბილისი, კოსტავას ქN^o77**

პრეამბულა

თემის აქტუალურობა: თანამედროვე ტექნოლოგიების საფუძველზე, უახლესი სამშენებლო მასა-ლების ინოვაციურ-განახლებული შესაძლებლობები გამოხატული მათ ე.წ. სუპერმდგრადობის კოეფიციენტი, ხდება კონსტრუქციული ბადე სტრუქტურებისა და დეტალების უნიფიცირების მიზნი, რაც გამოიხატება რამდენიმე (n+1) ჯგუფისა და ქვეჯგუფების ტიპებში-სტანდარტული მოდელირებული დამდაკლიშეების სახით.

ეს მოვლენა, თავის მხრივ იწვევს არქიტექტურული გამომსახველობითობის ჩასმას ამ (n+1) ვარიაციულობის ქარგილების სისტემაში, რომელიც რამდენიმე მოდულირებული სტრუქტურის ინტერკორეტაციის (n+1) ჯგუფს ადგენს.

შედეგად, მსოფლიო არქიტექტურის გამომსახველობითი ენა (იგპ-თეცჲ-ი დიდი მოლოდი-დინების მიუხედავად) გამწირდა და შესაბამისად (სავალალოდ) ერთგვაროვანი გახდა. უწინ თუ ცნობილი არქიტექტორების (მაგ. ალვარ აალტო, რაიტი, კორბუზიე და ა.შ.) შემოქმედება პერსონიფიცირებულობის გენოკოდს ფლობდა, მათი განუმეორებელი ხედვის გამო, დღეს ეს ინდივიდუალობა გაქრა, ზემომოყვანილი მიზეზებიდან გამომდინარე, და გახდა უნიფიცირებული-“ტიპობრივი”, რაც საბჭოური ტიპიური პროექტირებას უახლოვდება დიდი პრეტენზიების მქონე ე.წ. დასავლურ არქიტექტურაში.



ტერმინთა განმარტება

მასა (Maca) – მასა ხალხთა ერთობა გადანაწილებული სივრცეში.

ბრბო (толпа) - ხალხის ერთობის შეყრა სივრცეში (სტადიონზე, თეატრში, ქუჩის დემონსტრაცია-მიტინგი და ა.შ.)

მასა შეიძლება გარდაიქმნას ბრბოდ-მსოფლიო ინტერნეტქსელის საშუალებით, სადაც იწყებს მუშაობას ბრბოს ინსტიტუტები...

ასიმტოტე [Asymptote] - არათანხვედრი (несовпадающие) ანალიტიკური გეომეტრიის ნაწილი.

2. სწორი ხაზი, რომელსაც განუსაზღვრელად უახლოვდება რადაც მრუდის უსასრულობაში მსწრაფი წერტილების ერთობა.

გუსტავ ლებონმა (ფრანგი, სოციოლოგი, ფსიქოლოგი, ანტროპოლოგი, არქიეოლოგი 1841-1931). ერთ-ერთმა პირველმა სცადა დაესაბუთებინა „მასების ერის“ დადგომა და ამ მოვლენის დაკავშირება კულტურის საერთო დონის დაცემასთან. [1] მას მიაჩნდა, რომ ადამიანთა დიდი მასები, მათი დაბალი ინტელექტუალური დონის შედეგად, იმართება არაცნობიერი ინსტინქტებით. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ადამიანი ხვდება ბრბოში და მის ნაწილად გარდაიქმნება. ამ შემთხვევაში ხდება ინტელექტის დონის დამცრობა, ვალდებულების გრძნობის, დამოუკიდებლობის შეგრძნების და კრიტიკული ხედვის დაცემა, ქრება პიროვნება როგორც ასეთი.

საკომუნიკაციო, ინფორმაციული კავშირების ტოტალური განვრცობა, ინტერნეტქსელის ყველა შემადგენლის სახით, ცვლის მსოფლიოს თვალს და ხელს შეა. ქვეყნების-ერების ისტორიულ-კულტურულოგიურ ინდივიდუალურობას ესმება წერტილი და კაცობრიობის პერსპექტივაა გადაიქცეს მასად-ბრბოდ, რაც არ იყო წინა ეპოქებისათვის დამახასიათებელი. შედეგად ვიდებთ-ხალხთა ერთობას, თვისობრივად სხვა დონეზე გადასულს, რომელიც ექვემდებარება შთაგონებას.

ამიტომაც, შემოქმედება აღარ ატარებს ექსკლუზიურობის ნიშანს: ავტორი გაქრა-მოკვდა. შედეგად არქიტექტურა განმეორებადი გახდა, ისე რომ უნგბლიერ პლაგიატები ვერც კი შეიმუცნებენ, რომ ბანალური არეალის საგნები ხდებიან ქვეცნობიერის დონეზე. მუდმივი „რეტოსპექტიული“ თვალის გადავლება არქიტექტურული, ლიტერატურული თუ „art news“-ა ილექტა სადღაც ქვეცნობიერში, პასიური მახსოვრობის სალაროებში, და ოდესშე მყისიერად ამოუგინოვანს ამა თუ იმ ექსტრემალურ სიტუაციაში, ეს იქნება პროექტი, კონკურსი თუ სხვა რამ. ვიდებთ ერთ გრძელ თასმას „second hand“-ის არქიტექტურული, ლიტერატურული თუ მუსიკალური „ნიუსების“ სახით.

რა არის ეს? – პროგრესი? თითქოს ჰო, იმიტომ რომ ტექნოლოგიური პროგრესის შედევებია, მაგრამ არა, რადგან ადამიანთა ინდივიდებს, ამ ქსელების სივრცეში მასებად – ბრძოდ გადაქცევა ემუქრება. ეს ძალიან მძიმე დასაწერია, მაგრამ, ამ შემთხვევაში, უბრალოდ ფაქტის კონსტანტაციას აქვს ადგილი. როგორ უნდა შევინარჩუნოთ პერსონიფიცირების დონე შემოქმედებაში? უკვე საზღვრები ისე წაიშალა, რომ უმრავლესობა თვლის, რომ ტექნოლოგიური „კნოჭ“ ჰორი სახის ახალი სახის არქიტექტურული გამომსახულობითი ეპოქას. ეს ასეც არის, მაგრამ სად და რა შემთხვევაში? როდემდე გაგრძელდება ეს პროცესი? კინეტიკური არქიტექტურის იდეების-ფიშერის მოძრავი ცათამბრჯენის ხიბლი სად და როდის გაქრება, უკვე მეორე მსგავსი „შედევრის“ აგებისას, თუ მესამედე მაინც გაიტანს ლელოს? [2] ახალი არქიტექტურული, ტექნოლოგიური, მეცნიერული ინოვაციები, სინამდვილეში არაახალია, და მრავალი წლის განმავლობაში ცალცალკე ამოიტვიფრებოდა კაცობრიობის გონის ეტრატზე დაფიქსირებული მარგალიტების სახით: ალტერნატიული ენერგო მატარებლები – მაგ. მზის ენერგია, სართული – შრე-დონეები-კაპსულები, ცათამბრჯენები, კონსოლები, ნანოტექნოლოგიები და მათი შე-საძლებლობების გამოყენება ურბო-ვიტა-სისტემებში. და ეს ყველაფერი ერთად აკინძული, როგორც მძივი, ლოგიკით უნდა იღებდეს უნიკალურ ჰუმან-სისტემის სახეს და... მაშინვე ისმება კითხვა სად? როდის? რატომ? რა ზომის?



ასმტოტის გარეტრიული ხაზის გამეორება სხვადასხვა ავტორებთან

დავიწყოთ ბოლოდან: რა-ზომის? მეგამაშტაბის-დიდი-ძალიან დიდი-გიგანტომანია-ლენი-ნის ძეგლები საბჭოების სასახლეების გვირგვინად, ქალაქი ბუშტები-ხეები-მომავლის ქალაქები, ეს ხომ უკვე იყო, მაგრამ ახლა ბინების წრიული ტრიალი 360 გრადუსით დერძის იოგვლივ სადღაც ღრუბლებს ზევით (ფიშერის მოძრავი ცათამბრჯენები). რატომ? ადამიანი ხომ სულიერი, კამერული არსებაა. რას ვერჩით? სპორტული ინტერესია? - რამდენსაც შევძლებ, - რადგანაც შემიძლია - ვაკეთებ? სად არის აქ არქიტექტურა, ანუ შემოქმედების შედეგი. „გამოცდილება-თეორია, აწყვო-პრაქტიკა, ესაა არქიტექტურა“- თქვა ვიტრუვიუსმა. ტრადიცია სადღაა? რაც არის ერის, ადამიანის იდენტიფიცირების ინდიკატორი: „ტრადიციამ რომ იარსებოს, მუდმივად უნდა ექვემდებარებოდეს მსხვევას, იმავდროულად განადგურება როგორც ასეთი არ ქმნის კულტურის ახალ ფორმებს. დიალექტიკური სინთეზი, ტრადიციის და ანტიტრადიციისა -აი რა ქმნის ჭეშმარიტი შემოქმედების სტრუქტურას“, -კუნძო ტანგე.[3]



კონსტრუქციული უნიფიცირება იწვევს არქიტექტურის უნიფიცირებას. მოძრავი ცათამბრჯენი პგავს ბიორობოტს, რომელიც გარეგნულად თითქოს ადამიანია, მაგრამ მას ძირითადი ნიშანი, მსგავსება და ხატება შემქმნელისა-არ გააჩნია. მსგავსება სულია, ხატება-შემოქმედების უნარი, აი რაც ადამიანს განასხვავებს სამყაროს სხვა ქმნილებებისგან, იგი ფშვინვიერისა და სული-ერის ჰარმონიზაციის შედეგია. ეს მოძრავი ცათამბრჯენი კინეტიკური არქიტექტურის სიყრმის შვილი (ბინის ფასით 30 მილიონი დოლარი) ფანტომია, მაგრამ რისთვის? უნიკალური სათამაშოა? ხსნის-აფართოვებს არქიტექტურის გამომსახველობითობის საზღვრებს?!? -ხსნის კი? გაზრდა სიმაღლეში არ არის საზღვრების გახსნა.

-რატომ? -ამპარტავნების გამო, ეს “უკვე გავიარეთ”. ბაბილონის გოდოლი მორალური კატეგორია, ის ზეობის ინდიკატორია. -არის ცივილიზაცია პროპორციული კულტურული დონისა? ყველამ იცის რომ ეს ორი კატეგორია ანტიპოდია. არქიტექტურა კი უკვე ხდება არა ტექნოლოგიების გენერატორი არამედ შემსრულებელი-ყმა. ყმის ენა კი-ბრგვალია.

-როდის? დღეს, ხვალ... იაპონიამ ამ დროს კი წამზომი ჩართო. ტექნოლოგიური, სამშენებლო მასალები-კონსტრუქციული ინოვაციები არ არის დაცულობის გარანტი. ამას დაემატა ამერიკის სამხრეთ-აღმოსავლეთის 8 შტატის ტორნადო. ისევ ნგრევა ისევ ატომური სადგურების ავარიული მდგომარეობა და გაჩერება...

-სად? აი ეს კი აქტუალურია, იქ სადაც ეს ატლანტები არაფერს არ დააზიანებენ, და იმ სიკეთეს რაც მათი შემქმნელების მიერ დეკლარირდება-სუფთა-ჯანმრთელი მიკროპავა შიგნით, ხედი, მწვანე დონე-ტერსაები გარეთ, მზის ენერგიის აკუმულირება და რეგენერაცია გამოიყენება ჰუმანური მიზნით. -უდაბნო, უდაბნო და კიდევ უდაბნო. ეს იქნება ის “კომილფო” რაც ამ ატლანტებს მაქსიმალურ სარგებელს მოატანინებს.

.შ. უნიფიცირება, სტანდარტიზაცია-ეს მოვლენა რომ არ არის არქიტექტურისათვის დამახასიათებელი, ცნობილი რუსი დირიქორის გენადი როუდესტვენსკის გამონათქვამიდანაც ჩანს: “ყველგან კომპიუტერმა შეცვალა შემოქმედი... მე ვერ ვხედავ შემოქმედებს, ისინი ადარ არსებობენ. ყველაფერი

ერთმანეთს ჰგავს, გამოჩენილი ნაწარმოებები აღარ იქმნება. ცუდი, დაბალი გემოვნება ინერგება.”

როდესაც გრძნობა-გემოვნება პრევალირებს გონზე-სწორი არქიტექტურის კეთების უნარზე, პროფესიონალიზმზე და არ არის ამ ორი ფენომენის პარმონიული ერთობა, ჩნდება მომწონს-არ მომწონს შეფასების ობივატელური სივრცე და ადგილი აქვს არქიტექტურული გარემოს მარგინალიზაციას.

დასკვნა

1. ინდივიდუალურობის დაკარგვა-შექმნის უნარის დაკარგვა, არქიტექტურის სხვა განზომილებაში გადაყვანა;
2. ტექნოლოგიურ-კონსტრუქციული ინვაციების დიქტატის შედეგად არქიტექტურული ენის სტანდარტიზაცია ინტერნეტ ქსელებაში განვრცობის სახით;
3. High Tech-ის და ნანოტექნოლოგიების ფრთხილი, სწორი და გონივრული გამოყენება არქიტექტურულ შემოქმედებაში.

ლიტერატურა

1. http://en.wikipedia.org/wiki/Gustave_Le_Bon
2. <http://www.dubai-architecture.info/GALL/DUB-DT.htm>
3. Кензо Танге. Архитектура Японии. Традиция и современность. Москва 1976
Издательский дом "Прогресс".

Modern Materials and Structures – The Unified Architecture

Melkadze M.

The innovative-renewed possibilities of the advanced building materials updated on the basis of the modern technologies and expressed in their so called Superstability Index, become a reason for unification of the constructional nets – structures and details, that is reflected in several types of n+1 group and subgroup in a form of the standard-modulated brands – clichés.

This event, in its turn, causes a certain limitation of the architectural image in this (n+1) variable system of curves, which forms several modulated structures of interpretation of (n+1) group (Illustrations).

As a result, an expressive language of the world architecture (despite the great expectations of high-tech) became scarcer and correspondingly (unfortunately) homogenous.

Современные материалы и конструкции – унифицированная архитектура

Мелкадзе М.

На основе современных технологий, обновлённо-инновационные возможности новейших строительных материалов, выраженных в их т.н. суперустойчивых коэффициентах, становятся поводом для унификации конструктивных сеток-систем и деталей, что выражается в нескольких (n+1) типовых группах и подгруппах в виде стандартно моделированных клишеобразов.

Это событие, в свою очередь, вызывает определение архитектурных образов в эти (n+1) вариационные системы, которые создают группу (n+1) модулированных структурных интерпретаций.

В итоге, мировой архитектурный изобразительный язык обеднел и стал однообразным.

არქიტექტურის იდენტიფიცირება ეთნიკური რეგიონის სოციალურ მახსოვრობასთან მიმართებაში მესტიის მუზეუმის მაგალითზე

მაია ძიძიგური, თეონა ეპიტაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
კოხავას 77, თბილისი, საქართველო

წარმოდგენა ისტორიული წარსულის შესახებ მჭიდროდ უკავშირდება თვითოდენტიფიკაციას სამყაროში. უმთავრესი ფაქტორი ეროვნული იდენტურობისა ეფუძნება სოციალურ მეხსიერებას, რომლის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორებია კულტურული და მატერიალური სიმბოლოები. მთავარი მიზანი მისი შენარჩუნება და ერთი თაობიდან მეორეზე გადაცემის შესაძლებლობაა. სოციალური მეხსიერება წარმოადგენს გარკვეულწილად “ნაციონალურ გენეტიკურ კოდს”, რომელიც ინახავს ინფორმაციას ისტორიის, ეპოქების განვითარების, ცხოვრების პირობების და ერთს ეთნიკური პოტენციალის შესახებ.

საქართველოს თითოეულ რეგიონს საკუთარი “გენეტიკური კოდი” გააჩნია, რომელიც საუკუნეების მანძილზე ვითარდება. ამ კოდის მორგება თანამედროვეობასთან საკმაოდ რთულია, თუმცა, როდესაც ისეთ რეგიონს ეხები როგორიც სვანეთია, რომლის გამოსახულება საუკუნეების მანძილზე მუდმივობას ინარჩუნებს და სადაც მეხსიერება ინახავს მყარ მტკიცებულებას, როგორც ფიზიკური, ასევე სოციალური კულტურის სიმდიდრის შესახებ, რთულია გაყვე თანამედროვე სამყაროს კანონებს და უგულვებელყო ადგილის მეხსიერება.

სვანეთის სოფლები მჭიდროდ, ჯგუფებადაა განლაგებული მთების ციცაბო ფერდობებსა და ლრმა ხეობების ძირში. მათ თავისებურ, განუმეორებელ სახეს უქმნის ძველებური კოშკიანი საცხოვრებელი კომპლექსები, რომლებიც მთელ სვანეთში არის გავრცელებული. ეს კომპლექსები სიმაგრეებს წარმოადგენს და ნათლად გამოხატავს სვანი ხალხის ბუნებას. მთავარ ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს შენობათა ხასიათს, წარმოადგენს მათი თავდაცვითი ფუნქცია. დასახლებებში არქიტექტურით გამოკვეთილი სოფლის ცენტრი არ არსებობს. დასახლების საერთო ანსამბლის დირსშესანიშნაობა მთელი თავისი სურლყოფილებითა და ორიგინალობით საცხოვრებელ ობიექტებში გამოიხატება და არა საკულტო, ან საზოგადოებრივ ხუროთმოძღვრებაში. სვანური სახცოვრებელი სახლის სილუეტი საკმაოდ მრავალფეროვანია, რადგანაც მრავალი განსხვავებული ელემენტისგან შედგება: მრავალსართულიანი კოშკი, ორსართულიანი მატუბი ან დარბაზი, ტერასები, გადახურვები, საერთო ეზო. მათი ერთობლიობა ქმნის მდიდრულ ფორმათა ნაკრებს და ანიჭებს არქიტექტურას განსაკუთრებული გამოხატვის საშუალებას და ზოგი მკვლევარის თქმით “თავისი არქიტექტონიკით ასრულებს პეიზაჟის მნიშვნელობას”

მოდრენიზაციის ყველა მოდელი ცალმხრივად უდგებოდა ფორმის შექმნას, რადგანაც დროის და ადგილის ფაქტორი მათში არ ფიგურირებდა და მათ ადგილის სული არ აცოცხლებდა. ამდენად რთულია წარმოიდგინო თანამედროვე არქიტექტურის ნიმუში ისეთ ისტორიულად, გეოგრაფიულად, კულტურულად მრავალფეროვან ადგილას, როგორიც სვანეთია. 1972 წელს აშენებული მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაგიული მუზეუმი არის კარგი

მაგალითი იმისა თუ როგორ მოხერხდა დელიკატური ბალანსის შენარჩუნება ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო “სამყაროებს” შორის.

მუზეუმი მდებარეობს ზემო სვანეთის მესტიის რაიონულ ცენტრში (ავტორები რამაზ კიქნაძე, გივი მეტრეველი). შენობა დაპროექტებულია კლდის რთულ რელიეფზე, რომელიც თავისი ადგილმდებარეობის გამო დომინირებს ისტორიულად მდიდარ არქიტექტურულ გარემოში, მის ირგვლივ ძველი საცხოვრებელი სახლები (მაჩუბი) კოშკები, სალოცავები და საგვარეულო სასაფლაო განლაგებული, ასე რომ არქიტექტორების წინაშე საკმაოდ რთული ამოცანა იდგა. მესტიის ეთნოგრაფიული გამოსახულების, მისი სამეტეველო ენის შენარჩუნებისთვის საჭირო იყო ზუსტი სტრატეგიის განსაზღვრა. არქიტექტორებმა იმდროინდელი სტანდარტების თანახმად არქიტექტურა გარემოსგან დამოუკიდებლად კი არ გაიაზრეს და კონსტრუქციული, ტექნოლოგიური სიახლეებით ყურადღება მუზეუმის ეფექტურ გამოსახულებაზე კი არ გადაიტანეს, არამედ მოცულობა დაუკავშირეს არსებულ განაშენიანებას და ერთიან ანსამბლად შეკრეს. ამავე დროს გარემოს კი არ დაუქვემდებარეს არქიტექტურა, არამედ გარემო გარკვეულწილად ფონად გამოიყენეს იმისთვის, რომ ახალ სტრუქტურას აქცენტირება გაეკეთებინა მის ირგვლივ არსებულ სივრცეზე. ამდენად თანამედროვე არქიტექტურა წარადგენს ისტორიულ გარემოს ისე, რომ არ არღვევს მის ეთნოგრაფიულ გამოსახულებას და ამავე დროს წამყვან როლს ასრულებს. საკმაოდ მასიური ნაგებობა არტიკულირებულია ფრაგმენტებად და ამის გამო მისი სიმძიმე შემსუბუქებულია. დანაწევრება მხოლოდ მასების შემსუბუქების გამო არ მომხდარა. არსებული განაშენიანების საეციფიკიდან გამომდინარე, ერთმანეთისგან გამოყოფილი მოცულობები გაერთიანებულია ერთ სისტემაში და პრინციპში ერთ კონცეფციას იმეორებს – ნაგებობების ფრაგმენტირებულ, დანაწევრებულ ერთეულებად და არა ერთიან მასად აღქმას. სტრუქტურა ვერტიკალურად ვითარდება, მაგრამ სვანური კოშკებისგან განსხვევაბით, მუზეუმის არქიტექტურას აწონასწორებს პორიზონტალური მიმათრულებებიც და თუ კოშკებში მასიურობასა და სიპირქუშებთან ერთად გარკვეული სისმუბუქე იკითხება და ნაგებობა თითქოს ზეცისკენ ისწრაფვის, მუზეუმის შემთხვევაში ბრტყელი გადახურვების გამოყენებით, რომელიც თანამედროვე სტანდარტებიდან გამომდინარებს, არქიტექტურა უფრო ადგილს უკავშირდება და ქმნის ერთიან პროცესს, რომელიც იბადება მიწაში, ვითარდება მის ზედაპირზე და ადგილობრივი ბუნებრივი კლიმატური პირობების გათვალისწინებით იძენს ფერს, ფორმას, ფაქტურას. ამიტომ მესტიის მუზეუმი მიეკუთვნება იმ ადგილს, რომელშიც არსებობს და არ უცხოვდება საკუთარ გარემოში. არქიტექტურული კომპოზიციის ნაწილს წარმოადგენს საფეხმავლო ხიდი, რომელიც მდ. მულხურას გადაკვეთით პირდაპირ კავშირს ამჟარებს მესტიის ცენტრსა და ახალ მუზეუმს შორის. პროექტში ამ ხიდს როგორც ფუნქციური, ასევე სიმბოლური მნიშვნელობა გააჩნია. ფუნქციური თვალსაზრისით მოსახლეობას ცენტრიდან მუზეუმამდე შემოვლითი გზით უნდა ესარგებლა, ასე რომ ხიდი გააერთიანებდა ახალი მუზეუმის შენობას მესტიის ცენტრთან და მის ორგანულ ნაწილად გადაიქცეოდა, იმავდროულად მუზეუმის არქიტექტურის აღსაქმელად გაცილებით საინტერესო და შთამბეჭდავ რაგურსს შექმნიდა, სიმბოლური თვალსაზრისით კი წარმოიქმნებოდა გარდამავალი, შუალედური სივრცე ახალ და ძველ სამყაროებს შორის. მუზეუმი შესაბამისობაშია საერთო განაშენიანების (კოშკების, მაჩუბის) სიმაღლესთან, ასევე გამეორებულია სვანური კოშკების მთავარი ხასიათი,

შენობები მაქსიმალურად ჩაკეტილია საკუთარ თავში. კოშკებში მასიური ქვის კედლები იცავდნენ მცხოვრებლებს გარეშე მტრისაგან და ბუნებრივი კლიმატური პირობებისგან, ასევე მუზეუმის სპეციფიკიდან გამომდინარე ისტორიული კოლექციების შენახვა, საგამოფენო დარბაზები, ლაბორატორიები, საცავი სივრცეები დაცული უნდა იყოს გარემო პირობებიდან, აქედან გამომდინარე ორივე შემთხვევაში ფუნქცია განსაზღვავს ორივე სტრუქტურის ხასიათს, ოუმცა ორივე შემთხვევაში ეს შენობის ინტერიერში უფრო იგრძნობა, ვიდრე ექსტერიერში. მუზეუმის შინაგანი სტრუქტურა ასეთია: იგი შედგება ძირითადი სართულებისგან: პირველ სართულები მოთავსებულია ადმინისტრაცია, სამეცნიერო-სარესტავრაციო განყოფილება, საცავები, დამხმარე სათავსოები, მეორე სართული კი წარმოადგენს ძირითად საექსპოზიციო ფართსა და ვესტიბულს. ეთნოგრაფიულ დარბაზში სვანური საცხოვრებელი სახლის (მაჩუბის) ინტერიერი იყო წარმოდგენილი. დარბაზიდან დარბაზში მოძრაობისას ფრაგმენტულად იხსნებოდა ხედი მოცულობის გარეთ არსებულ ისტორიულ გარემოზე ისე, რომ როგორც ერთ-ერთმა ავტორმა გივი მეტრეველმა აღნიშნა იქმნებოდა “მუდამ იმის შეგრძნება სად იმყოფები” და ამასთან ერთად ეთნოგრაფიული გამოსახულება ინტერიერის ნაწილად აღიქმებოდა და ისტორიულ ექსპურს კიდევ უფრო ამდიდრებდა. ადგილთან კავშირის გასაძლიერებლად საშენ მასალად ჩაფიქრებული იყო ქვა, ბეტონი, ფიქალი და სხვა. ეს რა თქმა უნდა ბუნებრივი კლიმატური პირობებიდანაც გამომდინარეობდა და არა მხოლოდ ისტორიული იერსახის შესანარჩუნებლად იყო შერჩეული. რეინა-ბეტონის გადახურვა და საერთოდ კონსტრუქციები თანამედროვე სტანტარდებს შეესაბამებოდა, ხოლო მოპირკეთება ადგილობრივი, ბუნებრივი მასალით იყო გადაწყვეტილი. ასეთი მიღებით საზღაბული იყო მუზეუმისთვის შერჩეული ადგილის მთავარი დირსება: ის მთელი მესტიისთვის კომპოზიციურ ცენტრად და გარკვეულწილად სიმბოლოდ უნდა გადაქცეულიყო.

საინტერესოა რამაზ კიკნაძის სვანეთის ჩანახატები, რომელშიც ჩანს, რომ არქიტექტორისთვის მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ ფორმის, სცენოგრაფიის გააზრება, არქიტექტურაში კოდირებული ინფორმაციის გადმოცემა, არამედ სვანეთის განწყობის, მისი სულის გამოხატვა.

მესტიის მუზეუმის არქიტექტურული ფორმას, მის სტრუქტურას სწორედ ეთნიკური რეგიონის ისტორიულ წარსულში დალექილი “გენეტიკური კოდი” აყალიბებს, რაც ჩვენი აზრით არქიტექტურული ფაქტორების (ფორმა, ადგილი, მასალა, კონსტრუქცია) განსაზღვრის სტიმულად იქცა.



ლიტერატურა

- 1) სვანეთის არქიტექტურა: გ.ლევავა, მ. ჯანდიერი

The identification of architecture to sozial memory of the ethnic regionon the example of Mestia muzeum

M.Dzidziguri, T. epitashvili

Georgian Technical University

Kostava Str.77, Tbilisi, Georgia

In the article is analized the influence of regional memory on the Mestia museum architecture.

Идентификация архитектуры по отношению социальной памяти этнического региона на примере местиисского музея

М. Дзидзигури, Т. Эпиташвили.

Грузинский технический университет

Грузия, Тбилиси, ул. Костава, 77

В статье проанализирована архитектура местиисского музея с точки зрения влияния на неё региональной памяти

*Журнал издается по решению редакционно-издательского совета от 16 декабря
2010 года (протокол №6)*

Редакционный совет:

*Борис Имнадзе –ф. профессор, главный редактор
Теймураз Джагоднишвили –ф. профессор, заместитель редактора
Елизавета Козлова – ассоц. профессор, ответственный секретарь
Чингиз Бедалов, профессор
Жанетта Вардзелашивили, ТГУ, преподаватель, доктор филологических наук
Константин Рамишвили, профессор, вице-президент АНО Грузии
Гоча Микиашвили, профессор, декан факультета архитектуры ГТУ
Анзор Шавгулидзе, ф.профессор
Зураб Чачхиани, ф.профессор
Елизавета Хахуташивили, ассоц. профессор*

Адрес редакции: Тбилиси, 0108, ул. Зандукели , 1

**e-mail: boris151132@rambler.ru
адрес веб-страницы <http://newsletters.gtu.ge>**

Georgian Technical University

Board of Editors:

*Boris Imnadze – PhD. – Chef-editor
Teimuraz Jagodnishvili – PhD. – Deputy editor
Elizabed Kozlova – Executive Secretary*

Board Members, Professors:

*Chingiz Bedalov
Janetta Vardzelashvili
Konstantin Ramishvili
Gocha Mikashvili
Anzor Shavgulidze
Zurab Chachkhiani
Elisabed Khakhutashvili*

ISSN №1512-102X

Address: 1, Zandukeli Str., 0108, Tbilisi, Georgia

e-mail: boris151132@rambler.ru
web-site's address: <http://newsletters.gtu.ge>

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

განათლება №2 (ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენგლიშ)

თბილისი 2011

გამომცემლობის რედაქტორი:

პორექტორები: ე. კოზლოვა

თ. მებუკე

თ. ბონდარენკო

კომპიუტერული დაკაბადონება:

რედაქცია: ბ. იმნაძე

თ. ჯაგოდნიშვილი

გადაეცა წარმოებას

ქაღალდის ზომა 1/8

ტირაჟი 500